

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის დარგობრივი დეპარტამენტი

ჰამლეტ სანიკიძე

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მოდელები და პერსპექტივები
საქართველოში, მდგრადი სოფლის განვითარების მთავარი გამოწვევები

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დისერტაცია

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ეკონომიკის
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ბადრი გეჩაია

ბათუმი - 2022

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ჰამლეტ სანიკიძე

ხელმოწერა:

თარიღი:

შინაარსი

შესავალი.....	6
თავი 1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სამეცნიერო-მეთოდოლოგიური საფუძვლები	
1.1. კოოპერატივების ფორმირების მეთოდოლოგიური და მეცნიერული საფუძვლები.....	11
1.2. სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების შექმნის სამართლებრივ-ეკონომიკური საფუძვლები.....	30
1.3. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების კანონზომიერებები და თავისებურებები	49
თავი 2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ტენდენციები და შესაძლებლობები	
2.1. უცხოეთის ქვეყნების გამოცდილება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფუნქციონირებასა და რეგულირებაში.....	59
2.2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების SWOT ანალიზი	74
2.3. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები	81
თავი 3. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების პრიორიტეტები და რეგულირება	
3.1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების როლი და მნიშვნელობა სოფლის და აგრობიზნესის მდგრად განვითარებაში.....	87
3.2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების შეფასება „გადაუდებლობა-ზეგავლენის“ მატრიცით	95
3.2.1. მატრიცა „გავლენა-გადაუდებლობა-პრიორიტეტი“	101
3.3. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების პრიორიტეტები და რეგულირების მექანიზმები.....	111
თავი 4. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და აგრობიზნესის განვითარების პერსპექტივები და მოდელები	
4.1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გავლენა აგრობიზნესის და სოფლის განვითარებაზე.....	133
4.1.1. ფარდობითი და აბსოლუტური საგადასახადო ტვირთის გაანგარიშების მეთოდოლოგია.....	133
4.1.2. კომერციული ანგარიშიანობის დანერგვის მეთოდოლოგია	137
4.2. ბიზნესის დაგეგმვა და ინვესტიციების ეფექტურობა კოოპერატივებში	149
4.3. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და აგრობიზნესის მოდელების განვითარების პერსპექტიული მიმართულებები საქართველოში	163
დასკვნები და წინადადებები.....	172
გამოყენებული ლიტერატურა.....	176

ილუსტრაციათა ნუსხა

დიაგრამები

დიაგრამის №	დასახელება	გვერდი
დიაგრამა 1	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ტიპები	56
დიაგრამა 2	საქართველოში სოფლის მეურნეობის ნებადართული სუბსიდირების ოდენობა	78
დიაგრამა 3	გავლენა-გადაუდებლობა-პრიორიტეტის მატრიცა	104
დიაგრამა 4	ქვემო ქართლის რეგიონის საკვლევი კოოპერატივების გავლენა-გადაუდებლობა-პრიორიტეტის მატრიცით ანალიზი	108
დიაგრამა 5	საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სტრუქტურა ორგანიზაციული და იურიდიული ფორმების მიხედვით	115
დიაგრამა 6	შიდა ქართლის მხარის სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სტრუქტურა ორგანიზაციული და იურიდიული ფორმების მიხედვით 2021 წელს	115
დიაგრამა 7	შიდა ქართლის რეგიონის სოფლის მეურნეობის საწარმოების სტრუქტურა ორგანიზაციული და იურიდიული ფორმების მიხედვით 2014 წელს	116
დიაგრამა 8	მეურნეობათა სარგებლობაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობები საქართველოს რეგიონების მიხედვით (საშუალოდ, ჰა)	119
დიაგრამა 9	ხეხილის ბაღების ფართობები საქართველოს რეგიონების მიხედვით	121
დიაგრამა 10	ვენახების ფართობების დანაწილება საქართველოს რეგიონების მიხედვით	122
დიაგრამა 11	მსხვილდეხა-რქოსანი პირუტყვის განაწილება საქართველოს რეგიონების მიხედვით	122
დიაგრამა 12	ცხვრისა და თხის სულადობა საქართველოს რეგიონების მიხედვით	123
დიაგრამა 13	ფრინველის სულადობა საქართველოს რეგიონების მიხედვით	124

ცხრილები

ცხრილის №	დასახელება	გვერდი
ცხრილი 1	საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსის თანამშრომლობის პრინციპები, როგორც მისი შინაარსის განმსაზღვრელი აუცილებელი და საკმარისი ფაქტორების ურთიერთკავშირები	35-36
ცხრილი 2	სასოფლო-სამეურნეო თანამშრომლობის პრინციპები, როგორც საჭირო და საკმარისი ფაქტორების ურთიერთკავშირი, რომლებიც განსაზღვრავს მათ შინაარსს	39
ცხრილი 3	შემოთავაზებული დამატებითი პრინციპები	43
ცხრილი 4	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების SWOT-ანალიზი	79-80
ცხრილი 5	ინდიკატორის მნიშვნელობა პროექტის რეალიზაციის პირობების მიხედვით	91-92
ცხრილი 6	ძირითადი ფინანსური და ეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებს სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივებს 3 წლის განმავლობაში დაგეგმილ საქმიანობას	94
ცხრილი 7	სოფლის მეურნეობის საწარმოების განაწილება ქვემო ქართლის რეგიონში 2019-2021 წლის დასაწყისში	117
ცხრილი 8	მიწის ფართობი ცალკეული მეურნეობის სარგებლობაში საქართველოს რეგიონების მიხედვით (საშუალოდ, ჰა)	118
ცხრილი 9	პირუტყვი და ფრინველი: საშუალო სულადობა	120
ცხრილი 10	ფერმების განაწილება შიდა ქართლის მხარეში მომგებიანობის დონის მიხედვით, 2019 წ.	126
ცხრილი 11	მეურნეობების განაწილება საშუალო თვიური ხელფასის დონის მიხედვით, 2019 წ	126
ცხრილი 12	რეგიონის კოოპერატივების დაჯგუფება მომგებიანობის დონის მიხედვით	127
ცხრილი 13	აბსოლუტური საერთო საგადასახადო ტვირთი საკვლევ კოოპერატივებში, ათ. ლარი	135
ცხრილი 14	ფარდობითი საგადასახადო ტვირთი საკვლევ კოოპერატივების ახლად შექმნილ ღირებულებაში	136
ცხრილი 15	მცენარეული პროდუქციის ღირებულების გაანგარიშება	147
ცხრილი 16	ბიზნეს გეგმის რეგისტრაცია მიწოდებისა და მარკეტინგის კოოპერატივის განვითარებისათვის	150-151
ცხრილი 17	ქვემო ქართლის მხარის თეთრიწყაროს რაიონის სოფელი მოხისის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივი „რანჩოს“ საინვესტიციო დაფინანსების წყაროები	153-154
ცხრილი 18	კოოპერატივის მუდმივი და ცვლადი ხარჯების სტრუქტურა 2019 წლის ივნისში	154
ცხრილი 19	კოოპერატივის „რანჩო“ ფინანსური ინვესტიციების გრაფიკი	155
ცხრილი 20	ფულადი სახსრების გეგმის სტრუქტურა კოოპერატივისათვის „რანჩო“	160

შესავალი

საკვლევი თემის აქტუალობა. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მართვისა და ფუნქციონირების კოოპერატიული ფორმა საქართველოში დარგის სპეციფიკურობიდან და თავისებურებებიდან (მცირე მიწიანობა, რთული რელიეფი), გაფანტულობა, ბაზრის სიხშირე, ხელით შრომის უპირატესობა და სხვ.) გამომდინარე სათანადოდ ვერ ვითარდება. მისი ორგანიზება წინააღმდეგობებს აწყდება, როგორც ორგანიზაციული, ისე ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტით. დღეისათვის რეგისტრირებული 2052 სუბიექტიდან ფუნქციონირებს მხოლოდ 832 სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივი; 1220 კოოპერატივს სხვადასხვა მიზეზებით შეწყვეტილი აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი. დაბალია მათი წილი სოფლის მეურნეობის მთლიან შემოსავლებში.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფორმირებისა და ფუნქციონირების ანალიზი, მეთოდოლოგიური დებულებებისა და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება მათი ორგანიზაციული და ეკონომიკური მექანიზმის დასაბუთებისთვის, რომელიც მოიცავს მენეჯმენტის, შემოსავლის, ფორმირებისა და განაწილების საკითხებს, საგადასახადო მექანიზმებსა და ა.შ. - წარმოადგენენ აქტუალურ პრობლემას და ჩამოთვლილთაგან მათ უმრავლესობას აქვს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია სამეცნიერო, ორგანიზაციული და ეკონომიკური საფუძვლების შემუშავება მრავალსტრუქტურულ ეკონომიკაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ადაპტირებული მეურნეობის შექმნისა და ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის.

დასახული მიზნის განხორციელებამ წინასწარ განსაზღვრა შემდეგი **ამოცანების** ფორმულირება და გადაწყვეტა:

- 1) კოოპერატივის არსის გამოვლენა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფორმირებისა და კლასიფიკაციის სპეციალური თავისებურებების შექმნისათვის საჭირო პირობებისა და ფაქტორების გამოვლენა;
- 2) კოოპერატივების ფორმირებისა და ფუნქციონირების სახელმძღვანელო აქტებში შესატანი ცვლილებების დასაბუთება;

3) კოოპერატივების სამეურნეო და ფინანსური საქმიანობის პროგნოზირების ორგანიზაციული და ეკონომიკური მახასიათებლების დასაბუთება;

4) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ფარდობითი და აბსოლუტური საგადასახადო ტვირთის გაანგარიშების მეთოდოლოგიის შემუშავება;

კვლევის საგანია სოფლის მეურნეობის კოოპერატივების შექმნისა და ფუნქციონირების პროცესზე მოქმედი ტენდენციები, სოციალურ-ეკონომიკური პირობები და ფაქტორები.

კვლევის ობიექტია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები. ორგანიზაციული და ეკონომიკური საფუძვლების საფუძვლიანი კვლევა განხორციელდა შიდა ქართლის მხარის გორის რაიონის სოფელ ქვეშის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივის „ტირიფონას“, ქ. გორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის „გეა“ და ქვემო ქართლის მხარის თეთრიწყაროს რაიონის სოფელი მოხისის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივის „რანჩო“ მასალების გამოყენებით.

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანას აქვს მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება სოფლის მეურნეობაში ზოგადად, კვლავ ბევრი ეკონომიკური, ორგანიზაციული, სამართლებრივი და სოციალური რესურსია გამოუყენებელი თითოეული დარგის განვითარებისათვის.

საქართველოში კოოპერატივების განვითარებაზე და კოოპერაციის მნიშვნელობაზე მიუთითებდა ილია ჭავჭავაძე. იგი კურირებდა პირველ ქართულ კოოპერატივს, რომელიც კახეთში შეიქმნა და რამდენიმე წერილი მიუძღვნა მის განვითარებასა და შესაძლებლობებს. მის მიერ სოფელ წინამძღვრიანთკარში შექმნილი სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნაზე მისასალმებელ სიტყვაში ნათლად იყო ჩამოყალიბებული კოოპერაციის დიდი მომავლის შესახებ.

სოფლის მეურნეობაში კოოპერაციის განვითარების პრობლემის შესწავლის ზოგად თეორიულ და მეთოდოლოგიურ ასპექტებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს: ე. ფულტონმა, ფერერა და კოსტამ, ბელო მორიერამ, ჯ. ბატერ, ა. ჯ. კნაპპმა, ნიკოლა რეჟემ, კ. ბეილიმ, მ.ს. დედომ, ც. ბიორნმა და სხვებმა. ქართველი მეცნიერ-ეკონომისტებიდან აღსანიშნავია ო.ვაშაკიძე, ე. ხარაიშვილი, ნ. ჭითანავა, ო. ქეშელაშვილი, პ. კოდუაშვილი, ვ. პაპუნძე, ვ. ბურკაძე, რ. ასათიანი და სხვები.

ამავე დროს, ამ პრობლემის ყველა ასპექტი ჯერ კიდევ სრულად არ არის შესწავლილი; ვერ პასუხობს გლობალიზაციის ტენდენციებს, დასაბუთებული არაა კოოპერატივების სტრუქტურული და ორგანიზაციული ასპექტები თავისებურებების გათვალისწინებით, განსაკუთრებული სირთულეებია რეგიონულ ჭრილში.

სწორედ აგრო-ინდუსტრიულ კომპლექსში კოოპერატიული სისტემის ფორმირების პრობლემის აქტუალობა და არასაკმარისი მეთოდოლოგიური შემუშავება, აგრეთვე მისი პრაქტიკული მნიშვნელობა განსაზღვრავს ჩვენს მიერ შერჩეული თემის არჩევას და მასში განხილულ საკითხთა სპექტრს.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი შეესაბამება საკვალიფიკაციო თემასთან დაკავშირებულ ეკონომიკური თეორიის დებულებებს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის პრობლემებს. გამოყენებულია ადგილობრივი და უცხოელი მეცნიერ-ეკონომისტების ნაშრომები, სახელმწიფო ნორმატიული და საკანონმდებლო აქტები.

ინფორმაციის ბაზად გამოყენებულია საადრიცხვო მასალები, წლიური ანგარიშების მონაცემები და საცნობარო მასალები, ექსპერიმენტებისა და გამოკითხვის შედეგები.

კვლევის პროცესში გამოიყენებოდა აბსტრაქტულ-ლოგიკური, ეკონომიკურ-სტატისტიკური, მონოგრაფიული, ანალიტიკური, გაანგარიშებად-კონსტრუქციული და სხვა მეთოდები.

კვლევის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს შემდეგში:

1. დაზუსტდა სოფლის მეურნეობის კოოპერატივების ფორმირებისა და განვითარების თეორიული და მარეგულირებელი ასპექტები, მათი ფუნქციონირების ახალი პრინციპების დანერგვის გათვალისწინებით;
2. შემუშავებულია დასახლებული პუნქტების კომპლექსური სარეიტინგო შეფასების მეთოდოლოგია, რომელსაც კოოპერატივების შექმნის აუცილებლობის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად შესადარებელი რესურსის მაჩვენებლების მიხედვით (მოსახლეობის რაოდენობა, კერძო მიწის ნაკვეთები, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა და აღჭურვილობის არსებობა);

3. შემუშავებულია მეთოდოლოგიური რეკომენდაციები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფორმირებისა და ფუნქციონირებისათვის, შექმნის, კოოპერატივების შიდასამეურნეო ორგანიზების, საგადასახადო ტვირთის ზომისა და ეკონომიკური დასაბუთების ინტეგრირებული მიდგომის გათვალისწინებით;
4. შემუშავებულია კოოპერატივების სტრატეგიული დაგეგმვის, საინვესტიციო რესურსების საჭიროებებისა და პერსპექტიული პროექტების ეკონომიკური ეფექტურობის გაანგარიშების მეთოდოლოგიური რეგულაციები.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს სოფლის მეურნეობის წარმოებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფორმირებისა და განვითარების თეორიული ასპექტების განსაზღვრაში; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნისა და ფუნქციონირების საკითხების მეთოდოლოგიურ საფუძველზე წარმართვაში. კოოპერატიული სისტემის განვითარების დისერტაციაში გამოვლენილი ნიმუშები და ტენდენციები შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა დონეზე კოოპერატიული ორგანიზაციების შესაქმნელად. შემუშავებული წინადადებების პრაქტიკული განხორციელება საშუალებას იძლევა შეიქმნას ეფექტური თვითმმართველი სტრუქტურა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, გადამუშავების, მიწოდებისა და მარკეტინგისთვის.

ნაშრომის აპრობაცია. დისერტაცია აპრობირებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის დეპარტამენტის გაფართოებულ სხდომაზე 2021 წლის 18 ივლისს.

ნაშრომის სტრუქტურა და შინაარსი. აღნიშნული საკითხების სრულყოფილი ანალიზისა და ჩვენი ხედვების ჩამოყალიბებისათვის ნაშრომმა შეიძინა შემდეგი სტრუქტურა: სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 175 გვერდს და შედგება შესავლის, ოთხი თავის, 15 ქვეთავის, დასკვნებისა და წინადადებებისაგან, 13 დიაგრამის, 20 ცხრილისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან.

თავი 1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სამეცნიერო-მეთოდოლოგიური საფუძვლები

1.1. კოოპერატივების ფორმირების მეთოდოლოგიური და მეცნიერული საფუძვლები

ევროპაში კოოპერატივის თეორიის შესახებ პირველი ნამუშევრები იყო კორნელიუსის, ჯ. ბელერსის, პიტერ ვან პლოკხოს პროექტები: „როგორ გავაზიაროთ ღარიბები საზოგადოებებში ან პატარა რესპუბლიკებში გაერთიანების გზით“ (1654-1722),¹ დენიელ დეფოს „სამომხმარებლო საზოგადოებებსა და შემნახველი ბანკების შესახებ“ (1660-1731)².

თანამშრომლობის იდეების სათავეში დგას რობერტ ოუენის, უილიამ კინგისა და ჩარლზ ფურიეს (სამომხმარებლო კოოპერატივები), ფილიპ ბუმესა და ლუი ბლანის (წარმოება), შულზე დელიჩისა და ფერდინანდ რაიფფაიზენის (საკრედიტო) სახელები. ანუ კოოპერატიული მოძრაობის ისტორიაში, სამომხმარებლო კოოპერატივების სამშობლოდ მიღებულია ითვლებოდეს ინგლისი, წარმოების სამშობლოდ - საფრანგეთი, საკრედიტო სფეროს სამშობლოდ - გერმანია.

კოოპერატიული ფორმების შექმნის პრაქტიკამ („რომდელის სამართლიან პიონერთა საზოგადოება“, ინგლისი, 1844) აჩვენა თანამშრომლობის ორგანიზატორების მაღალი სოციალური მიზნები. ამასთან დაკავშირებით, მ. ი. ტუგან-ბარანოვსკი წერდა, რომ რომდელის კოოპერატივი არა მხოლოდ აკმაყოფილებს მისი წევრების უმნიშვნელო მცირე საჭიროებებს, არამედ აქვს უზარმაზარი სოციალური მნიშვნელობა.³

თავისი განვითარების მანძილზე კოოპერატივმა გრძელი გზა განვლო. XIX საუკუნის დასაწყისში ინგლისში, რობერტ ოუენი, ინდუსტრიული ლიდერი, რომელიც აკვირდებოდა მშრომელთა ცხოვრებას, დარწმუნებული იყო, რომ ხალხი ერთმანეთს უნდა დაეხმაროს მეგობრული, საერთო ძალისხმევით და სპეციალური

¹ Bjorn, C. Co-operation in Denmark / C. Bjorn. — Copenhagen: Danske Andelsselskaber, 1988.

² კრაფჩენკო ვ., „დანიელ დეფო, როგორც საგანმანათლებლო ეპოქის პუბლიცისტი“, საკანდიდატო დისერტაცია, ხელმისაწვდომია: <https://nauchkor.ru/pubs/daniel-defo-kak-publitsist-epohi-prosvescheniya-5c1a5f9a7966e104f6f8562a>

³ Туган-Барановский М., Основы политической экономии, <https://dlib.rsl.ru/viewer/01003763339#?page=1>

საზოგადოებების დაარსებით, რითაც ერთობლივად უნდა მოაწყონ საკუთარი ეკონომიკური ცხოვრება. იმ დროისთვის ეს მოწინავე იდეა იყო და ინგლისში მან ფართო გავრცელება ჰპოვა. რამდენიმე ათწლეულის შემდეგ, იმავე საუკუნის ორმოციან წლებში, ოუენის მიმდევრებმა დააარსეს პირველი კოოპერატივი, რომელიც სხვებისთვის სამაგალითო იყო და საფუძველი ჩაუყარა ცხოვრებაში დიდი მასწავლებლის მიერ დეკლარირებული წესების შესრულებას, ხოლო როჩდელის მქსოველთა მიერ დადგენილი პრინციპი, საზოგადოების წევრებისათვის საქონლის საბაზრო ღირებულებით მიყიდვის შესახებ, აღიარებულია, როგორც თანამშრომლობის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი.⁴

როჩდელის მქსოველთა მიერ დადგენილი კიდევ ერთი წესი, რომლის თანახმად, მომხმარებლისგან საბაზრო ფასებითა და კერძო ვაჭრობით მიღებული მოგება მეწარმეთა შემოსავალს შეადგენს, წლის ბოლოს მომხმარებელს უკან უბრუნდება. მიღებული მოგების დაბრუნება საქონლის შექმნილი ოდენობის შესაბამისად, ითვლება მომხმარებელთა თანამშრომლობის მეორე პრინციპად.⁵

გერმანიაში პირველი სამომხმარებლო კოოპერატივის დაარსებიდან მეოთხედი საუკუნის გასვლის შემდეგ ჩამოყალიბდა პირველი საკრედიტო კოოპერატივი. საკრედიტო კოოპერატივის დამფუძნებელმა, ფ. რაიფაიზენმა,⁶ თავის ბიზნესს საფუძვლად დაუდო თავად მშრომელთა ურთიერთდახმარება. გარემოცვაში მყოფ გლეხებს მან შესთავაზა ალიანსის შექმნა, რომელიც წევრთა ორმხრივი პასუხისმგებლობის ქვეშ, მთელი მათი ქონების სანაცვლოდ ერთბაშად აიღებდა დიდ ფულად თანხას შემდგომში კოოპერატიული სესხის გასაცემად. კოოპერატიული სესხის საფუძველი უნდა ყოფილიყო ის, თუ ვისზე გაიცემოდა კოოპერატივის მიერ აღებული თანხა და რაზეც დაიხარჯებოდა ის. ამრიგად, ჩამოყალიბდა საკრედიტო კოოპერატივის ხუთი ძირითადი წესი:

⁴ [Owen, Robert, 1771-1858 A New View of Society and Other Writings](https://archive.org/details/owennewviewsocietyandotherwritings/page/n99/mode/2up)
<https://archive.org/details/owennewviewsocietyandotherwritings/page/n99/mode/2up>

⁵ How Rochdale Pioneers changed commerce forever
http://news.bbc.co.uk/local/manchester/hi/people_and_places/history/newsid_8838000/8838778.stm

⁶ Raiffaizen Bank Group, Our History, <https://www.rbinternational.com/en/who-we-are/facts-figures/history.html>

- კოოპერატივის ყველა წევრის ურთიერთპასუხისმგებლობა მთელი თავისი ქონებით პარტნიორობის დავალიანებების მიმართ;
- სესხების პროდუქტიული დანიშნულება;
- სესხის გაცემა მხოლოდ პარტნიორობის წევრებზე;
- პარტნიორობის საქმიანობის მცირე სფერო;
- გამგეობის საპატიო და, შესაბამისად, უფასო სამუშაოების აღიარება.

თანამშრომლობის ყოველი შემდეგი სახეობა მისდევდა ადრე შემუშავებულ პრინციპებს და ამავდროულად წარმოადგენდა კოოპერატიული მუშაობის ახალ იდეებს.

საქართველოში კოოპერატიული იდეოლოგია შეიქმნა ქართული სოციალური აზროვნების ტრადიციების საფუძველზე. იგი ისახავდა მაღალ საზოგადოებრივ მიზნებს და ირეკლავდა ეკონომიკის სოციალური მხარეს. ქართული კოოპერატივის რომანტიზმი განსხვავდებოდა დასავლეთის წმინდა კომერციული კოოპერატივისგან. კოოპერატივის თეორია მოიცავდა სულიერ, ზნეობრივ და კულტურულ ღირებულებებს და არ გამორიცხავდა თანამშრომლობის ეკონომიკურ ასპექტებს [57].

საქართველოში პირველი კოოპერატიული ორგანიზაციები გამოჩნდნენ XIX საუკუნის დასაწყისში.

საქართველოში კოოპერაციული მოძრაობის ფუძემდებლად შეიძლება ილია ჭავჭავაძე ჩაითვალოს, რომელიც თვლიდა, რომ წარმოების პარტნიორობა იქმნებოდა საზოგადოების საფუძველზე. კოოპერაციული მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო და მასში, ილიას გარდა, ჩართულები იყვნენ აკაკი წერეთელი, სერგი მესხი, ანტონ ფურცელაძე და იმ დროის გამოჩენილი სხვა ქართველი მოღვაწეები. 1869 წელს, ილიას მეცადინეობით, დაარსდა პირველი ქართული კოოპერატივი, რომელსაც „მომჭირნეობა“ ერქვა. ამას მოყვა ბევრი სხვა კოოპერატივის შექმნა და 1916 წელს კოოპერატიული გაერთიანების „Закавказский союз“ - ის ჩამოყალიბება (საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი). 1919 წლიდან

საქართველოში ფუნქციონირება დაიწყო საქართველოს მომხმარებელთა რესპუბლიკურმა კავშირმა (ცეკავშირი).⁷

ილია ჭავჭავაძის აზრი, რომ კოოპერაცია არის გააფთრებული სვაგებისგან მშრომელი კაცის დაცვის ერთადერთი საშუალება, გვიჩვენებს, რომ ჯერ კიდევ მაშინ ქონდათ გააზრებული კოოპერაციის როლი სოფლის მეურნეობაში.

1890 წელს, ქუთაისში, მიტროფანე ლაღიძემ ჩამოაყალიბა ნატურალური ხილის ექსტრაქტის საფუძველზე შექმნილი წყლების კოოპერატივი. ლაღიძის კოოპერატივი წყლების გარდა აერთიანებდა საგამომცემლო ამხანაგობასაც, სადაც იმდროინდელი ქართველი ლიტერატორების თხზულებები იბეჭდებოდა.

1900 წლიდან საქართველოში გამოდიოდა ჟურნალი „კოოპერაცია“, რომელიც აცნობდა მკითხველს მიმდინარე ინფორმაციის კოოპერატივების წარმატებული საქმიანობის შესახებ, თავაზობდა დაინტერესებულ პირებს კოოპერატივის შესაქმნელად საჭირო დოკუმენტებისა და კოოპერატივის წესდების ნიმუშებს და სხვა.

1813 წელს ფოთში დაარსდა „განახლებული მეგობრობის“ ურთიერთდახმარების საზოგადოება, რომელსაც ჰქონდა წერილობითი წესდება. მოგვიანებით, კახეთში, ქ. თელავში დაარსდა საზოგადოება „დიდი არტელი“, რომლის წერილობითი წესდება უკვე შეიცავდა კოოპერატივის ზოგიერთ პრინციპს: ნებაყოფლობით წევრობას, დემოკრატიულ მმართველობასა და კონტროლს, რომლებიც მსოფლიო კოოპერატიულ მოძრაობაში დღესაც აქტუალურია [57].

თუმცა, როგორც ა. ფურცელაძე წერდა: „ახალი, უტოპიებისა და კონსერვატიზმის ბრძოლიდან წარმოქმნილი, ცხოვრებაში ვერ შემოდის ისე, როგორც ამას ერთი ან მეორე მხარე ელოდა, იგი დამუშავებულია, განსხვავებულია, შედგება მოგონებებისა და იმედებისგან, არსებულისგან და დამკვიდრებულისგან, ლეგენდებისაგან და მოვლენებისგან... იდეალები, თეორიული კონსტრუქციები არასოდეს ხორციელდება ისე, როგორც ეს ჩვენ წარმოგვიდგენია ჩვენს გონებაში“ [58].

⁷ [ევროკავშირი საქართველოსთვის: კვლევები და სხვა დოკუმენტები; ხელმისაწვდომია: <http://enpard.ge/ge/%e1%83%99%e1%83%95%e1%83%9a%e1%83%94%e1%83%95%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98-%e1%83%93%e1%83%90-%e1%83%a1%e1%83%ae%e1%83%95%e1%83%90-%e1%83%93%e1%83%9d%e1%83%99%e1%83%a3%e1%83%9b%e1%83%94%e1%83%9c1/>](http://enpard.ge/ge/%e1%83%99%e1%83%95%e1%83%9a%e1%83%94%e1%83%95%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98-%e1%83%93%e1%83%90-%e1%83%a1%e1%83%ae%e1%83%95%e1%83%90-%e1%83%93%e1%83%9d%e1%83%99%e1%83%a3%e1%83%9b%e1%83%94%e1%83%9c1/)

კოოპერატივის პრაქტიკული საკითხებით, XIX საუკუნის ბოლოს დაკავებული იყო თბილისის „სოფლის შემნახველი და ინდუსტრიული ასოციაციების კომიტეტი“. ამ კომიტეტის პრეს-ორგანო იყო ჟურნალი „კოოპერატივის მაცნე“, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კოოპერაციის იდეების პოპულარიზაციაში. იმდროინდელი ცხოვრების საერთო დემოკრატიზაცია საშუალებას აძლევდა მწერლებს, ეკონომისტებსა და საზოგადო მოღვაწეებს, განეხილათ და განეხილათ კოოპერატივის პრობლემები.

საუკუნის დასაწყისში კოოპერატიული მეცნიერების აღიარებული მსოფლიო ცენტრად რუსეთი იყო მიჩნეული და კოოპერაციის იდეებმა საქართველოში სწორედ რუსეთიდან შემოაღწია, მაგრამ სოციალისტური რევოლუციის შემდგომ, 30-იან წლებში, სოფლის მეურნეობაში შეიქმნა კოლმეურნეობები (კოლექტიური მეურნეობები), რომლებსაც საკუთრების კოოპერატიული ფორმა გააჩნდათ. ახალი ტიპის მეურნეობებმა ყველა ტიპის საქმიანობა სახელმწიფო საკუთრებას დააფუძნეს, მათ შორის კოოპერატიულიც. ამდენად, 30-იან წლებში რუსეთმა სამუდამოდ დაკარგა კოოპერატიული მეცნიერების კერის სახელწოდება, ხოლო თვით კოოპერაციული მეცნიერებისა და პრაქტიკის შემდგომი განვითარება საბჭოთა კავშირში და, რაღა თქმა უნდა, საქართველოშიც მრავალი წლის განმავლობაში იყო შეჩერებული.

კოოპერატივის სამეცნიერო კონცეფცია დამოკიდებულია კოოპერატიული მოძრაობის თეორეტიკოსებზე. ზოგ მეცნიერს (რ. ოუენი, შ. ფურიე, მ.ი. ტუგან-ბარანოვსკი და ა.შ.) სჯეროდა, რომ შესაძლებელია საზოგადოების გადაკეთება სოციალური სამართლიანობის საფუძველზე. სხვები (ფ. რაიფაიზენი, ი. ჭავჭავაძე) იყვნენ კოოპერატივის თეორიის იმ პრაქტიკული მიმართულების წარმომადგენლები, რომელიც თავად ცხოვრების საჭიროებებიდან და მცირე საქონელმწარმოებელთა ინტერესებიდან გამომდინარეობდა. დადგა პერიოდი, როდესაც კოოპერატივის თეორია მიუერთდა კოოპერატიულ პრაქტიკას და მისმა კონსტრუქციამ, თავისი ყოფილი აპრიორული ხასიათის ნაცვლად, შეიძინა აპოსტერიორული ხასიათი. ჩვენი აზრით, კოოპერატიული მოძრაობის ნორმალური განვითარებისათვის საჭიროა

თეორიაც და პრაქტიკაც, ვინაიდან თეორია ფაქტების გარეშე - ცარიელია, ხოლო ფაქტები თეორიის გარეშე - აზრს მოკლებული.

კოოპერატივის როლის განსაზღვრის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლად რჩება, უპირველეს ყოვლისა, ინგლისური პოლიტიკონომიის სკოლის კლასიკოსთა ნაშრომები (ადამ სმითი, დევიდ რიკარდო), რომლებიც წერდნენ, რომ სოციალური შრომის ფუნქციონირების ბუნებრივ საფუძველს და უმარტივეს ფორმას წარმოადგენს - თანამშრომლობა. ადამ სმითის აზრით „თანამშრომლობა ყველაზე სპონტანურად ყალიბდება, ყველაზე პრიმიტიული და ყველაზე აბსტრაქტულია მის ყველა ტიპში, თუმცა, მისი უბრალოებით, თავისი მარტივი ფორმით რჩება ყველა მისი უფრო განვითარებული ფორმის საფუძვლად და წინაპირობად...“⁸

დევიდ რიკარდო კი წერს: „თუ თანამშრომლობა, უპირველეს ყოვლისა, პირდაპირია - არ ხდება შუამავლობა მრავალი მუშაკის ურთიერთქმედების გაცვლით, ერთი და იგივე შედეგის მისაღწევად, ერთი და იგივე პროდუქტის, ერთი და იგივე გამოყენების ღირებულების (ან ერთი და იგივე სასარგებლო ეფექტის) წარმოებისთვის, ეს, უპირველეს ყოვლისა, მრავალი მუშაკის ურთიერთქმედებაა. შესაბამისად, თანამშრომლობის პირველი წინაპირობაა აგლომერაციის განხორციელება, ერთსა და იმავე სივრცეში მრავალი მუშათა შეგროვება ერთდროული მუშაობისთვის, ან მისი მატერიალური არსებობა. ეს წინაპირობა მის ყველა უფრო განვითარებულ ფორმას უდევს საფუძვლად.“⁹

ანტონ ფურცელაძე წერდა: „თუკი საჭიროა რაიმე რთული სამუშაოს შესრულება, ერთდროულად უნდა შესრულდეს სხვადასხვა ოპერაცია: ერთი ასრულებს ერთ ოპერაციას, მეორე - მეორეს და ყველა ერთად ხელს უწყობს შედეგის მიღწევას, რომლის მიღწევაც შეუძლებელი იქნებოდა ერთი ადამიანის ძალისხმევით. აქ ადგილი აქვს შრომის დანაწილებას, ვინაიდან უნდა შესრულდეს სხვადასხვა ოპერაცია ერთდროულად, თუმცა ეს არ არის შრომის დანაწილება ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ... შრომის დანაწილება წარმოადგენს განსაკუთრებულ, სპეციფიკურ,

⁸ Adam Smith; An Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations; <https://www.gutenberg.org/files/3300/3300-h/3300-h.htm>

⁹ David Ricardo, The Principles of Political Economy and Taxation; <https://socialsciences.mcmaster.ca/econ/ugcm/3ll3/ricardo/Principles.pdf>

შემდგომში თანამშრომლობის განვითარებულ ფორმას. იგი მძლავრი იარაღია შრომის პროდუქტიული ძალის გასაზრდელად, იგივე სამუშაოს უფრო მოკლე სამუშაო დროში შესასრულებლად და, შესაბამისად, შრომითი დროის შესამცირებლად, რომელიც საჭიროა სამუშაო ძალის რეპროდუცირებისთვის და ასევე ზედმეტი შრომითი დროის გასახანგრძლივებლად“.

პოლიტიკური ეკონომიკის იტალიელი კლასიკოსები პ. ვერი და ჯ. რ. კარლი თვლიდნენ, რომ თითოეული ადამიანის ძალა უმნიშვნელოა, მაგრამ ამ უმნიშვნელო ძალების კომბინაცია ქმნის საერთო ძალას, რომელიც აღემატება არსებულ ძალათა ჯამს, ასე რომ გაერთიანებულ ძალებს შეუძლიათ დროის შემცირება და მათი მოქმედების სივრცის გაზრდა.

ინგლისელი ეკონომისტი ჯ. კნაპი წერს: „მოქმედების სფეროს გაფართოება; დროის შემცირება, რომლის განმავლობაშიც მიიღწევა გარკვეული შედეგი; დაბოლოს, ისეთი პროდუქტიული ძალების შექმნა, რომელთა განსავითარებლად იზოლირებული მუშაკი უძლურია - ეს ყველაფერი დამახასიათებელია როგორც მარტივი კოოპერატივისთვის, ასევე მისი უფრო სპეციფიკური ფორმებისთვის. უბრალო თანამშრომლობის დროს მოქმედებს მხოლოდ ადამიანური ძალის მასა, კერძოდ, მშრომელთა რაოდენობა და მათი კონცენტრაცია წარმოადგენენ მარტივი თანამშრომლობის საფუძველს. აღმოჩნდა, რომ მათემატიკური პრინციპი, რომლის მიხედვითაც მთელი ტოლია მისი ნაწილების ჯამისა, თუკი მას გამოვიყენებთ ჩვენი საგნისადმი მიმართებაში - არასწორია. შრომის განხილვისას შეგვიძლია ვთქვათ, რომ საერთო ძალისხმევის საერთო შედეგი უსასრულოდ აღემატება ყველაფერს, რაც შეიძლება შეიქმნას ინდივიდუალური და ცალკეული ძალისხმევით“[11].

მრავალი მკვლევარი უშვებს პირდაპირ კავშირს საკუთრების ფორმასა და შრომის დანაწილების დონეს შორის. ჯასთ ფ. ბატლერმა სოციალური შრომის სხვადასხვა ფორმების ანალიზისას დაასკვნა, რომ „...სოფლის მეურნეობისაგან განსხვავებით, მრეწველობაში წარმოების საშუალებების სოციალიზაციის უფრო მაღალი დონე წარმოადგენს ამ სფეროში შრომის განაწილების უფრო ფართო გამოყენების საფუძველს“[8].

ნებისმიერი მუშაკის შრომითი საქმიანობა ყოველთვის იმყოფება გარკვეულ კომბინაციაში სხვა მშრომელთა შრომასთან, ან თანამშრომლობს მათთან უმარტივესიდან - ყველაზე განვითარებულ ფორმებში. კოოპერატივი ადამიანთა შრომის ერთობლივი პროცესია, რაც მიზნად ისახავს სასარგებლო ნივთის წარმოებას, ადამიანის მრავალფეროვანი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

წარმოების პროცესი თავისთავად წარმოადგენს ყველა ელემენტის განუყოფელ კავშირს და მხოლოდ მათი მთლიანობაა მატერიალური საქონლის წარმოების წყარო. წარმოების ნებისმიერ სოციალურ ფორმაში მთავარ ფაქტორად მშრომელები და წარმოების საშუალებები რჩება. წარმოებაში ადამიანები ურთიერთობენ არა მხოლოდ გარემოსთან. მათ არ შეუძლიათ აწარმოონ ერთობლივი საქმიანობისთვის და ამ საქმიანობის ურთიერთგაცვლისთვის გარკვეული გზით გაერთიანების გარეშე.

შრომის სოციალური დაყოფის პროცესთან ერთად, მიმდინარეობს თანამშრომლობის დამატებითი პროცესი. თანამშრომლობა უზრუნველყოფს შესაძლებლობების, საქმიანობისა და მისი შედეგების გაცვლას, რის შედეგადაც მყარდება კავშირი იზოლირებულ შრომით პროცესებს შორის, ხორციელდება მათი კომბინაცია ერთ მთლიან პროდუქტიულ პროცესში.

თუ შრომის დანაწილება იწვევს სხვადასხვა სახის შრომითი საქმიანობის იზოლირებას, თანამშრომლობის მიზანს წარმოების პროცესში დაყოფილ მონაწილეთა გაერთიანება წარმოადგენს. არსებობს სამი ძირითადი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს სოციალური შრომის ორგანიზაციის ეფექტურობას:

- ა) თანამშრომლობა;
- ბ) შრომის დანაწილება;
- გ) შრომითი ძალის კავშირი წარმოების საშუალებებთან.

ადამიანებს შორის წარმოების პროცესში დამყარებული ყველა სახის მატერიალური ურთიერთობა წარმოადგენს გარკვეულ ტიპის ურთიერთობათა რთულ ურთიერთქმედებას და, შესაბამისად, შეუძლებელია ამა თუ იმ ურთიერთობის განხილვა სხვებისგან იზოლირებულად.

ეკონომიკურ მეცნიერებაში, თანამშრომლობის არსის კონცეფციის განხილვისას, გამოიყენება ტერმინები „შრომითი თანამშრომლობა“ და „კოოპერატიული საწარმო“,

რომლებსაც აქვთ განსხვავებული ეკონომიკური შინაარსი. კონცეფცია „შრომითი თანამშრომლობა“ - ახასიათებს ურთიერთობებს, რომლებიც ვითარდება ადამიანებს შორის შრომის პროცესში და მოქმედებს, როგორც შრომის ფორმა, შრომის დაყოფა (სპეციალიზაცია). ცნება „კოოპერატიული საწარმო“ ახასიათებს ურთიერთობებს, რომლებიც ვითარდება ადამიანთა ეკონომიკური საქმიანობის პროცესში და წარმოადგენს წარმოების ორგანიზაციის ფორმას ან ეკონომიკური სუბიექტის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას. ზოგიერთი ავტორი, ვ. გარკავი, ფერეირა დე კოსტა, ფ. ეთიუდი და სხვა თვლის, რომ თანამშრომლობა წარმოადგენს ფენომენს ხოლო კოოპერირება პროცესს. ჩვენ სრულიად ვიზიარებთ და ვეთანხმებით ამ მოსაზრებას [2].

სოციალური შრომის ხასიათის გართულებამ გამოიწვია ორგანიზაციული ან მენეჯერული ურთიერთობების წარმოშობა, რომელთა მიზანია წარმოების, შრომითი რესურსების, წარმოების შედეგების და ა.შ. ოპტიმალური გამოყენება. „ნებისმიერი პირდაპირი სოციალური ან ერთობლივი შრომა, რომელიც ხორციელდება შედარებით ფართო მასშტაბებით, საჭიროებს მეტ-ნაკლებ კონტროლს, რაც ადგენს თანმიმდევრულობას ინდივიდუალურ სამუშაოებს შორის და ასრულებს ზოგად ფუნქციებს, რომლებიც წარმოიქმნება მთელი წარმოების ორგანიზმის მოძრაობით, განსხვავებით მისი დამოუკიდებელი ორგანოების მოძრაობისგან. ინდივიდუალური მევიოლინე თავად აკონტროლებს საკუთარ თავს, ორკესტრს კი სჭირდება დირიჟორი“.

სამომხმარებლო კოოპერატივების საწარმოო მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ მოსახლეობისათვის დიდი დანაზოგის დაშვების საშუალებით, კოოპერატივის მუშებს შეუძლიათ ამ დანაზოგების გადაქცევა სასოფლო-სამეურნეო მანქანებად, პირუტყვად, თესლად და ა.შ. მომხმარებელთა თანამშრომლობის მთავარი მიზანი არის მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის შუამავლების ლიკვიდაცია... ამიტომ, ბრუნვის გაზრდის მიზნით, მცირე სამომხმარებლო კოოპერატივები ერთიანდებიან ალიანსებში.

„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონის თანახმად, *სასოფლო-სამეურნეო თანამშრომლობა* არის სხვადასხვა სასოფლო-

სამეურნეო კოოპერატივებისა და მათი გაერთიანებების სისტემა, რომელიც შეიქმნა სოფლის მეურნეობის მწარმოებლების მიერ მათი ეკონომიკური და სხვა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.¹⁰

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი არის ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა სოფლის მეურნეობის მწარმოებლების მიერ ნებაყოფლობითი წევრობის საფუძველზე ერთობლივი წარმოებისთვის ან სხვა ეკონომიკური საქმიანობისთვის, მათი ქონების წილის კომბინაციის საფუძველზე, კოოპერატივის წევრების მატერიალური და სხვა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. სოფლის მეურნეობის კოოპერატივი შეიძლება შეიქმნას წარმოების ან სამომხმარებლო კოოპერატივის სახით. აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის კოოპერატივი ან კოოპერატიული ფორმირება ჩვენს მიერ განიხილება, როგორც ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა მისი წევრების ხარჯზე, გაერთიანებული საერთო ინტერესებით, მოწოდებულია ამ ინტერესების შესასრულებლად, მისი წევრების მიერ მთლიანად კონტროლდება და არ გააჩნია საკუთარი ინტერესები, რომლებიც სცდება მის შემქმნელთა ინტერესებს.

თანამშრომლობა ყველა სოციალურ სისტემას უდევს საფუძველად და მოიცავს არა მხოლოდ ფიზიკური პირების ნებაყოფლობით გაერთიანებებს „პირველადი“ კოოპერატივების სახით (რომელთა რიცხვი თანამედროვე სამყაროში თითქმის 700 მილიონ ადამიანს აღწევს), არამედ იურიდიულ პირთა ასოციაციებს, ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის საწარმოებს ინტერეკონომიკურ საფუძველზე, რომლებიც ახორციელებენ გარკვეული ტიპის ერთობლივი საქმიანობას. როგორც ცნობილია, ევროკავშირის ქვეყნებში, სხვადასხვა ტიპის პირველადი კოოპერატივების წევრობა მოიცავს მხოლოდ თვითდასაქმებული მოსახლეობის 46% -ს, სკანდინავიის ქვეყნებში კი-50%-ზე მეტს.

კოოპერატიული თანამშრომლობა მოიცავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ერთობლიობას, რომლებიც ნებაყოფლობით აერთიანებენ რესურსებს საკუთარი ეკონომიკური ინტერესების განსახორციელებლად და ამავე დროს საერთო მიზნების მისაღწევად. ამრიგად, ფიზიკურ პირთა კოოპერატივები, როგორც წესი, არის

¹⁰ კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“. პარლამენტის მაცნე, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32998?publication=18>

ინდივიდუალური მეპატრონეების ორგანიზაციულად გაფორმებული ასოციაციები, რომლებიც დროებით ან მუდმივ საფუძველზე, ერთობლივად იყენებენ წარმოებისა და შრომის საშუალებებს თავიანთი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე და საერთო მიზნების მისაღწევად. თანამშრომლობის კონცეფციაში არ შეიძლება გამოირიცხოს პირადი ინტერესის განსაკუთრებული როლი, წინააღმდეგ შემთხვევაში გაქრება კოოპერატიული მოძრაობის არსის, წახალისების, ინტერესებისა და მიზნების ანალიზისადმი ტრადიციული მიდგომა. ეს სრულად ეხება როგორც ზოგადად თანამშრომლობის თეორიას ასევე მისი განვითარების გარდამავალ პერიოდს.

კოოპერატივი არის მუდმივად განვითარებადი ცოცხალი სოციალური და ეკონომიკური ორგანიზმი. მისი შინაარსი, ფუნქციები, საქმიანობის მექანიზმი, დაწყებული მარტივი ფორმებიდან და მიმართული უფრო სრულყოფილამდე, რომლებიც ადეკვატურია ცვალებადი პირობებისა და მატერიალური წარმოების განვითარების დონისადმი, მუდმივად იცვლება. განსხვავებით იმ პერიოდისგან, როდესაც XIX-XX საუკუნეებში კოოპერატივები ერთიანდებოდნენ იმისათვის, რომ ყველა ერთად გადარჩენილიყო და წინააღმდეგობა გაეწია მსხვილი კაპიტალისადმი, საბაზრო ეკონომიკაში კოოპერატივის საქმიანობა უტოლდება ბიზნესის ფორმას და იწყებს სამეწარმეო ხასიათის საქმიანობას. ზოგადი მიზანი, - მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, - რჩება კოოპერატივის სოციალურ მხარედ, მაგრამ ამავე დროს ტრანსფორმირდება რეალურ ეკონომიკურ სარგებელში ანუ დიდი მოგების მიღებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, კოოპერატივი ვერ ჩაჯდება საბაზრო ურთიერთობებში. თანამშრომლობის თეორიის ეს და სხვა ასპექტები მოითხოვს თანამშრომლობის არსის კრიტიკულ გადახედვას, რათა მოხდეს მათი გადალახვა პრაქტიკაში.

თანამშრომლობის „კლასიკური“ თეორიის ესა თუ ის დებულებები, მეთოდოლოგია და არსი არ შეიძლება განიხილებოდეს სოციალური განვითარების მიღმა. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპი, ბაზარზე გადასვლასთან მჭიდრო ურთიერთობაში, ხასიათდება თანამშრომლობის და კოოპერატიული თვითმმართველობის აღორძინებით და განვითარებით.

ახლა ჩვენ ვსაუბრობთ თანამშრომლობის აღორძინებისადმი თვისებრივად ახალ მიდგომებზე, მსგავსი ნებაყოფლობითი თანამშრომლობის ფორმებსა და ფიზიკური პირების (მესაკუთრეების) კოოპერატივებში შესვლის შესახებ, რომლებიც ფლობენ მიწის ნაკვეთებს, მიწის ან ქონების წილებს. ამისათვის, ჩვენი აზრით, ფუნდამენტურად ახალი გადაწყვეტილებებია საჭირო კოოპერატივების, კოოპერატიული საქმიანობის ორგანიზაციული ფორმებისა და მათი შიდა ეკონომიკური მექანიზმის შესაქმნელად.

ამას ადასტურებს XX საუკუნის დასაწყისის კარაქის მწარმოებელთა პარტნიორობის მაგალითი შვეიცარიაში. მათი რაოდენობა ოთხი ათასზე მეტი იყო ნიდერლანდების ყველა რაიონში. ისინი ერთიანდებოდნენ ადგილობრივ კავშირებში, 1924 წელს შექმნეს ნიდერლანდების კარაქის მწარმოებელთა გაერთიანება, რომელსაც დაეკისრა დამზადებული კარაქის რეალიზაცია შიდა და გარე ბაზრებზე. დღეს გლეხების მიერ სრულიად შესაძლებელია იგივე კოოპერატიული პრინციპების საკუთარი მეურნეობის სხვა დარგების ორგანიზებისთვის გამოყენება. კოოპერატივი, უპირველეს ყოვლისა, მეურნეობათა კავშირია, ხოლო მეურნეობები, რომლებიც ასეთი კავშირის ნაწილს წარმოადგენს, კი არ ნადგურდებიან, არამედ რჩებიან მცირე დამოუკიდებელ შრომით მეურნეობებად.

ისეთ ევროპულ ქვეყნებში, როგორებიცაა საფრანგეთი, შვეიცარია, ნიდერლანდები, იტალია, ფინეთი, რძის კოოპერატივების პარალელურად მიმდინარეობდა თანამშრომლობის კავშირებისა და პროფკავშირების შექმნა სხვა სახის საქმიანობისთვის, ხდებოდა საკრედიტო პარტნიორობის კავშირების, სამომხმარებლო საზოგადოებების, ყიდვა-გაყიდვის კავშირების ორგანიზება, ასევე იქმნებოდა სპეციალიზირებული კავშირებისაც სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სფეროს მიხედვით: კარტოფილის გაერთიანებები, სელის ცენტრები, ხილის სახელმწიფო მეურნეობები, მეფრინველეობის მეურნეობები, პურის და ქერის გაერთიანებები და სხვა. თანამშრომლობის ვერტიკალური სისტემა, რომელიც ევროპაში 1938 წლისთვის (II მსოფლიო ომის წინა პერიოდი) ჩამოყალიბდა, მოიცავდა კოოპერატივების მრავალფეროვან და სპეციალიზირებულ კავშირებს, რომლებსაც, საქმიანობის ტიპებიდან გამომდინარე, ქონდათ სამი-ექვსრგოლიანი

სტრუქტურა. თითოეულ რგოლს შეესაბამებოდა გარკვეული ფუნქციების მქონე საკუთარი მართვის აპარატი. თანამშრომლობის ვერტიკალურ სტრუქტურაში შემავალი რგოლები იყო:

- *პირველი რგოლი* - პირველი ეტაპის კოოპერატივები - საქონლის მწარმოებლები, გაერთიანებული არტელებში (კოოპერატივებში) მათი პროდუქციის გადამუშავების, მარკეტინგის, საკრედიტო და სხვა საქმიანობის ორგანიზების მიზნით;
- *მეორე რგოლი* - იყო პირველი ეტაპის რამდენიმე კოოპერატივის ადგილობრივ კოოპერატიულ კავშირებში გაერთიანება;
- *მესამე რგოლი* - რეგიონული კოოპერატიული გაერთიანებები ანუ რამდენიმე სპეციალიზირებული გაერთიანება (მარცვლეული, ფრინველი, კარტოფილი), აგრეთვე დივერსიფიცირებული პროფკავშირები;
- *მეოთხე რგოლი* - ცენტრალური კავშირი: სასოფლო-სამეურნეო გაერთიანება (დივერსიფიცირებული პროფკავშირები), სელის, კარაქის ცენტრები, კარტოფილის, პურის, ქერის, მეფრინველეობის გაერთიანებები. ყალიბდება რეგიონული კავშირები;
- *მეხუთე რგოლი* - სოფლის მეურნეობის საბჭო - მეოთხე ეტაპის ყველა დარგობრივი სასოფლო-სამეურნეო ცენტრის გაერთიანებაა. გარდა ამისა, იქმნება საკრედიტო და სადაზღვევო კოოპერატიული ფორმირებები;
- *მეექვსე რგოლი* - არის ცენტრალური კოოპერატიული საბჭო. იგი აერთიანებს მეხუთე რგოლის კოოპერატიულ ფორმირებებს.

თანამშრომლობის სისტემის ეტაპები დასავლეთ ევროპის ქვეყნებში განისაზღვრა ნედლეულის მწარმოებლებს შორის თანამშრომლობის ამოცანებით, ეკონომიკური პირობებით, ორგანიზაციული საშუალებებით, რომლებსაც განკარგავდნენ კოოპერატივის ორგანიზატორები.

ეკონომიკის სოციალიზებული ფორმების ხანგრძლივი არსებობა ქმნის საწარმოო კოოპერატივების შექმნის წინაპირობებს, რომლებიც შეიძლება ფუნქციონირებდეს, როგორც მიწის და ქონების წილის მფლობელთა ნებაყოფლობითი გაერთიანებები. ეს განპირობებულია გლეხის მეურნეობის

ტექნიკური, ეკონომიკური და სოციალური ხასიათის სპეციფიკითა და წინაპირობებით. საწარმოო კოოპერატივის კონცეფცია შეიცავს გარკვეული განსაზღვრების და წინაპირობის მქონე ელემენტებს, ვინაიდან იგი აერთიანებს არა მხოლოდ საწარმოო საქმიანობას, არამედ რეპროდუქციული პროცესის სხვა ფუნქციებსაც. იდეალურ შემთხვევაში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების კოოპერატივი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც მიწის ნაკვეთებისა და სხვა ქონების მქონე წევრ-მესაკუთრეთა ასოციაცია, რომლებიც მხოლოდ სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებით არიან დაკავებულნი, გარკვეული კულტურების მოშენებასა თუ გარკვეული სახის პირუტყვის მოშენებაში სპეციალიზაციამდე [19].

ავტორთა ჯგუფი: კ.ბეილი, ე. მოიანო და სხვები, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში სოფლის მეურნეობაში სამრეწველო თანამშრომლობის პროცესის განხილვისას მივიდნენ დასკვნამდე, რომ საწარმოო კოოპერატივების ცნებასთან ყველაზე ახლოს არის ე.წ. კოოპერატივის ქვედა ფორმები. პირველი მოდელია **პარტნიორობა მიწის ერთობლივი დამუშავების** მიზნით, სადაც მიწა იყო საერთო სარგებლობაში, გამოიყენებოდა კოლექტიური შრომა, ხოლო პირუტყვი და წარმოების სხვა საშუალებები რჩებოდა პირად საკუთრებაში. ამავდროულად, პარტნიორობის წევრებს შორის ურთიერთობა რეგულირდებოდა ზეპირი ხელშეკრულებით, ერთგვარი წესდებით, პროდუქტები და შემოსავლები ნაწილდებოდა როგორც მიწის ერთობლივი დამუშავებისას გამოყენებული სამუშაოს, ისე წარმოების საშუალებების ოდენობის მიხედვით. 1920 წელს ევროპაში იყო 946 ასეთი პარტნიორობა [6; 10].

კოოპერატივის მეორე მოდელი, რომელიც გავრცელებული იყო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, ემყარებოდა წარმოების საშუალებებისა და ერთობლივი შრომის სოციალიზაციას, მხოლოდ მიწა რჩებოდა კერძო საკუთრებაში, რომელიც საბჭოთა კავშირისგან განსხვავებით, არ იყო ნაციონალიზებული.

ამის შემდეგ გაჩნდა სოფლის მეურნეობის წარმოების კოოპერატივის მესამე ფორმა, სადაც შრომისა და წარმოების ყველა საშუალება მთლიანად იყო სოციალიზებული. კოოპერატივებში პირველი ფორმის პროდუქტები და შემოსავალი

ნაწილდებოდა წარმოების საშუალებების ზომისა და, ნაწილობრივ, შრომის მიხედვით. სხვა ფორმის კოოპერატივებში - სამუშაოს მიხედვით და, მცირე მოცულობით, წარმოების საშუალებათა ზომის შესაბამისად.

რეფორმების ამ ეტაპზე კოლექტიური მეურნეობების (სახელმწიფო ფერმები), სააქციო საზოგადოების, პარტნიორობის და ა.შ. რეორგანიზაციისას ერთ-ერთი გზა არის მათ საფუძველზე სოფლის მეურნეობის წარმოების კოოპერატივების (ან არტელის) ხელახლა შექმნა, რომლებსაც აქვთ ეკონომიკური და სოციალური უპირატესობები სოფლის სხვა ორგანიზაციულ და იურიდიულ ფორმებთან შედარებით. რა თქმა უნდა, ეს პროცესი უნდა განხორციელდეს ნებაყოფლობით და დიფერენცირებული წესით, იმ პიონერ საწარმოებზე დაყრდნობით, რომლებმაც თავი საკმაოდ ეფექტურად წარმოაჩინეს. ჩვენი აზრით, უახლოეს მომავალში თანამშრომლობის საწარმოო ფორმამ შეიძლება ფართო გავრცელება ჰპოვოს შესაბამისი იურიდიული და სახელმწიფო დახმარებით, სოფლის მეურნეობის თანამშრომლობის განვითარების სპეციალური სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

რატომ საწარმოო კოოპერატივი? მასში მთელი ქონება დაყოფილია აქციებად, რომლებიც წარმოადგენენ წილობრივ (საპაიო) შენატანს. წილობრივი შენატანი შეიძლება იქნას გადაცემული მემკვიდრეობით, მისი მიღება შესაძლებელია კოოპერატივიდან გამოსვლისას, მაგრამ შემოსავალი იყოფა წევრებს შორის მონაწილეობის პროპორციულად. მას შემდეგ, რაც უკვე შექმნილი მეურნეობები გარდაიქმნებიან ან მათ საფუძველზე ხდება ახალი ორგანიზაციული და იურიდიული ფორმების შექმნა, ამ კოოპერატივის მომავალმა წევრებმა აუცილებლად უნდა აჩვენონ ტრანსფორმაციის ეკონომიკური სარგებელი - შემოსავალიდან რეალური წილის გადახდა კოოპერატივის წევრების ეკონომიკური საქმიანობის გასაზრდელად. კანონის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში მოგების (შემოსავლის) ის ნაწილი, რომლის საერთო ოდენობა არ აღემატება კოოპერატივის მოგების 30% -ს, ნაწილდება დივიდენდების გადასახდელად კოოპერატივის დამატებითი და ასოცირებული წევრებისათვის. ასოცირებული წევრებისათვის დივიდენდების გადახდა შესაძლებელია წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, მთლიანად ან ნაწილობრივი მომსახურებებით (საწვავით მომარაგება,

მიწის დამუშავება, საკვების, სასუქის მიწოდება და ა.შ.). საწარმოო კოოპერატივის წევრებს ორი როლი აქვთ - ან კოლექტიური საწარმოს მფლობელი, ან საწარმოს თანამშრომელი. პირველი როლის მატერიალურ გამოხატულებას წარმოადგენს გასანაწილებელი მოგების წილი, მეორისას - შრომის ანაზღაურება. აქ შეიძლება მესაკუთრისა და დასაქმებულის ინტერესები არ ემთხვეოდეს: პირველი დაინტერესებულია საწარმოს გაფართოებით, ხოლო მეორე - უფრო მაღალი ხელფასის მიღებით.

საწარმოო კოოპერატივების კონკრეტული მექანიზმი საშუალებას აძლევს სახელმწიფოებს, გამოიყენონ დღევანდელი ეკონომიკური შესაძლებლობები. ლიზინგი ეფექტურად აკავშირებს ინდივიდუალურ ან კოლექტიურ მწარმოებლურობას ხშირად მრავალმილიონიან ფონდებთან, რომლებზე წვდომაც მრავალ სახელმწიფოში შეღავათიანი პირობებითაა შესაძლებელი. კოოპერატიული ფორმირების მექანიზმი, მისი ფუნქციები, მატერიალური წარმოების განვითარებასთან ერთად, მუდმივად იხვეწება და იცვლება. ის უნდა ერგებოდეს საბაზრო კონკურენციის სფეროს და იღებდეს საკმარის მოგებას ეფექტური საქმიანობისთვის.

საქმიანობის თითოეულ კოოპერატიულ ფორმას აქვს თავისი ეკონომიკური მექანიზმი, რომელიც შესაბამისობაშია მის პრინციპებთან. რადგან თანამედროვე სამყაროში ამ ურთიერთობების დომინანტური ფორმა საბაზროა, ჩნდება კითხვა თანამშრომლობისა და ბაზრის შესახებ, ანუ კითხვა კოოპერატიული წარმონაქმნების ადგილსა და როლზე საბაზრო სისტემაში. ერთი შეხედვით ანაქრონიზმად შეიძლება მოგვეჩვენოს ბაზრისა და კოოპერატივის შედარება. პირველი კოოპერატიული საზოგადოებები, მეცენატობის თუ დაფინანსების სხვა არხების მოშველიებით, ცდილობდნენ თანხების დაგროვებას კოოპერაციის პირობების ერთგვარი გათანაბრების მისაღწევად, რაც ეფუძნებოდა საერთო საკუთრებას, შრომის თანასწორობას, ეკონომიკური და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სხვა წყაროებს. ოუენისეული კოოპერატივების მოკლევადიანმა წარმატებამ შესაძლებლობა მისცა კოოპერატიული მოძრაობის თეორეტიკოსებს გაეკეთებინათ დასკვნა იმის შესახებ, რომ ვაჭრობა და მოგება კოოპერატივისთვის უცხოა.

ნამდვილი კოოპერატივის სიცოცხლისუნარიანობა უნდა განისაზღვროს ადამიანის ეკონომიკური ინტერესებით, მისი საკუთრების ინსტინქტით და საბაზრო ურთიერთობებით. კოოპერატიული მოძრაობის განვითარების შემდეგი ეტაპი ხასიათდება რომდელისეული კოოპერატივით, რომელიც საბაზრო სისტემაზე იყო ორიენტირებული. შედეგად, კოოპერატივების მოხმარების სტრუქტურა ყალიბდებოდა საბაზრო ფაქტორების გავლენის ქვეშ. ამ პრინციპების ეკონომიკურმა და კომერციულმა ხასიათმა მათ ისტორიული უპირატესობა მიანიჭა.

კოოპერატივების შემდგომმა განვითარებამ განაპირობა მეურნეობრიობის ახალი პრინციპების - მცირე მეწარმეების ძალებისა და საშუალებების გაერთიანება ეკონომიკური საქმიანობის მასშტაბის გაფართოებისგან სარგებელის მისაღებად. ამის საფუძველზე წარმოიშვა გლეხთა საკრედიტო კოოპერირება, რომელიც სოციალურმა რეფორმატორმა და კოოპერატიული მოძრაობის ლიდერმა, ფ.რაიფფაიზენმა შემოიღო.

სასოფლო-სამეურნეო თანამშრომლობის შემდგომი განვითარება შეხამებული უნდა იყოს თეორიულ კონცეფციებთან და უნდა აისახოს კოოპერატივების კონკრეტული ფორმების განვითარების ეკონომიკურ პოლიტიკაში, საბაზრო ურთიერთობებში, ბიზნესის ტიპის კოოპერატივებში. მით უმეტეს, კავშირში განაწილების ურთიერთობებსა და წილების კონტრიბუციას შორის (თუ დივიდენდების გადახდა დამოკიდებულია მოგებაზე), ქმნის კოოპერატივების უფრო მომგებიანი, მაღალეფექტური საქმიანობის ეკონომიკურ სტიმულს.

როგორც ვ.ა. ჩაიანოვი თვლის, კოოპერატიული საწარმოს პრობლემის საგანი მდგომარეობს არა მოგებაში, არამედ გლეხებისთვის სარგებელში. ეკონომიკური თვალსაზრისით კი, სარგებელი არის რენტაბელურობაც და მოგებაც. თუ ავიღებთ, მაგალითად, გადამამუშავებელ ან მარკეტინგულ კოოპერატივებს, მარკეტინგის კონცეფციის გაანალიზებისას მივიღებთ, რომ მარკეტინგი უნდა განხორციელდეს „უფრო ხელსაყრელი პირობებით“. ამიტომ, ჩვენი აზრით, კოოპერატივები დაკავებულები უნდა იყვნენ სამეწარმეო საქმიანობით, მიიღონ მოგება და გააუმჯობესონ საკუთარი წევრების ცხოვრების დონე. მომგებიანი სავაჭრო გარიგების გარეშე შეუძლებელია კოოპერატივის ძირითადი სოციალური ფუნქციის მიღწევა,

რაც მისი წევრების პირადი შემოსავლის გაზრდასა და მათი ცხოვრების დონის ამაღლებამდე მიდის.

ამასთან დაკავშირებით, სამართლიანია ც. ბიორნის აზრი იმის შესახებ, რომ „...არსებობს ბევრი კოოპერატივი, რომლებიც ერთობლივ რესურსებს იყენებენ მხოლოდ მათი წევრების მომსახურების გასაფართოებლად, მაგრამ ამ შემთხვევაში კოოპერატივების უმეტესობამ უნდა იფუნქციონიროს მომგებიანად“. კოოპერატიული მოძრაობის ისტორიაში განმეორებით ხდებოდა საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებისგან იზოლირების მცდელობები (უარი მოგებაზე, თვითღირებულების ფასად გაყიდვა და ა. შ.), რაც იწვევდა კოოპერატივების ჩამოშლას. ზოგიერთი თანამედროვე ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ არაკომერციული მოგება შეიძლება დაცული იყოს საგადასახადო ტვირთისგან, ჩვენი აზრით, მცდარია. როგორც ევროკავშირის რეგიონში საკრედიტო კოოპერატივების განვითარების გამოცდილება გვიჩვენებს, ისინი მოგებას იღებენ საპროცენტო განაკვეთების სხვაობიდან და შესაბამის გადასახადებს იხდიან ადგილობრივ და ცენტრალურ ბიუჯეტებში. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, პრინციპში, მათზე უნდა ხორციელდებოდეს შეღავათიანი დაბეგვრა. უფრო მეტიც, სარგებელი უნდა გავრცელდეს ამ ტიპის ყველა კოოპერატივზე, რომლებიც მოქმედებენ „სოფლის მეურნეობის თანამშრომლობის შესახებ“ კანონის შესაბამისად [7].

თანამშრომლობის კარგად დამკვიდრებული პრინციპებისადმი შემოქმედებითი მიდგომა ხელს შეუწყობს როგორც კოოპერატიული მოძრაობის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებას, ასევე შერეულ ეკონომიკაში ადგილის დამკვიდრებას. ალბათ აუცილებელია მენეჯმენტის, როგორც ბაზრის მეწარმეობის სპეციალური კოლექტიური კოოპერატიული ფორმის, განსაზღვრა, რომელსაც სოციალური ორიენტაცია გააჩნია და იცავს კოოპერატიული ფორმირებების მფლობელებს.

სოფლის მეურნეობის კოოპერატივები ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნების უმეტესობაში მოიცავს ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა ასპექტს. სოფლის მეურნეობის თანამშრომლობის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს კოოპერატიულ წარმონაქმნებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციისა და გადამუშავების, მწარმოებლური მიწოდების, საკრედიტო და

დაზღვევის სფეროში. განსაკუთრებით დიდია ფერმერთა კოოპერატივების როლი სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციის საქმეში.

მაგალითად, შეერთებულ შტატებსა და კანადაში ვერტიკალური კოოპერატიული კავშირები მოიცავს: ფერმერებს (ადგილობრივი კოოპერატივები), რეგიონულ, დარგობრივ და ეროვნულ კოოპერატივებს. სკანდინავიის ქვეყნებში, სასოფლო-სამეურნეო თანამშრომლობის მთელი სისტემა შედგება ცენტრალური ორგანიზაციისა ან ალიანსისგან, რომელიც მოიცავს ეროვნულ ან რეგიონულ, დარგობრივ ალიანსებს, ისინი კი, თავის მხრივ, აერთიანებენ პროვინციულ (რაიონულ) ალიანსებს. თანამშრომლობის საწყისი რგოლი არის სპეციალიზებული საფერმერო მეურნეობები.

იაპონიაში პირველადი კოოპერატივები კომპლექსურია, ისინი სხვადასხვა საქმიანობას ეწევიან და სპეციალიზირებულნი არიან მესაქონლეობაზე, რძის პროდუქტების წარმოებაზე და ა. შ. კოოპერატივების სისტემა სამ დონიანია და აგებულია ტერიტორიულ პრინციპზე: დასახლებული პუნქტი - პრეფექტურა - ქვეყანა. თითოეულ დონეზე ფუნქციონირებს შესაბამისი თანამშრომლობის ინსტიტუტი (პირველადი კოოპერატივი-პრეფექტურული ფედერაცია - მთლიანი იაპონური ფედერაცია). ამ სისტემას უწოდებენ „კეი ტო ნოკე“. ის დასავლეთ ევროპის კლასიკური თანამშრომლობისგან იმით განსხვავდება, რომ ცნებები „გლეხი“ და „სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი“ სრულად არ ემთხვევა ერთმანეთს. გლეხები, რომლებიც ცხოვრობენ კოოპერატივის დასახლებაში, მაგრამ ნაწილობრივ არიან დასაქმებულები, არიან საკონსულტაციო ხმის მქონე კოოპერატივის წევრები.

როგორც წესი, საფრანგეთის პირველადი კოოპერატივები სპეციალიზირებულია (პროდუქტის - მარცვლეული, რძე, ხორცი, ხილი, ბოსტნეული, ანდა ერთერთი რაიონის მიხედვით). შემდეგ პირველადი კოოპერატივები შედიან რეგიონულ ინდუსტრიულ გაერთიანებაში, რომელიც არის ეროვნული კონფედერაციის ეროვნული კავშირის წევრი. იგი მოიცავს 20-მდე ეროვნულ კოოპერატიულ კავშირს.

ზოგიერთ ქვეყანაში თანამშრომლობის სისტემები საერთაშორისო დონეზე გადიან და წარმატებით მოქმედებენ მსოფლიო ბაზარზე. მაგალითად, როგორც

დასავლეთ გერმანიის კოოპერატივი „ალფრედ ტოფერი“. იგი მოიცავს 7 ჩრდილოამერიკულ კოოპერატივს, 2 გერმანულს, ჰოლანდიურსა და ფრანგულ აგრარულ კოოპერატივებს. ისინი მონაწილეობენ თავიანთი ქვეყნების საექსპორტო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში და მსოფლიოს სხვადასხვა კოოპერატიული ასოციაციების ინტერესების კოორდინაციაში. ამრიგად, მსოფლიოში დაგროვილია თანამშრომლობის გარკვეული გამოცდილება.

1.2. სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების შექმნის სამართლებრივ-ეკონომიკური საფუძვლები

სხვადასხვა სახის კოოპერატივები, ისევე როგორც მათი ეროვნული გაერთიანებები, მუშაობდნენ სპეციფიკურ, ხშირად შეუსაბამო პირობებში. მათი ურთიერთქმედებისათვის საჭირო იყო ყველასთვის მისაღები საერთო წესების შექმნა, რომლებიც ჩამოყალიბებული იქნებოდა პრინციპების, ანუ ძირითადი საწყისი დებულებების სახით. დებულების სახით წარმოდგენილი ასეთი პრინციპები თან უნდა ახლდეს ყველა სასოფლო სამეურნეო საწარმოს, რომელიც კოოპერატიული მოძრაობის ნაწილს წარმოადგენს. სწორედ ეს განასხვავებს ამ საწარმოებს სხვა ტიპის მეურნეობებისგან. ამ და სხვა ფაქტორების რიგმა განაპირობა 1895 წელს საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსის (სკა) შექმნა, რომელსაც დღეს წამყვანი ადგილი უჭირავს კოოპერატიული მოძრაობის ფორმირებაში.

საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსის ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს 11 სპეციალიზირებულ ორგანიზაციას:

- 1) სასოფლო-სამეურნეო;
- 2) საბანკო;
- 3) სამომხმარებლო კოოპერატივები;
- 4) სამრეწველო კოოპერატივები;
- 5) მეთევზეობის კოოპერატივები;

- 6) უძრავი ქონების კოოპერატივები;
- 7) კოოპერატიული დაზღვევა და ურთიერთდაზღვევა;
- 8) საბითუმო ვაჭრობა (Intercoop);
- 9) კოოპერატიული ტურიზმი;
- 10) ენერგორესურსები;
- 11) ჯანმრთელობა;

1995 წელს, მანჩესტერში, სკა-ს XXXI საიუბილეო კონგრესზე, მისმა დელეგატებმა მიიღეს თანამშრომლობის 7 ძირითადი პრინციპი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა - ალიანსის წევრებმა, თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში [6].

ეს პრინციპები კოოპერატიულ მოძრაობაში ურთიერთგაგების საფუძველია, განსაზღვრავს მისი მიზნების ერთობლიობას და მათი მიღწევის მეთოდებს, ისინი, საზოგადოების განვითარების შესაბამისად მუდმივ მოძრაობაში იმყოფებიან. მათი შინაარსის მიხედვით, ისინი ასახავენ თანამშრომლობის მიღწეულ დონეს და ადგენენ შემდგომი განვითარების გზებს, მოწინავე კოოპერატივებისა და ალიანსების წარმატებით მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებით. 1937 წელს სკა აღიარებდა, რომ კოოპერატივის ნამდვილობა დამოკიდებულია ოთხი პრინციპის გამოყენებაზე [18]:

- ღია წევრობა;
- დემოკრატიული მმართველობა;
- მოგების განაწილება წევრებს შორის სავაჭრო ოპერაციების მიხედვით;
- შეზღუდული პროცენტი კაპიტალზე.

იმ დროს მოქმედი დანარჩენი სამი პრინციპი - **პოლიტიკური და რელიგიური ნეიტრალიტეტი, ფულადი სახსრებით ვაჭრობა და განათლების განვითარება** - არ იყო ალიანსში შესვლის აუცილებელი წინაპირობა. ეს პრინციპები, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ნამდვილი კოოპერატიული საქმიანობა, მოიცავს შემდეგ დებულებებს:

- კოოპერატიული ორგანიზაციები ღია უნდა იყოს ყველასთვის, ვისაც სურს და შეუძლია განახორციელოს თავისი საქმიანობა, ყოველგვარი პოლიტიკური, რელიგიური და რასობრივი დისკრიმინაციის გარეშე;
- დემოკრატიული პრინციპები დაცული უნდა იყოს კოოპერატივებში ყველა დონეზე: კოოპერატივებს უნდა ჰქონდეთ კომიტეტებისა და სხვა მმართველი ორგანოების არჩევის უფლება გარე ჩარევისა და ზეწოლის გარეშე, ხოლო კოოპერატივების ყველა წევრს უნდა ჰქონდეს იგივე უფლებები და შესაძლებლობა, - თავისუფლად ჩამოაყალიბოს და გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები;
- კოოპერატიული ორგანიზაციები უნდა იყვნენ სრულიად თავისუფალი და დამოუკიდებელი, მათ უნდა შეეძლოთ საკუთარი პოზიციის დაკავება ყველა საკითხზე, რომელიც შეეხება მათ ან საზოგადოების ინტერესებს, უნდა გააჩნდეთ პოზიცია, რომელიც დამოუკიდებელია როგორც სახელმწიფოსგან, ისე ცალკეული ორგანიზაციებისგან (პოლიტიკური პარტიებისგან).

დღემდე პრინციპების შინაარსი პრაქტიკულად არ შეცვლილა, მათი განვითარება ხდებოდა თანამშრომლობითი საქმიანობის ცვალებადი პირობებიდან გამომდინარე ფორმულირებების დაზუსტების გზით.

სკა-ს მიერ მოცემული პრინციპები რეკომენდებულია ყველა თანამედროვე კოოპერატივში გამოყენებისთვის, სხვადასხვა ქვეყნებში კოოპერატიული მოძრაობის განვითარების ეროვნულ მახასიათებლებში შესწორებით. მათი შექმნის ცენტრში კოოპერატივები ეყრდნობიან შემდეგ ღირებულებებს:

- ურთიერთდახმარება;
- ურთიერთპასუხისმგებლობა;
- დემოკრატია;
- თანასწორობა;
- სამართლიანობა;
- სოლიდარობა;

კოოპერატივები და კოოპერატივების წევრები იცავენ შემდეგ ეთიკურ პრინციპებს: პატიოსნება, ღიაობა, სოციალური პასუხისმგებლობა და სხვების მიმართ

ზრუნვა. ამ პრინციპების საფუძველზე შექმნილი „იდეალური“ კოოპერატივის სტაბილურობის სოციალურ-ეკონომიკური მოდელი აჩვენებს, რომ მისი საქმიანობის დესტაბილიზაციის ფაქტორების მიუხედავად, ზოგადად, პრინციპები საკმარისად გაწონასწორებულია და უზრუნველყოფს კოოპერატივის სტაბილურ არსებობას.

კოოპერატიული მოძრაობის მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კოოპერატივებს შეუძლიათ არსებობა და თავიანთი მიზნების მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი იცავენ სკა-ს პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრავს ეკონომიკას, როგორც „კოოპერატივს“. ამიტომ აუცილებელია პრინციპების მუდმივი შესაბამისობა ცვალებად პირობებთან, მათი ფორმულირებების დაზუსტება და ახალი პრინციპების გამოჩენისთანავე მათი ადაპტირება კოოპერატიულ მოძრაობასთან. [11]

სკა-ს ფორმულირებებში მოცემულია პრინციპები, როგორც კოოპერატივების თეორიული კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობის განზოგადებული საბოლოო შედეგი. თავად პრინციპების შინაარსი გადმოცემულია ყველაზე ზოგადი ფორმით და შესაძლებელია მათი ორაზროვანი ინტერპრეტაცია, რაც ართულებს მათ გამოყენებას საქართველოს კოოპერატიული მოძრაობის კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად. კოოპერატივის პრინციპის ეფექტურობა უნდა გვესმოდეს, როგორც კომბინაციებისა და ფაქტორების ურთიერთკავშირი, რომელიც უზრუნველყოფს კოოპერატივებისა და მათი ალიანსების საქმიანობაში პრინციპების გამოყენების შედეგად დადებითი ეფექტის მდგრად მიღწევას. შეიძლება წარმოვადგინოთ კოოპერატივის პრინციპები, როგორც აუცილებელი და საკმარისი ფაქტორების ურთიერთკავშირი, რომლებიც განსაზღვრავს მათ შინაარსს (ცხრილი 1). საერთაშორისო კოოპერატიულ ალიანსში გათვალისწინებულია მხოლოდ ერთი ფაქტორი, რომელიც ყველგან უნდა განხორციელდეს: ***წევრების საჭიროებების დაკმაყოფილება ერთობლივი საწარმოს დახმარებით***, კოოპერატივის მდგრადი მუშაობის უზრუნველსაყოფად დარჩენილი ყველა ფაქტორი გამოიყოფა ცალკეულ პრინციპებად. იმის გამო, რომ კოოპერატივი სხვა დამოუკიდებელი მეურნეობებისგან სწორედ თავისი მიზნით განსხვავდება, ხოლო ტერმინის „კოოპერატივი“ თანამედროვე გაგება გაჩნდა ბიზნეს-მეურნეობების სწრაფი

განვითარების დროს, გამოყოფენ საწარმოებს, რომელთა პრიორიტეტულ მიზანს წარმოადგენს არა მოგება, არამედ მისი წევრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

ამრიგად, მთელი რიგი ფაქტორებით გამოხატული პრინციპის შესრულება - *მათი საჭიროებების დაკმაყოფილება ერთობლივი საწარმოს დახმარებით* - აუცილებელია ეკონომიკის, როგორც „კოოპერატივის“, განსაზღვრისათვის. ბიზნესთანამშრომლობის სფეროში, კოოპერატივების ერთმანეთთან თანამშრომლობისთვის საჭიროა ეთიკური პრინციპებისა და ღირებულებების ერთიანი ინტერპრეტაცია, რაც საყოველთაოდ მიღებული და სავალდებულო უნდა იყოს.

კოოპერატივის დაკომპლექტების საწყისი პრინციპის, - *ნებაყოფლობითი წევრობის*, - განხილვისას, მისი დადებითი ეფექტის უზრუნველყოფელი აუცილებელი ფაქტორები იქნება: *პირადი თავისუფლება; პირადი მოტივაცია; წევრისა და კოოპერატივის მიზნების დამთხვევა; მეთოდების მიღება, რომლითაც კოოპერატივი აღწევს თავის მიზნებს; ზოგადი მენტალიტეტი.*

მაგრამ არჩევანის თავისუფლების ფაქტორი ამცირებს კოოპერატივის ამბიციებს და აიძულებს მას, ეძებოს სტაბილურობა ჩამოთვლილი ფაქტორების გონივრულ კომბინაციაში. სწორედ ეს წარმოადგენს საკმარის ფაქტორს, რომელიც უზრუნველყოფს კოოპერატივის სტაბილურობას ნებაყოფლობითი წევრობის პირობებში - საქმიანობის რეგლამენტირება, რომელიც განსაზღვრავს კოოპერატივისა და მისი წევრების უფლებებისა და მოვალეობების მოცულობას [16].

შემდეგი პრინციპია - *დემოკრატიული წევრობის კონტროლი*. პრაქტიკაში ეს პრინციპი ხორციელდება შემდეგნაირად: ნებისმიერი კოოპერატივი ემყარება ურთიერთპასუხისმგებლობას. მაგრამ საზოგადოების კონტროლის ქვეშ, პასუხისმგებლობის ხარისხი განისაზღვრება უფლებების იერარქიით და ყოველთვის არ არის დაცული დაკავებული თანამდებობის პასუხისმგებლობების მოცულობის პირდაპირი შედგენა.

ცხრილი 1. საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსის თანამშრომლობის პრინციპები, როგორც მისი შინაარსის განმსაზღვრელი აუცილებელი და საკმარისი ფაქტორები (სააგტორო ცხრილი)

	პრინციპი	ფაქტორი	პრინციპის შინაარსი
1	კოოპერატივის წესბაყოფლობითი წევრობა	პირადი თავისუფლება; პირადი მოტივაცია; წევრისა და კოოპერატივის მიზნების დამთხვევა; წევრის მიერ იმ მეთოდების მიღება, რომლითაც კოოპერატივი აღწევს თავის მიზნებს; წევრის თანხმობა პასუხისმგებლობის მიღებაზე;	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი - ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა სოფლის მეურნეობის საქონელმწარმოებელთა მიერ წესბაყოფლობითი წევრობის საფუძველზე ერთობლივი წარმოებისთვის ან სხვა ეკონომიკური საქმიანობისთვის, მათი ქონების წილის შენატანების საფუძველზე, კოოპერატივის წევრების მატერიალური და სხვა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.
2	ეკონომიკური სარგებლობის უზრუნველყოფა და ურთიერთდახმარება კოოპერატივის წევრებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ მის სამეწარმეო და სხვა ეკონომიკურ საქმიანობაში	პირადი მოტივაცია; წევრისა და კოოპერატივის მიზნების დამთხვევა; ეკონომიკური მონაწილეობით მიღებული სარგებელი აღმატება ზარალს; შემოსავლის სტაბილურობა საწარმოო კოოპერატივში, სოციალური დაცულობა.	სამეწარმეო კოოპერატივის წევრსა და მათ მემკვიდრეებს აქვთ წინასწარი უფლება მიიღონ სამუშაო ან უზრუნველყონ კოოპერატივის გარეთ მუშაობის დროებითი უფლება, მასში წევრობის დაკარგვის გარეშე; საკრედიტო კოოპერატივს არ აქვს უფლება გასცეს სესხები მოქალაქეებზე ან იურიდიულ პირებზე, რომლებიც არ არიან საკრედიტო კოოპერატივის წევრები.
3	კოოპერატივის მოგებისა და ზარალის განაწილება კოოპერატივის წევრებს შორის მათი პირადი შრომის ან ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობის გათვალისწინებით	კოოპერატიული კაპიტალის ფორმირების, გამოყენების და განაწილების რეგლამენტირება; სახელფასო ფონდის ზომი პირდაპირ დამოკიდებულია წარმოების საბოლოო შედეგებზე; წევრის მიერ მოგების განაწილებისა და ზარალის დაფარვის მეთოდების მიღება; სუბსიდირებული პასუხისმგებლობა კოოპერატივის სესხებზე.	კოოპერატივის მოგება, რომელიც განისაზღვრება ბუღალტრული ბალანსით, განაწილებულია: 1) ვადაგადაცილებული ვალების დაფარვისთვის; 2) სარეზერვო ფონდსა და სხვა ფონდებში; 3) სავალდებულო გადახდები ბიუჯეტში; 4) დივიდენდების გადახდისთვის, რომელიც არ აღემატება მოგების 30%-ს; 5) კოოპერატიული გადასახადებისთვის. სამომხმარებლო კოოპერატივის წევრებს შორის დანაკარგები ნაწილდება ეკონომიკურ საქმიანობაში მათი მონაწილეობის შესაბამისად, სამეწარმეო კოოპერატივის წევრებს შორის კოოპერატივის წევრთა ანაზღაურების ოდენობის შესაბამისად.

ცოილი 1 (გაგოილეია)

<p>4</p> <p>შეზღუდვები კოოპერატივის ეკონომიკურ საქმიანობაში იმ პირთა მონაწილეობის შესახებ, რომლებიც არ არიან მისი წევრები</p>	<p>სამუშაოების არანაკლებ 50% უნდა შესრულდეს საწარმოო კოოპერატივის წევრების მიერ; სამწარმოო კოოპერატივში სამუშაო მისი წევრებისთვის მირითადია; მომსახურების მინიმუმ 50% უნდა შესრულდეს სამომხმარებლო კოოპერატივის წევრებისთვის;</p>	<p>სამწარმოო კოოპერატივის წევრები შეიძლება იყვნენ: 16 წლის ასაკს მიღწეული მოქალაქეები, რომლებიც აღიარებენ წესდებს და იღებენ პირად შრომით მონაწილეობას მის საქმიანობაში; ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც აღიარებენ წესდებს, მონაწილეობენ მის ეკონომიკურ საქმიანობაში და წარმოადგენენ სოფლის მეურნეობის მწარმოებლებს. წევრთა რაოდენობა, რომლებიც არ არიან სოფლის მეურნეობის მწარმოებლები, არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი წევრების რაოდენობის 20%-ს.</p>
<p>5</p> <p>დივიდენდების შეზღუდვა კოოპერატივის წევრთა დამატებით წილებზე და ასოცირებული წევრების წილებზე</p>	<p>კოოპერატიული კაპიტალის ფორმირების, გამოყენების და განაწილების რეგულირება; შრომის ანაზღაურების ოდენობის რეგულირება მისი პირადი მონაწილეობიდან და კოოპერატივის შემოსავლებიდან.</p>	<p>დივიდენდების გადახდაზე დაწესებული შეზღუდვები კოოპერატივის წევრთა დამატებითი წილობრივი შენატანებისა და ასოცირებული წევრების წილობრივი შენატანების გამო, რომელთა საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს კოოპერატივის გადასანაწილებელი მოგების და კოოპერატივის თანამშრომლების პრემიებსათვის გამოყოფილი თანხის 30%-ს.</p>
<p>6</p> <p>კოოპერატივის საქმიანობის მართვა დემოკრატიული საწყისებით (1 წევრი - 1 ხმა)</p>	<p>თანაბარი უფლებები; არჩევითი ხელმძღვანელობა; მენეჯმენტის ანგარიშვალდებულება; ურთიერთპასუხისმგებლობა და წდობა; მენეჯმენტის უფლებებისა და მოვალეობების დარეგულირება.</p>	<p>კოოპერატივის მართვას ახორციელებს კოოპერატივის წევრთა საერთო კრება, კოოპერატივის მენეჯმენტი ანდა კოოპერატივის თავმჯდომარე, სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც აუცილებლობით არის შექმნილი კოოპერატივში, თუ კოოპერატივი შედგება სულ მცირე 50 წევრისგან.</p>
<p>7</p> <p>კოოპერატივის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მისი ყველა წევრისთვის</p>	<p>წებისმიერი ინფორმაციის მიღება ხელს უწყობს კოოპერატივის ეფექტურობის გაუმჯობესებას; ეკონომიკური საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა გამოიწვევს კოოპერატივის მენეჯმენტის კონტროლის შესაძლებლობას და იწვევს კოოპერატივის გარდაქმნას რეალურად სამწარმოო მეურნეობებად.</p>	<p>კოოპერატივის წევრს ან მის წარმომადგენელს, სათანადოდ შესრულებული მინდობილობის საფუძველზე, უფლება აქვს გაეცნოს კოოპერატივის დოკუმენტაციასა და სააღრიცხვო ანგარიშებს.</p>

როგორც წესი, ხელმძღვანელის პოზიციაზე მყოფი ადამიანი იღებს რაც შეიძლება მეტ სამეთვალყურეო ფუნქციას და რაც შეიძლება ნაკლებ პასუხისმგებლობას. ეს არის ადმინისტრაციული მართვისა და კონტროლის საფუძველი, რომელშიც საზოგადოებრივი კონტროლი დაიბადა. საკონტროლო ფუნქციების რაოდენობის ზრდა კოოპერატივის მენეჯმენტს აიძულებს ამ ფუნქციების ნაწილი (როგორც წესი, არა ფუნდამენტური მნიშვნელობის) გადასცეს დაქვემდებარებულებს, მათ შორის მათ, ვინც არ იკავებს წამყვან თანამდებობებს.

საზოგადოებრივი კონტროლის განსახორციელებლად საკმარის ფაქტორს წარმოადგენს *კომპეტენცია* (ეკონომიკურ მეცნიერებებში გაგებულია, როგორც უფლებებისა და მოვალეობების მთელი რიგი, რომელიც შეესაბამება სრულ განაკვეთზე გათვალისწინებულ თანამდებობას). ეს საშუალებას გვაძლევს ეკონომიკის სტაბილურობის შესანარჩუნებლად მისი ძირითადი ელემენტებისა და წევრთა ძირითადი ნაწილის საქმიანობის კონტროლში მონაწილეობის ეფექტის შექმნით. აუცილებელი ფაქტორები იქნება შემდეგი: *უფლებების თანასწორობა; ურთიერთპასუხისმგებლობა; დემოკრატია; ორმხრივი ნდობა.*

დემოკრატიული მმართველობის განსახორციელებლად აუცილებელია შემდეგი ფაქტორები (*კოოპერატივის ერთი წევრი - ერთი ხმა*): *თანასწორი უფლებები; არჩევითი ხელმძღვანელობა; მენეჯმენტის ანგარიშვალდებულება; ურთიერთპასუხისმგებლობა; ორმხრივი ნდობა; მენეჯმენტის უფლებებისა და მოვალეობების რეგულირება.*

ფაქტორთა ეს კომპლექსი უზრუნველყოფს აუცილებელ პირობებს კოოპერატივის წევრთა დიდი ნაწილის ნების პრაქტიკული რეალიზაციის განსახორციელებლად, მისი ხელმძღვანელობის მიერ მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების გზით [15].

განსაზღვრულია კოოპერატივების შექმნისა და ფუნქციონირების 7 პრინციპი, რომლებიც ადაპტირებულია სასოფლო-სამეურნეო თანამშრომლობის სისტემაში:

1. კოოპერატივის ნებაყოფლობითი წევრობა;

2. ურთიერთდახმარებისა და ეკონომიკური სარგებლის მიწოდება კოოპერატივის წევრებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ მის საწარმოო და სხვა ეკონომიკურ საქმიანობაში;
3. კოოპერატივის მოგებისა და ზარალის განაწილება მის წევრთა შორის, მათი პირადი შრომითი მონაწილეობის ან კოოპერატივის ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობის გათვალისწინებით;
4. კოოპერატივის ეკონომიკურ საქმიანობაში იმ პირთა მონაწილეობის შეზღუდვა, რომლებიც არ არიან მისი წევრები;
5. კოოპერატივის წევრების დამატებით წილებზე და ასოცირებული წევრების წილებზე დივიდენდების შეზღუდვა;
6. კოოპერატივის საქმიანობის მართვა დემოკრატიულ საფუძველზე (კოოპერატივის ერთი წევრი - ერთი ხმა);
7. კოოპერატივის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მისი ყველა წევრისთვის.

განვიხილოთ ეს პრინციპები საჭირო და საკმარის ფაქტორებთან მიმართებაში (ცხრილი 2).

მაგალითად, კოოპერატივის წევრებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ მის სამეწარმეო და სხვა ეკონომიკურ საქმიანობაში, ურთიერთდახმარებისა და ეკონომიკური სარგებლის მიღების პრინციპში საკმარისი ფაქტორია - ეკონომიკური მონაწილეობით მიღებული სარგებელი აღემატებოდეს ზარალს; მაგრამ აუცილებელი

ცხრილი 4. სასოფლო-სამეურნეო თაბათიოლოგიის ათვისების, ორგანიზაციის ფაქტორების ურთიერთკავშირი, რომლებიც განსაზღვრავს მათ შინაარსს (შედეგნილია მე-15 წყაროს მიხედვით)

	პრინციპი	ფაქტორი	პრინციპის შინაარსი
1	კოოპერატივის წესდყოფლობითი წევრობა	პირადი თავისუფლება; პირადი მოტივაცია; წევრისა და კოოპერატივის მიზნების დამთხვევა; წევრის მიერ იმ მეთოდების მიღება, რომლითაც კოოპერატივი აღწევს თავის მიზნებს; წევრის თანხმობა პასუხისმგებლობის მიღებაზე;	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი - ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა სოფლის მეურნეობის საქონელმწარმოებელთა მიერ წესდყოფლობითი წევრობის საფუძველზე ერთობლივი წარმოებისთვის ან სხვა ეკონომიკური საქმიანობისთვის, მათი ქონების წილის შენატანების საფუძველზე, კოოპერატივის წევრების მატერიალური და სხვა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.
2	ეკონომიკური სარგებლის უზრუნველყოფა და ურთიერთდახმარება კოოპერატივის წევრებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ მის სამეწარმეო და სხვა ეკონომიკურ საქმიანობაში	პირადი მოტივაცია; წევრისა და კოოპერატივის მიზნების დამთხვევა; ეკონომიკური მონაწილეობით მიღებული სარგებელი აღემატება ზარალს; შემოსავლის სტაბილურობა საწარმოო კოოპერატივში, სოციალური დაცულობა.	სამეწარმეო კოოპერატივის წევრსა და მათ შემკვიდრებს აქვთ წინასწარი უფლება მიიღონ სამუშაო ან უზრუნველყონ კოოპერატივის გარეთ მუშაობის დროებითი უფლება, მასში წევრობის დაკარგვის გარეშე; საკრედიტო კოოპერატივის არ აქვს უფლება გასცეს სესხები მოქალაქეებზე ან იურიდიულ პირებზე, რომლებიც არ არიან საკრედიტო კოოპერატივის წევრები.
3	კოოპერატივის მოგებისა და ზარალის განაწილება კოოპერატივის წევრებს შორის მათი პირადი შრომის ან ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობის გათვალისწინებით	კოოპერატიული კაპიტალის ფორმირების, გამოყენების და განაწილების რეგლამენტირება; სახელფასო ფონდის ზომის პირდაპირ დამოკიდებულება წარმოების საბოლოო შედეგებზე; წევრის მიერ მოგების განაწილებისა და ზარალის დაფარვის მეთოდების მიღება; სუბსიდიური უფლები პასუხისმგებლობა კოოპერატივის სესხებზე.	კოოპერატივის მოგება, რომელიც განისაზღვრება ბუღალტრული ბალანსით, განაწილებულია: 1) ვადაგადაცილებული ვალების დაფარვისთვის; 2) სარეზერვო ფონდისა და სხვა ფონდებში; 3) სავალდებულო გადახდები ბიუჯეტში; 4) დივიდენდების გადახდისთვის, რომელიც არ აღემატება მოგების 30%-ს; 5) კოოპერატიული გადასახადებისთვის. სამომხმარებლო კოოპერატივის წევრებს შორის დანაკარგები ნაწილდება ეკონომიკურ საქმიანობაში მათი მონაწილეობის შესაბამისად, სამეწარმეო კოოპერატივის წევრებს შორის კოოპერატივის წევრთა ანაზღაურების ოდენობის შესაბამისად.

ფაქტორები იქნება:

- პირადი მოტივაცია;
- კოოპერატივისა და მისი წევრების მიზნების დამთხვევა;
- შემოსავლის სტაბილურობა საწარმოო კოოპერატივში;
- სოციალური დაცულობა და ა.შ.

კოოპერატივის მოგებისა და ზარალის განაწილების პრინციპის საკმარის ფაქტორს, მის წევრთა შორის, მათი პირადი საქმიანი მონაწილეობის ან კოოპერატივის ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობის გათვალისწინებით, წარმოადგენს - განათლების რეგლამენტაცია, კოოპერატიული კაპიტალის გამოყენება და განაწილება, ხოლო აუცილებელი ფაქტორებია:

- სახელფასო ფონდის ზომა პირდაპირ დამოკიდებულია წარმოების საბოლოო შედეგებზე (საწარმოო კოოპერატივში);
- წევრების მიერ მოგების (შემოსავლის) განაწილების მეთოდების მიღება და ზარალის დაფარვა;
- სუბსიდირებული პასუხისმგებლობა კოოპერატივის სესხებზე.

თანამშრომლობის პრინციპების ეფექტურობის შესახებ კვლევების შედეგების შეჯამებისას, მათზე მოქმედი ფაქტორების გათვალისწინებით, შეიძლება აღინიშნოს, რომ როდესაც ყველა საჭირო და საკმარისი ფაქტორი სრულდება, პრინციპები ძალზე ეფექტურია. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები აქტიურად იზიდავენ მუშაკებს, რათა მიიღონ მონაწილეობა საკუთარი შრომით ან სამეურნეო საქმიანობაში ეკონომიკური მონაწილეობით. სოფლის მეურნეობაში განვითარებული კოოპერატიული მოძრაობის არარსებობა, არ იძლევა მრავალი სამეურნეო და ეკონომიკური პრობლემის გადაჭრის, პროდუქციის შემოღების, მიწოდების, შენახვის, გადამუშავებისა და რეალიზაციის რაოდენობის დადგენის საშუალებას. ორი პრინციპის გაერთიანების შესაძლებლობას მხოლოდ თანამშრომლობა ფლობს: პირველია - მწარმოებლის საკუთრება, რომელიც მას არჩევანის თავისუფლებას ანიჭებს და მეორე - ფართომასშტაბიანი წარმოება, რომელსაც გააჩნია ტექნიკურ-ეკონომიკური უპირატესობები და ეკონომიკური წონა ბაზარზე. ნებისმიერი ტიპის სოციალური მოწყობის საფუძველს სწორედ თანამშრომლობა წარმოადგენს.

კოოპერატიულმა მოძრაობამ მოიცილა მსოფლიოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა. მის მომსახურებებს იყენებს მსოფლიოს მოსახლეობის 40% -ზე მეტი [22].

მთავარი მიზეზს, რომელიც ხელს უშლის ეკონომიკური საქმიანობის ეფექტური კოოპერატიული პრინციპების მასიურ გამოყენებას (მენეჯმენტის ინერცია; სოციალიზირებულ, სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ფორმებში, შესაბამისი კოოპერატიული კანონმდებლობის არარსებობა) წარმოადგენს თანამშრომლობის ცნების, მისი როლისა და სასოფლო-სამეურნეო სექტორის სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურაში დაკავებული ადგილისადმი ურთიერთგამომრიცხავი მიდგომები. იმ სამეცნიერო პოზიციებმა და პრაქტიკულმა მიდგომებმა, რომლებსაც საერთო ფუნდამენტური წინაპირობები, მიზნები და პრინციპები აქვთ, გაუძლეს დროით გამოცდას, ესაა:

- პირადი დაინტერესება და მისი დამოუკიდებელი მფლობელი-სუბიექტების კოოპერატივში გაწევრიანების სურვილი;
- საქმიანობა, რომელიც დაფუძნებულია თვითმმართველობაზე;
- კოოპერატივის წევრთა უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრონ ამ საქმიანობის სახეობა და ხასიათი, აირჩიონ მყიდველები თავიანთი პროდუქციისა და მომსახურებისათვის, თანამშრომლებისთვის საჭირო საქონლის გამყიდველები;
- კოოპერატიული ფორმირებების ორგანიზაციული და ეკონომიკური მექანიზმისა და სტრუქტურის შექმნა.

ეკონომიკური რეფორმების დაწყებისთანავე, გაიხსნა ზოგადად კოოპერატიული მოძრაობის ფუნდამენტური პრინციპების და, განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობის ობიექტური ანალიზის შესაძლებლობა. თანამშრომლობის პრინციპების შექმნის საფუძველია კანონები და კანონზომიერებები, რომლებიც განსაზღვრავენ და ახასიათებენ ეკონომიკური სუბიექტების მწარმოებლურ საქმიანობას. პრინციპების მნიშვნელოვანი ნაწილი ემყარება ისტორიულ უწყვეტობას ეკონომიკური მოვლენების და პროცესების, სოციალური ტრადიციების, იურიდიული ნორმების განვითარების პროცესში. სოფლის მეურნეობის თანამშრომლობის პრინციპების

თანმიმდევრულმა გამოყენებამ შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს აგრარული კრიზისის დაძლევაში და სქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებაში.

სოფლის მეურნეობის თანამშრომლობის სუსტი განვითარების ძირითადი მიზეზია არა ის, რომ აგრარულ ეკონომიკურ მეცნიერებაში არ არის შემუშავებული სოფლის მეურნეობის თანამშრომლობის პრინციპები, არამედ მათი არაადეკვატურობა კოოპერატიული ფორმირებების გაბატონებული ეკონომიკური პირობებისადმი. კანონში გათვალისწინებულ თანამშრომლობის პრინციპებს არაფერი აქვს საერთო კოოპერატიული ფორმირებების შექმნისა და ფუნქციონირების პრაქტიკასთან.

„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონის მიღებამ კი არ შეასუსტა, არამედ გააძლიერა დებატები თანამშრომლობის როლისა და მისი ძირითადი პრინციპების შესახებ. თვითონ თანამშრომლობის იდეა გამოხატავს მის მონაწილეთა კეთილგანწყობას. ადამიანები, რომლებიც იძულებულნი არიან, იმოქმედონ თავიანთი ნების საწინააღმდეგოდ, არ შეიძლება იყვნენ ნამდვილი თანამშრომლები.

ჩატარებული სოციალური კვლევის (გამოკითხვა) საფუძველზე, ავტორმა განსაზღვრა დამატებითი პრინციპები, ბაზრის პირობებთან მათი ადაპტაციის გათვალისწინებით. ანუ, პროპორციულობის პრინციპი (განვითარების ოპტიმალურობა) კოოპერატივებისათვის თანდაყოლილი უნდა იყოს. პროპორციულობა კოოპერატივის ფორმირების საფუძველია. ოპტიმიზაცია - წარმოების ისეთი მიმართულებაა, რომელიც მოცემულ პირობებში ხელს უწყობს მიწის, შრომის, ტექნოლოგიისა და წარმოების სხვა საშუალებების რაციონალურ, ყველაზე ეფექტურ გამოყენებას, იძლევა მოცემული რესურსებით მაქსიმალური ოდენობის პროდუქციის მიღების საშუალებას და უზრუნველყოფს პროდუქციის ერთეულზე მინიმალურ ხარჯს (ცხრილი 3).

ცხრილი 3. შემოთავაზებული დამატებითი პრინციპები (სავტორო ცხრილი)

	პრინციპი	ფაქტორი	პრინციპის შინაარსი
1	პროპორციულობის (ოპტიმალურობის) პრინციპი	კოპირატორის ზომის ოპტიმიზაცია; მენეჯმენტის სტრუქტურის ოპტიმალურობა;	პროპორციულობა - კოპირატორის ფორმირების საფუძველია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ღირსეულობები იკარგება და კოპირატორის განყოფილი ხასიათი ირღვევა.
2	განყოფილი სავალდებულო პრინციპი	ეკონომიკური აუცილებლობა და მიზანშეწონილობა; სამუშაო ადგილების სტაბილურობა და სოციალური დაცულობა.	კოპირატორმა აუცილებლად უნდა შექმნას სარეზერვო ფონდი კოპირატორის საერთო ფონდის არანაკლებ 10%-ისა. ასევე, აუცილებლად უნდა შექმნას განყოფილი ფონდი, რომელიც მოიცავს სამუშაო ცხენებს, პირუტყვს, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, სათესლე და საკვებ სახსრებს და ა.შ.
3	პროაქტიული პრინციპი	ეკონომიკური შესაძლებლობები; უსაფრთხოების ზღვარი და პროგრესული განვითარების გარანტი	ეს არის ახალი ტექნოლოგიების მუდმივი დანერგვა, პირუტყვის ახალი გაუმჯობესებული ჯიშების და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ელიტური თესლის გამოყენება.
4	ინტერაქციული სოლიდარობის პრინციპი	ერთმანეთთან თანამშრომლობა სხვადასხვა დონეზე; საკუთარი საქმიანობის კოორდინაცია; საერთო საკუთრების ინტერესების დაცვა.	პრაქტიკაში, ეს არის კოპირატორების გაერთიანება სხვადასხვა კავშირებში (ასოციაციებში).
5	მონაწილეობის მიზანშეწონილობის პრინციპი	თვითკმარი ორგანიზაციული ერთეულის მთლიანობა; წარმოების, გადამამუშავებელი და ბაყიდვების მოცულობების ზალანსი.	ამ პრინციპს აქვს ორი ასპექტი: კოპირატორის ფორმირების შემადგენლობაში გარკვეული მონაწილეთა საქმიანობის მიზანშეწონილობა და მის შემადგენლობაში სხვადასხვა მონაწილის ჩართვის თავისებურება.
6	ფორმირების ზოგადი ინტერესების პრიორიტეტული პრინციპი მისი ინდივიდუალური მონაწილეების კერძო ინტერესების მიმართ	ურთიერთსასარგებლო შეთანხმებები მონაწილეებს შორის; ასოციაციების ეფექტურობა, რომელიც დაფუძნებულია მთლიანი სისტემის საერთო ინტერესებზე.	ეფექტურობის გაზრდის მიზნით გამართიანებული სტრუქტურების შექმნა ხორციელდება არა გაერთიანების ცალკეული მონაწილეების ინტერესის, არამედ მთელი სისტემის საერთო ინტერესების საფუძველზე.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი უნდა იყოს განუყოფელი ფონდების სავალდებულო შექმნის პრინციპი. მიუხედავად იმისა, რომ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“. კანონის 34-ე მუხლის მე-5 პუნქტში წერია: „კოოპერატივის წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ კოოპერატივის საკუთრებაში არსებული ქონების გარკვეული ნაწილი განუყოფელი სახსრებისგან შედგება“, საქართველოში ორგანიზებულ კოოპერატივთა უმეტესობამ ისინი არ შექმნა. ეს პრინციპი იწვევს დისკუსიას იმის შესახებ, თუ რა ღირებულებებს უნდა მოიცავდეს განუყოფელი ფონდი და შეიძლება თუ არა განუყოფელი ფონდის შემადგენლობა იყოს ბანკიდან სესხის მიღების გარანტი. განუყოფელი ფონდის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს: სამუშაო ცხენები და პირუტყვი, პროდუქტიული პირუტყვი და შინაური ფრინველი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და მანქანები (მსუბუქი ავტომობილების გარდა), სათესლე და საკვები სახსრები, შხამ-ქიმიკატები და ა. შ. განუყოფელი ფონდების ფორმირებისა და ზომისა და განუყოფელი ფონდების სახეობების შესახებ გადაწყვეტილებას კოოპერატივის წევრები იღებენ ერთხმად, თუ კოოპერატივის წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. განუყოფელი ფონდი ასევე წარმოადგენს კოოპერატივის წევრებისთვის სამუშაო ადგილების უსაფრთხოების გარანტს, ამიტომ იგი შემოსავლისა და კეთილდღეობის წყაროა [26].

ნორმალური ფუნქციონირებისათვის კოოპერატივმა უნდა აითვისოს თანამედროვე სამეცნიერო და ტექნოლოგიური მიღწევები, ასწავლოს საკუთარ წევრებს მათი გამოყენება, ანუ საჭიროა პროაქტიული ინოვაციის პრინციპით ხელმძღვანელობა: ახალი ინვესტიციების მოძიება და მოზიდვა, წარმოების რესტრუქტურისა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, პირუტყვის ახალი გაუმჯობესებული ჯიშების გამოყენება და სოფლის მეურნეობის ელიტური თესლის გამოყენება და ა.შ.

კოოპერატივები თავიანთ საქმიანობაში თანამშრომლობენ ერთმანეთთან ადგილობრივ, რეგიონულ, სახელმწიფო და საერთაშორისო დონეზე. ანუ კოოპერატივებს უნდა ჰქონდეთ ინტეგრაციული სოლიდარობის პრინციპი. პრაქტიკაში ეს არის პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის

ინტეგრაცია, რაც კოოპერატორებსა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების კოოპერატივებს აძლევს საშუალებას, მოერგონ ბაზარს და შეინარჩუნონ შრომითი კოლექტივები და სამუშაო ადგილები. ეს პრინციპი ასევე ნიშნავს კოოპერატივების გაერთიანებას კორპორატიულ სტრუქტურებად და სხვადასხვა ალიანსებად.

სისტემაში პრინციპების ცვლილებები ან დამატებები ხორციელდება არა მისი დიამეტრულად საპირისპირო მნიშვნელობის სისტემით ჩანაცვლებით (მაგალითად, ცნებების „ნებაყოფლობითი“ - ცნებით „იძულებითი“, ცნების „ინტერესის ქონა“ - ცნებით „ინტერესთა დარღვევა“, ცნების „ურთიერთობების თანასწორობა“ - ცნებით „უთანასწორობა“ ჩანაცვლებით), არამედ განახლებული სისტემის შექმნით, რაც შეთანხმებული იქნება კოოპერირების თეორიასთან და პრაქტიკასთან. ჩვენს მიერ შემოღებული დამატებითი პრინციპები კოოპერატივების შემდგომი პროგრესული განვითარების უზრუნველყოფის საშუალებას მოგვცემს.

მაგალითად, „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონი ითვალისწინებს ერთგვაროვან პრინციპს ყველა ტიპის კოოპერატივისთვის. სასოფლო-სამეურნეო სამომხმარებლო კოოპერატივების შექმნის მთავარ პრობლემას სოფლის მეურნეობის მწარმოებელთა გაერთიანების შესაძლებლობა ან შეუძლებლობა წარმოადგენს. სოფლის მეურნეობის მწარმოებელთა თანამშრომლობის პრინციპების ამჟამინდელი სისტემა გვთავაზობს კოოპერატიული ფორმირების შექმნის ორგანიზების რამდენიმე გზას - კოოპერატივში ნებაყოფლობითი წევრობის, ურთიერთდახმარების და კოოპერატივის წევრების ეკონომიკური სარგებლით უზრუნველყოფის.

სამომხმარებლო კოოპერატივებისათვის ყველაზე მეტად მისაღებია მონაწილეობის მიზანშეწონილობის პრინციპი. ამ პრინციპს აქვს ორი ასპექტი:

ა) პირველი არის კოოპერატიული ფორმირების შემადგენლობაში შემავალი ამა თუ იმ მონაწილის საქმიანობის მიზანშეწონილობა. მიზანშეწონილობა მიიღწევა ინტეგრალური თვითკმარი ორგანიზაციული ერთეულის შექმნით, რომელიც მოიცავს წარმოების მთელი ტექნოლოგიურ ციკლს მწარმოებლების, წარმოების, გადამუშავებისა და გაყიდვის შიდა ბალანსით;

ბ) მეორე ასპექტი დაკავშირებულია კოოპერატივის ფორმირების შემადგენლობაში სხვადასხვა მონაწილეების ჩართვის თავისებურებებთან. აქ შეიძლება არსებობდეს ყველაზე მრავალფეროვანი მეთოდები, მათ შორის სპონტანური (მაგალითად, საკუთრების ობიექტების ტრანსფორმაცია და ა.შ.).

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სამომხმარებლო კოოპერატივის ინტერესები არ წარმოადგენს მისი მონაწილეების ინტერესების არითმეტიკულ ჯამს. ზოგადი და პირადი ინტერესები საკმაოდ შორსაა ერთმნიშვნელოვნებისა და შინაგანი თანმიმდევრულობისგან. სხვადასხვა ნაწილს შორის ჩნდება სხვადასხვა წინააღმდეგობები. თუმცა, ყველა კერძო ინტერესს აქვს გამაერთიანებელი საერთო ნიშანი - ისინი მხოლოდ მთლიანობაში შეიძლება დაკმაყოფილდნენ. ამრიგად, კოოპერაციული ფორმირება წარმოადგენს მისი წევრების ინტერესების დაკმაყოფილების პირობას. ამასთან, ამ ფუნქციის წარმატებით შესასრულებლად აუცილებელია, რომ შემადგენელ ნაწილებთან შედარებით, რომელთა უმეტესობა მისწრაფვის დაშლისა და მთლიანობის განადგურებისადმი, მთლიანობა იყოს თვითკმარი ფაქტორი.

ნებისმიერი კოოპერატიული ფორმირების პრობლემა დაკავშირებულია მის სუბიექტებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების მექანიზმის ოპტიმიზაციასთან. წარმოშობის დონის მიხედვით, ისინი პირობითად შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად:

- საწარმოს მესაკუთრეთა (მენეჯერთა) ინტერესები;
- საწარმოთა ინტერესები;
- ტექნოლოგიურად დაკავშირებული საწარმოების ინტერესები.

როგორც წესი, ყველა ამ ინტერესს აქვს გამოვლენის საერთო მიმართულება - რაც შეიძლება მეტი საერთო წარმოებული პროდუქტის განაწილება, რომელიც წარმოადგენს ინტერესთა ობიექტს. აშკარაა, რომ ამ პირობებში ზოგიერთი სუბიექტის ინტერესების დაკმაყოფილება პირდაპირ არის დამოკიდებული სხვისი ინტერესების დაკმაყოფილებაზე, ხოლო განსხვავებები ღებულობს ანტაგონიზმის სახეს - ის, რაც საწარმოს მეპატრონეებისთვის არის სასარგებლო, არ არის სასარგებლო თვითონ საწარმოებისთვის; რაც სასარგებლოა ინდივიდუალური საწარმოებისთვის, არ არის სასარგებლო საწარმოო გაერთიანებებისათვის და ა.შ.

ეკონომიკური ურთიერთობების მომგებიანობის კრიტერიუმად ითვლება პირდაპირპროპორციული ურთიერთობა თითოეული მონაწილის ინდივიდუალურ შენატანსა და კოოპერატივის ფორმირების საბოლოო შედეგიდან მიღებულ შემოსავალს (მოგებას) შორის.

„წარმოების პროცესის ინტერესების იერარქიაში, წამყვანი როლი ყოველთვის კერძო ინტერესებს უკავია, თუმცა, შრომის დანაწილების გაღრმავებასთან, წარმოების კონცენტრაციასთან, საქმიანობის მასშტაბების ზრდასთან დაკავშირებული ეფექტიანობის ზრდა შეუძლებელია საერთო ინტერესების გაჩენისა და მათი სხვებზე დომინირების გარეშე. მეტიც, რაც უფრო დიდია წარმოება, მით მეტია წინააღმდეგობები პირად და კოლექტიურ ინტერესებს შორის“, - წერენ გ. ქეშელაშვილი და მ. ჯიბუტი.¹¹ ვთვლით, რომ ამ მოსაზრებასთან დათანხმება შესაძლებელია.

შემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ ჩამოყალიბებულია პრინციპი, რომელიც ასახავს სოფლის მეურნეობის მწარმოებელთა გაერთიანების პირობებს, როგორც ფორმირების ზოგადი ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპს, მისი ინდივიდუალური მონაწილეების კერძო ინტერესების მიმართ. ეფექტურობის გაზრდის მიზნით გამაერთიანებელი სტრუქტურების შექმნა ხორციელდება არა ასოციაციაში ცალკეული მონაწილეების ინტერესის საფუძველზე, არამედ მთელი სისტემის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე.

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ თანამშრომლობის პრინციპების ჩამონათვალი, როდესაც სოფლის მეურნეობის მწარმოებელი უერთდება მომსახურების კოოპერატივს პროდუქციის (მარცვლეული, ხორცი, რძე, ბოსტნეული და ა.შ.) ყიდვასა და გაყიდვაში, - კოოპერატივის ყველა წევრი აფორმებს სპეციალურ შეთანხმებას საერთო კრებაზე, რომლის პუნქტები უნდა იყოს:

1) კოოპერატივში პროდუქციის წინასწარ შეთანხმებული ნაწილი ჩაბარდეს კოოპერატივს, და არა მხარეს;

¹¹ Keshelashvili G. Jibuti M. (2015). The Commercialization of Ideas and Customer's Needs in the Georgian Market, 15th International Academic Conference, 14-17 April, Rome, <http://www.iises.net/proceedings/international-academic-conference-rome/table-of-content/detail?article=thecommercialization-of-ideas-and-customer-s-needs-in-the-georgian-market>

2) შეთანხმებული მასალებისა და სხვა საქონლის მიღება უნდა ხდებოდეს კოოპერატივის მეშვეობით;

3) მითითებული პუნქტების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაწესდეს ჯარიმები.

კოოპერატიული ფორმირებების ფუნქციონირების ეს პრინციპები დასტურდება განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების სექტორთაშორის ურთიერთქმედების თანამედროვე პრაქტიკით. სავალდებულო მიწოდების პრინციპის მოქმედება განსაკუთრებით აშკარაა რძის ბაზარზე. კერძოდ: ნორვეგიაში, კოოპერატივების წილი მის გაყიდვებში 100%-ია, შვედეთში - 99%, ფინეთში - 98%, ირლანდიაში - 97%, დანიაში - 91%, ნიდერლანდებში - 86%, დიდ ბრიტანეთში - 80%, გერმანიაში - 79%; აშშ - 78%.¹² მარცვლეულის ბაზარზე კი: საფრანგეთში კოოპერატივების წილი მის გაყიდვებში არის - 67%, შვედეთში - 65%, ნიდერლანდებში - 60%.¹³

სამწუხაროდ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ არეგულირებს პროდუქციის პოპულარიზაციის პროცესს. მაგალითად, ზემოთ მოყვანილი კანონი გარკვეულწილად იცავს კოოპერატივის წევრთა უფლებებს, რაც ავალდებულებს კოოპერატივს, შეასრულოს საკუთარი წევრების მუშაობისა და მომსახურების მოცულობის არანაკლებ 50% (მუხლი 4). თუმცა, თავად კოოპერატივი დაუცველი აღმოჩნდა, ვინაიდან კოოპერატივის წევრებს კანონი არ ავალდებულებს დამუშავების მიზნით პროდუქციის მიწოდებას. სამომხმარებლო კოოპერატივების წესდების და მათი პრაქტიკული საქმიანობის ანალიზი ასევე აჩვენებს ვალდებულების პრინციპების უგულებელყოფას.

არსებობს რიგი პრინციპებისა, რომლებიც არ არის სავალდებულო კოოპერატიული ფორმირებების განვითარებისათვის. მაგალითად, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ კოოპერატივების მხარდაჭერის პრინციპი.

¹² Globalization of the Dairy Industry: Firms, Foreign Direct Investment, and Partnerships. US Dairy at a Global Crossroads/ Economic Research Service/USDA

¹³ Бюллетень «Ситуация на продовольственном рынке Европы и Центральной Азии и политика реагирования на пандемию COVID-19», Продовольственная и сельскохозяйственная организация Объединенных наций, <http://www.fao.org/3/ca8869ru/CA8869RU.pdf>

უდავოა, რომ თანხების გამოყოფა ძალიან დადებითად მოქმედებს თანამშრომლობის განვითარებაზე, რასაც საქართველოს არაერთი რეგიონის გამოცდილება მოწმობს. კოოპერატიული ფორმირებების შექმნა, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია ეკონომიკური სუბიექტების სურვილით, გარკვეული გარემოებების ხელსაყრელი დამთხვევით, ქონების გადანაწილების შესაძლებლობით და არა სახელმწიფო ორგანოების მოქმედებით. თანამშრომლობის განვითარების პროცესში სახელმწიფოს ფუნქციები უნდა მდგომარეობდეს არა მხოლოდ კოოპერატიული ფორმირებების ფინანსურ მხარდაჭერაში, თანამშრომლობა პირველ რიგში იქმნებოდეს ქვემოდან, განვითარების პირობების შექმნის პარალელურად.

1.3. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების კანონზომიერებები და თავისებურებები

ცხოვრების წესი არის დადგენილი წესრიგი, ჩამოყალიბებული სტრუქტურა (სოციალური ცხოვრება, ყოველდღიური ცხოვრება). ფორმაციული სტრუქტურის ან სოციალური სისტემის კონცეფციას საფუძვლად უდევს ქონებრივ ურთიერთობებში თვისებრივი განსხვავებები, მისი ამა თუ იმ ფორმის პრიორიტეტი. სოფლის მეურნეობის მრავალფეროვნების სამართლებრივი საფუძვლის საჭიროება შეიქმნა მხოლოდ 1990-იანი წლების დასაწყისში, მიწის შესახებ კანონების მიღებით, რომლებიც განსაზღვრავდა საკუთრების ტიპებს და თანაბარ უფლებებს მიწაზე. სოფლის მეურნეობაში ამა თუ იმ სტრუქტურის საფუძველია საკუთრების ფორმა მიწაზე და წარმოების საშუალებებზე. თითოეული სტრუქტურა შეესაბამება მენეჯმენტის გარკვეულ ფორმას, რომელიც თავის კონკრეტულ გამოხატულებას პოვებს საწარმოს ერთ-ერთი ტიპის სახით - სახელმწიფოებრივი, სააქციო საზოგადოება, კოოპერატიული, კერძო.

მრავალი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტის აზრით (ნ. ჭითანავა, გ. ყუფუნია, გ. მალაშხია, პ. კოლუაშვილი, მ. ჯიბუტი, გ. ქეშელაშვილი და სხვანი), მომავალში

საქართველოს მრავალ-სტრუქტურირებული აგრარული ეკონომიკის საფუძველი უნდა გახდეს მსხვილი სასაქონლო ფერმები წარმოების ორგანიზაციის კოლექტიური ფორმებით, რომლებსაც აქვთ ეკონომიკური და სოციალური ხასიათის უდავო უპირატესობა. ასეთი საწარმოები უკეთესად ეგუებიან სოფლის მეურნეობისთვის არახელსაყრელ პირობებს: ბუნებრივსა და კლიმატურს, მსხვილი სამრეწველო საწარმოების მონოპოლიებსა და ფასების უთანასწორობას. რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში სოფლის მეურნეობის განვითარება ემყარებოდა წარმოების ორგანიზების კოლექტიურ ფორმებს, კომბინაციურ ტრადიციებს, ამიტომ მართვის კოოპერატიული ფორმები, სხვა ფორმებთან შედარებით, უფრო სრულად აკმაყოფილებს გლეხთა ინტერესებს. ჩვენი აზრით, სოფლის მეურნეობასთან უფრო ახლოსაა ხალხის გაერთიანება მათი უშუალო წვლილის მიხედვით საწარმოო საქმიანობაში, შრომის შედეგებზე და მენეჯმენტის დემოკრატიულ ხასიათზე დაყრდნობით.

ამჟამად სოფელში არსებობს რამდენიმე სტრუქტურა და, შესაბამისად, სხვადასხვა სახის ქონება: კერძო, სახელმწიფო, წილობრივ-კოლექტიური და ოჯახურ-კოლექტიური. თითოეული მათგანი პირდაპირ ან ირიბად განსაზღვრავს რეპროდუქციული პროცესის აგების ხასიათს, მასში არსებული ეკონომიკური ურთიერთობების მთლიან სისტემას და, საბოლოოდ, სოფელში ინდივიდუალური საჭიროებების განვითარებისა და რეალიზაციის დონეს.

სოფლის მეურნეობის კოოპერაციას აქვს თავისი არსებითი თავისებურებები, რომლებიც დაკავშირებულია მისი მონაწილის ცხოვრების სპეციფიკასთან. სოფლის მეურნეობა არის რთული სამეწარმეო, სოციალური და ეკოლოგიური სისტემა, სადაც ურთიერთქმედებს მრავალი ეკონომიკური, სოციალური და ბიოლოგიური ფაქტორი. სოფლის მეურნეობის საწარმოები ქვეყანას აწვდიან საკვებს და ნედლეულს ინდუსტრიისთვის, ისინი მონაწილეობენ დემოგრაფიული და შრომითი პოტენციალის რეპროდუქციაში, გამოყენებული აგრობიოცენოზის ეკოლოგიურ ბალანსში და გარემოს შენარჩუნებაში. ამიტომ, აუცილებელია აგრარული ურთიერთობების განსაკუთრებული ხასიათი და მიდგომები მათი რეფორმირებისადმი. რეფორმირების ერთერთ მიდგომას წარმოადგენს სოფლის

მეურნეობის მწარმოებლების კავშირის ბაზართან თანამშრომლობის, როგორც გაბატონებული ფორმის, განვითარება.

პოსტსაბჭოთა სივრცეში სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ძირითადი ტიპები იყო კოლექტიური და სახელმწიფო მეურნეობები. კოლმეურნეობებს ნამდვილად ჰქონდათ კოოპერატივის მთელი რიგი მახასიათებლები, მაგალითად, წევრობა, წევრთა საერთო კრება, თავმჯდომარის არჩევა და სხვა. მაგრამ ამავე დროს კოლმეურნეობებს ჩამოართვეს ეკონომიკური დამოუკიდებლობა და ჩამოაშორეს მათი შრომით შექმნილი პროდუქტებისგან. კოლმეურნეობა წარმოადგენდა კოლექტიური ეკონომიკურ საქმიანობას, რომელიც სრულდებოდა სახელმწიფოს ექსკლუზიურ საკუთრებაში მყოფ მიწაზე, რომელიც გადაცემული იყო ეკონომიკური საჭიროებებისათვის შეუზღუდავი და თავისუფალი გამოყენების მიზნით. ამ მიზანს ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია წარმოადგენდა, რომელსაც ქონდა ერთგვარი კოოპერატიულ-ორგანიზაციული და იურიდიული ფორმა, მაგრამ ფუნქციონირებდა სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ფორმით.

ზოგადად, სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაცია, აგრარული რეფორმის მსგავსად, ხანგრძლივი პროცესია. სოციალური და ეკონომიკის სხვა სფეროების რეფორმებისგან განსხვავებით, აგრარული რეფორმა შესაძლებელია მხოლოდ ევოლუციური და არასდროს - რევოლუციური მეთოდების გამოყენებით. ეს არის პროცესი, რომელიც მოიცავს წარმოებისა და სოციალური ცხოვრების მრავალ ასპექტს; რეფორმის ხანგრძლიობა განპირობებულია სოფლის მეურნეობის, როგორც ყველაზე რთული ბიოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური სისტემის, თავისებურებებით, რომელიც ვერ იტანს მასშტაბურ და მკვეთრ ცვლილებებს. ამას ხშირად ინერციულობასაც უწოდებენ.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში თანამშრომლობის საკითხები შეისწავლება კვლევით დაწესებულებებში, სამეცნიერო ლაბორატორიებსა და ბაზებზე. ტარდება კვლევები ფერმათაშორისი თანამშრომლობისა და აგროინდუსტრიული ინტეგრაციის სხვადასხვა ტიპებზე, გაანალიზირებულია სხვადასხვა კოოპერატიული წარმონაქმნების ფორმირების, განვითარებისა და ფუნქციონირების საკითხები.

მრავალსტრუქტურულ ეკონომიკაზე გადასვლისას, თანამშრომლობა შეიძლება მოგვეჩვენოს საბაზრო მეწარმეობის ერთ-ერთი ფორმად. თანამშრომლობის პროცესი სისტემური ხასიათის უნდა იყოს და არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ცალკეული ეპიზოდებით პროდუქციის მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის. ეკონომიკურად მყარი კავშირებისა და ურთიერთობების განვითარება თანამშრომლობისა და ინტეგრაციის საფუძველზე, განისაზღვრება წარმოების დარგობრივ და სექტორულ დონეზე დამყარებული კავშირების ხასიათით. შიდა ეკონომიკური ურთიერთობების სიღრმისეული განვითარება და ქვედანაყოფების დამოუკიდებლობის განმტკიცება თავად საწარმოში.

ამჟამად მსოფლიო აგროსამრეწველო კომპლექსმა შეიმუშავა ეკონომიკური თანამშრომლობისა და წარმოების ინტეგრაციის ორი ფორმა:

- **ჰორიზონტალური**, რომელიც წარმოდგენილია საკუთრებისა და მართვის სხვადასხვა ფორმის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებით;
- **ვერტიკალური**, რომელიც წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ასოციაციებით, მათი ქვედანაყოფებით გადამამუშავებელი მრეწველობის შესაბამის წარმონაქმნებთან და ა.შ.

აგრარული რეფორმის განხორციელების პროცესში, მენეჯმენტის სხვადასხვა ფორმის ფუნქციონირებისას, აგროსამრეწველო კომპლექსში თანამშრომლობას განვიხილავთ, როგორც თანამშრომლობის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას, საკუთრების ფორმის მიუხედავად. აქედან გამომდინარე, შეიძლება არსებობდეს საკუთრების სახელმწიფო, კოლექტიურ-წილობრივი და კერძო ფორმების კომბინაცია.

საქართველოს მდგრად განვითარებაზე გადასვლა წარმოუდგენელია თანამშრომლობის ახალი ფორმების შექმნისა და არსებული ფორმების გაუმჯობესების გარეშე. კოოპერატიული მოძრაობა სოფლის მეურნეობის წარმოებაში ჯერ კიდევ ახლა იწყებს განვითარებას. სოფლად, მისი განვითარების შეფერხების ზოგადი მიზეზი არის თანამშრომლობის სუსტი სოციალური ბაზა. ამის დასტურია სოფლის მეურნეობის მწარმოებლების: ფერმერების, საკუთარი სამეურნეო

ნაკვეთების მფლობელების, კოლექტიური სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, თანამშრომლობის მასშტაბები.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ფერმერების დიდი ნაწილი დაკავებულია დაბალი სასაქონლო წარმოებით, ესენი არიან მცირე საოჯახო წარმოების მცირე ერთეულები (არტელები). მათ შორის არსებობენ არაფორმალური, ზეპირი შეთანხმების საფუძველზე შექმნილი, გლეხურ მეურნეობათა ასოციაციები; ყველაზე გავრცელებული ფორმა კი გლეხთა (ფერმერთა) შინამეურნეობების ასოციაციებია. სოციალურ-ეკონომიკური მონიტორინგის მონაცემების თანახმად, ფერმერები საკმარის ინტერესს ავლენენ სხვადასხვა კოოპერატიული საწარმოების მიმართ. გამოკითხულთა მესამედზე მეტი მხარს უჭერს საკუთარი კოოპერატივის შექმნას ურთიერთსესხების მისაღებად. ფერმერთა მნიშვნელოვანი ნაწილი (50%) გაერთიანებულია აღჭურვილობის ერთობლივი გამოყენების მიზნით, დაახლოებით 40% მონაწილეობს სხვადასხვა ფორმის ერთობლივ საქმიანობაში პროდუქციის რეალიზაციისთვის, 16%-მიწოდებისათვის, 30%-ზე მეტი - სასოფლო-სამეურნეო და მეცხოველეობის პროდუქტების ერთობლივი წარმოებისათვის. მსხვილ მეურნეობებს თავად ურჩევნიათ საკუთარი პრობლემების გადაჭრა, მათ ჯერ კიდევ ნაკლებად აინტერესებთ კოოპერატიული კავშირები, რაც არ შეიძლება ითქვას მცირე გლეხურ მეურნეობებზე. პირადი სამეურნეო ნაკვეთების მეკატრონეები, რომლებიც დაახლოებით 16 მილიონ ეკონომიკურ ერთეულს შეადგენენ, ამუშავებენ მცირე მიწის ნაკვეთებს (საშუალოდ 0,34 ჰექტარი), ისინი ძირითადად მუშაობენ საკუთარი თავისთვის, ანუ უზრუნველყოფენ საკუთარ ოჯახებს, ზედმეტ პროდუქტს ყიდიან სოფლის ან რაიონის ბაზარში. უმეტესწილად, მათ სჭირდებათ თანამშრომლობა, ჭარბი პროდუქციის გაყიდვა და მატერიალური და ტექნიკური დახმარება.

საწარმოო კოოპერატიული ფორმების უმეტესობა, რომლებიც ამჟამად იქმნება, ასახავს კოოპერატივების ისტორიულად ჩამოყალიბებულ არსს მთელს მსოფლიოში. ეს არის შრომითი რესურსების ან სახსრების გაერთიანების ფორმა, რომელიც შექმნილია კოოპერატივის მშრომელი წევრების სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. სწორედ კოოპერატივების სოციალური ორიენტაცია და სამუშაოს მიხედვით განაწილება წარმოადგენს კოოპერატივებში შემოსავლის

განაწილების ურყევ პრინციპს. მაგალითად, საწარმოო კოოპერატივის საქმიანობა მდგომარეობს მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის, რძის და ხორცის წარმოებასა და მოსავლის აღებაში. პროდუქციის პოპულარიზაციით დაკავებულები უნდა იყვნენ სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები (რომელთა წევრობას მოცემული მწარმოებელი კოოპერატივებიც შეძლებენ) და ისინი შეგვიძლია მივაკუთვნოთ მომსახურების სფეროს. ესაა: შესყიდვები, მარკეტინგი, გადამუშავება, ვაჭრობა, მიწოდება, კრედიტი, დაზღვევა და ა.შ., ვინაიდან სოფლის მეურნეობაში წარმოების პროცესები მჭიდრო კავშირშია გაყიდვებისა და მომსახურების პროცესთან.

ზემოაღნიშნულმა წინასწარ განსაზღვრა კოოპერატივების სამეცნიერო კლასიფიკაციის გაუმჯობესება და სისტემატიზაცია, რომელსაც საფუძვლად დაედო კოოპერატივების კანონმდებლობა. პირველ კოოპერატიულ კანონებში კოოპერატივების ტიპებად დაყოფა ხდებოდა მათი ეკონომიკური საქმიანობის მიზნებიდან და ხასიათიდან გამომდინარე. ეს სამეცნიერო კლასიფიკაცია წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მრავალფეროვნების სისტემატიზაციის მცდელობას და ემყარება კოოპერატივების სამეცნიერო კლასიფიკაციას. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები შეიძლება წარმოადგენილი იყოს სამი ტიპით: სამეწარმეო, რომელშიც ძირითადი ფუნქციაა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება; მომსახურება, სადაც ძირითადი ფუნქციაა მომსახურების, ფულადი სახსრების მიწოდება და ა.შ. და შერეული - სამეწარმეო-სამომხმარებლო, სადაც აშკარა დომინანტი ფუნქცია არ არის. მათ უწოდებენ დივერსიფიცირებულს, მულტიდისციპლინურს და მრავალფუნქციურს (დიაგრამა 1).

საკუთრების სოციალიზაციის დონე და კოოპერატივში წევრების მიერ მიღებული შემოსავლის წილი წარმოადგენს იმ ძირითად კრიტერიუმებს, რომლებიც განსაზღვრავს კოოპერატივის ფორმას. ამ კრიტერიუმების შესაბამისად, გამოვყოფთ კოოპერატივის სამ ფორმას:

- **მარტივი**, რომელიც მოიცავს მომსახურების, საკრედიტო, მარკეტინგულ და მიწოდების მწარმოებელ კოოპერატივებს. აქ კოოპერატივის წევრები იღებენ

დამატებით შემოსავალს დივიდენდების სახით. თავის ძირითად შემოსავალს (ხელფასი იმ ორგანიზაციებში, სადაც მუშაობენ, ფერმერების შემოსავალი გაყიდული პროდუქციიდან და ა.შ.) ისინი კოოპერატივის მიღმა ღებულობენ;

- **გარდამავალი**, რომელიც მოიცავს დივერსიფიცირებულ, მრავალფუნქციურ კოოპერატივებს, სადაც საკუთრების სოციალიზაციის დონე იგივეა, რაც მარტივი ფორმის კოოპერატივებში. მაგრამ ამ კოოპერატივის წევრები მოიხმარენ უფრო მრავალფეროვან მომსახურებას;
- **რთული**, რომელიც მოიცავს საწარმოო კოოპერატივებს, რომელშიც ძირითადი საშუალებები (მიწა, მანქანები, მოწყობილობები, შენობები, ნაგებობები, სამუშაო და ა.შ.) სოციალიზებულია, ხოლო წევრები კი ძირითად შემოსავალს კოოპერატივში ღებულობენ. კოოპერატიული მეწარმეობის განვითარების ზოგადი ტენდენცია როგორც გასულ საუკუნეში, ისე დღეს, არის მარტივი ფორმის კოოპერატივების გარდაქმნა გარდამავალ კოოპერატივებად, ე.ი. კოოპერატიული ეკონომიკური საქმიანობის დივერსიფიკაცია.

გარდა ამისა, კოოპერატივები იყოფა ტიპებად ადგილმდებარეობის, ინდუსტრიებისადმი კუთვნილების, წარმოების კონკრეტული ინდუსტრიისადმი კუთვნილების, ერთი ტიპის პროდუქტის გადამუშავებისა და რეალიზაციის და სხვადასხვა მომსახურების მიწოდების მიხედვით.

სხვადასხვა არსებითი და სტაბილური მახასიათებლები, რომლებიც ასახავს თავისებურებებს ეკონომიკური საქმიანობის სფეროში, საკუთრების სოციალიზაციის დონეს, შემოსავლის წარმოების ხარისხს, სოციალურ შემადგენლობას და ა.შ., იძლევა ყველა კოოპერატივი გარკვეულ ტიპების, ფორმებისა და სახეობებისადმი მიკუთვნების საშუალებას. კოოპერატივების სამეცნიერო კლასიფიკაციას აქვს არა მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა. კოოპერატივის ზუსტი ტიპის განსაზღვრა შეიძლება გადამწყვეტი გახდეს საგადასახადო წახალისების მისაღებად.

ბევრ ქვეყანაში (განსაკუთრებით ესპანეთში, იტალიაში, საფრანგეთში) საწარმოო კოოპერატივები გათავისუფლებულია სარეგისტრაციო, ადგილობრივი გადასახადებისა და ნაწილობრივ საშემოსავლო გადასახადისგანაც კი. აშშ-ში, კანადაში და ლათინურ ამერიკაში საკრედიტო და სადაზღვევო კოოპერატივებს აქვთ საგადასახადო და საკრედიტო შეღავათები. ევროპის ქვეყნებში და იაპონიაში სოფლის მეურნეობის მიწოდებისა და მომარაგების კოოპერატივები სარგებლობენ საგადასახადო და საკრედიტო შეღავათებით.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის განსაკუთრებული შეღავათები არ არსებობს. მათთვის გათვალისწინებულია შემოსავლის ფორმირების, მოგების გადანაწილების და ა.შ. სპეციალური მექანიზმი. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო წარმოების კოოპერატივების შექმნის თავისებურება საკუთრების სხვა ფორმების რეორგანიზაციისას მდგომარეობს იმაში, რომ დამფუძნებლები უსასყიდლოდ იღებენ ქონების წილს. ქონების წილის ზომა დამოკიდებულია რეორგანიზებული საწარმოს ქონების ღირებულებაზე, ქონების წილის უფლების მქონე პირთა რაოდენობაზე და თითოეული ადამიანის შრომით შენატანზე. პირებს, რომლებსაც არ აქვთ ქონებრივი წილი, საკუთარი წილი შეაქვთ კოოპერატივის დამფუძნებელი დოკუმენტებით დადგენილი წესით. კოოპერატივის წევრების მიერ შეტანილი წილის ხარჯზე იქმნება სააქციო ფონდი, რომელიც განსაზღვრავს ქონების მინიმალურ რაოდენობას, რომელიც უზრუნველყოფს მისი კრედიტორების ინტერესებს. ქონების წყაროს წარმოადგენს საწარმოო, ეკონომიკური საქმიანობიდან და სხვა ქონებრივი შემოდინებებისგან მიღებული მოგება. საწარმოო კოოპერატივის წევრისთვის პირადი შრომითი მონაწილეობა მის საქმიანობაში სავალდებულოა.

სასოფლო-სამეურნეო ბაზრის შექმნის, სოფლის მეურნეობის საქონელ-მწარმოებლების სესხის გაცემისა და დაზღვევის საფუძველი შეიძლება იყოს მომსახურე კოოპერატივები, რომელთა მიზანია წევრთა შორის ურთიერთდახმარების ორგანიზება, მათი საჭიროებების დაკმაყოფილება, პროდუქციის თვითღირებულებისა და წარმოების ხარჯების შემცირება ერთობლივი ბიზნეს ოპერაციების საშუალებით. მომსახურე კოოპერატივებს შეუძლიათ შეასრულონ ყიდვა-გაყიდვის, სესხის აღების და სოფლის მეურნეობის პროდუქციის

გადამუშავების ბიზნეს ოპერაციები. ასეთი კოოპერატივები ასრულებენ ასევე დაცვის ინსტრუმენტის ფუნქციებს, იცავენ რა სოფლის მეურნე-მწარმოებლებს ბაზრებზე მსხვილი ბიზნესის დომინირებისგან და დამოუკიდებელი მწარმოებლების ბაზრის სისტემაში ჩართვისგან. სოფლის მეურნეობის მწარმოებლების ინტერესების დასაცავად აუცილებელია მათი გაერთიანება, რადგან არსებული გათვლებით, მათ მზა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგების დაახლოებით 20% აქვთ, გადამამუშავებელ ორგანიზაციებს კი - 40%-მდე გარდა ამისა, სისტემატურად ჭიანურდება პროდუქციის გადასახადი [19].

საწარმოო კოოპერატივებისგან განსხვავებით, მომსახურე კოოპერატივების ეკონომიკური საქმიანობა უფრო მეტად არის მიმართული მათი წევრების მატერიალური და სხვა საჭიროებების დაკმაყოფილებისკენ, ვიდრე კოოპერატივის საქმიანობისთვის საჭირო მოგების მიღებისკენ. ამიტომ, მათ არაკომერციულ ორგანიზაციებს უწოდებენ. ეკონომიკური ურთიერთობები მომსახურე კოოპერატივებში რეგულირდება პროდუქციის, სამუშაოების და მომსახურების ფასების მექანიზმით, აგრეთვე შემოსავლის გონივრული ფორმირების, განაწილებისა და გამოყენების საშუალებით. სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი სრულად არ არის განაწილებული მომსახურების კოოპერატივის წევრებზე და ასევე გამოიყენება ზოგადი მიზნებისთვის. წევრობის ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობა და ამ კოოპერატივის მიერ წარმოებული მომსახურების მოცულობის არანაკლებ 50%-ს მოხმარება. კოოპერატივების განვითარების მეორე ეტაპს წარმოადგენს მათი გაერთიანება, როგორც თანამშრომლობის განვითარების აუცილებელი პირობა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ტენდენციები და შესაძლებლობები შემდეგ თავში იქნება განხილული.

თავი 2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ტენდენციები და შესაძლებლობები

2.1. უცხოეთის ქვეყნების გამოცდილება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფუნქციონირებასა და რეგულირებაში

ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების აგრარულ სექტორში ორგანიზაციულ ფორმებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სოფლის მეურნეობის სფეროში არსებულ თანამშრომლობას. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ აგრარულ სექტორში მცირე ბიზნესის კოოპერატიული მოდელის ფორმირება ამ ინდუსტრიის ზრდის ხელსაყრელი პირობების მარჯვენებელია. მთელ მსოფლიოში, თანამედროვე კოოპერატივების განვითარება დაიწყო 200 წელზე მეტი ხნის წინ. მესამე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ისეთი კოოპერატივები, როგორცაა საკრედიტო კავშირები და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციები, ძალზე წარმატებით ეხმარებიან ხალხს საკუთარი თავისა და კეთილდღეობის შენარჩუნებაში იმ სფეროებში, სადაც კერძო და სხვა კორპორატიული კაპიტალი მაღალ მომგებიანობას არ ელის. 200-მდე ქვეყანაში 700 მილიონზე მეტი ადამიანია ამა თუ იმ კოოპერატიული ინსტიტუტის წევრი. გლობალური მასშტაბით კოოპერატივებმა შემდეგ ჩამოყალიბება ძლიერი ეკონომიკური მოდელის სახით. ზოგიერთ ქვეყანაში ისინი მნიშვნელოვანი ძალაა ეროვნულ ეკონომიკაში.

ამ თავში განხილულ საკითხთა შორისაა კოოპერატივების ფუნქციონირების სამართლებრივი ჩარჩოები, სამთავრობო ინსტიტუტები კოოპერატივების პოპულარიზაციისა და განვითარებისათვის, სოციალური ჯგუფების შექმნა, ძირითადი ღირებულებების ჩართვა, და ბოლოს სხვადასხვა ტიპის კოოპერატივები და მათ მნიშვნელობა და როლი ეკონომიკის კონკრეტულ სექტორში.

კოოპერატივები, როგორც ბიზნესის ორგანიზაციის ფორმა, განსხვავდება მეწარმეების საკუთრებაში არსებულ შედარებით გავრცელებული კომპანიებისგან. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ორგანიზებულია კორპორაციების სახით, სააქციო საზოგადოება ცდილობს მაქსიმალური მოგების მიღებას, ხოლო კოოპერატივი

მაქსიმალური სარგებლის მიწოდებას. ამიტომ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები იქმნება ისეთ სიტუაციებში, როდესაც ფერმერებს არ შეუძლიათ მიიღონ ხელსაყრელი პირობები მომსახურების გაწევისთვის ანდა მომსახურება ხორციელდება ფერმერებისთვის არასასურველი პირობებით. ეს არის მომსახურება, მაგრამ მოგებაზე ორიენტირებული ფასები ძალიან მაღალია. პირველ სიტუაციას ეკონომიკური თეორია ახასიათებს, როგორც ბაზრის უკმარისობას ან მომსახურების არარსებობას; მეორე იწვევს კოოპერატივების, როგორც კონკურენციის კრიტერიუმის ან საშუალების, შექმნას, რომელიც საშუალებას აძლევს ფერმერებს, შექმნან კომპენსაციური ბაზრის შესაძლებლობები მსხვილი საწარმოების წინააღმდეგ.

მცირე ბიზნესის შექმნის პრაქტიკული მოტივაცია უკავშირდება ფერმერების მიერ წარმოების ან/და რესურსების გაერთიანების შესაძლებლობას. თანამშრომლობა უზრუნველყოფს მეთოდს, რომლის მიხედვითაც ფერმერთა ჯგუფს შეუძლია უკეთესი შედეგის (ჩვეულებრივ, ფინანსური) მიღება, ვიდრე მარტო მუშაობის შემთხვევაში.

ეს მიდგომა შეესაბამება მასშტაბის ეკონომიის კონცეფციას და ასევე შეიძლება დაკავშირებული იქნას ეკონომიკურ სინერჯის ფორმასთან, სადაც „ორი ან მეტი აგენტი მუშაობს ერთად, რათა მიიღონ შედეგი, რომლის მიღება შეუძლებელია დამოუკიდებლად რომელიმე აგენტის მიერ“. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური სარგებელი კოოპერატივების ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ფაქტორია, ფერმერისთვის ძლიერი მხარეა ასოციაციის მენეჯმენტის შენარჩუნება, რაც მას სრულ საკუთრებასა და კონტროლს აძლევს. ეს უზრუნველყოფს მოგების განაწილებას მხოლოდ კოოპერატივის წევრებზე და არა აქციონერებზე.

სამამულო და უცხოურ ეკონომიკურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქვეყანაში მცირე ბიზნესის განვითარების ეფექტურობის გაზრდის ერთ-ერთ პირობას ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის არსებობა წარმოადგენს, რომელიც იზომება არა მხოლოდ შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმით, არამედ ეკონომიკური პირობების შექმნით იმ მრავალი ფაქტორის ერთობლიობისათვის, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკური სუბიექტის მოგებას.

მართვის მცირე ფორმების მუშაობაში უცხოური გამოცდილების ანალიზის გამარტივების მიზნით, შევისწავლეთ გავლენის შიდა და გარე ფაქტორები. ამ თემის ქართველი მკვლევარები - ე. ხარაიშვილი, ნ. ჭითანავა, ა. დევაძე და სხვები ამტკიცებენ, რომ გარე და შიდა გარემოს ფაქტორების კომპლექსურ ურთიერთქმედებას შეუძლია უზრუნველყოს მცირე ბიზნესის გამართული ფუნქციონირება და მათი საქმიანობის ეფექტურობის გაზრდა, ხოლო ფერმერებს და სასოფლო კოოპერატივების მენეჯერებს მოუწოდებენ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ შიდა ფაქტორებს.

- მცირე ბიზნესის ფორმირებასა და ფუნქციონირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სხვა ასპექტები, მაგალითად, იდეოლოგია, ერთგულება და ღირებულებები. გარდა იმ პრობლემების გათვალისწინებისა, რომლებიც სოფლის მეურნეობის თანამშრომლობის ფორმირების წინაპირობა გახდება, მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ რა სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში წარმოიშვნენ ისინი. მაგალითად, 1948 წელს ისრაელში კიბუცის (სასოფლო-სამეურნეო კომუნა) ფორმირების საფუძველი გახდა სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული, სოფლის მეურნეობის გამოცდილების არმქონე ემიგრანტების განსახლების საჭიროება. ეს მიზეზი ძალზე განსხვავდება საქართველოს საჭიროებებისგან. კოოპერატივების წინაშე მდგარი პრობლემების შესწავლის პროცესში ჩვენ გავითვალისწინებთ მათ შორის არსებულ მსგავსებასა და განსხვავებას, სხვადასხვა ქვეყნის ისტორიას, განვითარების გამოცდილებისა და სხვა.

პირველი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი ევროპაში დაარსდა XVII საუკუნეში, ერთერთ სამხედრო საზღვარზე, სადაც მესაზღვრეები საკუთარ ოჯახებთან ერთად ცხოვრობდნენ. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპაში პირველი სამოქალაქო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებიც შეიქმნა. მოგვიანებით ისინი გამოჩნდნენ ჩრდილოეთ ამერიკაში და სხვა კონტინენტებზეც, რაც მესამე მსოფლიოს ქვეყნებში სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი ინსტრუმენტი გახდა. ფერმერები თანამშრომლობდნენ ურთიერთდაზღვევის კომპანიების, საკრედიტო კავშირების შესაქმნელად, რომლებიც იქნა შედგენილი სასოფლო-

სამეურნეო სფეროში ფუნქციონირებადი პირველადი სასესხო კაპიტალის შექმნის მიზნით. ზოგიერთი მათგანი გახდა უნივერსალური ბანკი, მაგალითად, **Crédit Agricole** (საფრანგეთი) ან **Rabobank** (ნიდერლანდები).

- **ახალ ზელანდიაში** სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ისტორია XIX საუკუნის ბოლოდან იწყება. ეს იყო პირველი მცირე კოოპერატიული ყველის ქარხანა, რომელიც დაარსდა 1871 წელს ჰაიკლიფში, ოტაგოს ნახევარკუნძულზე. ახალი ზელანდიის მთავრობის აქტიური მხარდაჭერით, მცირე კოოპერატივები, რომლებიც შესაფერისი იყო იზოლირებული ტერიტორიებისთვის, ახალი ზელანდიის ინდუსტრიაში მალე დომინანტად იქცა, ხოლო 1905 წლისთვის რძის კოოპერატივები უკვე ძირითად ორგანიზაციულ სტრუქტურას წარმოადგენდა. 1920–30–იან წლებში ახალ ზელანდიაში 500-მდე რძის კოოპერატივი ფუნქციონირებდა, საიდანაც კერძო საკუთრებაში 70-ზე ნაკლები კომპანია იყო.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სატრანსპორტო ტექნოლოგიების, გადამამუშავებელი და ენერგეტიკული სისტემების გაუმჯობესებასთან ერთად, შეინიშნებოდა რძის კოოპერატივების გამსხვილების ტენდენცია შერწყმის ხარჯზე. 90-იანი წლების ბოლოს ახალ ზელანდიაში უკვე ორი მსხვილი კოოპერატივი არსებობდა: ახალი ზელანდიის რძის ჯგუფი ვაიკატოში და კივის რძის ასოციაცია ტარანაკში. 2001 წელს ორმა კოოპერატივმა და ახალ ზელანდიის რძის საბჭომ შექმნეს ყველაზე დიდი კოოპერატივი, **ფონტერა**. მეგაშერწყმას, როგორც რძის უფრო ფართო რეგულაციის ელემენტს, მხარს უჭერდა ახალი ზელანდიის მთავრობა, რამაც სხვა კომპანიებს რძის პროდუქტების ექსპორტის უფლება მისცა. Fonterra-ს მხოლოდ ორი მცირე კოოპერატივი არ შეუერთდა, რომლებმაც დამოუკიდებლედ ამჯობინეს დარჩენა, ესენია Tatura Morrins Villa და Westland Dairy, კუნძულის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე.

ახალ ზელანდიაში სხვა მსხვილი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ხორცისა და სასუქების მრეწველობაში საქმიანობენ. ხორცის ინდუსტრიაშიც მოხდა სხვადასხვა სახისა და მასშტაბის შერწყმა, ამასთან სფეროს სახელმწიფოსგან საჭირო დახმარება არ მიუღია. ახალზელანდიური

კოოპერატივებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენის ფაქტორებია: მარეგულირებელი, ორგანიზაციული, ტექნიკური და ტექნოლოგიური.

- **კანადას** აქვს განვითარებული სოფლის მეურნეობა და სურსათის ექსპორტიორია, რაც დიდ როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკაში. აქ ყველაზე მნიშვნელოვანი კოოპერატივები იყო „ხორბლის აუზები“. ამ ფერმერულმა ასოციაციებმა იყიდეს და გადაიტანეს მარცვლეული დასავლეთ კანადაში. მათ შეცვალეს მარცვლეულის ინდივიდუალური და უცხოელი მყიდველები და დაიწყეს ბაზარზე დომინირება ომის შემდგომ პერიოდში. 1990-იანი წლებისთვის მოხდა მათი უმეტესწილი პრივატიზება და რამდენიმე მათგანის შერწყმა. ახლა ყველა ყოფილი „ხორბლის აუზი“ კორპორაციის **Viterra** ნაწილია. კანადის კოოპერატივების ასოციაცია (CCA) არის ეროვნული კოოპერატიული ასოციაცია, რომელიც წარმოადგენს 9 მილიონზე მეტ წევრს 3000-ზე მეტი კოოპერატივიდან და საკრედიტო კავშირიდან. კოოპერატივის წევრები მუშაობენ ეკონომიკის მრავალ სექტორში, მათ შორის ფინანსებში, დაზღვევაში, აგრო-კვებისა და მიწოდების, საბითუმო და საცალო ვაჭრობის, საცხოვრებელი სექტორის, ჯანდაცვისა და მომსახურების სექტორებში.

CCA უზრუნველყოფს ხელმძღვანელობას კოოპერატივებისა და საკრედიტო კავშირების პოპულარიზაციის, განვითარებისა და ასოცირების საკითხებში როგორც კანადაში, ასევე მთელ მსოფლიოში ხალხის სასარგებლოდ.

- **იტალიაში** კოოპერატივებმა მიიღეს ძლიერი რაოდენობრივი და თვისებრივი განვითარება, მაგრამ საერთო მიზნებისა და სამოქმედო პროგრამის არარსებობის გამო მათი ჰეტეროგენურობის, აგრეთვე ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ღრმა განსხვავებების გამო, გამოიყო ორი საპირისპირო ტენდენცია: სოციალისტური ანუ „წითელი კოოპერატივი“ და კათოლიკური, ანუ „თეთრი კოოპერატივი“. მსხვილი სამომხმარებლო კოოპერატივები ურბანულ ცენტრებში ჯერ კიდევ უპირატესი სახეობაა, თუმცა ისინი ასევე გამოირჩევიან სოფლადაც.

1913 წელს იტალიაში დაარსდა Istituto Nazional Edicreditodella Cooperazione კოოპერატივებისთვის სახსრების უზრუნველსაყოფად სადაც კოოპერატივები იღებენ თავდაპირველ სესხებს ინვესტიციური საქმიანობის

განსახორციელებლად. პირველი მსოფლიო ომამდე იტალიურ კოოპერატივებს უკვე გააჩნდათ მასობრივი მოძრაობის მახასიათებლები, თუმცა არასაკმარისი ორგანიზებულობით. ომის დაწყებისთანავე გაერთიანების სურვილმა ხელი შეუწყო შიდა რესტრუქტურის დაწყებას, რამაც სახელმწიფოს სამობილიზაციო აპარატში ინტეგრაციის საშუალება გააჩინა.

მიუხედავად იმისა, რომ ომის დროს მრავალი კოოპერატივი გაქრა, ასოციაციის ეს ფორმა უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ადრე, რადგან არახელსაყრელ პირობებში იგი ყველაზე ეფექტური აღმოჩნდა. კოოპერატივები ქვეყნის ეკონომიკური რესტრუქტურის ერთერთი ძირითადი ელემენტი გახდა. ორ წელიწადზე ნაკლებ დროში, საწარმოო კოოპერატივების რაოდენობა გაორმაგდა, მოხმარების მაჩვენებლები უცვლელი დარჩა, დაკრედიტებისა და სოფლის მეურნეობის მაჩვენებლები გადაისინჯა. გაცემული სესხები, რომლებიც მიზნად ისახავდა ფერმერების გაუმჯობესების ინვესტიციების დაფინანსებას, გამოყენებული იყო სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტისა და აგრო-სამრეწველო გადამამუშავებელი საწარმოების მშენებლობის სტიმულირებისთვის. ისინი სასარგებლო აღმოჩნდა იტალიის სოფლის მეურნეობის უფრო თანამედროვე სექტორებში. მოგვიანებით, კოოპერატივების როლის შესახებ სოციალისტებსა და კათოლიკეებს შორის დაპირისპირება კვლავ განახლდა [3].

- **პორტუგალია** თანამშრომლობის ახალ ფორმებს ეძებს და საკმაოდ წარმატებით იყენებს მათ სოფლის მეურნეობაში. კოოპერატიული სტრუქტურის უპირატესობა ის არის, რომ ერთეულის ხარჯები მცირდება წარმოების მოცულობების გაზრდით. კოოპერატივები პორტუგალიაში განისაზღვრება, როგორც ცვალებადი კაპიტალის „ასოციაცია“, წევრთა რაოდენობა შეუზღუდავია და შექმნილია კოოპერატივის წევრების მიერ საკუთარი საქმიანობის განვითარების მიზნით. ისინი ითვლებიან ასოციაციებად, რომლებიც მიზნად ისახავს მოსახლეობის უღარიბესი სოციალური ფენების მკაფიოდ იდენტიფიცირებას სოლიდარობის და ურთიერთდახმარების პრინციპის საფუძველზე [4].

1917 და 1918 წლების განკარგულებებმა „სასოფლო-სამეურნეო და სატყეო კოოპერატივების მხარდაჭერისა და სტიმულირების“ და „პროფკავშირებისგან

დამოუკიდებლად სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული საზოგადოებების შექმნის“ შესახებ, დააწინაურეს კოოპერატივები და მნიშვნელოვნად გაზარდეს მათი რაოდენობა სალაზარის მმართველობის ეპოქაში. კოოპერატივებმა შეინარჩუნეს ძველი იურიდიული სტატუსი და ხელახლა მოიპოვეს აღიარება, როგორც ავტონომიურმა ერთეულებმა. ამასთან, გილდიის საქმიანობამ და ადმინისტრაციის ჩარევამ შეაფერხა პროექტები, რომლებიც კოოპერატივების გაფართოებას უწყობდა ხელს.

მეორე მსოფლიო ომის დროს მთავრობამ ხელი შეუწყო თანამშრომლობის სექტორებს ყველაზე მნიშვნელოვან დარგებთან (რძის პროდუქტებისა და ზეითუნის ზეთის წარმოება, მეღვინეობა), რომლებსაც დამატებითი პრივილეგიები მიენიჭათ. კოოპერატივებს შეეძლოთ და შეექმნეს კიდევ არა მხოლოდ კონკურენტუნარიანობა ჩრდილო და სანაპირო რეგიონებისა და სექტორების გილდიებს შორის, არამედ მნიშვნელოვანი კომერციული სტრუქტურები, როგორცაა, მაგალითად, რძის ან კარტოფილის მწარმოებელთა კოოპერატივების კავშირი დუროსა და მინოს რეგიონებში; ზეითუნის ზეთის მწარმოებელთა კოოპერატივების კავშირი „ალტო ალანტეხო“; ან სულაც სოფლის მეურნეობის კოოპერატივების კავშირი. რაც შეეხება საბანკო სესხებს, ისინი უცვლელი დარჩა [6].

გილდიების დაშლასთან ერთად დაისვა საკითხი მათ მიერ დაგროვილი მემკვიდრეობის გადაცემისა და მართვის შესახებ, რამაც სერიოზული კონფლიქტები გამოიწვია ე. წ. „სალიკვიდაციო კომიტეტებში“. მას შემდეგ, რაც კლანის დაშლის პროცესი დასრულდა, ავტონომიურმა მოძრაობებმა შექმნეს საკუთარი ფედერაციები წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად და მათი შესაბამისი ინტერესების დასაცავად, ყოველივე ამის საფუძველს კი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ შექმნილი პრეცედენტები წარმოადგენდა.

რევოლუციის ადრეული წლებში ბევრი რამ იყო სადავო, რადგან სოფლის მეურნეობაში დომინირებდა ორი ყველაზე მნიშვნელოვანი ფერმერული გაერთიანება - პორტუგალიის სოფლის მეურნეობის მუშაკთა კონფედერაცია (CAP) და სოფლის მეურნეობის ეროვნული კონფედერაცია (CNA).

- **ბელგიაში** ფერმერები ქვეყანას საკვებით ამარაგებენ და გააქვთ იგი საექსპორტოდ. ბელგიაში დაახლოებით 80 ათასი ფერმა იყო, დამუშავებული მიწის სხვადასხვა ფართობით. 20-25 ჰექტარი ან მეურნეობა საშუალოდ ითვლება, იშვიათია 300 ჰექტარზე მეტი ფართობის მეურნეობები.

1956 წელს კოოპერატივების ეროვნულმა საბჭომ დასახა თანამშრომლობის ხელშეწყობის ამოცანა. კოოპერატივების რეგისტრაციის შესახებ მეფის 1962 წლის ბრძანებით, ეროვნული საბჭოს სათანადო უფლებამოსილება გადაეცა. საბჭო შუამავლის როლს ასრულებს ერთობლივი პროტენზიების წარმართვაში სახელმწიფო მოხელეების მიმართ და, გარდა ამისა, ეს არის ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია კოოპერატივების მართვასა და კონტროლზე. კოოპერატივების ეროვნული საბჭოს სტრუქტურა მოიცავს ოთხ კომიტეტს: სამომხმარებლო კოოპერატივები, სოფლის მეურნეობის კოოპერატივები, საწარმოო და სადისტრიბუციო კოოპერატივები და მომსახურების კოოპერატივები.

1991 წელს მიღებულ იქნა ახალი კანონი თაღლითი კოოპერატივების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომლებიც იურიდიულ ფორმას იყენებდნენ სხვა კანონებით შეთავაზებული თანხებით სარგებლობისთვის. ახალი კანონის მიღებამდე იქნა განხილული, მიზანშეწონილია თუ არა ჰეტეროგენული წესების დამკვიდრება ბელგიის უკვე ჰეტეროგენულ კოოპერატივში და მოქნილი წესების მიღება სხვადასხვა სახის კოოპერატივების დასაშვებად, როგორც ეს წინა კანონით იყო გათვალისწინებული. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მოქნილ ნორმებს მხოლოდ იმ ყალბი კოოპერატივების შექმნა შეუძლიათ, რომლებიც შორს იყვნენ ურთიერთგაცვლის სოციალური ლოგიკისგან.

- კოოპერაციის საფუძველზე შექმნილი თანამშრომლობა **დანიაში** XIX საუკუნის ბოლო ორ ათწლეულში განვითარდა. ეს მჭიდრო კავშირში იყო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ღორის მოშენების სფეროში გადამუშავების განვითარებასთან.

რძის პირველი კოოპერატიული ცენტრი დანიაში ადგილობრივი ფერმერების ინიციატივით დაარსდა 1882 წელს. ასეთი კოოპერატივები მთელ ქვეყანაში გავრცელდა. 1888 წლისთვის შეიქმნა 244 კოოპერატივი და რამდენიმე

ხნის შემდეგ დანიის მეცხოველეობის ფერმების მესამედი აწვდიდა რძეს კოოპერატივის ცენტრში. რძის კოოპერატივებმა მალევე შეძლეს კონკურენციის გაწევა რძის პროდუქციის გადამუშავების (კარაქის წარმოების) სექტორისათვის.

1880-იანი წლების დასაწყისიდან დიდ ბრიტანეთში ბეკონზე მოთხოვნილებამ დანიელ ფერმერებს ღორის ხორცის წარმოებაზე ფოკუსირებისაკენ უბიძგა. მეურნეობის ნარჩენები შესანიშნავი საკვები იყო ღორებისთვის და 1887 წელს ადგილობრივმა ფერმერულმა გაერთიანებამ გადაწყვიტა ჰორსენში სასაკლაოს დაარსება იგივე პრინციპებით, როგორითაც რძის კოოპერატივები ფუნქციონირებდნენ. 1890 წელს უკვე 10 სასაკლაო არსებობდა, რომლებიც აკონტროლებდნენ ექსპორტისთვის განკუთვნილი ღორის ხორცის წარმოების მესამედს. მათ გადაწყვიტეს, გაეზარდათ დამუშავების ტექნიკური შესაძლებლობები და არა პროდუქციის რაოდენობა.

მიუხედავად იმისა, რომ რძის კოოპერატივები იყვნენ მცირე და უპილოტო, გარდა ამისა, სოფლად მდებარეობდნენ, კოოპერატივის სასაკლაოები ფაქტობრივად ქარხნებად იქცნენ (აქედან მათ სახელწოდებად „ბეკონის ქარხნები“). კოოპერატიულმა სასაკლაოებმა ხელი შეუწყეს ფერმების მიერ ღორების სულადობის სწრაფ ზრდას.

საბოლოო ჯამში, გაბატონებული ორგანიზაციული მოდელი გახდა ერთი დანიშნულების კოოპერატივი, რომელიც ავითარებდა მხოლოდ ერთი ტიპის საქმიანობას. უკეთესი შედეგის მისაღწევად, ძალისხმევა და რესურსები ფოკუსირებული იყო ერთ მიმართულებაზე და უარყოფილ იქნა მცირედ ეფექტური საქმიანობა. დანიელი ფერმერების აზრით, დაბალი ეფექტიანობა სერიოზულ მუხრუჭად შეიძლება იქცეს მათი ფუნქციონირებისათვის.

დანიის კოოპერატივები კარგად არიან ცნობილი თავიანთი ძირითადი მიზნის - კომერციული და სამრეწველო ხასიათის ფოკუსირებით. მათ არ აქვთ ინტერესი სოციალური საკითხების მიმართ, რადგან ესმით, რომ ვაჭრობის ეფექტური მენეჯმენტი საუკეთესო გზაა მათი წევრებისთვის სარგებლის მისაღწევად. არ არსებობს თანამშრომლობის მარეგულირებელი კონკრეტული კანონმდებლობა, რომელიც თითოეულ კოოპერატივს საშუალებას მისცემდა

საკუთარი საქმიანობისათვის მაქსიმალურად შესაფერისი სტანდარტების ჩამოყალიბებისთვის.

- კოოპერატიული მოძრაობის წარმოშობა **ნიდერლანდებში**, სავარაუდოდ, XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში იწყება. ამ ტენდენციების მიზეზები არის რომდალის, რაიფაიზენისა და შულცე-დელიცმის გავრცელებული პრინციპები, მშრომელთა მოძრაობის ზრდა და სოფლის მეურნეობაში არსებული ძველი კრიზისის დასრულება.

პირველი კოოპერატივების შექმნისას, ფერმერები თავიანთ პროექტებში მხარს უჭერდნენ არსებულ სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებს (პროფკავშირები, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებები და ა.შ.) ან სოფლის ელიტას, რასაც სამთავრობო საგანმანათლებლო პროგრამებიც უწყობდა ხელს. ასეთი პროგრამები სოლიდარობისა და ორმხრივობის პრინციპებს ავითარებდნენ.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა ხელსაყრელი აღმოჩნდა სოფლის მეურნეობის სექტორისთვის, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სოფლის მეურნეობის დაკრედიტების ორგანიზებისათვის, რადგან დანაზოგების დაგროვება შესაძლებელი გახდა ფერმერების შედარებით კეთილდღეობის შედეგად. პირველი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი 1877 წლით თარიღდება, სადაც ზელანდიის (ნიდერლანდების ერთერთი ისტორიული ლანდი) გლეხები გაერთიანდნენ ხარისხიანი და იაფი ქიმიური სასუქების შესაძენად. პირველ კოოპერატივს მათ Welbegrepen Eigenbelang უწოდეს.

1886 წელს დაარსდა რძის პირველი კოოპერატივი, 1887 წელს - პირველი კოოპერატივი ბოსტნეულის რეალიზაციისთვის, ხოლო 1896 წელს - პირველი სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ბანკი. მოგვიანებით დაარსდა პირველი კოოპერატივები შაქრის ჭარხლის, კარტოფილისა და ჩალის გადამამუშავებისთვის. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისისათვის სოფლის მეურნეობის კოოპერატიული ორგანიზაციების ქსელი უკვე მთელ ქვეყანაში იყო გავრცელებული.

ჰოლანდიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ყოველთვის იყო ფერმერებისთვის არახელსაყრელ კონკურენციურ გარემოში ეკონომიკური

მდგრადობის ხელშემწყობი სასარგებლო საბაზრო მექანიზმი, იგი არბილებდა კომერციული მონოპოლიების ზეწოლას და ასრულებდა არსებით ეკონომიკურ როლს, იყო რა თავისუფალი სხვა ქვეყნებში თანამშრომლობისათვის დამახასიათებელი საპასუხო სოციალური ურთიერთობისგან.

1934 წლამდე კოოპერატიული მოძრაობის წარმომადგენლობითი ორგანიზაცია არ არსებობდა. გაერთიანებული ეროვნული საბჭო დაარსდა კოოპერატივების ცენტრალური, მარკეტინგული, სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოხმარების ორგანიზაციების, და საკრედიტო ბანკების მიერ. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში კოოპერატივების კონცენტრაცია შერწყმის შედეგად გაიზარდა. ეს, ერთი მხრივ, აუცილებელი იყო მათი დამაბალანსებელი როლის შესანარჩუნებლად, მაგრამ შეიცავდა ასოცირებულ წევრებსა და კოოპერატივს შორის კავშირის შესუსტების საფრთხეს.

- **დიდ ბრიტანეთში** სოფლის მეურნეობის თანამშრომლობის წარმოშობა უკავშირდება პირველ თავში დეტალურად აღწერილი როჩდეილის ისტორიას და სამომხმარებლო კოოპერატივების განვითარებას. 1867 წელს შეიქმნა პირველი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „სოფლის მეურნეობისა და მებაღეობის ასოციაცია“. იგი ფუნქციონირებდა, როგორც მიმწოდებელი კოოპერატივი და იცავდა სამომხმარებლო კოოპერატივების ნიმუშების სტანდარტს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები უფრო ნელა განვითარდნენ, ვიდრე სამრეწველო, მემამულეების ძლიერი წინააღმდეგობის გამო, მაგრამ საუკუნის დასაწყისში სოფლის მეურნეობის შემცირებამ უფრო შესაფერისი ატმოსფერო შექმნა სოფლის მეურნეობის თანამშრომლობისთვის [12].

ირლანდიური კომპანიის AOS მიერ შექმნილი ორგანიზაციული მოდელი გახდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბების საფუძველი. ასი წევრი-კოოპერატივის უმრავლესობა ორიენტირებული იყო ასოცირებული წევრებისთვის სასუქების, რთული საკვებისა და თესლის მიწოდებაზე. თანდათანობით განვითარება დაიწყო სავაჭრო ურთიერთობებმა. პირველ მსოფლიო ომმა ამ სექტორს კეთილდღეობა მოუტანა და გაიზარდა ფერმერების ინტერესი ახალი კოოპერატივების შექმნის მიმართ.

ომის შემდეგ სასოფლო-სამეურნეო თანამშრომლობამ ღრმა კრიზისი განიცადა. ფერმერთა ეროვნულმა გაერთიანებამ (NFU) შექმნა საკუთარი სტრუქტურების თანამშრომლობის კომიტეტი. NFU-ს მიერ მიღებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს ემყარებოდა ფერმერულ ბაზრებზე ინტერვენციის შეთავაზება და სავალდებულო მარკეტინგული საბჭოების შექმნა, რადგან მონოპოლური სავაჭრო საზოგადოებები გავლენას ახდენდნენ ნებაყოფლობით სასოფლო-სამეურნეო თანამშრომლობაზე. ამან წერტილი დაუსვა კოოპერატივის მოძრაობას სექტორებში, სადაც ასეთი მონოპოლიები დამყარდა. გადარჩა მხოლოდ კოოპერატივი „30 კვერცხი“, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი სასაქონლო პუნქტი [13].

კოოპერატივების საქმიანობას განსაზღვრავდა მებაღეობის შესახებ 1960 წელს მიღებული კანონი. შეიქმნა მხარდაჭერის ორი ხაზი: პირველი ხელს უწყობდა კოოპერატივების კომერციულ განვითარებას, მეორე - პროფესიონალი მენეჯერების შექმნას. NFU-სა და კოოპერატივებს შორის მოხდა კიდევ ერთი უთანხმოება, ამჯერად კოოპერატივების განვითარების კონცეპტუალური საფუძვლების შესახებ დისკუსიის გამო. შედეგად, მრავალი კოოპერატივი „კომპანიებად“ გადაკეთდა [12].

ბრიტანეთის ევროკავშირში გაწევრიანებამ ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის თანამშრომლობის მოდერნიზაციას. ინტეგრაციის მომენტიდან ძირითადი საქმიანობა ვაჭრობის სფეროში იყო კონცენტრირებული, ვინაიდან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერა სწორედ სავაჭრო სტრუქტურების მეშვეობით ხდებოდა. შეიქმნა ჯგუფები, რომლებიც სპეციალიზირდებოდნენ მეცხოველეობის პროდუქტებში, ბოსტნეულში, კარტოფილსა და ბურღულეულში.

გარდა ამისა, 1970-იან და 1980-იან წლებში კომერციული მიზნებისთვის შეიქმნა კოოპერატიული ასოციაციები, ხოლო ძველმა „მიწოდების კოოპერატივებმა“ დაიწყეს ვაჭრობა გარკვეული პროდუქტებით, მაგალითად, ბურღულეულით, რითაც გავრცელდა პოლივალენტური ხასიათის ერთობლივი საქმიანობა. მარცვლეულისა და ბოსტნეულის სექტორების ფინანსური

მხარდამჭერი პროექტების 80% განხორციელება ძირითადად დაფინანსდა ევროპული საზოგადოების მიერ (ევროპის სოფლის მეურნეობის განვითარების საგარანტიო ფონდი, EAGGF).

ირლანდიის რესპუბლიკაში, რომელიც ადრე ცნობილი იყო თავისი ძლიერი კოოპერატიული რძის მეურნეობებით, ახლა საკრედიტო კავშირებმა დაიკავეს მნიშვნელოვანი ადგილი როგორც საკრედიტო ბაზარზე, ისე პირადი დანაზოგების სფეროში. მათი წევრები ზრდასრული მოსახლეობის 25%-ია. ქვეყნებში (ირლანდია და შვეიცარია), სადაც მცირეწლოვანი ნარგავების პროდუქციის წარმოება ჭარბობს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის წარმოებას, მკაცრად კონტროლდება მეცხოველეობის მეურნეობის დადგენილი სტანდარტები. ეს მიიღწევა უზარმაზარი ინვესტიციებით, კულტურული მუშაობის ათწლეული გამოცდილებით, რეგულარული მთავრობითა და კოოპერატიული კონტროლით.

- **ესპანეთში** ყველაზე წარმატებული საწარმოო კოოპერატივები ბასკეთის რეგიონშია, სადაც მონდრაგონის კოოპერატიული ქსელი მოიცავს არა მხოლოდ სხვადასხვა ინდუსტრიებს, არამედ სამომხმარებლო, საბინაო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებსაც. კოოპერატივების გაერთიანებებს აქვთ საკუთარი ბანკი, სკოლები, ტექნიკური კოლეჯი, სამედიცინო ჯანმრთელობის ცენტრები, საპენსიო ფონდები და უმუშევრობის საშეღავათო პროგრამები. ესპანეთის დანარჩენ რეგიონებში მრავალი სხვა კოოპერატივია, მათ შორის მშრომელთა კოოპერატივები.
- **Coop de France-ის** მონაცემებით, **საფრანგეთში**, ფერმერთა 75%-ს მინიმუმ ერთი კოოპერატივი ფლობს. გარდა ამისა, ტოპ-100 კოოპერატივიდან 66 ასოცირდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებასთან ან საკვების გადამამუშავებასთან. სოფლის მეურნეობის კოოპერატივების დიდ ქსელს საფრანგეთის სამეურნეო კოოპერატივების კონფედერაცია ხელმძღვანელობს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები აქ ძალიან განსხვავდებიან სპეციალობითა და ზომით, ძირითადად ისინი დაკავებულნი არიან სოფლის მეურნეობის პროდუქციის შექმნა-გაყიდვით, გადამამუშავებით, აგრეთვე სოფლის

მეურნეობის მასალებით, აღჭურვილობით, მანქანებითა და წარმოების სხვა საშუალებებით მომარაგებით. ფართოდ არის გავრცელებული მომსახურების კოოპერატივები ტექნიკის ერთობლივი შეძენისა და გამოყენებისათვის. ეროვნული კონფედერაცია ამჟამად აერთიანებს დაახლოებით 4000 კოოპერატივს, რომლებიც ახორციელებენ მომარაგებისა და მარკეტინგის მომსახურებას და 11000 „კიუმას“ ტიპის კოოპერატივს, რომლებიც სპეციალიზდებიან სოფლის მეურნეობის ტექნიკის ერთობლივი შეძენასა და გამოყენებაში.

ფრანგული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ისტორია მჭიდრო კავშირშია სოფლის მეურნეობის პროფკავშირების ისტორიასთან. XIX საუკუნის ბოლოს მწარმოებლებმა დაიწყეს სასუქების შესაძენად გაერთიანება. ეს ადრეული ჯგუფები, რომლებიც შეიქმნა შესვლის (მონაწილეობის) ფასების შესამცირებლად და თაღლითური სქემების აღმოსაფხვრელად, გამოეხმაურნენ ეკონომიკურ ვარდნასა და სოფლის მეურნეობის დაბალ ფასებს 1880-1900 წლებში.

კოოპერატივების განვითარების შემდეგი გადამწყვეტი ეტაპი იყო 1929 წლის ეკონომიკური რეცესია და მთავრობის ჩარევა საბაზრო სისტემაში. მარცვლეულისა და ღვინის სექტორებში ისინი ეროვნული სამეურნეო პოლიტიკის განხორციელების იარაღად იქცნენ, განსაკუთრებით მიწოდების მართვის საკითხში. მარცვლეულის კოოპერატივებმა მიიღეს მთავრობის დაფინანსება მათი შენახვის შესაძლებლობების გასაზრდელად, როდესაც 1936 წელს დაარსდა Bleu-ში ხორბლის ეროვნული საერთაშორისო პროფესიული მენეჯმენტი. გარდა ამისა, კოოპერატივების განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერა იძლეოდა ოფიციალური კანონმდებლობის ფორმირების საშუალებას, რომელსაც 1895 წელს შექმნილი საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსი არეგულირებდა.

საფრანგეთში თანდათან შემოიღეს სხვა წესებიც:

- 1) ჭარბი წილის განაწილება, რომელიც პირდაპირ ეხებოდა ფერმერების შემოწირულობებს;
- 2) ერთობლივი მენეჯმენტი პრინციპი „ერთი ადამიანი - ერთი ხმა“;
- 3) ფიქსირებული დივიდენდი ზედა ზღვრით;

4) რეზერვების არაწილობრივი ხასიათი.

1935 წლიდან შემოღებულმა წესებმა კოოპერატივის სტატუსის მოპოვების ნებისმიერ სტრუქტურასთან დაკავშირებით შესაძლებელი გახადა საგადასახადო წახალისების მიღებაც.

რთულმა ეკონომიკურმა პირობებმა, პროფესიული ორგანიზაციების და პოლიტიკური მოძრაობების გავლენამ და მთავრობის იურიდიული და ფინანსური წახალისების საშუალებით ჩარევამ დიდი გავლენა იქონია საფრანგეთში, ევროპასა და შეერთებულ შტატებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებაზე. მათი შექმნა ასოცირდება სასოფლო-სამეურნეო კაპიტალის გაერთიანებასთან, „საწარმოს გაერთიანებასთან და იმ ადამიანთა გაერთიანებასთან, რომლებიც ქმნიან ამ ერთობლივ საწარმოს საკუთარი მიზნებისთვის და აქციონერები და მომხმარებლები ხდებიან“ [14]. ისინი ასევე შეიქმნა მთელი რიგი მიზნების მისაღწევად, კერძოდ: სავაჭრო ურთიერთობების გარკვეული ბალანსის აღსადგენად, განსაკუთრებით აგრობიზნესის სექტორში.

არსებული საერთაშორისო ურთიერთობები ძლიერდება. ხორციელდება მრავალფეროვანი ურთიერთობა გერმანიის, აშშ-ს, ფინეთისა და სხვა ფერმერთა ორგანიზაციებთან და პროფკავშირებთან, რომლის ფარგლებშიც ხდება გამოცდილებისა და სპეციალისტების გაცვლა, შეიქმნა ტრენინგის პრაქტიკა და უცხოური სტაჟირება ფერმერულ გაერთიანებათა წევრებისთვის. ქვეყნებს შორის სოციალური და ეკონომიკური განსხვავებების არსებობის შემთხვევაშიც კი, განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში მართვის თანამედროვე ფორმების შესწავლა გამოიწვევს პოზიტიურ ცვლილებებს ჩვენს აგრარულ კომპლექსში. როგორც უცხოური პრაქტიკა გვიჩვენებს, სოფლის მეურნეობის სექტორი მოითხოვს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას მდგრადი განვითარებისა და მაღალი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისთვის.

დღეს ძირითადი ამოცანებია სახელმწიფოსა და კოოპერატივებს შორის ბალანსის დამყარება, სამეწარმეო საქმიანობის ოპტიმალური პირობების უზრუნველყოფა და ფერმერული მეურნეობების კონკურენტუნარიანობის გაზრდა. დასავლეთის ქვეყნების (იტალია, გერმანია, აშშ) გამოცდილება მიუთითებს, რომ

მცირე ბიზნესის განვითარების მატერიალური საფუძველია მოქნილი სპეციალიზაცია, რაც მცირე საწარმოებისათვის შესაძლებელს ხდის, სწრაფად მოახდინონ რეაგირება ბაზრის საჭიროებების ცვლილებებზე.

ბიზნესის მცირე ფორმები, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს შიდა ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას და, შესაბამისად, მის თავისუფალ ურთიერთქმედებას სხვა ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკასთან, რაც მოთხოვნის დიფერენცირებისა და ნებისმიერი ტექნიკური სიახლის შემუშავების, განვითარებისა და განხორციელების ეფექტურობაზე ფოკუსირების ხარჯზე ხდება. მეორე მხრივ, ქმნის გამჭვირვალე ეფექტს (მათ შორის საგარეო ეკონომიკურ სფეროში) თავისი მანევრულობით და მსოფლიო ბაზრის მცირე ნიშებისა და სეგმენტების ათვისებისათვის მზაობით.

2.2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების SWOT ანალიზი

სოფლის მეურნეობა არის საქართველოს ეკონომიკის ყველაზე მნიშვნელოვანი დარგი. სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო საპროგნოზო პროგრამის მიხედვით, 2021-2035 წწ. აგრო-ინდუსტრიული კომპლექსი, მისი ძირითადი ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობის, ჩათვლით, ქვეყნის ეკონომიკის წამყვანი სექტორია, რომლებიც ქმნიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების (კვების) ბაზარს, სურსათსა და ეკონომიკურ უსაფრთხოებას. სოფლის შრომის, შრომისა და დასახლების პოტენციალი საქართველოში მშპ-ს 3.11%-ს და დასაქმების დაახლოებით 8%-ს უზრუნველყოფს. ნათესების აღწარმოება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 53%-ს შეადგენს, დანარჩენი - მეცხოველეობაზე მოდის. მოსავლის წარმოებაში დომინირებს ხორბალი, სიმინდი და ქერი; იგი 60-65%-ს შეადგენს, რაც დამოკიდებულია მოსავლიანობაზე და საბაზრო ფასებზე. მეცხოველეობის წარმოებაში დომინირებს ღორის, საქონლის და ფრინველის წარმოება. ღირებულებითი თვალსაზრისით, მათი წილი შეადგენს შესაბამისად 37%, 36% და 20%-ს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის პოზიცია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შევაფასეთ SWOT-ანალიზის მეთოდის გამოყენებით:

- **ძლიერი მხარეები.** საქართველოს აქვს უნიკალური შესაძლებლობები, გაზარდოს თავისი წვლილი მსოფლიო კვების პრობლემების მოგვარებაში, რაც განისაზღვრება მისი ბუნებრივი შედარებითი უპირატესობებით: მსოფლიოში მტკნარი და მინერალური წყლის მნიშვნელოვანი რესურსები, მინერალური სასუქების ინდუსტრია და ტერიტორიული სიახლოვე მსოფლიოს რეგიონებთან შავი ზღვის პორტების გამოყენებით.

მზარდი მოთხოვნილება ციტრუსებზე (ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, შუა და ახლო აღმოსავლეთი, ჩრდილოეთ ევროპა, ჩრდილოეთ ამერიკა, ავსტრალია). აქვე უნდა აღინიშნოს შემონახული კვლევითი პოტენციალი, რომელსაც შეუძლია სოფლის მეურნეობის განვითარების ახალ დონეზე მიყვანა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების ფონზე.

ამრიგად, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი საშუალებას გვაძლევს, ქვეყანა გადაიქცეს მსოფლიოში ზოგიერთი სასურსათო პროდუქტის ერთერთ უდიდეს ექსპორტიორად.

- **სუსტი მხარეები.** საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მონაწილეობის ახალი შესაძლებლობების წარმატებით რეალიზაციისთვის საჭიროა სოფლის მეურნეობაში არსებული ხარვეზების გადალახვა. პირველ რიგში, ეს არის სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაბალი კონკურენტუნარიანობა. ეს განპირობებულია ბაზრის განუვითარებელი ინფრასტრუქტურით: ინფრასტრუქტურული ხარჯების წილი ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასში ძალიან მაღალია, რაც მნიშვნელოვნად აღემატება აგრარული განვითარებული ქვეყნების მაჩვენებელს (მაგალითად, ციტრუსების წარმოებაში 50%-ს აღწევს, მაშინ როცა სუბტროპიკულ რეგიონებში ამგვარი ხარჯების საშუალო დონე დაახლოებით 20%-ია). სიტუაცია გართულებულია სოფლის მეურნეობის საშუალო და მცირე მწარმოებლებისთვის გაყიდვების ბაზრების მიუწვდომლობით. ამრიგად, კვების პროდუქტებისა და

სოფლის მეურნეობის ნედლეულის წილი საქართველოს ექსპორტში მხოლოდ 2%-ს შეადგენს.

სოფლის მეურნეობის წარმოებაში ძირითადად გამოიყენება მოძველებული ტექნიკა და ტექნოლოგიები, რაც იწვევს რესურსების არარაციონალურ გამოყენებას და წარმოების მაღალ ხარჯებს. მეტიც, სოფლის მეურნეობის მრავალი მწარმოებელი არ არის ინფორმირებული თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების წარმატებული გამოცდილების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ახალი მიღწევების შესახებ.

აგრო-ინდუსტრიული კომპლექსი ხასიათდება ისეთი სპეციალისტების სიმცირით, რომლებსაც შეუძლიათ ინოვაციური ტექნოლოგიების პრაქტიკაში გამოყენება და თანამედროვე ტექნოლოგიებზე მუშაობა. ახალგაზრდებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაბალი პრესტიჟი არის მთავარი ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის სასოფლო-სამეურნეო მიმართულების უნივერსიტეტების დამთავრებას.

კიდევ ერთი პრობლემაა სოფლის მეურნეობის მწარმოებლების პროფესიული საკონსულტაციო სისტემის არარსებობა. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციისა და საკონსულტაციო სამსახურის საქმიანობა არაეფექტურია, კონსულტანტებს პრაქტიკული ცოდნა არ გააჩნიათ. შედეგად, საქართველო სოფლის მეურნეობის ეფექტურობით მნიშვნელოვნად ჩამორჩება სხვა ქვეყნებს და აწარმოებს მსოფლიო სოფლის მეურნეობის მშპ-ს მხოლოდ 0.5% -ს.

- **შესაძლებლობები.** დღეისათვის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ინდუსტრიულ კავშირებთან და აგრო-კვების ბაზრის ექსპერტებთან ერთად, შეიმუშავა დამატებითი ღონისძიებების კომპლექტი, რომლებიც უნდა განხორციელდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობის პირობებთან ეტაპობრივი ადაპტაციისთვის. ამ ზომების განხორციელების შედეგად ინდუსტრიაში შენარჩუნდება პოზიტიური დინამიკა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია გახდება დამატებითი სტიმული შიდა სოფლის მეურნეობაში ახალი სტრატეგიული ინვესტიორების შემოსვლისა და

ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის მოცულობის გაზრდისთვის.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ღორისა და მეფრინველეობის მეურნეობა ყველაზე მომგებიანი და დაბალი რისკის მატარებელი მრეწველობაა. ნაწილობრივ, საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების პროცესი შეიძლება გახდეს ამ ინდუსტრიაში მოდერნიზაციის პროცესების კატალიზატორი, რაც საწარმოების მენეჯმენტს აიძულებს, წარმოების პროცესში დანერგონ ახალი ტექნოლოგიები, გაზარდონ შრომის პროდუქტიულობა და მმართველობითი პროცესების ეფექტიანობა.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობის მცირე ფორმებს, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო გეგმავს მთელი რიგი ღონისძიებების გატარებას მათ დასახმარებლად (შეღავათიანი სესხები, გრანტები და სხვა).

ამრიგად, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება გვაძლევს უამრავ უპირატესობას:


- საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება;
- ადგილობრივი მწარმოებლებისთვის უცხოურ ბაზრებზე წვდომა;
- უცხოური ინვესტიციების მოზიდვა;
- კონკურენციის გაზრდის გამო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება.

საწარმოები იღებენ იაფ იმპორტირებულ რესურსებს, ხოლო მოსახლეობა - იაფ საქონელსა და მომსახურებას, რაც ხელს უწყობს ცხოვრების მაღალ სტანდარტებს.

- **საფრთხეები.** იმპორტის გადასახადებისა და კვოტების განაკვეთების შემცირება გააძლიერებს კონკურენციას ადგილობრივ მწარმოებლებსა და იმპორტიორებს შორის. იმპორტირებული საკვების მოცულობის ზრდას და შიდა პროდუქტებით, თანაბარ პირობებში მისთვის კონკურენციის გაწევას შეუძლია სოფლის მეურნეობის მცირე და საშუალო მწარმოებელთა დიდი ნაწილის განადგურება, რაც უზარმაზარ საფრთხეს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის რეგიონებისთვის.

- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, 2020 წელს 2019 წელთან შედარებით, რძის იმპორტისთვის მარაგების მოცულობა გაიზარდა 8,2%-ით, ყველის - 10,1%-ით, საქონლის ხორცის - 4,3%-ით, ღორის ხორცის - 10,0%-ით, ფრინველის ხორცის - 16,3%-ით. ღირებულებით მაჩვენებლებში საკვების იმპორტი 1,5 მილიარდ დოლარად არის შეფასებული. მაჩვენებელი თითქმის 10-ჯერ მეტია, ვიდრე სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობის დასახმარებლად გამოყოფილი სახსრები.
- იაფი იმპორტის შემოდინებისა და სოფლის მეურნეობის არაკონკურენტუნარიან მწარმოებელთა გაკოტრების შედეგად, იზრდება უმუშევრობა და სოციალური დაძაბულობა. ეს იწვევს სამუშაო ადგილების შემცირებას, სოფლის მეურნეობის სექტორებში და დარგებში დაბალ შემოსავალს და სოფლად ცხოვრების დონის შემცირებას. სოფლის მეურნეობის სახელმწიფო მხარდაჭერის შემცირების გამო, ქვეყანა კიდევ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული სურსათის იმპორტზე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების ფარგლებში (დიაგრამა 1).

დიაგრამა 2. საქართველოში სოფლის მეურნეობის ნებადართული სუბსიდირების ოდენობა



წყარო: საქსტატი, რეგიონული სტატისტიკა:
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/93/regionuli-statistika>

ექსპერტთა გამოკითხვის შედეგად დავადგინეთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების საპროგნოზო ზარალი, რომელმაც შესაძლოა შეადგინოს 3.3 მლრდ ლარი, ან ზრდის 35%. ეს მაჩვენებელი ასოცირდება მეცხოველეობის პროდუქციის იმპორტის 25-40%-მდე ზრდასთან, ციტრუსებზე მოთხოვნის შემცირებასა და ქართული სოფლის მეურნეობის მწარმოებლების 20-30%-ის გაჩერებასთან. შედეგად მოსალოდნელია 170 ათასამდე სამუშაო ადგილის დაკარგვა.

TBC ბანკის უფროსი ანალიტიკოსის დ. გოგშელიძის სიტყვებით: „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ავალდებულებს საქართველოს, შეიძინოს მისგან გენეტიკური ინჟინერიის პროდუქტები. შედეგად, საქართველო შეიძლება ეტაპობრივად გადაიქცეს რეგიონად, სადაც გაიგზავნება გენმოდირიცირებული პროდუქტები. ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის ასეთ ფაქტებს გადაულახავი პრობლემების შექმნა შეუძლიათ.

ცხრილი 4. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების SWOT-ანალიზი

(სავტორო ცხრილი)

ძლიერი მხარეები (S)	სუსტი მხარეები (W)
<ul style="list-style-type: none"> - მსოფლიოში მტკნარი და მინერალური წყლის მნიშვნელოვანი რესურსები; - მინერალური სასუქების ინდუსტრია, - ტერიტორიული სიახლოვე მსოფლიოს რეგიონებთან შავი ზღვის პორტების გამოყენებით; - მზარდი მოთხოვნილება ციტრუსებზე (ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, შუა და ახლო აღმოსავლეთი, ჩრდილოეთ ევროპა, ჩრდილოეთ ამერიკა, ავსტრალია); - შემონახული კვლევითი პოტენციალი; - მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობა. 	<ul style="list-style-type: none"> - სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაბალი კონკურენტუნარიანობა; - ბაზრის განუვითარებელი ინფრასტრუქტურა; - ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასში ინფრასტრუქტურული ხარჯების დიდი ხვედრითი წილი; - მოძველებული ტექნიკის და ტექნოლოგიების გამოყენება; - რესურსების არარაციონალურ გამოყენება და წარმოების მაღალ დანახარჯები; - სოფლის მეურნეობის მწარმოებელთა უმეტესობის დაბალი ინფორმირებულობა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების წარმატებული გამოცდილების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ახალი მიღწევების შესახებ; - ისეთი სპეციალისტების სიმცირე, რომლებსაც შეუძლიათ ინოვაციური ტექნოლოგიების პრაქტიკაში გამოყენება და თანამედროვე ტექნოლოგიებზე მუშაობა; - ახალგაზრდებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაბალი პრესტიჟი; - სოფლის მეურნეობის მწარმოებლების პროფესიული საკონსულტაციო სისტემის არარსებობა.

შესაძლებლობები (O)	საფრთხეები (T)
<ul style="list-style-type: none"> - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინდუსტრიულ კავშირებთან და აგრო-კვების ბაზრის ექსპერტებთან ერთად შემუშავებული დამატებითი ღონისძიებების კომპლექსი; - ინდუსტრიაში პოზიტიური დინამიკის შენარჩუნება; - მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, როგორც შიდა სოფლის მეურნეობაში ახალი სტრატეგიული ინვესტორების შემოსვლის და ექსპორტის მოცულობის ზრდის სტიმული; - მეღორეობისა და მეფრინველეობის მაღალი მომგებიანობა და დაბალრისკიანობა; - მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების პროცესი, როგორც სოფლის მეურნეობის ინდუსტრიაში მოდერნიზაციის პროცესების კატალიზატორი; - საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება; - ადგილობრივი მწარმოებლებისთვის უცხოურ ბაზრებზე წვდომა; - კლასტერების, - რეგიონული წარმოების ახალი ორგანიზაციული ფორმის, - შექმნა; - კონკურენციის გაზრდის გამო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. 	<ul style="list-style-type: none"> - იმპორტის გადასახადებისა და კვოტების განაკვეთების შემცირებასთან ერთად კონკურენციის ზრდა ადგილობრივ მწარმოებლებსა და იმპორტიორებს შორის; - იაფი იმპორტის შემოდინებისა და სოფლის მეურნეობის არაკონკურენტუნარიან მწარმოებელთა გაკოტრების შედეგად, უმუშევრობის და სოციალური დამაბულობის ზრდა; - ზარალი, რომელიც შესაძლებელია განიცადოს სოფლის მეურნეობამ (3.3 მლრდ ლარი); - საქართველოს ეტაპობრივი გადაქცევა გენმოდიფიცირებული პროდუქტების საიმპორტო რეგიონად; - ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისთვის გადაულახავი პრობლემების შექმნა.

ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მწვავედ დგას საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდის პრობლემა. მისი გადაჭრის ერთ-ერთი გზაა კლასტერების, - რეგიონული წარმოების ახალი ორგანიზაციული ფორმის, - შექმნა. როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რეგიონის აგროსამრეწველო კომპლექსში კლასტერების შექმნას მოყვება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება და ტექნოლოგიური გადაიარაღება, რაც შემდგომ ხელს უწყობს წარმოების დივერსიფიკაციას. აგრო ინდუსტრიული კლასტერი თანმიმდევრული თანამშრომლობის ახალი ფორმა და უფრო მაღალი საფეხურია, რომელშიც ადამიანებს აერთიანებს კონკრეტული ეკონომიკური ინტერესები და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა.

აგრო-ინდუსტრიული კლასტერების დანერგვა საშუალებას მოგვცემს, ერთი მხრივ, თავიდან ავიცილოთ მასობრივი უმუშევრობა სოფლად, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველვყოთ სოფლის მეურნეობის მაღალხარისხიანი ბუნებრივი პროდუქტების ქალაქებისთვის რეგულარული მიწოდება.

ამრიგად, საქართველოს სოფლის მეურნეობას მოუწევს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) მოთხოვნებთან ადაპტაციის რთული და რისკიანი გზის გავლა. გარკვეული სირთულეების გადალახვისა და ქვეყნის სოფლის მეურნეობის პოტენციალის რეალიზაციის შედეგად, საქართველოს შეუძლია მოახდინოს სოფლის მეურნეობის სექტორის მოდერნიზაცია და გახდეს სურსათის ერთ-ერთი ღირსეული ექსპორტიორი მსოფლიოში.

2.3. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები

ქართველმა ფერმერებმა დღეს არფერი იციან კოოპერატივების მიერ მოტანილი შესაძლო სარგებლის შესახებ. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ცნობილი კოოპერატივები საწარმოებია, რომლებიც ქმნიან ფილიალებს მთელი ქვეყნის მასშტაბით - ფინეთში ვალიო, ინდოეთში ამული. დროა, ჩვენმა სოფლის მეურნეობის სამინისტრომაც დაიწყო ფიქრი კოოპერატივების მხარდაჭერაზე და ამ მიმართულებით შესაბამისი კანონების მომზადება-განხილვაც დაიწყო.

საბჭოთა კავშირში კარგად იყო განვითარებული სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ისეთი ფორმები, როგორცაა სახელმწიფო მეურნეობები, რომლებიც აერთიანებდა სხვადასხვა მწარმოებლებს, მაგრამ დროთა განმავლობაში ისინი დაშალეს ან თავისით დაიშალა. ამას მრავალმა მიზეზმა შეუწყო ხელი. დღეს საქართველოში რძის მწარმოებელი სულ რამდენიმე ფერმა არსებობს და გეოგრაფიულად ისინი ძალზე დაშორებულია ერთმანეთისგან, რაც ართულებს კომუნიკაციას და ერთობლივი მუშაობის შესაძლებლობას.

გარდა ამისა, მოქმედებს ინფორმირებულობის დაბალი დონეც. ძალიან რთულია ადგილზე მოსახლეობისათვის კოოპერატივის მიერ მოტანილი ყველა სარგებლის გადმოცემა. ფერმერებს უბრალოდ წარმოდგენილიც კი არ აქვთ გაერთიანების ეკონომიკური სარგებელი. მათთვის პირველადი ახსნა-განმარტების

დონეზე ჩატარებული მეცადინეობის არც ერთი ფორმა არ არსებობს არც ადგილობრივ, არც რეგიონულ და სახელმწიფო დონეზე.

კოოპერატივების განვითარებაში დიდ როლს თამაშობს სახელმწიფო დახმარება. მაგალითად, ფინეთში მთელი სახელმწიფო დახმარება ხორციელდება მხოლოდ კოოპერატივების სეგმენტში. ამიტომაც დღეს ვალიო მოიცავს 10 ათასამდე რძის ფერმას და ერთერთი წამყვანი პოზიცია უჭირავს რძისა და რძის პროდუქტების ბაზარზე ევროპასა და მსოფლიოში. ანალოგიური ვითარებაა დასავლეთის სხვა ქვეყნებშიც - გერმანია, ჰოლანდია, ნორვეგია და ა.შ.

ცხადია, ფერმერების კოოპერატივებში გაწევრიანების სტიმულირების მიზნით, მათთვის ხელსაყრელი პირობების შექმნაა საჭირო. საქართველოში ჯერ არ არსებობს ასეთი პირობები. სასიხარულოა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება კოოპერატივების განვითარების შესახებ, მაგრამ სამწუხაროა, რომ ეს გადაწყვეტილება ჯერაც არ განხორციელებულა.

ძნელია იმის წარმოდგენა, თუ რამდენი შესაძლებლობაა ხელიდან გაშვებული, რამდენად სასარგებლოა გაერთიანების ეს ფორმა როგორც რძის შემსყიდველი მთავარი მოთამაშეებისთვის, ისე ეკონომიკისათვის. საყოველთაოდ ცნობილია ის ფაქტი, რომ კოოპერატივებში ფალსიფიკაციის აღბათობა მინიმალურია, რომ ცხოველები სწორად იკვებებიან, ფერმას ყოველთვის ყავს მაღალპროფესიული ვეტერინარები და განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რძის ხარისხს.

ზოგადად, მსხვილი კოოპერატივების შექმნა ნედლეულის ხარისხს გააუმჯობესებს. კერძო ფერმერებისგან განსხვავებით, ეს უკვე მსხვილი ასოციაციებია, რომლებიც აკონტროლებენ მათ რეპუტაციას, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მათ მუშაობაზე. საზოგადოებას შეუძლია მათი ნდობა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები სულაც არ არიან ის მცირე ორგანიზაციები, რომლებსაც სოფელად აქვთ წინა საუკუნის „დიზაინის“ მქონე ოფისი. თანამედროვე კოოპერატივები წარმოადგენს საერთაშორისო მწარმოებლებსა და გადამამუშავებლებს. მსოფლიოში ცნობილი კოოპერატივების რიცხვში შედის, მაგალითად, ფინური **Valio**, ახალზელანდიური **Fonterra**, გერმანიის **DMK**, ამერიკის რძის ფერმერები აშშ-ში და ჰოლანდიის **Friesland Campina**. ყველა მათგანი შედის

მსოფლიოში ყველაზე მსხვილი რძის კომპანიების ტოპ-20-ში, ხოლო ბიზნესის ორგანიზაციის კოოპერატიულ ფორმას განვითარებაში მათთვის არანაირად არ შეუძლია ხელი.

რძის მრეწველობის შემთხვევაში, კოოპერატივები შეიძლება იყვნენ წარმატებული მწარმოებლები სწორედ იმიტომ, რომ ისინი არ არიან ორიენტირებული თავად ორგანიზაციისთვის მოგების გამომუშავებაზე. მაგალითად, **Valio**-ს მთავარი მიზანი კოოპერატივის წევრების მოგებაა, რაც ნიშნავს, რომ კომპანია ცდილობს, ნედლ რძეზე მიმზიდველი ფასების შენარჩუნებას. ახალზელანდიური **Fonterra**, რომელსაც თანდათანობით დაკარგა მონოპოლია, ასევე იძულებულია, იბრძოდოს ნედლეულისთვის. რძის მაღალი ფასი ხელს არ უშლის მას კონკურენციაში და ხშირად ხელს უწყობს მოდერნიზაციასა და ინოვაციებს. გარდა ამისა, კოოპერატივის წევრებმა თავად იციან, რომ წარმატებული დამუშავების გარეშე ნედლ რძეზე მოთხოვნას ვერ შეინარჩუნებენ.

საქართველოში კოოპერატიული მოძრაობა ნელა ვითარდება და სამომხმარებლო სოფლის მეურნეობის კოოპერატივები ამ დროისთვის მხოლოდ არაკომერციული ფორმისაა. მაგრამ, ამ ფორმითაც კი, სამომხმარებლო კოოპერატივები ძალიან დაეხმარნენ სოფლის მეურნეობას 80-იანი წლების ბოლოს: 1990 წელს სამომხმარებლო კოოპერატივები ემსახურებოდნენ ქვეყნის მოსახლეობას, ადგენდნენ რა საცალო ვაჭრობის ბრუნვის 40%-ის, კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების 50%-ის, პურისა და სხვა საცხობი ბიზნესის დაახლოებით 30%-ის ფორმირებას. ამავე პერიოდში 30 ათასი სოფლის მაცხოვრებელი კოოპერატივის წევრი იყო. 90-იანი წლების შემდეგ სოფლის მეურნეობაში კოოპერაციის მნიშვნელობა სწრაფად დაეცა.

სოფლის მეურნეობის კოოპერატივები იყოფა სამომხმარებლო და საწარმოო ფორმებად. სოფლის მეურნეობის საწარმოო კოოპერატივები კომერციულ ორგანიზაციებად ითვლება და მათ შეუძლიათ მოგების მიღება. თუ კოოპერატივი არაკომერციულ ორგანიზაციას წარმოადგენს, წევრებს შორის მოგების განაწილება მას არ შეუძლია.

გარდა ამისა, სოფლის მეურნეობის სამომხმარებლო კოოპერატივებში დასაქმება შესაძლებელია მხოლოდ მისი წევრებისათვის. საწარმოო კოოპერატივებისთვის, ამ თვალსაზრისით, ბევრად მეტი შესაძლებლობა არსებობს - მათ შეუძლიათ მუშაკების გარედან აყვანა, მაგრამ ამავდროულად, არ უნდა დაირღვეს თანაფარდობა კოოპერატივის წევრებსა და დაქირავებულ მუშაკთა შორის: კოოპერატივის პერსონალს უნდა ჰქონდეს უმრავლესობა. ყოველივე აქედან გამომდინარე, შეიძლება დაიბადოს კითხვა: თუ სასოფლო-სამეურნეო სამომხმარებლო კოოპერატივების წევრები ვერ ღებულობენ მატერიალურ სარგებელს, რა საჭიროა კოოპერატივის ეს სახე? პასუხი მარტივია: ყველაზე ხშირად არაკომერციული ტიპის კოოპერატივების შექმნა ხდება სასუქებისა და შხამ-ქიმიკატების ერთობლივი შეძენის, პროდუქციის რეალიზაციის, დიდი რაოდენობით ნედლეულის გადამუშავების ანდა სხვა საქმიანობისთვის. ანუ სარგებელი არსებობს, თუმცა მას არ გააჩნია მყისიერი ფულადი ფორმა.

სასოფლო-სამეურნეო სამომხმარებლო კოოპერატივი ფაქტობრივად მუშაობს თავისი წევრებისთვის და ასრულებს მათ გარკვეულ დავალებებს. გარდა ამისა, ამ ტიპის კოოპერატივების წარმოების ან მომსახურების მოცულობის სულ მცირე, 50% უნდა მიეწოდოს მის წევრებს.

ცვლილებები ძნელად შეცვლის სამომხმარებლო კოოპერატივების **status quo**-ს, ისინი მათ უბრალოდ შექმნიან მოგებისა და შემოსავლების წევრებს შორის განაწილების შესაძლებლობას. ამისათვის შესწორება უნდა შევიდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, რომელიც ცალკე განსაზღვრავს ასეთ შესაძლებლობას. მაგრამ ორგანიზაციის ამ ფორმისადმი ფერმერების მოსაზიდად ეს საკმარისი არ არის.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების კოოპერატივების დიდი ნაწილისთვის არაფერი შეიცვლება. ისინი ვერ შეძლებენ შემოსავლის თავისუფლად განკარგვის უფლების მიღებას. ისევე, როგორც ყოფილ კოლმეურნეობებში, მეტ მოგებას მიიღებს ის, ვინც ფიზიკურად მეტად შრომობს მინდვრებში, ბაღებსა და ფერმებში, და არა ის, ვინც მეტ ფულს ჩადებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დადებითი ცვლილებების განსახორციელებლად მხოლოდ სახელმწიფო დახმარება და სუბსიდიები არ კმარა, დღეს საქართველოს

კოოპერატივების 70% მსხვილ ინვესტიციებს საჭიროებს და ეს არის მთავარი მიზეზი, რის გამოც საქართველოს არ აქვს საკუთარი **Valio** ან **Campina**.

ისტორიულად საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების კოოპერატივის სამი ძირითადი ტიპი არსებობდა, რომელთაგან დღეს მხოლოდ ერთია შენარჩუნებული:

1. სასოფლო-სამეურნეო არტელი (კოლმეურნეობა) - სოფლის მეურნეობის მწარმოებელთა ასოციაცია კოოპერატივის საქმიანობაში საწარმოო, მარკეტინგის ან გადამამუშავებელი სავალდებულო პირადი შრომით მონაწილეობით. მეტიც, მონაწილეთა მიწაც მონაწილეობს საერთო წარმოებაში. თითოეულ წევრს წვლილი შეაქვს საერთო საქმეში მიწის ან სხვა ქონების სახით საერთო სარგებლობისთვის.
2. მეთევზეობის არტელი (კოლმეურნეობა) - თევზის მეურნეობათა ასოციაცია იგივე პირობებით, რასაც სასოფლო სამეურნეო არტელს გააჩნია.
3. კოოპერატიული მეურნეობა - ასოციაცია, რომელიც შექმნილია მიწის დამუშავების ან მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისათვის. არტელისგან განსხვავდება იმით, რომ მიწის ნაკვეთები არ გადადის საერთო ფონდში.

ყველა შემთხვევაში, დღესაც კი, კოოპერატივს უნდა ჰყავდეს მინიმუმ ხუთი წევრი, ხოლო კოოპერატივში მომუშავეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მისი წევრების რაოდენობას. ამ გზით გარანტირებულია წევრების სავალდებულო პირადი შრომითი მონაწილეობა.

სამომხმარებლო კოოპერატივებს კიდევ მრავალი ფორმა აქვთ:

1. გადამამუშავება - ნებისმიერი წარმოება, ხორცისა და რძის პროდუქტების ჩათვლით;
2. გაყიდვა (ვაჭრობა) არ არის მხოლოდ პროდუქციის რეალიზაცია, არამედ მისი შეფუთვა და შენახვა;
3. მომსახურე პერსონალი - ყველაფერი, რაც ეხება რემონტს, მიწის დამუშავებას, მცენარეთა დაცვას და ლეგალურ საქმიანობასაც კი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნებისმიერი მომსახურება;

4. მომარაგება - შეიქმნა საკვების, სასუქებისა და სხვა საქონლის ერთობლივი შესყიდვისთვის, ფულის დაზოგვის მიზნით;
5. მებაღეობის, სამებაღეო და მეცხოველეობის კოოპერატივები იქმნება ამ ინდუსტრიების მომსახურების უზრუნველსაყოფად - მარკეტინგიდან დამუშავებამდე;
6. შეიძლება არსებობდეს სოფლის მეურნეობის სამომხმარებლო კოოპერატივების სხვა, ნაკლებად გავრცელებული ტიპები.

მკაფიოდ ჩამოვყალიბოთ განსხვავება კოოპერატივებსა და სოფლის მეურნეობის საწარმოებს შორის:

- კოოპერატივი თავად ითვლება იურიდიულ პირად, ამიტომ მას შეუძლია შეიძინოს აღჭურვილობა, იჯარით აიღოს მიწის ნაკვეთი, აიღოს სესხები და დადოს ხელშეკრულებები - იმუშაოს თითქმის როგორც მეურნეობამ. იგი რეგისტრირებულია ისევე, როგორც ჩვეულებრივი იურიდიული პირი.
- ძირითადი განსხვავებები დაგროვიდა გადაწყვეტილების მიღებისა და შემოსავლის გამოყენების სფეროში. გადაწყვეტილებებს იღებენ კენჭისყრით - თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა. ერთადერთი გამონაკლისია მოგების გადანაწილება. ჩვეულებრივი მეურნეობისგან განსხვავებით, სადაც მესაკუთრეს შეუძლია მიიღოს სულ მცირე მოგება, საწარმოო კოოპერატივებში წმინდა მოგების 70% მიდის განვითარებაზე. დარჩენილი 30% ნაწილდება არა კოოპერატორთა წილის პროპორციულად, არამედ თითოეული ინდივიდუალური წევრის მიერ წლის განმავლობაში ჩადებული შრომის რაოდენობის მიხედვით. თუ კოოპერატივში ადგილი აქვს ზარალს, იგი სარეზერვო ფონდიდან იფარება, ხოლო თუ ფონდის სახსრები არ არის საკმარისი, კოოპერატივის წევრები ახორციელებენ დამატებითი შენატანების რეგისტრირებას და წილების გადაანგარიშებას.

თავი 3. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების პრიორიტეტები და რეგულირება

3.1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების როლი და მნიშვნელობა სოფლის და აგრობიზნესის მდგრად განვითარებაში

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ეფექტურობა, პირველ რიგში, დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაციაზე მოქმედ ფაქტორთა რიგზე. მათი კლასიფიცირება შეიძლება ოთხ ძირითად ჯგუფად: იურიდიული, ორგანიზაციული, სოციალურ-ეკონომიკური და რესურსული.

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების *იურიდიული უზრუნველყოფა* ფორმირდება სახელმწიფო და რეგიონულ დონეზე, კანონების, განკარგულებებისა და ინსტრუქციების სახით. რეგიონების უფლებების გაფართოებიდან გამომდინარე, მრავალი რეგულაცია შემუშავებულია ადგილობრივი ხელისუფლების მიერ რეგიონის თავისებურებათა გათვალისწინებით;
- *ორგანიზაციული ფაქტორები* ასოცირდება ორგანიზაციული და საწარმოო სტრუქტურის გაუმჯობესებასთან, სპეციალიზაციასთან, წარმოების კონცენტრაციასთან, მართვის ორგანოების ფუნქციების განსაზღვრასთან, ოპერაციულ მენეჯმენტთან, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში შრომის ორგანიზაციასთან;
- *სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები* აერთიანებს პროგნოზირებისა და დაგეგმვის სისტემის გაუმჯობესების საკითხებს; ეკონომიკურ ურთიერთობებს; სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზარსა და ლოგისტიკას; კოოპერატივების წევრების ეკონომიკური წახალისების მექანიზმებს; თანამშრომლების მატერიალურ წახალისებას; სოციალურ ინფრასტრუქტურას;
- *რესურსული ფაქტორები* მოქმედებს მატერიალური და ტექნიკური უზრუნველყოფის პრობლემების გადაჭრის, სოფლის მეურნეობის

კოოპერატივების შრომის, ფინანსური და მიწის რესურსების რაციონალური გამოყენების გზით.

ყველა ეს ფაქტორი ორგანულ კავშირშია ერთმანეთთან და გავლენას ახდენს საქმიანობის შედეგებზე სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესისა და ტექნოლოგიის მიღწევების განვითარების გზით. ამ შემთხვევაში ძირითად შედეგობრივ მაჩვენებლად შეიძლება ჩათვალოს: მთლიანი შემოსავალი, მომგებიანობა, წარმოების ღირებულება, ინვესტიციის ანაზღაურებადობა.

კოოპერატივის მიწოდებისა და მარკეტინგის ეფექტურობა დამოკიდებულია წევრების სარესურსო საჭიროებების სრულ დაკმაყოფილებაზე და **ადგილობრივ ბაზარზე კოოპერატივის როლის ეტაპობრივ ზრდაზე** (წევრთა ბაზის გაფართოების ხარჯზე).

კოოპერატივის ეფექტურობის ძირითად მაჩვენებელს კი წარმოადგენს საკუთარი კაპიტალის ზრდა, რაც გამოწვეულია: ა) აქციონერთა რაოდენობისა და ურთიერთდახმარების ფონდის (კაპიტალის) ზრდით; ბ) კოოპერატივის აქტივებისა და ვალდებულებების ეფექტური მართვით, ლიკვიდურობისა და ფინანსური სტაბილურობის ნორმების დაცვით. კოოპერატივს უნდა ჰქონდეს მდგრადობის გარკვეული ზღვარი - საკუთარი ურთიერთდახმარების ფონდის ზრდის რეზერვი. მისი ფორმირება უნდა მოხდეს როგორც აქციონერთა რაოდენობის გაზრდით (შემომავალი წილის შენატანებით), ასევე საწესდებო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილით.

ეფექტურობის ანალიზი ხორციელდება აქტივების მომგებიანობის, ბრუნვისა და ეფექტურობის კოეფიციენტების გაანგარიშებით და შედარებით, რომლებიც წარმოადგენენ კოოპერატივის საქმიანობის მაჩვენებლებს. რენტაბელობის მაჩვენებელი ახასიათებს:

ა) ინვესტირებული აქტივების რა ნაწილი იფარება მოგებით (აქტივების უკუგების კოეფიციენტი):

$$\text{აქტივების რენტაბელობის კოეფიციენტი} = \frac{\text{შემოსავალი}}{\text{აქტივები}} \times 100\%;$$

ბ) მოგების წილს გაყიდვებში (გაყიდვების კოეფიციენტი):

$$\text{გაყიდვების რენტაბელობის კოეფიციენტი} = \frac{\text{შემოსავალი}}{\text{მოგება}} \times 100\%;$$

გ) აქტივების ბრუნვის კოეფიციენტს:

$$\text{აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი} = \frac{\text{მოგება}}{\text{აქტივები}} \times 100\%;$$

ცნება „წმინდა შემოსავალი“ ნიშნავს კოოპერატივის ძირითადი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალს, რომელიც გამოითვლება, როგორც სხვაობა შემოსავლებსა და ხარჯებს შორის. წმინდა შემოსავალი იძლევა საკუთარი და სააქციო კაპიტალის ზრდის და საჭირო რეზერვების შექმნის საშუალებას.

ეფექტიანობის მაჩვენებლებს შორის გამოირჩევა „მიმდინარე საქმიანობის რენტაბელობა“ და „აქტივების რენტაბელობა“, რომლებიც გამოითვლება ფორმულით:

$$\text{მიმდინარე საქმიანობის რენტაბელობა} = \frac{\text{წმინდა შემოსავალი}}{\text{ხარჯები (ფიქსირებული+ცვლადი)}}$$

$$\text{აქტივების რენტაბელობა} = \frac{\text{წმინდა შემოსავალი}}{\text{აქტივები}}$$

ამ ფორმულებით შესაძლებელია განისაზღვროს, თუ რის საფუძველზე იღებს კოოპერატივი აქტივების რენტაბელობის მაღალ ან დაბალ მაჩვენებლებს.

კოოპერატივის ლიკვიდურობისა და ფინანსური სტაბილურობის ანალიზი. ლიკვიდურობა ნიშნავს აქტივების ფულად გადაქცევის შესაძლებლობას მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვის მიზნით. ლიკვიდურობის გაანგარიშების ზოგადი ფორმაა მიმდინარე აქტივებისა და მიმდინარე ვალდებულებების თანაფარდობა.

ასევე არსებობს ლიკვიდურობის კოეფიციენტები, რომლებიც ასახავენ იმას, თუ რამდენად დაფარავს მიმდინარე ვალდებულებებს ყველაზე ლიკვიდური აქტივები. ინდიკატორების სტრუქტურა ასეთია:

$$\text{საერთო ლიკვიდურობა} = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}} ;$$

$$\text{მიმდინარე ლიკვიდურობა} = \frac{\text{მიმდინარე აქტივები-მარაგები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}};$$

$$\text{აბსოლუტური ლიკვიდურობა} = \frac{\text{ფულადი სახსრები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}};$$

არსებობს ინდიკატორების შემდეგი ნორმები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია კოოპერატივის პოზიციის შეფასება ლიკვიდურობის თვალსაზრისით: სრული ლიკვიდურობა (კოეფიციენტის მნიშვნელობა 1-2); მიმდინარე ლიკვიდურობა (კოეფიციენტის მნიშვნელობა 0.8-0.89); აბსოლუტური ლიკვიდურობა (კოეფიციენტის მნიშვნელობა 0.25).

ინვესტიციების ეფექტურობის გაანგარიშების მაგალითზე განვიხილოთ სხვადასხვა ფაქტორის გავლენა კოოპერატივის ეფექტიანობაზე.

პროექტების ჩამოყალიბებაში **ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშებისას**, გამოიყენება რამდენიმე გამაერთიანებელი ინდიკატორი, რომელთა მიხედვით შეიძლება შეფასდეს ინვესტირებული სახსრების მიზანშეწონილობა:

- წმინდა მიმდინარე ღირებულება (სხვაობა საპროექტო პერიოდის სრულ შემოსავალსა და იმავე პერიოდის ყველა ტიპის დანახარჯებს შორის, დროის ფაქტორის გათვალისწინებით, ანუ დისკონტირებით);
- რენტაბელობა - მოგების და კაპიტალური ინვესტიციების თანაფარდობა პროექტის განხორციელების თითოეული წლისთვის;
- შიდა ეფექტიანობის კოეფიციენტი (მოგების მინიმალური ნორმა);
- რენტაბელობის ბარიერი, რომლის დროსაც წმინდა მიმდინარე ღირებულება ინვესტიციის ეკონომიკური ცხოვრების პერიოდში (პროდუქციის წარმოების პერიოდი) ნულის ტოლია. გრძელვადიანი სესხების საპროცენტო განაკვეთების დონე შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ბარიერი;
- კაპიტალური ინვესტიციების დაბრუნების პერიოდი - ინვესტიციების ანაზღაურების პერიოდი შეიძლება განისაზღვროს დისკონტირებული ფულადი ნაკადის საშუალო წლიური ოდენობით.

ცხრილი 5. ინდიკატორის მნიშვნელობა პროექტის რეალიზაციის პირობების მიხედვით
(შედგენილია ავტორის მიერ მე-17 წყაროს მიხედვით)

N	ინდიკატორი	ინდიკატორის მნიშვნელობა პროექტის რეალიზაციის პირობების მიხედვით						
		0	კვარტალი 1	კვარტალი 2	კვარტალი 3	კვარტალი 4	კვარტალი 5	კვარტალი 6
1	შემოსულობები საქმიანობიდან	0	2807835	5826404	5743587	3498995	3884532	5731906
2	ფასდაკლების კოეფიციენტი	1,0000	0,9434	0,8900	0,8396	0,7921	0,7473	0,7050
3	ფასდაკლებული შემოსულობები	0	2648901	5185479	4822427	2771531	2902748	4040767
4	გადინებები საქმიანობიდან	2016000	2866976	5923784	5880501	3367789	3996900	5474132
5	ფულადი სახსრების დინება	-2016000	-59141	-97380	-136914	131205	-112368	257774
6	დაგროვილი ფულადი სახსრების დინება	-2016000	-2075141	-2172521	-2309435	-2178229	-2290598	-2032824
7	ფასდაკლებული ფულადი სახსრების დინება	-2016000	-55793	-86668	-114955	103927	-83968	181720
8	წმინდა ფასდაკლებული ფულადი ნაკადები	-2016000	-2071793	-2158461	-2273417	-2169490	-2253458	-2071738
9	ფასდაკლებული გადინებები	2016000	2704694	5272146	4937382	2667605	2986716	3859047

N	ინდიკატორი	ინდიკატორის მნიშვნელობა პროექტის რეალიზაციის პერიოდების მიხედვით,					
		კვარტალი 7	კვარტალი 8	კვარტალი 9	კვარტალი 10	კვარტალი 11	კვარტალი 12
1	შემოდინებები საქმიანობიდან	5608510	3389007	3729837	5456670	5295084	3170041
2	ფასდაკლების კოეფიციენტი	0,6651	0,6274	0,5919	0,5584	0,5268	0,4970
3	ფასდაკლებული შემოდინებები	3729980	2126305	2207685	3046976	2789384	1575413
4	გადინებები საქმიანობიდან	3098582	3617470	3411244	4583479	4501076	2519558
5	ფულადი სახსრების დინება	2509928	-228463	318593	873191	794008	650482
6	დაგროვილი ფულადი სახსრების დინება	477104	248641	567234	1440425	2234433	2884915
7	ფასდაკლებული ფულადი სახსრების დინება	1669245	-143341	188575	487585	418273	323270
8	წმინდა ფასდაკლებული ფულადი ნაკადები	-402492	-545833	-357258	130327	548601	871871
9	ფასდაკლებული გადინებები	2060734	2269645	2019110	2559391	2371111	1252143
10	ფასდაკლებული გადინების ოდენობის აბსოლუტური მნიშვნელობა	36975725					
11	ფულადი სახსრების შემოდინების ოდენობა	54142407					
12	ფულადი სახსრების გადინების ოდენობა	51257492					
13	დაფარვის პერიოდი ფასდაკლებული ფულადი ნაკადის საშუალო წლიური თანხის საფუძველზე	2,09					
14	ფასდაკლებული ხარჯების მომგებიანობის ინდექსი,%	102,4					
15	წლიური მომგებიანობის შიდა ნორმა,%	41,22					
16	ხარჯების მომგებიანობის ინდექსი,%	105,6					

მე-4, მე-5 ცხრილებში წარმოვაჩინეთ საკვლევი საწარმოების მიხედვით შეჯამებული ინფორმაცია ღირებულებით გამოსახულებაში.

კვლევის პროცესში ძირითად ამოცანად მივიჩნევდით:

- რეალურად არსებული და ფუნქციონირებადი კოოპერატივების პრაქტიკული საქმიანობისა და მაჩვენებლების პრეზენტაციას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში კონკრეტული სიტუაციის ანალიზის მაგალითზე;
- მარკეტინგული, ორგანიზაციული და ფინანსური გეგმების შედგენას, საკვლევი ობიექტების ეფექტიანობის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშებას,
- მიღებული შედეგების განზოგადებასა და სოფლის, სასურსათო უსაფრთხოებისა და აგრობიზნესის მდგრად განვითარებაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების როლისა და მნიშვნელობის მეცნიერულ დასაბუთებას.

საკვლევ ობიექტებში საინვესტიციო ხარჯების დაფინანსების წყაროს წარმოადგენენ: კოოპერატივის დამფუძნებელთა ინვესტიციები საკუთარი 16 ათასი ლარისა და სესხის სახით მოზიდული 2000 ათასი ლარის ოდენობით. სესხის დაფარვა უნდა მოხდეს ორი წლის განმავლობაში, სესხის წლიური პროცენტია - 12%.

ცხრილში (5) მოცემულია მთავარი ეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებს მოცემულ ბიზნეს პროექტს სამი წლის განმავლობაში. გამოთვლების საფუძველზე, მიწოდებისა და გაყიდვების კოოპერატივის ბიზნეს პროექტის ანაზღაურება მოხდება 2,43 წელიწადში. მისი შიდა საპროცენტო განაკვეთი 17.22%-ით აღემატება ფასდაკლების მაჩვენებელს, რაც მიუთითებს პროექტის ფინანსური სიძლიერის ზღვარზე, საქმიანობის გარე ან შიდა პირობების ცვლილებების ფონზე.

პროექტის სრული პერიოდის განმავლობაში ძირითადი საქმიანობიდან ფულადი სახსრების შემოდინება აღემატება ფულადი სახსრების გადინებას: ფასდაკლებულია 2.4%-ით, ხოლო ფასდაკლებული არ არის 5.6%-ით.

წმინდა დისკონტირებული ფულადი სახსრების მოძრაობა სამი წლის განმავლობაში ხასიათდება, როგორც პოზიტიური. გარდა ამისა, ამ კოოპერატივებმა

საქმიანობის სამი წლის განმავლობაში ბიუჯეტს მოუტანს 2,514,8 ათას ლარი მოგების გადასახადი.

ცხრილი 6. ძირითადი ფინანსური და ეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებს სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივებს 3 წლის განმავლობაში დაგეგმილ საქმიანობას (საავტორო ცხრილი)

მაჩვენებლები	პირველი წელი	მეორე წელი	მესამე წელი
ინვესტიციის საწყისი თანხა, ლ.	2016000	-	-
გაყიდვების მთლიანი რაოდენობა, ათ. ლ.	17876820	18613955	17651632
წმინდა მოგება, ათ. ლ.	1115303	4108792	3421282
წმინდა ფასდაკლებული ფულადი სახსრების მოძრაობა, ლ.	-2169490	-545833	871871
ფასდაკლება პროექტით, ლ.	2013045		
ხარჯების მომგებიანობის ინდექსი, %	105,6		
ფასდაკლებული ხარჯების მომგებიანობის ინდექსი, %.	102,4		
პროექტის ფასდაკლებული ანაზღაურების პერიოდი, თვე	2,43		
შიდა მომგებიანობის მაჩვენებელი მთელი პერიოდის განმავლობაში, %	41,22		
ფასდაკლების ნორმა, %	24		

კოოპერატივის შექმნის მეთოდოლოგიური რეკომენდაციები (წესდებისა და მისი რეგისტრაციისათვის საჭირო შემადგენელი დოკუმენტების შემუშავება) და ბაზრის პირობებში მისი ფუნქციონირების პარამეტრების გაანგარიშების ეკონომიკური დასაბუთება საშუალებას მისცემს ამ კოოპერატივებს, საქართველოს რეგიონებში არსებულ თანამედროვე პირობებში გახდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ბაზრის თანაბარუფლებიანი მონაწილეები და ამით წარმოაჩინონ სოფლის, სასურსათო უსაფრთხოებისა და აგრობიზნესის მდგრად განვითარებაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების როლი და მნიშვნელობა.

3.2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების შეფასება „გადაუდებლობა-ზეგავლენის“ მატრიცით

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და სოფლის მეურნეობაში არსებული სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ძირითადი მაჩვენებლების გაანგარიშება შიდა ქართლის რეგიონის ორი მუნიციპალიტეტის დონეზე. ეს მაჩვენებლები იყო შემდეგი:

- 1) ნათესი ფართობები, მოსავალი და მოსავლიანობა;
- 2) პირუტყვის, ფრინველისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება;
- 3) სასუქებისა და შხამ-ქიმიკატების გამოყენება;
- 4) მცირე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რაოდენობა და გამოყენება;
- 5) სასოფლო-სამეურნეო ძირითადი საშუალებები;
- 6) სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის აღებული კრედიტების რაოდენობა.

გამოკვლევის მეთოდია სასოფლო-სამეურნეო აღწერა, რომელიც ჩატარებულია საქსტატის მიერ 2014 წელს, როგორც კვლევის საბაზისო მაჩვენებლები და ავტორის მიერ ჩატარებული კვლევები, რომლის დროსაც გამოკითხვა მიმდინარეობდა ერთსა და იმავე მეურნეობებში 2 წლის განმავლობაში, ანუ 10 ეტაპად (წელიწადში 5 ეტაპი).

გამოკვლევის ობიექტს წარმოადგენდა სოფლად განლაგებული მეურნეობები, რომლებსაც გააჩნიათ სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელი ყველა აუცილებელი ატრიბუტი: ა) სასოფლო-სამეურნეო მიწა, რომელიც ან კერძო საკუთრებაში იმყოფება, ანდა იჯარით არის აღებული; ბ) კერძო საკუთრებაში მყოფი, ანდა იჯარით აღებული ფრინველი, პირუტყვი ან ფუტკარი, რომელიც ამ მიწაზეა განთავსებული.

საველე სამუშაოები. გამოსაკვლევი მეურნეობების შესაბამის მუნიციპალიტეტებში მოვიპოვეთ კვლევის ჩატარების მიზნით გამოკითხვის ნებართვა, რომელიც მუნიციპალიტეტში შესაბამისი თანამშრომლებისთვის კვლევის შინაარსის, მიზნებისა და მიმდინარეობის გრაფიკის წარდგენის შემდეგ მივიღეთ.

შემდეგი ეტაპი იყო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის თანამშრომელ-პარტნიორებთან გაცნობა და კვლევისთვის მათი მზაობის დადგენა. მათი თანხმობის

შემდეგ ჩვენ გავხდით ისეთი ინფორმაციის მფლობელები, როგორცაა მეურნეთა საწარმოო კოოპერატივის სახელი, რეგისტრაციის ნომერი, მისამართი და ზოგიერთი სხვა ინფორმაცია.

რაც შეეხება კოოპერატივების თანამშრომელთა **გამოკითხვის მეთოდებს**:

1. საწარმოს წარმომადგენელი და ნდობით აღჭურვილი პირი ავსებდა ხუთივე ეტაპისათვის დამზადებულ ონლაინ-კითხვარებს;
2. იმ შემთხვევაში, როდესაც იყო ონლაინ-კითხვარის შევსების პრობლემა (მაგალითად, პირის მიერ კომპიუტერთან ურთიერთობის სიძნელის, სხვა დასაბუთებული მიზეზის გამო), მაშინ ტარდებოდა პირისპირ, ან ტელეფონით გამოკითხვა.

გამოკვლევის ეტაპები. როგორც აღვნიშნეთ, გამოკვლევა შედგება 5 რაუნდისგან, აქედან თითოეულ რაუნდს შეესაბამება საკუთარი კითხვარი. კერძოდ:

- **საწყისი გამოკითხვა**, რომელიც ჩატარდა 2019 წლის იანვარ-თებერვალში. პირველ რიგში მოვახდინეთ საკვლევი მეურნეობების იდენტიფიცირება და მათი განვლილი პერიოდის მაჩვენებლების მიხედვით ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობის წინასწარი შესწავლა;
- **კვარტალური გამოკითხვა**, სულ სამი, რომელიც შესაბამისად 2019 წლის I, II და III კვარტლების ბოლოს ჩატარდა სპეციალური კითხვარებით. შეგროვდა საკვლევი მეურნეობების მიერ კვარტალური შედეგების მიხედვით დაფიქსირებული საანგარიშო ინფორმაცია;
- **ფინალური გამოკითხვა**, რომელიც ჩატარდა 2019 წლის IV კვარტლის, ანუ წლის ბოლოს. გამოკვლევის ამ ეტაპსაც საკუთარი კითხვარი შევუსაბამეთ.

ასეთივე მიმდევრობითა და ლოგიკით ჩატარდა კვლევა 2020 წელს. აქედან აღსანიშნავია კვარტალური კვლევები, რომელთაგან სამივე პანდემიის პერიოდს დაემთხვა. რომ არა კვლევის პირველი ეტაპი, რომელიც წინ უძღოდა 2020 წელს, მისი ბოლომდე მიყვანა ობიექტურად გაჭირდებოდა. მაგრამ ვინაიდან როგორც თვით ინტერვიურებულები, ასევე შესაბამისი მუნიციპალიტეტები უკვე იცნობდნენ კვლევის მიმდინარეობასა და თავისებურებებს, ონლაინ და ტელეფონით გავაგრძელეთ მონაცემების შეგროვება.

მონაცემების აქტუალიზაცია. სხვაგვარად ამ ეტაპს „გაწმენდა“ ეწოდება. კვლევის პროცესში ხდება როგორც არითმეტიკული, ასევე ლოგიკური ხასიათისა და სხვა შეცდომების დაშვება, რომელთაგან საბოლოო მონაცემები თავისუფალი უნდა იყოს. ეს თავიდან გვარიდებს შეუსაბამობებს, რომლებიც შესაძლებელია გაჩნდეს არასრული ანდა მცდარი მონაცემების ანალიზის დროს. მონაცემების „გაწმენდა“ და მათი ერთმანეთთან ჰარმონიზირება ხდება როგორც ლოგიკური, ასევე სტატისტიკური მეთოდებით. გამოკვლევის სწორედ ამ ეტაპზე იქმნება ის, რასაც კვლევაში „მონაცემთა ბაზის“ სახელწოდებით მოვიხსენიებთ.

მონაცემთა ბაზის ანალიზი. მონაცემების აქტუალიზაციის შემდეგ დავიწყეთ მისი გაანალიზება და საწყისი ეტაპისათვის დამახასიათებელი ცხრილებისა და დიაგრამების ფორმირება. მიღებული შედეგების შედარებას ვახდენდით წინა ანალოგიურ ეტაპებთან და ნებისმიერ გადახრას ვუძებნიდით ლოგიკურად დასაბუთებულ მიზეზს. მხოლოდ ამის შემდეგ ვახდენდით ანალიზის შედეგების როგორც ტექსტუალური, ასევე ვიზუალიზებული მონაცემების (გრაფიკები, სქემები, ცხრილები) სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო ტექსტში შეტანას.

მეურნეობის იდენტიფიკაცია გამოკვლევის მნიშვნელოვანი ეტაპია, ვინაიდან სწორედ ამ დროს დავადგინეთ, დარჩებოდა გამოსაკვლევათა სიაში ესა თუ ის მეურნეობა. იდენტიფიცირების დროს უბრალოდ ვარკვევდით - არსებობს თუ არა კონკრეტული მეურნეობა რეალურად, ანუ ეწევა თუ არა სასოფლო-სამეურნეო წარმოებას. უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი კოოპერატივი, რომელიც წინასწარ გვქონდა სიაში შეტანილი მათი შემდგომი გამოკვლევის მიზნით, სწორედ ამ ეტაპზე იქნა სიიდან ამოღებული. ამის მიზეზი გახდა ის, რომ ბევრმა მათგანმა, წარმოების გამწვანებული პირობების მიზეზით, დროებით შეაჩერა მიწის იჯარა და უახლოეს მომავალში არ აპირებს მის განახლებას.

რამდენიმე სიტყვით აღვწერთ გამოკითხვის პროცესს და გამოყენებულ კითხვარებს:

საწყისი კითხვარები გამოვიყენეთ გამოკვლევის პირველ და მეორე წელს. შემდგომ ისინი შეიცვალა ბევრი მიზეზის გამო: ნაკვეთის სარეგისტრაციო ნომრებში,

პარტნიორთა სტრუქტურაში, ნაკვეთის საიდენტიფიკაციო მონაცემებში, მიწათსარგებლობის უფლებრივი ცვლილებები, პირუტყვის სულადობა და სხვა;

კვარტალური კითხვარები გამოვიყენეთ გამოვიყენეთ კვლევის როგორც პირველ, ასევე მეორე წელს. თავფურცლები ამ კითხვარებში ივსებოდა საწყისი კითხვარის ანალოგიურად და, შესაბამისად, თუ საწყის კითხვარში რაიმე მონაცემი იცვლებოდა, ეს კვარტალურ კითხვარებში პოვებდა ასახვას;

ფინალური კითხვარი გამოვიყენეთ ორივე წლის მე-4 კვარტლებში, ანუ წლის დასასრულს. ვინაიდან დასკვნითი კითხვარი წლის შემაჯამებელს წარმოადგენს, გასაგებია, რომ მას ჩვენ ვადგენდით, როგორც საწყის და კვარტალურ კითხვარებში ასახული მაჩვენებლების ჯამურ დოკუმენტს.

დაბოლოს აღვნიშნავთ, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა, სასუქებისა და პესტიციდების (შხამ-ქიმიკატების), სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მოწყობილობებისა და სასოფლო მეურნეობათა იურიდიული სტატუსების კოდები აღებული გვაქვს „სასოფლო მეურნეობათა გამოკვლევის კითხვარების შევსების ინსტრუქციიდან“, რომელიც დამტკიცებულია სსიპ „საქსტატის“ 2019 წლის მე-4 დადგენილებით.¹⁴

სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივები (სსკ) იქმნებოდა სხვადასხვა კორპორატიული მეურნეობების გარდაქმნის გზით და არა თანამშრომლობის კლასიკური პრინციპების შესაბამისად, ამიტომ მათი რაოდენობის ზრდა აიხსნება მათი იურიდიული ბაზის თანმდევი უპირატესობებით, მათი შექმნისა და ფუნქციონირების ორგანიზაციული და ეკონომიკური მექანიზმით, აგრეთვე სოფლის მოსახლეობის მენტალიტეტით. ამავე დროს, სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებთან შედარებით, მომგებიანი სსკ-ს რაოდენობა გაცილებით ნაკლებია.

საქართველოში 2021 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით ფუნქციონირებს 1000 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, აქედან დახურული სააქციო საზოგადოებაა - 10,8%, ღია სააქციო საზოგადოება (ღსს) - 5,1%, შეზღუდული პასუხისმგებლობის

¹⁴https://www.geostat.ge/media/20978/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%9D_%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90_%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A5%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90.pdf

საზოგადოებები (შპს) - 15,3% და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების სტრუქტურაში ყველაზე მაღალია, მათ მიერ მიღებულია ყველა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციის მოგების მხოლოდ 28,2%. გარდა ამისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხოლოდ მცირე ნაწილია სტაბილურად ფინანსური და ზრდის წარმოების მოცულობებს, ხოლო დანარჩენი წამგებიანია (55,6%).¹⁵

განვიხილოთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ფუნქციონირებდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები; ზოგადად, იმ რეგიონებში, სადაც მთლიან რეგიონულ პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილი დაბალია, მეწარმე სუბიექტები ჭარბობენ, ხოლო სტატისტიკური მონაცემებიდან კი ჩანს, რომ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების სტრუქტურაში ყველაზე ფართოდ კოოპერატივია გავრცელებული. ცხადია, თავდაპირველად ჩავთვალეთ საჭიროდ სწორედ ჩვენი რეგიონის მაგალითის შესწავლა და გაანალიზება, მაგრამ, სამწუხაროდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე კოოპერატივების შექმნის დინამიკის უფრო ღრმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ვერც ერთი მათგანი ვერ მოგვეცემა დროში უწყვეტ მასალას სამეცნიერო კვლევის ბაზის შესაქმნელად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩამოყალიბებული კოოპერატივებიდან არც ერთს არ აქვს სამი წლისა და მეტის ფუნქციონირების ისტორია. ხოლო მათ, ვისაც ერთი შეხედვით აქვს, სინამდვილეში საკვლევი პერიოდის მანძილზე საქმიანობაში ქონდა მნიშვნელოვანი წყვეტა, რაც ვერანაირად ვერ აკმაყოფილებდა ჩვენს სამეცნიერო ინტერესს და შესაბამისად ვერც გახდებოდა შესწავლის ობიექტი.

ჩვენი ინტერესი შეჩერდა შიდა ქართლის რეგიონზე, რომელიც ძირძველ სასოფლო-სამეურნეო მხარეს წარმოადგენს და, გარდა ამისა, კოოპერატივებისა და აგროსამრეწველო კომპლექსების ჯერ საბჭოური, ხოლო მცირედი პაუზის შემდეგ, უახლესი ისტორია გააჩნია. უნდა აღვნიშნოს, რომ როგორც სოფლის მეურნეობის სფეროში შექმნილ ყველა ორგანიზაციას, კოოპერატივისაც აქვს ეკონომიკური

¹⁵ <https://mepa.gov.ge/Ge/Page/RegisterofAgriculturalCooperatives>

საქმიანობის სირთულეები: საბრუნავი კაპიტალის ნაკლებობა, ძირითადი საშუალებების ცვეთა, საკრედიტო ვალდებულებები, საწვავ-საპოხი მასალებისა და შხამ-ქიმიკატების მაღალი ფასები და ა.შ. კოოპერატივების დაბალი ეფექტურობა აიხსნება როგორც გარე, ისე შიდა ფაქტორების ზემოქმედებით.

3.2.1. მატრიცა „გავლენა-გადაუდებლობა-პრიორიტეტი“

მაილს სუერი, რომელიც CIO ჟურნალისთვის წერს, ამტკიცებს, რომ ლიდერებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ისეთ საკითხებს, რაც მომხმარებელს სარგებელს მოუტანს. ეს მოიცავს ბიზნეს-წინააღმდეგობის შემცირებაზე დახარჯულ დროსა და ძალისხმევას. რაც შეეხება ბიზნეს პრიორიტეტებს, არაფერი წარმოაჩენს საკუთრ თავს ისე, როგორც მოგება, რომელიც წარმოადგენს ნებისმიერი ბიზნესის შედეგს.

დამატებული ღირებულების რაოდენობის დასადგენად უნდა განისაზღვროს და გაიზომოს პრიორიტეტები და ქმედებები, რომლებიც მხარს უჭერს (ან არ უჭერს) ამგვარ ძალისხმევას. ამა თუ იმ ფაქტორისათვის პრიორიტეტის მინიჭება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ბიზნესის საჭიროებებისთვის: ის წარმოაჩენს შემთხვევის ანდა კატეგორიის შედარებით მნიშვნელობას, ასე რომ გასაგები ხდება, რამდენად საჭიროა იგი და რა სისწრაფით უნდა მოხდეს მასზე რეაგირება.

პრიორეტიზაციის ყველაზე გავრცელებული მოდელი მოიცავს გავლენისა და აქტუალობის გაგებას. იმაზე, თუ როგორ რეაგირებს ბიზნესი მომხმარებლების ნებისმიერ მოთხოვნასა ან პრობლემაზე, დამოკიდებულია, თუ რას ფიქრობს ორივე მხარე ფაქტორის (მოვლენის, კატეგორიის) ზეგავლენასა და გადაუდებლობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ამ კომპონენტების მარტივ მათემატიკურ ტოლობამდე დაყვანა, ექსპერტები არავის ურჩევენ ამის გაკეთებას, ვინაიდან გავლენის, გადაუდებლობისა და პრიორიტეტის გათვალისწინება გაცილებით მეტია, ვიდრე ფაქტორის მნიშვნელობისა და კონტექსტის შესახებ

გადაწყვეტილების მიღება. ეს არის ელემენტები, რომელთა განსაზღვრა მხოლოდ კონკრეტულ კომპანიას ხელეწიფება.

განვიხილოთ ამ ფაქტორთაგან თითოეული და დავინახოთ, როგორ უწყობს ხელს მათ კონტექსტი და ფარდობითობა:

გავლენა. იგი განისაზღვრება, როგორც ინციდენტის, პრობლემის ან ცვლილების ზემოქმედება ბიზნეს პროცესებზე. ეს ეფექტი შეიძლება პოზიტიური იყოს: ინვესტიციის ანაზღაურება ან მომხმარებელთა კმაყოფილება, პროდუქტის ახალი მახასიათებელი ან გაუმჯობესება; და პირიქით, ეს შეიძლება იყოს მკვეთრად ნეგატიური, რაც დამოკიდებულია დაზიანების ხარისხზე ან ხარჯებზე, მაგალითად: შემოსავლის, სამუშაო საათების ან მომხმარებელთა დაკარგვა, IT მომსახურების გათიშვა ან ცუდი პროდუქტიულობა და სხვა.

როგორც წესი, გავლენა არ გამოიხატება აბსოლუტური მნიშვნელობით, არამედ დიაპაზონში ან ხარისხში, რაც დამოკიდებულია კომპანიის კონტექსტის ინტერპრეტაციაზე. ეს დიაპაზონი შეიძლება შეიცავდეს:

- დაზარალებული კლიენტების / მომხმარებლების რაოდენობას;
- დაკარგული შემოსავლის ან გაწეული ხარჯების რაოდენობას;
- დაკარგული შემოსავლის ან გაწეული ხარჯების ოდენობას.

ელემენტების რაოდენობა, სხვადასხვა ტერმინების გამოყენებით, ხელს შეუწყობს ფაქტორის გავლენის ან შედეგების განსაზღვრას. ეს შეიძლება იყოს:

- მაღალი, საშუალო, დაბალი;
- საწარმოს მასშტაბის, ფართო/ფართოდ გავრცელებული;
- ზომიერი (მრავალი მომხმარებლისთვის, ინდივიდუალური (ერთეული მომხმარებლისთვის));
- კრიტიკული, მნიშვნელოვანი, უმნიშვნელო.

უნდა გვახსოვდეს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ტერმინებზე შეთანხმებას თავიდანვე. ანუ მონაწილე მხარეები ერთსა და იმავე მნიშვნელობას უნდა ანიჭებდნენ ამა თუ უმ ტერმინს. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ რეიტინგის (წონის) მინიჭების დროს არ მოხდეს აღრევა. ტერმინის „გავლენა“ მკაფიო და ყველას მიერ

გაზიარებული გაგება პირველი ნაბიჯია პრიორიტეტულობის ობიექტური დადგენისაკენ.

გადაუდებლობა არ არის იმდენად ეფექტი, რამდენადაც დრო. დროითი, ანუ გადაუდებლობის ფუნქცია დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სისწრაფით ელოდება ბიზნესი ან კლიენტი სასურველ შედეგებს. ეს შეიძლება იყოს მომსახურების ნორმალური ფუნქციონირების აღდგენა, ახალი ან განახლებული სერვისის ანდა პროდუქტის განვითარება, განთავსება, მიწოდება და მრავალი სხვა.

რაც უფრო დიდხანს სურს კომპანიას დალოდება ან რაც უფრო ხანგრძლივი დროით შეუძლია რაიმეს გადადება, მით უფრო დაბალია გადაუდებლობის მნიშვნელობა. ყველაფერი, რაც მნიშვნელოვნად აისახება ბიზნესზე ოპერატიული, მარეგულირებელი ან ფინანსური თვალსაზრისით, უფრო მეტად აქტუალურია, ვიდრე სხვა რამ. მაგალითად, VIP მოთხოვნას ჭირდება რეაგირებისა და გადაჭრის უფრო მოკლე დრო, რადგან ეს ყველაზე გადაუდებელი (ანუ პრიორიტეტული) საკითხია.

გავლენის მსგავსად, გადაუდებლობის მასშტაბი დამოკიდებულია ბიზნესის კონტექსტზე, საჭიროებებსა და რისკებზე. გადაუდებლობის განსაზღვრისას გამოყენებული საერთო მასშტაბები არის **კრიტიკული, დიდი, საშუალო და უმნიშვნელო**.

პრიორიტეტი არის გავლენისა და გადაუდებლობის გადაკვეთა. გავლენის და გადაუდებლობის გათვალისწინებით კომპანიას უფრო ნათლად ესმის, თუ რა არის უფრო მნიშვნელოვანი ამ კონკრეტულ ეტაპზე.

პრიორიტეტი შედარებითია: ის განსაზღვრავს, თუ რა ქმედებების განხორციელებაა აუცილებელი კონკრეტულ მოცემულ პირობებში, მაგრამ არასდროს არის სამუდამო მოცემული, რადგანაც შეიძლება შეიცვალოს კონტექსტის შესაბამისად.

გავლენა-გადაუდებლობის რუქა შეიძლება გაკეთდეს მარტივ მატრიცაში, რომლის დაშიფრვა შეიძლება კომპანიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით. ეს იმისთვისაა საჭირო, რომ უფრო მარტივი გახდეს მომსახურების დონის განსაზღვრა

და სხვადასხვა ინციდენტის, პრობლემის, მოთხოვნის ან ცვლილების გამოყენებისას მათი გადაჭრისა და შესრულების მაჩვენებლების თვალყურისდევნება.

პრიორიტეტულობის მასშტაბი განისაზღვრება, როგორც:

- კრიტიკული;
- მაღალი;
- საშუალო;
- დაბალი.

ჩვენ მოვიყვანეთ გავლენა-გადაუდებლობისა და პრიორიტეტულობის მატრიცის მაგალითი. ყველაფერი, რასაც აქვს მაღალი გავლენა და მაღალი გადაუდებლობა, ღებულობს ყველაზე მაღალ პრიორიტეტს, ხოლო დაბალი გავლენა და დაბალი გადაუდებლობა - ყველაზე დაბალ პრიორიტეტს.

არცერთი მატრიცა არ არის უნივერსალური სტრუქტურა. იმისათვის, რომ დადგინდეს აქტუალობა, გავლენა და პრიორიტეტი, ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან და შემდეგ განუწყვეტლივ უნდა განისაზღვროს ტერმინთა განმარტებები. ის, რაც ბიზნესისთვის მაღალი პრიორიტეტია, შეიძლება ბევრად ნაკლებად მნიშვნელოვანი იყოს მესამე მხარისათვის, ამიტომ, ყველა შეთანხმებისა და კონტრაქტის შესაბამისობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

დიაგრამა 3. გავლენა-გადაუდებლობა-პრიორიტეტის მატრიცა¹⁶

		გავლენა			
		დაბალი	საშუალო	მაღალი	მაღალი
გადაუდებლობა	პრიორიტეტი	საშუალო	მაღალი	მაღალი	მაღალი
	მაღალი	საშუალო	მაღალი	მაღალი	მაღალი
	საშუალო	დაბალი	საშუალო	მაღალი	მაღალი
	დაბალი	დაბალი	დაბალი	საშუალო	საშუალო

¹⁶ შედგენილია წყაროს მიხედვით: <https://blogs.bmc.com/impact-urgency-priority/?print=pdf>

უნდა აღინიშნოს, რომ როცა ვაანალიზებდით საკვლევ საკითხს, პრიორიტეტების განსაზღვრის საკითხმა ერთგვარი დაბნეულობა გამოიწვია. პრიორიტეტის დონეების შერჩევასაც ჩვენი, კოოპერტივის წევრებისა და მომხმარებლების მოსაზრებები გაიყო. თუნდაც ყოველდღიური საკითხებისთვის, მომხმარებლები ადგენდნენ პრიორიტეტის ყველაზე მაღალ დონეს, და - პირიქით, კოოპერტივის წევრები ქვედა საფეხურებს, რადგანაც არ სურდათ საკუთარი თავის შეზღუდვა უფრო მოკლე დროითი მონაკვეთით.

ამ საკითხის მოსაგვარებლად, გარკვეული „დიპლომატობა“ აუცილებელი, რათა მკაფიოდ განისაზღვროს, თუ რას წარმოადგენს თითოეული მასშტაბი. ეს ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვისაა გასათვალისწინებელი. პრიორიტეტების დადგენის შემდეგ, რა თქმა უნდა, კვლავ ეთმობა ყურადღება მომხმარებლებისთვის მნიშვნელოვან კონკრეტულ კომპონენტებს, სიტუაციებსა და მოთხოვნებს.

მიუხედავად ყველაფრისა, საბოლოოდ პრიორიტეტები შემდეგნაირად განლაგდა:

1. გადაუდებლობა:

მაღალი. ორგანიზაციული და ეკონომიკური მექანიზმი. კოოპერტივების ორგანიზაციული და ეკონომიკური მექანიზმი წარმოადგენს მონაწილეთა საწარმოო და ეკონომიკური ურთიერთობების საფუძველს. კოოპერტივის წევრებს შორის პროდუქციის წარმოების, მათი გადამუშავებისა და რეალიზაციისათვის ეკონომიკური ურთიერთობების გაუმჯობესება უზრუნველყოფილია მისი წევრების ორგანიზაციული, მენეჯერული, ტექნოლოგიური და ეკონომიკური ერთიანობისა და საბოლოო შედეგის მისაღწევად მიმართული მრავალი პრინციპით.

საშუალო. სოფლის მეურნეობის მომსახურე კოოპერტივების შექმნა. ამას ხელს უწყობს სოფლის საკრედიტო კოოპერტივები, რომელთა წევრები ძირითადად გლეხური (ფერმერული) შინამეურნეობები არიან. თუ მათ სჭირდებათ საკუთარი პროდუქციის გადამუშავება და რეალიზაცია, სხვადასხვა რესურსების მიწოდება და მომსახურების გაწევა, მაშინ კოოპერტივის წევრებს შეუძლიათ შექმნან საკრედიტო, მარკეტინგის, გადამამუშავებელი და მომმარაგებელი კოოპერტივები. სოფლის მცირე ბიზნესის უმეტეს ერთეულს სჭირდება პროდუქციის შესყიდვის,

გადამუშავებისა და რეალიზაციის, სასესხო, სადაზღვევო და სოფლის მეურნეობის მომსახურების საწარმოები (მათ შორის კოოპერატიულიც). ბევრ სასოფლო ორგანიზაციას არ შეუძლია ამ პრობლემის მოგვარება და კოტრდება. ამდენად ვთვლით, ამ ფაქტორის გადაუდებლობის რეიტინგი საშუალოა.

დაბალი. არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს სრულყოფა. არსებული საკანონმდებლო ჩარჩო სოფლის მეურნეობის მწარმოებლების ყველა ფორმის მეურნეობებთან ჰორიზონტალური და ვერტიკალური თანამშრომლობის საშუალებას იძლევა, როგორც ერთმანეთთან, ასევე სხვა აგრობიზნესთან, სხვადასხვა დონეზე. ესაა:

ა) შიდა სამეურნეო თანამშრომლობა მოიცავს საწარმოო ერთეულების თანამშრომლობას, რომლებიც მონაწილეობენ ტექნოლოგიურად დაკავშირებულ ოპერაციებში კონკრეტული სოფლის მეურნეობის პროდუქტის წარმოებისთვის.

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლობა ხორციელდება ეტაპობრივად:

- კოოპერატივების წარმოების ქვედანაყოფებისათვის ნაწილობრივი ეკონომიკური დამოუკიდებლობის მინიჭება;
- მათი გადაცემა საიჯარო ურთიერთობებისთვის;
- საიჯარო კოლექტივების შემოსავლების დაკავშირება ეკონომიკური საქმიანობის შედეგებთან;

გ) საქართველოს რეგიონების დონეზე თანამშრომლობა. მნიშვნელოვანია ადგილობრივი (პირველადი) მომსახურების კოოპერატივების ორგანიზაცია: ერთ პროდუქტზე სპეციალიზირებული (რძე, ხორცი, კარტოფილი) ან მრავალპროფილიანი, რომელსაც შეუძლია შეიძინოს რამდენიმე სახეობის პროდუქტი (რძე, ხორცი, კარტოფილი). ასოცირებული წევრები შეიძლება იყვნენ: სოფლის ადმინისტრაცია, ვაჭრობა და ა.შ. ამ კოოპერატივების ძირითადი ამოცანებია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების შექმნა პირადი, გლეხების (ფერმერების) მეურნეობებიდან, სოფლის მეურნეობის ორგანიზაციებიდან, გადამამუშავება, რეალიზაცია, კოოპერატივის წევრების მატერიალური და ტექნიკური მომარაგება, მანქანა-ტრაქტორისა და სატრანსპორტო

მომსახურება, კოოპერატივის წევრების საკვებით უზრუნველყოფა და იგივე პროდუქციისა და მომსახურების სხვა რეგიონებისთვის მიწოდება ან/და მათთან თანამშრომლობა.

მაგრამ ამის განსახორციელებლად სრულყოფას მოითხოვს არსებული სამართლებრივი ბაზის ცალკეული დებულებები. მაგრამ ვინაიდან სამართლებრივი ბაზა ასე თუ ისე ქმედით მდგომარეობაშია და ჯერჯერობით აწესრიგებს სფეროში შექმნილ ვითარებას, ვთვლით, რომ ამ ფაქტორის გადაუდებლობის რეიტინგი სხვასთან შედარებით დაბალია.

2. გავლენა:

მაღალი. წარმოების ეფექტიანობის ზრდა. კოოპერატივის ფუნქციონირება შეუძლებელია გარე გარემოსთან ეკონომიკური ურთიერთქმედების გარეშე, ხოლო წარმოების ეფექტურობის გაზრდა შეუძლებელია ბაზრის ყველა მონაწილე მხარესთან ურთიერთქმედების ოპტიმალური სქემის შექმნის გარეშე. ვინაიდან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ეფექტურობა თითოეული მონაწილის მუშაობის სრული ეფექტურობისა და მათი ერთობლივი საქმიანობის საერთო შედეგია, ამიტომ ასეთი კოოპერატივების ეფექტურობის ზრდა პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციისთვის ხდება: გარიგების ხარჯების დაზოგვის, მარაგების რიტმულობის და თითოეული მონაწილის პროდუქტზე მოთხოვნის გარანტიის, საბრუნავი კაპიტალის საჭიროების შემცირების, ინვესტიციის პირობების შექმნისა და სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის დანერგვის ხარჯზე. თანამშრომლობის არსის სოციალური ასპექტი მდგომარეობს მის წევრთა სოციალური პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობაში. ვთვლით, რომ ამ ფაქტორის გავლენის რეიტინგი მაღალია.

საშუალო. სპეციალიზაცია. ძირითადი ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავს კოოპერატივების ორგანიზაციულ სტრუქტურას, ფორმას, ზომას და მათ ერთმანეთთან ურთიერთობის სისტემას, არის: წარმოების სეზონურობა, საბოლოო პროდუქციის წარმოების ინტენსივობა, ნედლეულის ტრანსპორტირება, სარეალიზაციო ბაზრებამდე არსებული დაშორება, რესურსების ხელმისაწვდომობა - ანუ ყველაფერი, რაც განსაზღვრავს სპეციალიზაციას.

ჰორიზონტალური თანამშრომლობა გულისხმობს ინდივიდუალური ტექნოლოგიური ოპერაციების იზოლირებას სოფლის მეურნეობის პროდუქტების ტექნოლოგიური წარმოებისგან ან სოფლის მეურნეობის შუალედური პროდუქტისგან და ასახავს ტერიტორიულ კავშირებს. თანამშრომლობენ ის პროცესები, რომელთა გაფართოებიდან ყველაზე დიდი სარგებელი მიიღება. კოოპერატივები ჰორიზონტალური თანამშრომლობის ორგანიზაციული ფორმაა, რომელიც სხვადასხვა მომსახურებას ახორციელებს (აგროქიმიური, სატრანსპორტო, ახალგაზრდა პირუტყვის გამომზრდელი, საკვების მწარმოებელი და ა.შ.). ვთვლით, რომ ამ ფაქტორის გავლენის რეიტინგი საშუალოა.

დიაგრამა 4. ქვემო ქართლის რეგიონის საკვლევი კოოპერატივების გავლენა-გადაუდებლობა-პრიორიტეტის მატრიცით ანალიზი (საავტორო დიაგრამა)

		გავლენა			
		პრიორიტეტი	დაბალი ვერტიკალური თანამშრომლობა	საშუალო წარმოების ეფექტიანობის ზრდა	მაღალი სპეციალიზაცია
გადაუდებლობა	მაღალი ორგანიზაციული და ეკონომიკური მექანიზმი	საშუალო	მაღალი	მაღალი	
	საშუალო სასოფლო-სამეურნეო მომსახურების კოოპერატივების შექმნა	დაბალი	საშუალო	მაღალი	
	დაბალი არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს სრულყოფა	დაბალი	დაბალი	საშუალო	

დაბალი. ვერტიკალური თანამშრომლობა. სხვადასხვა დონეზე ვერტიკალური თანამშრომლობისა და კოოპერატიული გაერთიანებების ორგანიზების დახმარებით, სოფლის მეურნეობის მწარმოებლებს შეუძლიათ საგარეო ურთიერთობებზე გასვლა, მასთან დაკავშირებულ ინდუსტრიებთან სოფლის მეურნეობის პროდუქტების

გადამუშავების მიზნით, რაც მოიცავს მთელ პროცესს, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებიდან დაწყებული, მათ დამუშავებას და საბოლოოდ მომხმარებლისთვის მიტანით დამთავრებული. ჰორიზონტალური და ვერტიკალური თანამშრომლობის ურთიერთქმედებას მოაქვს შემდეგი სარგებელი:

- სოფლის მეურნეობის წარმოებისა და გადამუშავების სოციალიზაციის უფრო მაღალი ხარისხი;
- ხელსაყრელი პირობები სამეცნიერო მიღწევებისა და პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვისთვის;
- იმ ტერიტორიების სოციალური პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტა, სადაც კოოპერატიული ფორმირებებია განლაგებული.

ამდენად, კვლევის შედეგების მატრიცით ანალიზის მეშვეობით მივიღეთ შემდეგი შედეგები:

1. მაღალი გადაუდებლობის და დაბალი გავლენის კვეთაზე ერთმანეთს უპირისპირდება ორგანიზაციული და ეკონომიკური მექანიზმის მაღალი და ვერტიკალური თანამშრომლობის დაბალი პრიორიტეტები. შედეგად ვასკვნით, რომ ეფექტიანი ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის არსებობის დროს სახელმწიფო მხარდაჭერის დაბალი აქტივობის პირობებშიც კი კოოპერატივი სიცოცხლისუნარიანია;
2. საშუალო გადაუდებლობის და დაბალი გავლენის კვეთაზე ერთმანეთს უპირისპირდება სოფლის მეურნეობის მომსახურე კოოპერატივების შექმნის საშუალო და ვერტიკალური თანამშრომლობის დაბალი პრიორიტეტები. შედეგად ვასკვნით, რომ სოფლის მეურნეობის მომსახურე კოოპერატივების არც თუ განვითარებულ პირობებში სახელმწიფო მხარდაჭერის დაბალი დონის არსებობისას კოოპერატივის სასიცოცხლო თვისებები საკმაოდ დაბალია;
3. დაბალი გადაუდებლობის და დაბალი გავლენის კვეთაზე ერთმანეთს უპირისპირდება არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს სრულყოფის დაბალი და ვერტიკალური თანამშრომლობის დაბალი პრიორიტეტები. შედეგად ვასკვნით, რომ სახელმწიფო მხარდაჭერის დაბალი დონე გამოიხატება სწორედ მოუქნელი და არასრულყოფილი ნორმატიული ბაზით;

4. მაღალი გადაუდებლობის და საშუალო გავლენის კვეთაზე ერთმანეთს უპირისპირდება ორგანიზაციული და ეკონომიკური მექანიზმის მაღალი და წარმოების ეფექტიანობის ზრდის მაღალი პრიორიტეტები. შედეგად ვასკვნით, რომ ორგანიზაციის მაღალი დონის არსებობის შემთხვევაში იზრდება წარმოების ეფექტიანობა;
5. საშუალო გადაუდებლობის და საშუალო გავლენის კვეთაზე ერთმანეთს უპირისპირდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის საშუალო და წარმოების ეფექტიანობის ზრდის საშუალო პრიორიტეტები. შედეგად ვასკვნით, რომ კოოპერატივების შექმნის საშუალო ტემპით ზრდის შემთხვევაშიც კი აუცილებელია წარმოების ეფექტიანობის ზრდაზე ზრუნვა;
6. დაბალი გადაუდებლობის და საშუალო გავლენის კვეთაზე ერთმანეთს უპირისპირდება არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს სრულყოფა და წარმოების ეფექტიანობის ზრდის საშუალო პრიორიტეტები. შედეგად ვასკვნით, რომ წარმოების ეფექტიანობის ზრდა ვერ იქნება მიღწეული არასრულყოფილი და განუვითარებელი ნორმატიული ბაზის არსებობის პირობებში;
7. მაღალი გადაუდებლობის და მაღალი გავლენის კვეთაზე ერთმანეთს უპირისპირდება ორგანიზაციული და ეკონომიკური მექანიზმის მაღალი და სპეციალიზაციის მაღალი პრიორიტეტები. შედეგად ვასკვნით, რომ რაც მაღალია სპეციალიზაციის პრიორიტეტი, მით სრულყოფილია ეკონომიკური და ორგანიზაციული მექანიზმები;
8. საშუალო გადაუდებლობის და მაღალი გავლენის კვეთაზე ერთმანეთს უპირისპირდება სოფლის მეურნეობის მომსახურე კოოპერატივების შექმნის საშუალო და სპეციალიზაციის მაღალი პრიორიტეტები. შედეგად ვასკვნით, რომ კოოპერატივების მაღალი სპეციალიზაციის პირობებში მეტად არის დიფერენცირებული სასოფლო-სამეურნეო მომსახურების კოოპერატივები;
9. დაბალი გადაუდებლობის და მაღალი სპეციალიზაციის კვეთაზე ერთმანეთს უპირისპირდება არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს სრულყოფის დაბალი და სპეციალიზაციის მაღალი პრიორიტეტები.

3.3. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების პრიორიტეტები და რეგულირების მექანიზმები

თანამედროვე საქართველოს კოოპერატივების განვითარების ისტორიაში შიდა ქართლმა მისი ფორმირებისა და განვითარების მიხედვით ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია დაიკავა.

როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ, აღმოსავლეთ საქართველოში კოლმეურნეობები და მათ სტრუქტურაში გაერთიანებული არტელები დიდი ხნის განმავლობაში, 1925-დან 1991 წლამდე იყვნენ სასოფლო-სამეურნეო თანამშრომლობის თითქმის ერთადერთი წარმომადგენლები. სსრკ კანონში „სსრკ-ში თანამშრომლობის შესახებ“ სოფლის მეურნეობის სფეროში თანამშრომლობის განყოფილება მთლიანად კოლმეურნეობებს ეთმობოდა. XX საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო აგრო-ინდუსტრიული წარმოების ორგანიზაციის ახალი ფორმების შესწავლა, რადგანაც სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პროცესი მიმდინარეობდა გარკვეული თანამშრომლობის კლასიკური პრინციპებიდან გადახრებით. საქართველოში აგრო ინდუსტრიული კომპლექსების შექმნის შესახებ პირველი კვლევები ჩატარდა 40-იან წლებში. პირველ ადგილს იკავებდა სოფლის მეურნეობის მწარმოებელი, გადამუშავების, პროდუქციის ბაზრისა და სოფლის მეურნეობის მომსახურების პრობლემებით. იმ დროს საჭირო იყო სოფლის მეურნეობის დაკავშირება ინდუსტრიასთან ნედლეულის გადამუშავების საფუძველზე და წარმოების საქმიანობის სხვა ასპექტების (სახელოსნოები, ტრანსპორტი და ა.შ.) ოპტიმალური კომბინაციის საფუძველზე. მათში მართვა ეკონომიკური მეთოდების გამოყენების გარეშე, ადმინისტრირების პრინციპით ხორციელდებოდა. თუმცა, აგრო ინდუსტრიული ქარხნების შექმნა მხოლოდ საგეგმო პროექტის შემუშავებით შემოიფარგლა. ეს შეიძლება ჩაითვალოს პირველ ეტაპად.

თანამშრომლობის განვითარების მეორე ეტაპი, XX საუკუნის 60-70-იან წლებში მეურნეობათაშორისი თანამშრომლობისა და აგრო-ინდუსტრიული ინტეგრაციის განვითარებით დაიწყო. მრავალ მეურნეობაში არსებულმა სპეციალიზაციის დონემ გამოიწვია ის, რომ ამა თუ იმ პროდუქტის წარმოება შეუძლებელი გახდა სხვა

საწარმოებთან თანამშრომლობის გარეშე. ეს გახდა სოფლის მეურნეობაში წარმოების ახალი ორგანიზაციული ფორმების დანერგვის წინაპირობა. 1970-იანი წლების ბოლოს, კოოპერაციაში მონაწილეობდა ასობით კოლექტიური და სახელმწიფო მეურნეობა. იმ დროს აღმოსავლეთ საქართველოში არსებობდა 700-მდე სხვადასხვა მეურნეობათაშორისი წარმონაქმნი. სპეციალიზებულ მეურნეობებში წარმოების კონცენტრაციის მთავარი შეზღუდვის ფაქტორი იყო არასაკმარისად დასაბუთებული ეკონომიკური ურთიერთობები თანამშრომლობის მონაწილეებს შორის. უმეტეს შემთხვევაში, ეკონომიკური ურთიერთობები მცირდებოდა მოგების განაწილებამდე, სხვა საკითხების გადაჭრის გარეშე.

თანამშრომლობის განვითარების მესამე ეტაპი დაიწყო 80-იან წლებში კოოპერატიული მეურნეობების შექმნით და ეს მაშინდელი ქართული სამეცნიერო ეკონომიკური სკოლის ინიციატივით მოხდა (ვ. ადვამე, პ. გუგუშვილი, ნ. ჭითანავა, გ. ყუფუნია და სხვანი). მეურნეობებმა მიიღეს მეთოდოლოგიურ განვითარება საქართველოს ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებისაგან, რომელშიც კოოპერატიული მეურნეობების თეორიული და პრაქტიკული საკითხები საკმაოდ დეტალურადაა დასაბუთებული. ასეთი მეურნეობები იქმნებოდა მცირე კოოპერატივების, გლეხური მეურნეობების და პირადი მეურნეობების საფუძველზე. მოკლე დროში, საქართველოში 140-ზე მეტი კოოპერატიული მეურნეობა შეიქმნა.

ამ პროექტების განვითარების შედეგად, სახელმწიფო ფერმების ბაზაზე შექმნილ კოოპერატიულ მეურნეობებში გაიზარდა წარმოების ეფექტიანობა. კოოპერატიულ მეურნეობებში და ასობით სხვა კოოპერატიულ და კოლექტიურ მეურნეობაში შეიმუშავეს შიდა-სამეურნეო მექანიზმი, რამაც პირველადი მეურნეობის ერთეულებს მიანიჭა დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი, შესაბამისად გაიზარდა შრომის შედეგების მიმართ პასუხისმგებლიანი დამოკიდებულება. შიდაეკონომიკური ურთიერთობების ორგანიზების ერთ-ერთი მთავარი მეთოდი იყო კოლექტიური ხელშეკრულება, ხოლო ხელფასები დაკავშირებული იყო ან წარმოებული პროდუქციის ოდენობასთან, ან მთლიან შემოსავალთან. ფართო გამოყენება ჰპოვა საიჯარო ურთიერთობებმა, რომლის თანახმად პირველადი შრომით კოლექტივს

შეძლო დამოუკიდებლად განეკარგა საკუთარი პროდუქციის გაყიდვის შედეგად ფორმირებული შემოსავლები.

1992 წელს დაიწყო მეოთხე, მასობრივი პრივატიზაციის ეტაპი და აგრარულ სექტორში მოხდა ქონებრივ ურთიერთობათა ტრანსფორმაცია. სახელმწიფო და კოლექტიური მეურნეობების ბაზაზე იქმნებოდა კოლექტიური საწარმოები, რომლებიც საკუთარი ხარჯებით იძენდნენ ქონებას და პარტნიორებს შორის ანაწილებდნენ მას. სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ნახევარზე მეტი გადაკეთდა შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიებად ან დახურული და ღია ტიპის სააქციო საზოგადოებებად. თუ რეორგანიზაციის დასაწყისში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები არ შექმნილა, 2014 წლისთვის ისინი შიდა ქართლის ყველა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციის 42% -ს შეადგენდა.

90-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა სამეცნიერო-საწარმოო კოოპერატიული ასოციაციები ინტელექტუალური და სხვა საკუთრების ფორმების შერწყმის საფუძველზე. მაგალითად, ყოფილი ექსპერიმენტული მეურნეობები და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საფუძველზე შეიქმნა სამეცნიერო და საწარმოო კოოპერატივები. შესაძლებლობა გაჩნდა ამგვარი თანამშრომლობის შედეგად სოფლის მეურნეობის მეცნიერულად დასაბუთებულ განვითარებას ახალი სუნთქვა აეღო და საქართველოს ეკონომიკას წარმოებისა და სამეცნიერო კვლევების გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი დამატებითი სინერგიული ეფექტი მიეღო. სამწუხაროდ, პოლიტიკურმა არასტაბილურობამ ასეთი სცენარით განვითარებას ხელი შეუშალა.

დღეს კოოპერატივის ყველაზე მნიშვნელოვან სასოფლო-სამეურნეო განშტოებებს წარმოადგენს მეცხოველეობა და მემცენარეობა. შიდა ქართლისათვის ეს ბოსტნეული კულტურებისა და მეხილეობის, მარცვლეულისა და მეფრინველეობის, თევზსაშენი მეურნეობებისა და აგრარული პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების პროდუქტებით არის წარმოდგენილი.

კოოპერატიული მოძრაობის განვითარების მიზნით, ქართულმა კანონმდებლობამ გაითვალისწინა კოოპერატივების სახელმწიფო მხარდაჭერის მრავალი ღონისძიება. თუმცა, საქსტატის თანახმად, 2008 წელს მატერიალური და

ტექნიკური რესურსები იჯარის პირობებით გადაეცა სავაჭრო კოოპერატივების მხოლოდ 8%-ს და გადამამუშავებელი კოოპერატივების მხოლოდ 2%-ს, შეღავათიანი სესხები შესაბამისად 6%-ს და 7%-ს, სუბსიდიები გამოეყო შესაბამისად 12% და 2%-ს.

შიდა ქართლში სავაჭრო კოოპერატივების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი სარგებლობდა სახელმწიფოს მხარდაჭერით, კერძოდ: სუბსიდიები მიიღო 21%, ვალის რესტრუქტურისაცია - 7%, საიჯარო პირობებით მატერიალური და ტექნიკური რესურსების მიწოდება - 14%. პროდუქციის შესყიდვის, გადამამუშავებისა და ვაჭრობის სფეროში ეფექტურობის მიღწევის შემზღვეველი ფაქტორი იყო ვერტიკალური თანამშრომლობის სუსტი განვითარება, კერძოდ კი, სოფლის მეურნეობის მწარმოებლებისთვის არ იქმნებოდა ადგილობრივიდან - რეგიონულ, რაიონულ და საგარეო ბაზრებზე გასვლის პირობები შუამავლების გვერდის ავლით.


შიდა ქართლის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გამოკვლევის შედეგად ბევრი საინტერესო დასკვნის გაკეთება შეიძლება, მაგრამ ჯერ წარმოვადგინოთ მონაცემებს, რომელიც კვლევამ მოგვცა.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სტრუქტურა ორგანიზაციული და იურიდიული ფორმების მიხედვით წარმოდგენილია დიაგრამაზე 5-ზე.

კოოპერატიული წარმონაქმნების ფუნქციონირების ეკონომიკური მექანიზმის ჩამოყალიბება და განვითარება აღმოფხვრის სოფლის მეურნეობისა და სამრეწველო პროდუქციის ფასების არსებულ თანაფარდობას როგორც ქვეყანაში, ასევე მის ცალკეულ რეგიონებში მათი ჩათვლით, რომლებიც არასდროს ითვლებოდნენ სოფლის მეურნეობის ფლაგმანებად.

მაგრამ სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების რეგენერაცია საკმაოდ რთული ღონისძიებაა, ვინაიდან ძირითადი ფონდები კატასტროფულად ამორტიზირებულია და 1985 წელთან შედარებით, რომელზეც საქართველოს ეკონომიკური, მ.შ. სოფლის მეურნეობის დარგის მაჩვენებლების პიკი მოდის, რეგიონის მანქანებისა და ტრაქტორების პარკი 6-ჯერ არის შემცირებული. მანქანებისა და ტრაქტორების პარკის ცვეთის კოეფიციენტი საშუალოდ 90% შეადგინა.


დიაგრამა 5. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სტრუქტურა ორგანიზაციული და იურიდიული ფორმების მიხედვით



წყარო: საქსტატი, სოფლის მეურნეობა;

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba>

დიაგრამა 6. შიდა ქართლის მხარის სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სტრუქტურა ორგანიზაციული და იურიდიული ფორმების მიხედვით 2021 წელს*



წყარო: საქსტატი, სოფლის მეურნეობა;

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba>

* დსს - ღია ტიპის სააქციო საზოგადოება; დსს - დახურული ტიპის სააქციო საზოგადოება.


ცვეთის ასეთი მაჩვენებლის დროს იკლებს შრომის პროდუქტიულობა, ირღვევა წარმოების ტექნოლოგია, იზრდება დატვირთვა, სარემონტო ხარჯები და ა.შ.

სირთულეების მიუხედავად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება.

შიდა ქართლის რეგიონში 2021 წლის 51 სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციიდან 19-ს აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა (37%); სახელმწიფო საწარმოა 5 (10%), მოქმედებს 16 შპს (31%) და 9 ღია და დახურული ტიპის სააქციო საზოგადოება (ერთად 16%).

ბოლო სამი წლის განმავლობაში კოოპერატივების რაოდენობა 1,9-ჯერ გაიზარდა (ცხრილი 7). 2014 წელს სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობა მთელს რეგიონში საგრძნობლად გაუმჯობესდა. შემცირდა წამგებიანი ორგანიზაციების რაოდენობა, 2014 წელს მათმა წილმა შეადგინა მთლიანი რაოდენობის 30,1%, 2018 წელს - 5,3%. მიუხედავად ამისა, წამგებიანი მეურნეობების რაოდენობა 2004 წელთან შედარებით მაინც გაზრდილია. 2004 წელს შიდა ქართლის რეგიონის 49 მეურნეობიდან წამგებიანი მეურნეობების რაოდენობა მხოლოდ (3%) იყო. აქვე აღვნიშნავთ, რომ სამწუხაროდ, საქართველოს რეგიონებს შორის წამგებიანი ორგანიზაციების ყველაზე დიდი წილი აჭარასა და გურიაზე მოდის.

დიაგრამა 7. შიდა ქართლის რეგიონის სოფლის მეურნეობის საწარმოების სტრუქტურა ორგანიზაციული და იურიდიული ფორმების მიხედვით 2014 წელს



წყარო: საქსტატი, სოფლის მეურნეობა;

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba>

ცხრილი 7. სოფლის მეურნეობის საწარმოების განაწილება ქვემო ქართლის რეგიონში 2019-2021 წლის დასაწყისში

	2019 წ.		2020 წ.		2021 წლის დასაწყისი	
	რაოდ.	%	რაოდ.	%	რაოდ.	%
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებით						
სულ საწარმოები, მ. შ.:	52	100	48	100	51	100
სახელმწიფო საწარმო	3	6	-	-	3	6
ღია სააქციო საზოგადოებები (ღსს)	7	13	7	15	7	14
დახურული სააქციო საზოგადოება (დსს)	2	4	2	4	2	4
სოფლის მეურნეობის სამეწარმეო კოოპერატივები (სსკ)	22	42	21	40	21	41
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)	16	31	16	31	16	31
სხვა კომერციული და იურიდიული პირები	2	4	2	4	2	4

წყარო: საქსტატი, სოფლის მეურნეობა;

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba>

მატერიალური დანახარჯების მუდმივი ზრდის გამო მოხდა სოფლის მეურნეობის წარმოების ღირებულების ზრდა. სოფლის მეურნეობის წარმოების ხარჯების სტრუქტურაში, მატერიალური ხარჯების წილმა შეადგინა 72%, ხელფასების წილმა, სოციალური საჭიროებების გამოკლებით - 18%, ძირითადი საშუალებების ცვეთამ - 4%, სხვა ხარჯებმა - 6%. მატერიალური დანახარჯების მთლიანი მოცულობის ყველაზე დიდი წილი უკავია საწვავ-საპოხ მასალებს, საკვებს, თესლს, სათადარიგო ნაწილებს. ამის მიუხედავად, მომგებიანი მეურნეობების რაოდენობა 2020 წლისათვის გაიზარდა. მოსავლის მეურნეობის სექტორი რჩება მომგებიანად, მეცხოველეობის მოშენება კი კვლავ წამგებიანია. რძისა და კვერცხის გაყიდვა მრავალი წლის განმავლობაში რჩება მომგებიან ინდუსტრიად.

ცხრილი 8. მიწის ფართობი ცალკეული მეურნეობის სარგებლობაში საქართველოს რეგიონების მიხედვით (საშუალოდ, ჰა)

რეგიონი	სასოფლო-სამეურნეო მიწა	ს.-ს. მიწის ფართის მფლობელი მეურნეობა	საშუალო ფართობი
	ათასი ჰა	ათასი	ჰა
საქართველო	787,7	574,1	1,4
მათ შორის:			
ქ.თბილისი	2,8	13,6	0,2
აჭარის ა.რ.	19,7	43,9	0,4
გურია	26,9	33,5	0,8
იმერეთი	65,7	111,2	0,6
კახეთი	315,5	88,8	3,6
მცხეთა-მთიანეთი	20,8	29,9	0,7
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	5,8	13,5	0,4
სამეგრელო-ზემო სვანეთი	66,7	76,4	0,9
სამცხე-ჯავახეთი	76,1	34,5	2,2
ქვემო ქართლი	122,3	67,5	1,8
შიდა ქართლი	65,4	61,3	1,1


წყარო: საქსტატი, სოფლის მეურნეობა; <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba>

ძირითადი ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის ორგანიზაციების ფინანსურ მდგომარეობაზე, არის: გაყიდული პროდუქციის დაბალი ფასები; ფასების უთანასწორობა გაყიდულ და შეძენილ სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე; განუვითარებელი საბაზრო ინფრასტრუქტურა; მთავრობის სუსტი მხარდაჭერა და ა.შ. 2014 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით, მეურნეობათა სარგებლობაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობები საქართველოს რეგიონების მიხედვით განაწილება ნაჩვენებია ცხრილში.

მეცხოველეობის ინდუსტრიის წამგებიანობას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს სოფლის მეურნეობის ორგანიზაციების ფინანსურ შედეგებზე. პროდუქტიულობის

დონე დაბალი რჩება და სრულად არ ანაზღაურებს პირუტყვის რაოდენობის შემცირებას. სოფლის მეურნეობის მწარმოებლებს სჭირდებათ სახელმწიფო მხარდაჭერა მართვის ყველა დონეზე: სუბსიდიებით (დონაციების) უზრუნველყოფა, სესხის პროცენტის შემცირება და მათი მიზნობრივად გამოყენების მკაცრი კონტროლი, სასოფლო-სამეურნეო წლის ბოლოს კრედიტების გადახდა, საწვავის, საპოხი მასალებისა და ტექნიკის ფასების ზრდის გაყინვა (ანდა შეღავათიანი ფასების დაწესება) და ა.შ.

დიაგრამა 8. მეურნეობათა სარგებლობაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობები საქართველოს რეგიონების მიხედვით (საშუალოდ, ჰა)



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქსტატის მონაცემების („სოფლის მეურნეობა“) მიხედვით; <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba>

შიდა ქართლის რეგიონის ორგანიზაციულ-სამართლებრივი სასოფლო-სამეურნეო ფორმების სტრუქტურაში კოოპერატივებს წამყვანი ადგილი უჭირავთ მარცვლეულისა და პარკოსანი კულტურების წარმოების მთლიან მოცულობაში, ესაა 26,7%. ხოლო მარცვლეული კულტურები კი მემცენარეობის პროდუქციის მთლიანი მოცულობის 22,3%-ს შეადგენს.

ცხრილი 9. პირუტყვი და ფრინველი: საშუალო სულადობა


მაჩვენებელი	ზომის ერთ.	ყველა კატეგორიის მეურნეობა	შინამეურნეობა	იურიდიული პირები
პირუტყვის სულადობა				
მსხილფეხა-რქოსანი	ათ. სული	1 0005,4	997,0	8,5
ცხვარი და თხა	ათ. სული	989,3	962,0	27,3
ღორი	ათ. სული	213,1	195,3	17,8
ფრინველი	ათ. სული	8 216,0	5 441,3	2 774,7
პირუტყვის მფლობელი მეურნეობა				
მსხილფეხა-რქოსანი	ათ. ერთ.	271,9	271,7	0,1
ცხვარი და თხა	ათ. ერთ.	23,7	23,7	0,0
ღორი	ათ. ერთ.	93,9	93,9	0,0
ფრინველი	ათ. ერთ.	364,9	364,8	0,1
პირუტყვის საშუალო სულადობა				
მსხილფეხა-რქოსანი	სული	3,7	3,7	60,4
ცხვარი და თხა	სული	41,7	40,6	700,4
ღორი	სული	2,3	2,1	424,1
ფრინველი	სული	22,5	14,9	32 264,0

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის და საქსტატის კვლევის „სოფლის მეურნეობა“ მიხედვით; <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba>

განვიხილოთ სოფლის მეურნეობის საერთო მაჩვენებლები, რათა გვქონდეს საკვლევი რეგიონის მეურნეობაზე საერთო წარმოდგენა. ეს გაგვიადვილებს შემდგომ მსჯელობას და მოგვცემს საშუალებას, ჩავატაროთ მისი ანალიზი „პრიორიტეტი-გადაუდებლობა-გავლენა“ მატრიცის მეშვეობით. ჩვენ გავანალიზებთ ქართული სოფლის მეურნეობის ძირითადი და დამახასიათებელი დარგების და მაჩვენებლები და შეჯამებული სახით წარმოვადგინეთ ისინი დიაგრამებში 6 და 7.¹⁷

¹⁷ შედგენილია ავტორის მიერ ცხრილის „საქსტატი, სოფლის მეურნეობა“ მიხედვით; <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba>

დიაგრამა 9. ხეხილის ბაღების ფართობები საქართველოს რეგიონების მიხედვით




წყარო: შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის და საქსტატის კვლევის „სოფლის მეურნეობა“ მიხედვით; <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba>

როგორც ვხედავთ, საკვლევი რეგიონი (შიდა ქართლი) ხეხილის ფართობების მიხედვით მე-2 ადგილზეა საქართველოში, პირველ ადგილზეა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სამეგრელოს მხარეში ამ კატეგორიის ძირითად მაჩვენებელს თხილისა ციტრუსების ნარგავები შეადგენს. ანუ სტრუქტურულად ამ ორი მხარის ბაღები აბსოლუტურად განსხვავებულია. აქვე დავსძენთ, რომ აჭარის მხარის წილი ფრიად მოკრძალებულია.

ვენახების ფართობით, ცხადია, კახეთის რეგიონი ლიდერობს, ვინაიდან ეს ისტორიულად მევენახეობის მხარეა. საქართველოს მსხმოიარე ვენახების 72% სწორედ კახეთშია ლოკალიზებული. და ეს მაშინ, როცა 1985 წელთან შედარებით ვენახის ფართობებმა საგრძნობლად იკლო კახეთის ყველა რაიონში. შიდა ქართლის რეგიონი მესამე ადგილზეა და აქ ვენახის ფართობების საერთო რაოდენობის 3% განთავსებული.


დიაგრამა 10. ვენახების ფართობების დანაწილება საქართველოს რეგიონების მიხედვით



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ ცხრილის „საქსტატი, სოფლის მეურნეობა“ მიხედვით;
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba>

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მესაქონლეობა და მეფრინველეობა ოდითგანვე იყო გავრცელებული, შიდა ქართლი ამ მხრივ სპეციალიზაციით არ ხასიათდებოდა და დღესაც არ გამოირჩევა. ამ დარგში ლიდერის პოზიციებს ოთხი რეგიონი ინარჩუნებს: სამეგრელო-ზემო სვანეთი (19%), იმერეთი (17%), ქვემო ქართლი (14%), კახეთი (13%) და სამცხე-ჯავახეთი (12%).

დიაგრამა 11. მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვის განაწილება საქართველოს რეგიონების მიხედვით




წყარო: შედგენილია ავტორის მიერ ცხრილის „საქსტატი, სოფლის მეურნეობა“ მიხედვით;
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba>

მაგრამ რაც შეეხება წვრილფეხა საქონელს - ცხვარს და თხას, შიდა ქართლი აქ ლიდერობს საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, სამეგრელო-ზემო სვანეთის გარდა (20%). საკვლევ რეგიონის წილი წვრილფეხა საქონლის სულადობაში 11%-ს შეადგენს. აქაც უნდა აღინიშნოს სტრუქტურების სხვაობა საქონლის სახეებში: თუ სამეგრელო-ზემო სვანეთში ძირითადად თხა და ღორია მოშენებული, შიდა ქართლში პრიორიტეტულად ცხვარი და ღორია მიჩნეული.

ფრინველის სულადობით შიდა ქართლი მესამე ადგილზე დგას (16%). დარგში პირველობას ინაწილებენ სამეგრელო-ზემო სვანეთი და ქვემო ქართლი (შესაბამისად 24% და 18%).

დიაგრამა 12. ცხვრისა და თხის სულადობა საქართველოს რეგიონების მიხედვით




წყარო: შედგენილია ავტორის მიერ ცხრილის „საქსტატი, სოფლის მეურნეობა“ მიხედვით;
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba>

შიდა ქართლის ტერიტორიაზე განთავსებულია როგორც მცირე, ასევე მსხვილი მეწარმე ერთეულები, რომლებიც არა მარტო ფრინველის ხორცს, არამედ სუბპროდუქტებსაც ამზადებენ. ვინაიდან ჩვენი განხილვისა და შესწავლის საგანს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები შეადგენს, სულ რამდენიმე სიტყვით აღვნიშნავთ, რომ შიდა ქართლში ფრინველის ხორცის გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქტებიც იქმნება.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივების განვითარების თავისებურებებისა და საქმიანობის ეკონომიკურმა შეფასებამ აჩვენა, რომ 19 მეურნეობიდან 6 სასოფლო-სამეურნეო საწარმო კოოპერატივია. მომგებიანობის თვალსაზრისით, საწარმოთა 63,2% გადახდისუუნაროა, ვინაიდან მომგებიანობის დონე 15%-მდეა, დანარჩენი 36,8% კრედიტუნარიანია, მათ შორის 6-დან 2 სსკ.

დიაგრამა 13. ფრინველის სულადობა საქართველოს რეგიონების მიხედვით



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ ცხრილის „საქსტატი, სოფლის მეურნეობა“ მიხედვით;
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba>

ამ რეგიონში სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების სიდიდის ანალიზმა აჩვენა, რომ კოოპერატივებს აქვთ საშუალოდ 9 365 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა, დახურული სააქციო საზოგადოებებს (დსს) – 11 355, ღია სააქციო საზოგადოებები (დსს) – 5 756 ჰექტარი.

სოფლის მეურნეობის ორგანიზაციების საქმიანობის მაჩვენებლები, ისეთები, როგორცაა მოგების ოდენობა და მომგებიანობის დონე, მიუთითებს იმაზე, რომ, საშუალოდ, 2014-2019 წლების პერიოდისთვის ყველა კოოპერატივი იყო მომგებიანი, სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის მომგებიანობის დონე 2-დან 20%-მდე მერყეობდა. სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების დაჯგუფებამ მომგებიანობის დონის მიხედვით აჩვენა:

- პირველი ჯგუფი - წამგებიანი, - მოიცავს 5 ფერმას,
- მეორე ჯგუფი - 0-დან 15%-მდე მოგების დონით -7 ფერმას,
- მესამე - 16-დან 30%-მდე მოგების დონით - 4,
- მეოთხე - 30% და მეტი მოგების დონით - 3.

აქედან, პირველ ჯგუფში შედიოდნენ: დსს - 4, ლსს - 1; მეორეში - დსს - 2, ლსს -1, სსკ - 4; მესამეში - დსს -1, ლსს - 1, სსკ - 2, მეოთხეში - დსს - 3.

კვლევის შედეგების მიხედვით, საშუალო თვიური ხელფასის დონის მიხედვით, ფერმები დაიყო 3 ჯგუფად:

- პირველი ჯგუფში, 500-დან 750 ლარამდე, შევიდა - 4 მეურნეობა;
- მეორე ჯგუფში 751-დან 1000 ლარამდე, შევიდა - 7 მეურნეობა;
- ჯგუფში, სადაც საშუალო ხელფასი 1001 ლარზე მეტია, - 8 მეურნეობა.

5 წლის განმავლობაში საშუალო თვიური ხელფასი საწარმოო კოოპერატივებისთვის გაიზარდა 1,4-ჯერ, ხოლო კოოპერატივებისთვის საშუალოდ 720 ლარი შეადგინა.

ზოგიერთი საწარმოო კოოპერატივი ფინანსური და ეკონომიკური მაჩვენებლებით არ ჩამოუვარდება მეწარმეობის სხვა ფორმებს, მაგრამ ზოგადად შეინიშნება სსკ-ს მკვეთრი დიფერენციაცია. მომგებიანობის ყველაზე მაღალი დონე, შემოსავალი გაყიდვებიდან და მთლიანი მოგება ძირითადად აქვთ სააქციო საზოგადოებებს.

5 წლის განმავლობაში რეგიონში კოოპერატივების მუშაობის მაჩვენებლების ანალიზმა აჩვენა, რომ 2014 წელს ექვსივე სსკ იყო მომგებიანი, ხოლო 2020 წელს, გასაგები და ობიექტური პირობების გამო, მათ წლიური ზარალით დაასრულეს.

ცხრილი 10. ფერმების განაწილება შიდა ქართლის მხარეში მომგებიანობის დონის მიხედვით, 2019 წ. (საავტორო ცხრილი)

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	მეურნეობების ჯგუფები მომგებიანობის მიხედვით, %								სულ
	წამგებიანი		0-დან 15-მდე		16-დან 30-მდე		30-ზე მეტი		
	რაოდ.	%	რაოდ.	%	რაოდ.	%	რაოდ.	%	
დახურული სს	4	80,0	2	28,6	1	25,0	3	100,0	10
ღია სს	1	20,0	1	14,3	1	25,0			3
კოოპერატივები			4	57,1	2	25,0			6
სულ	5	26,3	7	36,8	4	21,0	3	15,8	19

ცხრილი 11. მეურნეობების განაწილება საშუალო თვიური ხელფასის დონის მიხედვით, 2019 წ (საავტორო ცხრილი)

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	მეურნეობების ჯგუფები						სულ
	500-დან 800-მდე		801-დან 1000-მდე		1000-ზე მეტი		
	რაოდ.	%	რაოდ.	%	რაოდ.	%	
დახურული სს	1	20,0	2	28,6	1	14,3	4
ღია სს	2	40,0	2	28,6	4	57,1	8
კოოპერატივები	2	40,0	3	42,8	2	28,6	7
სულ	5	26,4	7	36,8	7	36,8	19

ჩვენ გამოვიკვლიეთ მეცხოველეობის კოოპერატივების საკუთარი საბრუნავი აქტივებით უზრუნველყოფის დონის გავლენა მათი წარმოების მომგებიანობაზე. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ფერმები დავაჯგუფეთ შემდეგნაირად:

- 1) პირველ ჯგუფში შევიდა 3 წამგებიანი კოოპერატიული მეურნეობა,

- 2) მეორე ჯგუფში - 6 კოოპერატიული მეურნეობა, 15%-მდე მომგებიანობის დონით,
- 3) მესამე ჯგუფში - 5 კოოპერატიული მეურნეობა, 15-დან 30%-მდე მომგებიანობის დონით,
- 4) მეოთხე ჯგუფში - 4 კოოპერატიული მეურნეობა, რომელთა მომგებიანობის დონე 30%-ზე მეტია (ცხრილი 11).

როგორც ცხრილიდან ჩანს, მეოთხე ჯგუფის სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, რომლებსაც პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული აქვთ 3-დან 400 ათას ლარამდე შემოსავალი, უზრუნველყოფილნი არიან საკუთარი საბრუნავი კაპიტალით. ამასთან, მათ საბრუნავი კაპიტალით უზრუნველყოფის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აქვთ: მოგების 1 ლარზე - 0,46 ლარი საკუთარი საბრუნავი აქტივების წილზე, დებიტორული დავალიანების 1 ლარზე - 7,7 ლარი; გადასახდელი ვალდებულებების 1 ლარზე - 3,86 ლარი. მესამე ჯგუფის კოოპერატივებს, რომელთა რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები აღემატება 16 თას ლარს, ასევე უზრუნველყოფილია საკუთარი საბრუნავი აქტივებით.

ცხრილი 12. რეგიონის კოოპერატივების დაჯგუფება მომგებიანობის დონის მიხედვით (შედგენილია ავტორის მიერ კვლევის შედეგების მიხედვით)

ქვეჯგუფები, %	რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის მიხედვით	მეურნეობების რაოდენობა	მოგება/ საკუთარი ბრუნვადი კაპიტალი	საკუთარი საბრუნავი კაპიტალი; ლარი ყოველ 1 ლარზე		
				დებიტორული დავალიანება	კრედიტორული დავალიანება	მოგება
< 0	7000-30000	3	-0,15	11,6	0,75	1,09
0 – 0,15	20000-30000	4	0,28	8,9	0,60	0,97
	>30000	2	0,28	3,3	0,56	0,68
0,15 – 0,30	8000-16000	3	0,15	7,0	1,55	1,28
	>16000	2	0,21	2,1	0,79	0,78
> 0,30	3000-5000	2	0,36	4,4	0,14	0,83
	>5000	2	0,46	7,7	3,89	0,78

საწარმოო საქმიანობიდან სტაბილური მოგების მიღება იძლევა საკუთარი საბრუნავი აქტივებით საჭირო მოცულობის პროდუქციის წარმოების უზრუნველყოფის საშუალებას, ანუ ქმნის საწარმოში ეფექტური რეპროდუქციის პროცესის ორგანიზების საშუალებას.

ამრიგად, საკუთარი საბრუნავი აქტივების შევსების ერთ-ერთი მთავარი წყაროა მოგება, რომლის მიღება შესაძლებელია ორგანიზაციული, ეკონომიკური და ტექნოლოგიური ფაქტორების უფრო სრულყოფილი გამოყენებით, კერძოდ:

1. წარმოების რაციონალური ორგანიზაციით;
2. მოწინავე საწარმოო ტექნოლოგიების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდას და ხარჯების მომგებიან ანაზღაურებას;
3. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით;
4. პროდუქციის ყველაზე მომგებიანი ბაზრების ძიებით არა მხოლოდ მხარეში, არამედ რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ;
5. შიდა რეზერვების მობილიზებით, მატერიალური, ტექნიკური და შრომითი რესურსების ეკონომიურად გამოყენებისათვის და ა.შ.

განვითარების პერსპექტივის თვალსაზრისით, სოფლის მეურნეობის საწარმოო კოოპერატივები, როგორც კოოპერატიული მეურნეობები, შეიძლება გახდნენ, პირველ რიგში, ფართომასშტაბიანი მეურნეობები, ეკონომიკური და სოციალური ხასიათის მრავალი უპირატესობით. კერძოდ, მსხვილი მეურნეობები უფრო მეტად ისწრაფვიან სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესისკენ. მათთვის უფრო ადვილია არახელსაყრელი ბუნებრივი და ეკონომიკური ფაქტორების გაძლევა, სოფლად სოციალური განვითარების პრობლემების მოგვარება და ა.შ. მართვის სხვა ფორმებთან შედარებით, საწარმოო კოოპერატივები სრულად შეესაბამება სოფლის მეურნეობის მახასიათებლებს და გლახთა ინტერესებს. მიუხედავად იმისა, რომ სსკ, ისევე როგორც მართვის სხვა ოსფ მქონე საწარმოებში მომუშავეთა კეთილდღეობა, ყალიბდება ხელფასებისა და პირადი მიწის ნაკვეთებიდან მიღებული შემოსავლის ხარჯზე, კოოპერატივში შემოსავლის შრომითი ფორმა უფრო მკაფიოდ ვლინდება.

მეორე, ბიზნესის სოციალურ-ეკონომიკური პირობების დროს შეიძლება ველოდოდოთ სსკ-ს რაოდენობის შემცირებას ან მათ ეკონომიკურ საზოგადოებად გადაკეთებას, მათ საფუძველზე მცირე საწარმოების, გლეხურ-ფერმერული მეურნეობის შექმნას ან მათ სხვაგვარ დაყოფა-გადანაწილებას მეწარმე სუბიექტებს შორის.

კოოპერატივის საწესდებო დებულებების თანახმად, მშრომელთა შემოსავლის ძირითადი ოდენობა განისაზღვრება ინვესტირებული შრომის ანაზღაურებით; კოოპერატიული გადახდებით, რომლებიც ფორმირდება მოგებიდან კოოპერატივის წევრთა შრომითი შენატანის პროპორციულად; დივიდენდებით დამატებითი წილის შენატანზე, რომელიც ირიცხება კოოპერატივის მოგებიდან და თუ კოოპერატივის წევრს აქვს დამატებითი წილის შენატანი; საიჯარო გადასახადებით, კოოპერატივის მიერ საკუთარი ასოცირებული წევრის მიწის წილით სარგებლობისთვის.

ჩვენ შევისწავლეთ და გავაანალიზეთ რეგიონის სხვადასხვა მეურნეობების საწარმოო კოოპერატივებად რეორგანიზაციის პრაქტიკა და გამოვავლინეთ მთელი რიგი უარყოფითი მოვლენები, რომელთა განმეორება შეცდომა იქნებოდა:

1) ნებისმიერი კოოპერატივის ორგანიზებისას აუცილებელია დაცული იყოს ერთიანი ფონდის სავალდებულო შექმნის პრინციპი. ეს არის სამუშაო ადგილების, სტაბილური შემოსავლის, კოოპერატივის წევრების სოციალური დაცვის გარანტია და ა.შ;

2) სააქციო საზოგადოებების სოფლის მეურნეობის საწარმოო კოოპერატივებად გარდაქმნის პროცესში აუცილებელია აქციების გაცვლა კოოპერატივის წევრთა წილებზე, საბაზრო ღირებულებით, რაც არსებულიდან მხოლოდ ერთ შემთხვევაშია დაფიქსირებული;

3) სააქციო საზოგადოებების სოფლის მეურნეობის საწარმოო კოოპერატივებად გარდაქმნის პროცესში აუცილებელია ძირითადი საშუალებების გადაფასება, მოგების მიღების საბაზრო შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ამ ფუნქციონირებადი ძირითადი და საბრუნავი აქტივების შეფასების გზით, ან დაჩქარებული ამორტიზაციის მეთოდის გამოყენებით;

4) კოოპერატივების შექმნისას აუცილებელია დაუყოვნებლივ შეიქმნას მომსახურების კოოპერატივები (საკრედიტო, მარკეტინგული, სადაზღვევო).

საწარმოების და სოფლის მუშების ბაზრებისა და არასტაბილური მაკროეკონომიკური პოლიტიკის მიმართ წარმატებული ადაპტაციის ერთადერთი სწორი გზაა მიკრო და მაკროეკონომიკური აგრო ინდუსტრიული ინტეგრაცია. აქ განსაკუთრებული როლი ენიჭება თანამშრომლობას (საწარმოო, საკრედიტო, მარკეტინგული), რომელიც ფუნქციონირებას სტაბილურს გახდის.

სასოფლო-სამეურნეო თანამშრომლობამ, საკუთარი კოოპერატიული გადამამუშავებელი და საკვები ქარხნების, საბითუმო და საცალო ვაჭრობის, სატრანსპორტო, აგრო მომსახურების, ინფორმაციისა და მარკეტინგის სფეროების ათვისების შედეგად საკვლევმა კოოპერატივებმა შეიძლება ძლიერი პოზიციები დაიკავოს არა მხოლოდ კვების ბაზრებზე, არამედ სხვა სტრუქტურებშიც. ამის დასტურია უცხო ქვეყნების გრძელვადიანი გამოცდილება.

შიდა ქართლის რეგიონში, რომელიც კოოპერატიული მეურნეობების საქართველოში გამოჩენის ერთერთი პიონერი იყო, ჩვენი აზრით, ორგანიზაციისა და ფუნქციონირების წესები ცუდად არის შემუშავებული. ვფიქრობთ, მათ სერიოზული პერსპექტივა აქვთ კერძო ფერმებთან და მიწის კერძო ნაკვეთების მფლობელებთან თანამშრომლობის თვალსაზრისით. ეს უნდა იყოს შრომითი, მატერიალური და ტექნიკური რესურსებისა და სახსრების შერწყმის პროცესი, და, როგორც ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის ფორმა, ქმნის რეალურ წინაპირობებს სხვადასხვა კოოპერატიული ფორმირების გაცილებით ეფექტური საქმიანობისთვის.

დღეს რეალურად გლეხები, საკუთრების ფორმის მიუხედავად, ასრულებენ მხოლოდ სოფლის მეურნეობის ნედლეულის მომწოდებლის როლს, ნამდვილად განიცდიან დიდ ფინანსურ ზარალს, რის გამოც მათ არა მხოლოდ გაფართოებულ, არამედ უბრალო წარმოებაზეც არ მოუწვდებათ ხელი. კოოპერატიული მიწოდების ჯაჭვში ჩართულობის შემთხვევაში, მათ ეს რესურსები 20-30%-ით იაფი დაუჯდებოდათ. უნდა აღინიშნოს, რომ ამისათვის სპეციალური კვლევა ჩვენ არ ჩავგიტარებია, ეს კერძო გლეხური მეურნეობისა და ადგილობრივი საკვლევი კოოპერატივის თანამშრომლებმა დამოუკიდებლად გაიანგარიშეს.

საპაიო საფუძველზე შექმნილი ორგანიზაციები იქმნება ეკონომიკური საზოგადოებებისა და სამომხმარებლო კოოპერატივების სახით. სააქციო საზოგადოებები იქმნება კოლექტიური ქონების და სახელფასო შრომის ანაზღაურების საფუძველზე. სახელმწიფო, რომელიც მოქმედებს ერთდროულად როგორც სახელისუფლებო ორგანო და როგორც მესაკუთრე, ქმნის სახელმწიფო და მუნიციპალურ უნიტარულ საწარმოებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მოყვანილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების სხვადასხვა ფორმის მიხედვით.

საველე კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ:

- ერთი მხრივ, სოფელში არსებული საწარმოო კოოპერატივების ჩამოყალიბება და ფუნქციონირება უზრუნველყოფს მისი მაცხოვრებლების დასაქმების მაღალ დონესა და სტაბილურ შემოსავალს;
- მეორე მხრივ, ამ ორგანიზაციებს აქვთ მრავალი უარყოფითი მხარე. საწარმოო კოოპერატივში, ურთიერთდახმარების ფონდში მფლობელებს აქვთ სხვადასხვა წილი და განსხვავებული ფუნქციები (მაგალითად, უშუალოდ კოოპერატივში დასაქმებულ მუშაკებს: მმართველ პერსონალს, სპეციალისტებს, შემსრულებლებს და სხვა), რაც არ უზრუნველყოფს მათი ეკონომიკური საჭიროებებისა და ინტერესების ერთიანობას წარმოების პროცესში. სამუშაოს მიმართ განსხვავებული დამოკიდებულებით ისინი ქმნიან მოგების განსხვავებულ წილს და შესაბამისად, სხვადასხვა ხელფასს, დივიდენდს და კოოპერატიულ გადასახადს. ამიტომ, *კოოპერატივის წევრები, რომლებიც ცდილობენ მაქსიმალურად მიიღონ მოგება და გადაანაწილონ შემოსავალი მოხმარების სასარგებლოდ, არ აძლევენ კოოპერატივებს განვითარების საშუალებას, რამაც საბოლოოდ შეიძლება გამოიწვიოს ტექნიკური სტაგნაცია და გაკოტრება.*

ჩვენი აზრით, საქართველოში სწორედ ეს ხდება კოოპერატივების გაკოტრების მიზეზი. მაგრამ ამან არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეუწყოს ხელი კოოპერატივების წამგებიანობის შესახებ სტერეოტიპის ჩამოყალიბებას. ჩვენი კვლევა სწორედ კოოპერატივის სარგებლიანობის დაბეჯითებით დადასტურებას ეძღვნება.

რაც შეეხება ჩვენს მოსაზრებას საქართველოში კოოპერატივების ამა თუ იმ სახის არსებობის შესაძლებლობის შესახებ, იგი შემდეგია: **სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივებს შეუძლიათ ფუნქციონირება კიდევ ერთი ევროპული მოდელის, - გლეხურ მეურნეობათა ასოციაციების სახით**, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- 1) კარგად არიან ადაპტირებულნი სოფლის მეურნეობის წარმოების თავისებურებებთან და მზად არიან გაუძლონ არსებულ რისკებს;
- 2) საშუალება აქვთ ბაზარზე შევიდნენ წარმოების საშუალებებით, საკრედიტო კაპიტალით, მომსახურებებითა და საკვები პროდუქტებით;
- 3) აქვთ 500-800 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა, 50-100 ერთეული პირუტყვი და დასაქმებულთა რაოდენობა 20 ადამიანამდე შეადგენს;
- 4) მართვის ორგანოებში მუშაობენ მცოდნე და პატივსაცემი ადამიანები;
- 5) გამოიყენება საბაზრო პირობებზე მორგებული ეკონომიკური მექანიზმი.

თავი 4. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და აგრობიზნესის განვითარების პერსპექტივები და მოდელები

4.1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გავლენა აგრობიზნესის და სოფლის განვითარებაზე

4.1.1. ფარდობითი და აბსოლუტური საგადასახადო ტვირთის გაანგარიშების მეთოდოლოგია

სოფლის მეურნეობის კოოპერატივებისთვის ხარჯებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანი პუნქტია საგადასახადო შეღავათები. საწარმოს საგადასახადო პოლიტიკის მთავარ მიზანს წარმოადგენს გადასახადების გადახდასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის შემცირება - როგორც უშუალოდ საგადასახადო დავალიანების ოდენობის, ასევე არაპირდაპირი ხარჯების. წლიური ანგარიშის შედგენის და საგადასახადო ბალანსის მეთოდის არჩევა, კოოპერატივის მოგების ფორმირებისას პროპორციის დადგენა და ა.შ. მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დაბეგვრის დონეზე და გადასახადების გადახდის ვადებზე. წარმოების დაგეგმვის ფარგლებში, ყველა გადასახადი საწარმოს მიერ განიხილება, როგორც ერთერთი უარყოფითი გარე ფაქტორი, რომელიც იწვევს შემოსავლის შემცირებას, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხარჯების კომპონენტი.

მიუხედავად იმისა, რომ წამყვანი ეკონომისტების მიერ შემოთავაზებულია საგადასახადო ტვირთის გაანგარიშების უამრავი მეთოდი, დღეს საქართველოში არ არსებობს საერთო საგადასახადო ტვირთის გაანგარიშების საყოველთაოდ აღიარებული და მიღებული მეთოდოლოგია. 2004 წლიდან დაიწყო ორგანიზაციებისა და ინდივიდუალური მეწარმეების გადასახადების გამარტივებული სისტემის ფუნქციონირება (საქართველოს საგადასახადო კოდექსი¹⁸). გადასახადების გამარტივებული, ხუთგადასახადიანი სისტემის მთავარ უპირატესობას ადრე მოქმედ ოცდაოთხგადასახადიანთან შედარებით, წარმოადგენს საგადასახადო ტვირთის დაგეგმვისა და პროგნოზირების შესაძლებლობა თვით გადასახადის

¹⁸საქართველოს საგადასახადო კოდექსი. ხელმისაწვდომია: https://www.who.int/fctc/reporting/party_reports/georgia_annex3_tax_code.pdf

გადამხდელისთვის, საგადასახადო ტვირთის ობიექტის ვარიაციულობისა და გადასახადების გამარტივებული სისტემის საკუთარი ნებით არჩევის ხარჯზე. მაგრამ ერთიანი გადასახადის პოტენციურ გადამხდელთა წრე შეზღუდულია ეკონომიკური საქმიანობის შედეგებზე დაყრდნობით. გამარტივებული დაბეგვრის სისტემაზე გადასვლის სურვილის გარდა, მომავალმა გადამხდელმა უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნები, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის მუხლებით „შეზღუდვები გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლის დონის მიხედვით“.

ორგანიზაციის საგადასახადო ტვირთის შეფასების ერთ-ერთი მეთოდია აბსოლუტური და ფარდობითი საგადასახადო ტვირთის განსაზღვრა.

- **აბსოლუტური საგადასახადო ტვირთი** - ეს არის გადასახადები და სადაზღვევო პრემიები, რომლებიც გადაირიცხება ბიუჯეტში და ბიუჯეტგარეშე ფონდებში, ეს არის ეკონომიკური სუბიექტების საგადასახადო ვალდებულებების აბსოლუტური ღირებულება,
- **ფარდობითი საგადასახადო ტვირთი** განიმარტება, როგორც მისი აბსოლუტური მნიშვნელობის შეფარდება ახლად შექმნილ ღირებულებასთან (აშლ). ფარდობითი საგადასახადო ტვირთის დადგენისას გამოიყენება არა დამატებითი ღირებულება, არამედ ახლად შექმნილი ღირებულება (ამორტიზაციისა და მატერიალური ხარჯების გარეშე, როგორც მთლიანი პროდუქტის ძირითადი ნაწილი).

ეს მეთოდოლოგია ქმნის საშუალებას საგადასახადო ტვირთის ფარდობითი ღირებულების მიკრო დონეზე განსაზღვრისათვის. კომპანიის კეთილდღეობა დამოკიდებულია აშლ-ში გადასახადების წილზე. ჩვენ გავიანგარიშეთ აბსოლუტური და ფარდობითი საგადასახადო ტვირთი საკვლევი კოოპერატივებისათვის.

ერთი კომპანიისათვის ახლად შექმნილი ღირებულება გამოითვლება ფორმულით:

$$\text{აშლ} = \text{ა} - \text{ბ} - \text{ც} - \text{აშ} - \text{ახ}$$

სადაც **ა** - არის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები;

ბ - არის მატერიალური ხარჯები, ათასი ლარი.

ც - არის ცვეთა (ამორტიზაცია), ათასი ლარი.

აშ - არის არაოპერაციული შემოსავალი, ათასი ლარი.

ახ - არის არაოპერაციული ხარჯები, ათასი ლარი.

ცხრილი 13. აბსოლუტური საერთო საგადასახადო ტვირთი საკვლევ კოორპორაციებში, ათ. ლარი (საავტორო ცხრილი)

მაჩვენებელი	2017	2018	2019	2020
გადასახადების, მოსაკრებლებისა და სავალდებულო გადასახადების ჯამი	3 467	4 278	4 561	4 657
მათ შორის: ცენტრალურ ბიუჯეტში	50	76	10	86
საქართველოს სუბიექტის ბიუჯეტში	122	91	47	211
არასაბიუჯეტო ფონდებში	3395	4263	4524	4532
გადასახდელი ვალდებულებები	4629	4550	5192	4240
მათ შორის ჯარიმები და პროცენტები	3663	3291	3531	3550
რესტრუქტურირებული სესხები	-	-	4170	4164
რენტაბელობა, %	15.2	22.7	20.9	7.7

ახლად შექმნილი ღირებულება წლების მიხედვით იქნება შემდეგნაირი:

აშლ 2017 წელს: (5449-5522-1033-321-774);

აშლ 2018 წელს: (10044-8881-782-49-36);

აშლ 2019 წელს: (14381-12997-593-13-435);

აშლ 2020 წელს: (10824-12797-783-228-159)

ან
$$აშლ = ხ + სგ + მზ + სგ$$

სადაც, ხ - არის ხელფასი, ათასი ლარი;

სგ - არის არასაბიუჯეტო ფონდების სახსრების გამოქვითვა, ათასი ლარი;

მ/ზ - არის მოგება (+), ზარალი (-), ათასი ლარი;

სგ - არის გადასახადები, ათასი ლარი.

$$\Delta ს = \frac{სგ+სგ}{აშლ} = \frac{სგ+სგ}{ხ+სგ+მზ+სგ}$$

ყველა ორგანიზაციისთვის მისაღები ფარდობითი საგადასახადო ტვირთია 35-40%, ხოლო მაქსიმალური საგადასახადო ტვირთი არ უნდა აღემატებოდეს 50%-ს. საგადასახადო ტვირთი საკვლევ ორგანიზაციებში ლიმიტს აღემატება 15%-ით. საგადასახადო ტვირთი არა მხოლოდ ხელს უშლის ეკონომიკის განვითარებას, არამედ აყენებს მას გაკოტრების საფრთხის წინაშე. გარდა ამისა, საგადასახადო

კანონმდებლობაში არსებული შეუსაბამოები იწვევს ჯარიმებსა და პროცენტებს, რაც თავის მხრივ ზრდის საგადასახადო ტვირთს.

ცხრილი 14. ფარდობითი საგადასახადო ტვირთი საკვლევი კოოპერატივების ახლად შექმნილ ღირებულებაში

	2017	2018	2019	2020	აშლ-თან %-ში			
					2017	2018	2019	2020
სახელფასო ფონდი, ათასი ლარი	1117	1677	3078	2945	16,0	20,9	28,1	33,5
მოგება (Pr), ათასი ლარი	2391	2084	3302	1186	34,3	25,9	30,2	13,5
სულ გადასახადები, მოსაკრებლები და სავალდებულო გადასახადები (სგ), ათასი ლარი	3467	4278	4561	4657	49,7	53,2	41,7	53:
აშლ = ბ + მზ + სგ, ათასი ლარი.	6975	8039	10941	8788	100	100	100	100
Δს,% (ფარდობითი საგადასახადო ტვირთი)	49,7	53,2	41,7	53				
ახლად შექმნილი ღირებულება (აბ - მზ - ც - აშ - ახ), ათასი ლარი.	-2201	296	343	-3140				

ბუღალტრული აღრიცხვის ოპერაციების კომპიუტერიზაციამ, ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციამ და სრულყოფამ შეიძლება შექმნას საფუძველი საგადასახადო დაგეგმვისათვის, შესაბამისად საგადასახადო ინსტიტუტებთან მანევრის შესაძლებლობა, რაც გარკვეულწილად შეამსუბუქებს საგადასახადო ტვირთს, შეამცირებს რა საგადასახადო ბაზას.

4.1.2. კომერციული ანგარიშიანობის დანერგვის მეთოდოლოგია

კოოპერატიული მოძრაობის მეთოდოლოგია მდგომარეობს ყველაზე ეფექტური ფორმების ძიებაში, ესე იგი არა მხოლოდ მოსახლეობის თანამშრომლური ჯგუფების ეკონომიკური ინტერესების მონოპოლური სტრუქტურებისგან დაცვაში, არამედ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შიდა მექანიზმის გონივრულ მოწყობაში, პირადი, კოლექტიური და საზოგადოებრივი ინტერესების ეფექტურ კომბინაციაში, რაც უზრუნველყოფს შრომის პროდუქტიულობის მაღალ დონეს და კონკურენტული პროდუქტის წარმოებას.

როგორც ნებისმიერ საწარმოს, სოფლის მეურნეობის კოოპერატივს ურთიერთკავშირიც ბევრი აქვს და შიდა/საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა ფორმაც. კოოპერატივში ასეთი ურთიერთობების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“¹⁹, საქართველოს შრომის კოდექსი²⁰, კანონი „მეწარმეთა შესახებ“²¹, კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“²² და ა.შ.

ფუნქციონირების შიდა პრობლემების გადაჭრა ხდება კოოპერატივის წესდების და შიდა ეკონომიკური ურთიერთობების ძირითადი დებულებების დახმარებით. ეკონომიკური დებულებების სპეციფიკა გათვალისწინებულია მარტივ და რთულ ხელშეკრულებებში. კატეგორია „ეკონომიკური ურთიერთობები“ მოიცავს კატეგორიებს „საწარმოო ურთიერთობები“ და „ეკონომიკური ურთიერთობები“. წარმოების თითოეული რეჟიმის ფარგლებში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის მის შინაარსს - სამეწარმეო ძალებს. აქაც დიდ როლს თამაშობს წარმოების თითოეული მეთოდის სოციალური ფორმა - გარკვეული საწარმოო ურთიერთობები. საწარმოო ურთიერთობები არის ურთიერთობა ადამიანებს შორის, რომლებიც წარმოიქმნება

¹⁹ კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1972742?publication=8>

²⁰ საქართველოს შრომის კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/1155567?publication=10>

²¹ კანონი „მეწარმეთა შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408?publication=69>

²² კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32998?publication=18>

მათი სამეწარმეო საქმიანობის პროცესში. ამავე დროს, ეს არის მოსახლეობის ურთიერთობა მატერიალური საქონლის განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესში.

ეკონომიკური ურთიერთობების მექანიზმი ძირითადად ემყარება სოციალური, კოლექტიური და პირადი ინტერესების თანმიმდევრულობას. ინტერესი ჩნდება ობიექტურ რეალობაში და განპირობებულია სამეწარმეო ურთიერთობებით. წარმოების პროცესის თითოეული მონაწილე მასში შედის თავისი კონკრეტული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ეკონომიკური ინტერესები ასევე მოიცავს ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ობიექტურ აუცილებლობას. წარმოების მონაწილეთა საჭიროება იწვევს მათ აქტიურ მოქმედებებს.

თითოეული საწარმოს ძირითადი მიზანი არის პროდუქციის გაზრდის, წარმოების ეფექტურობის გაუმჯობესების გზების ძიება, იმავე ფასად მეტი პროდუქციის მიღების მიზნით. რაც უფრო მეტია პროდუქტი და ნაკლებია ხარჯი, მით მეტია გაყიდვების შემოსავალი, მოგება, რაც ნიშნავს, რომ მეტი თანხა იხარჯება წარმოების გაფართოებაზე, უფრო მაღალია მატერიალური წახალისება და ა.შ. საბოლოო შედეგებზე მსგავსი ფოკუსირება ზრდის ინტერესთა ერთიანობას.

განვიხილოთ საკვლევი ორგანიზაციები, რომელთაგან ორი ყოფილი დიდი კოლექტიური ორგანიზაცია იყო, ხოლო დანარჩენი - ახლადშექმნილი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი (სსკ). ეს, უპირველეს ყოვლისა, მიწის და ქონების წილის მფლობელთა ნებაყოფლობითი ასოციაციებია. შექმნილ ასოციაციებს გააჩნიათ საკუთარი სპეციფიკა, რისთვისაც თანდაყოლილია ორგანიზაციული, ტექნიკური, ეკონომიკური, სოციოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ხასიათის წინაპირობები:

- არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიები ძირითადად ადაპტირებულია მიწის ფართობებზე და მსხვილ ობიექტებზე, რაც ქმნის მატერიალური და ტექნიკური ბაზის საკმარისად რაციონალურად გამოყენების საშუალებას;
- ეკონომიკური ურთიერთობები სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივებში ყალიბდება უშუალოდ კოოპერატივის წევრთა მონაწილეობით, ამიტომ აქ ყველაზე ეფექტურად გამოიყენება წარმოების მართვის ეკონომიკური მეთოდები,

რაც გავლენას ახდენს თანამშრომელზე არაპირდაპირი გზით, ეს გამოიხატება მშრომელთა დამოკიდებულების შეცვლით საკუთარი შრომის ხარისხისა და მისი შედეგების მიმართ;

- ყველა გლეს როდი სურს საკუთარი განცალკევებული მეურნეობის შექმნა და დამოუკიდებელ გადაწყვეტილების შედეგებზე პასუხისმგებლობის აღება, ამიტომ ბევრს ურჩევნია მუშაობის კოლექტიურ პრინციპები;
- თანამშრომლობის საწარმოო (ჰორიზონტალური) ფორმა, როგორც კოლექტიური წარმოების ერთ-ერთი სახე სოფლის მეურნეობაში, შეესაბამება ჩვენი ქვეყნის ისტორიულ ტრადიციებს. ყოფილი კოლექტიური სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ბაზაზე სსკ-ს ფორმირება საშუალებას იძლევა, შევინარჩუნოთ სოფლის მეურნეობის კულტურა, კულტურების მონაცვლეობა, შექმნილი წარმოების პოტენციალი მისი ერთობლივი გამოყენებით. მმართველობითი ორგანოების შესაბამისი გადაწყვეტილებით, სს კოოპერატივებს გადაეცემათ (ზოგჯერ განუყოფლად) ძირითადი ფონდები: შენობები, სტრუქტურები, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ტექნიკა და ა.შ. იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს სამეწარმეო ტიპის კოოპერატივი, აუცილებელია შრომითი კოლექტივის საქმიანობის მოტივაცია, თანამედროვე საბაზრო მეთოდებისა და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება, როგორცაა მაგალითად: კომერციული ანგარიშსწორება, ფასები, სესხები, დაზღვევის სისტემა, მოტივაცია, ინოვაცია და ა.შ.

ულმობელ საბაზრო პირობებში საწარმოო კოოპერატივები, ისევე როგორც სოფლის მეურნეობის სხვა ორგანიზაციები, ორიენტირებული უნდა იყვნენ ორგანიზაციულ და ეკონომიკურ მექანიზმზე, რომელიც შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს, კერძოდ: კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, ინდუსტრიების განვითარების ოპტიმიზაცია, ხარჯების შემცირება, მომგებიანობის გაზრდა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზაცია და აღდგენა. და ა.შ.

კოოპერატივის ძირითადი საწარმოო ერთეულები, დამხმარე და მომსახურების განყოფილებებთან ერთად, თვითდაფინანსებაზეა. კოოპერატივის ფარგლებში ყველა ურთიერთობა რეგულირდება მარტივი და რთული ხელშეკრულებებით. ასეთი კოლექტივები თავიანთ საქმიანობას აწყობენ სრული ეკონომიკური (კომერციული),

ოპერატიული და ეკონომიკური დამოუკიდებლობის პრინციპით, შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების გამოყენებით, ფერმაში თვითდახმარების სალიზინგო კოლექტივების წევრების მატერიალური ინტერესების გათვალისწინებით. ისინი აღწევენ შრომის მაღალ მაჩვენებლებს, აღიარებენ რა მატერიალურ პასუხისმგებლობას საბოლოო შედეგებზე.

ჩვენი საკვლევი კოოპერატივებია:

1. შიდა ქართლის მხარის გორის რაიონის სოფელ ქვეშის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივის „ტირიფონა“. წევრთა რაოდენობა 2014-2020 წწ: 5-20 მონაწილე.

სპეციალიზაციას წარმოადგენს:

- ხილ-ბოსტნეულის და სოფლის მეურნეობის სხვა პეოდუქტების როგორც პირველადი წარმოება, ასევე მისი გადამუშავება;
- მეცხოველეობა;
- მევენახეობა;
- მეთვზეობა;
- მზა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შეფუთვა (კოოპერატივს გააჩნია შემფუთავი საწარმო);
- ხის დამუშავება (კოოპერატივს გააჩნია მინი ხის დდამამუშავებელი კომბინატი);
- მეფუტკრეობა (კოოპერატივი ინახავს ფუტკრის 125 ოჯახს);
- კოოპერატივი ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტს.

2. შიდა ქართლის მხარის ქ. გორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „გეა“, წევრთა რაოდენობა 2014-2020 წწ: 9-18 მონაწილე.

სპეციალიზაციას წარმოადგენს:

- ხილ-ბოსტნეული და სოფლის მეურნეობის სხვა პეოდუქტების პირველადი წარმოება-გადამუშავება;
- მეცხოველეობა;
- მევენახეობა;

- მეფუტკრეობა (კოოპერატივი ინახავს ფუტკრის 72 ოჯახს);
- კოოპერატივი ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტს.

3. ქვემო ქართლის მხარის თეთრიწყაროს რაიონის სოფელი მოხისის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივი „რანჩო“, წევრთა რაოდენობა 2014-2020 წწ : 3-12 მონაწილე.

სპეციალიზაციას წარმოადგენს:

- მეცხოველეობა და რძის გადამამუშავება;
- სასათბურე მეურნეობა;
- სოკოს წარმოება;
- მარცვლეული კულტურების მოყვანა;
- მებაღეობა-მებოსტნეობა;
- სხვა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა.

საკვლევმა კოოპერატივებმა საქმიანობის პროცესში შექმნეს საკუთარი კაპიტალი, რომლის დაფინანსების წყაროებს წარმოადგენს როგორც წევრების, ასევე კოოპერატივის არაწევრი ინვესტორების (ასოცირებული წევრები) შენატანები, აგრეთვე საკუთარი წარმატებული საწარმოო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები. ამ მიზნით სამივე კოოპერატივში ჩატარდა სტრუქტურული რეორგანიზაცია, მოეწყო შიდასამეურნეო ქვედანაყოფები: საწარმოო და დამხმარე.

საწარმოო ქვედანაყოფები ახორციელებენ გარკვეული ტიპის პროდუქტის (მარცვლეული, ღორის ხორცი, ყველი, თაფლი, ხილი, ბოსტნეული და სხვა) წარმოების სრულ ტექნოლოგიურ ციკლს. ამ განყოფილებების შემოსავლის ფორმირება პირდაპირ არის დამოკიდებული წარმოებული პროდუქციის მოცულობაზე, ხარისხზე და გაყიდვების მოცულობაზე. ამ ქვედანაყოფებში შედის აგრეთვე მცენარეთა მზარდი ფართობები, სასათბურე მეურნეობა და ღორის სანაშენო ფერმები.

ქვედანაყოფებისათვის მუდმივი სარგებლობისთვის ან იჯარით არის გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, შენობები და ნაგებობები, ტრაქტორები, კომბაინები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები, პროდუქტიული და მუშა

პირუტყვი, ინვენტარი და სხვა ქონება. ქვედანაყოფების ფარგლებში, ტრაქტორები, სოფლის მეურნეობის მანქანები, ღორები გადაეცემათ საველე მეცხოველეობებს, მემცენარეობებს, სელექციონერებსა და სხვა მუშაკებს. თვითდახმარების ქვედანაყოფების კოლექტივებმა უნდა უზრუნველყონ ძირითადი საშუალებების მაქსიმალურად ეფექტური გამოყენება და განახორციელოს აუცილებელი მიმდინარე რემონტი. მათზე მიმაგრებული ძირითადი საშუალებების მოვლისა და გამოყენების წლიური ხარჯები დაგეგმილია თვითდახმარების განყოფილებების მიერ.

მომგებიანობა, უპირველეს ყოვლისა, უნდა ხასიათდებოდეს წლის განმავლობაში წარმოებული მთლიანი ხარჯების ანაზღაურების კოეფიციენტით (ხაკ), როგორც პროდუქციისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების (შპრ) თანაფარდობა პროდუქციისა და მომსახურების წარმოებაზე გარკვეულ პერიოდში (კვარტალი, ნახევარი წელი, წელი) გაწეულ დანახარჯებთან, მიმდინარე სამუშაოების ხარჯებისა და საფონდო ბალანსების ღირებულების ჩათვლით (წხ).

$$\text{ხაკ} = \frac{\text{შპრ}}{\text{წხ}}$$

ხარჯების ანაზღაურების დონე განისაზღვრება ხარჯების ანაზღაურების კოეფიციენტის 100%-ზე გამრავლებით. ანაზღაურების კოეფიციენტი ახასიათებს ხარჯების კონტროლის დონეს. თუ თანაფარდობა 100%-ზე მეტია, მეურნეობა ამცირებს თავის ხარჯებს. საკუთარი შემოსავლით ხარჯების სრულად ანაზღაურების შემთხვევაში ქვედანაყოფი მუშაობს მომგებიანად.

ქვედანაყოფებმა დამოუკიდებლად უნდა უზრუნველყონ დამტკიცებული საწარმოო გეგმების განხორციელება, მატერიალური რესურსების ეკონომიური გამოყენება, მოიძიონ რეზერვები წარმოების გაზრდის მიზნით, შეამცირონ ხარჯები პროდუქციის ერთეულზე, პასუხისმგებელნი იყვნენ მიწის, ტექნოლოგიისა და წარმოების სხვა საშუალებების რაციონალურ გამოყენებაზე, აგრეთვე უზრუნველყონ კოლექტიური საკუთრების უსაფრთხოება.

განყოფილებებსა და კოოპერატივის მენეჯმენტთან შიდა-ეკონომიკური ურთიერთობების ორგანიზაციის გაუმჯობესების საფუძვლად გამოიყენება პირადი

ანგარიშების ფორმა. ქვედანაყოფი უზრუნველყოფილია ნატურალური და ღირებულებითი თვალსაზრისის ინდიკატორებით, რომლებიც გათვლილია სტანდარტების შესაბამისად, ანუ განისაზღვრება მათი რეალური გაანგარიშება და ფაქტის გადახრა სტანდარტიდან ან ლიმიტიდან, რაც საშუალებას გაძლევთ დაინახოთ გადახრები და მიიღოთ შესაბამისი ზომები. თითოეული ქვედანაყოფის მონაწილეობის წილი პროდუქციის მთლიან წარმოებაში გამოითვლება ნორმატიული ხარჯების საშუალებით. ჩვენ განვსაზღვრავთ, თუ რა ზომის მოგება მოდის 1 ლარის ნორმატიულ ხარჯებზე, ვპოულობთ თითოეული ქვედანაყოფის სავარაუდო შემოსავალს, რომლისთვისაც გაიხსნა პირადი ანგარიშები. სავარაუდო შემოსავლის თანაფარდობით დაყოფის ფაქტობრივ ხარჯებზე და 100%-ით გამრავლებით მივიღებთ ხარჯების ანაზღაურების დონეს.

$$\text{ხად} = \frac{\text{სშ}}{\text{რხ}} \times 100\%$$

სადაც, ხად - არის ხარჯების ანაზღაურების დონე, %;

სშ - სავარაუდო შემოსავალი, ლარი;

რხ - რეალური ხარჯები, ლარი.

ხარჯების ანაზღაურების კოეფიციენტი აჩვენებს ამ ქვედანაყოფების მუშაობის ეფექტურობას და გაფართოებული რეპროდუქციის ჩატარების შესაძლებლობას.

შიდასამეურნეო კომერციული ანგარიშიანობა ემყარება ურთიერთობის ფორმას, რომელიც ხორციელდება ხარჯთაღრიცხვის საგნებზე ხარჯების ლიმიტის დაწესებით. მაგალითად, სათადარიგო ნაწილების, სარემონტო მასალების, თესლის, სასუქების, მედიკამენტების და საწვავისა და საპოხი მასალების მიწოდება ხორციელდება ლიმიტის-მიღების ბარათის შესაბამისად. ავტოპარკის მომსახურების ხარჯთაღრიცხვა ხორციელდება ყოველი თვის მე-6, მე-16 და 26-ე დღეს, მომსახურების ერთეულისთვის დადგენილი ლიმიტების შესაბამისად. დარიცხული ხელფასის და მიღებული ელექტროენერჯის გაანგარიშება ხდება თვის ბოლოს. ყოველთვიური ხელფასის დარიცხვა ხდება დადგენილი განაკვეთით, პროდუქციისათვის ან შრომა-საათისთვის, ეკონომიკის შრომის ანაზღაურებაზე არსებული დებულების შესაბამისად.

კოოპერატივების მმართველი საბჭოები პასუხისმგებელია დანაყოფებისთვის საჭირო მატერიალური და ტექნიკური რესურსებისა და მომსახურების მიწოდებაზე და უზრუნველყოფს წარმოებული პროდუქციის ყველაზე მომგებიან გაყიდვას. დანაყოფის მიერ მიღებული თანხის ნაწილი მეურნეობას უბრუნდება დადგენილი სტანდარტების შესაბამისად გადასახდელების სახით. სხვაობა ქვედანაყოფის სავარაუდო შემოსავლებსა და ხარჯებს შორის, გადასახადების ჩათვლით, რჩება კოოპერატივის გუნდის განკარგულებაში და მას აქვს სამუშაოს შედეგების დამატებითი გადასახადების სახე.

ინფლაციასთან, წარმოებულ პროდუქტებზე და შეძენილ მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებზე ფასების ცვლილებასთან დაკავშირებით, კვარტალში ერთხელ მეურნეობის ხელმძღვანელობამ უნდა დააკორექტიროს მეურნეობის საგადასახადო ნორმატივი. ეკონომიკური ურთიერთობების შემუშავების მაგალითია შიდასამეურნეო ქვედანაყოფი. ეს განყოფილება იყენებს თავის მიწის წილებს და დანაკლისს ინაზღაურებს მიწის სხვა მესაკუთრეთაგან მიწის იჯარით.

მოგების მიღების მიზნით, შიდასამეურნეო ქვედანაყოფის ეფექტური ფუნქციონირებისთვის, თანამშრომლების მოტივაციისა და მათი სოციალური კეთილდღეობის ზრდისთვის, აუცილებელია ინვესტიციების მოზიდვა. პოტენციური ინვესტორებისათვის საქმიანობის განსახორციელებლად რაიონში და რეგიონში შეიძლება დინამიურად განვითარებადი სამრეწველო, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი საწარმოების შეთავაზება, რომლებსაც მნიშვნელოვანი საკუთარი ფინანსური რესურსები გააჩნიათ.

სს კოოპერატივის „გეა“ (ორიენტირებულია მემცენარეობის პროდუქციის წარმოებით (ხორბალი და შვრია) და ღორების მოშენებით), სამეურნეო საქმიანობის მაჩვენებელთა ანალიზმა აჩვენა, რომ მემცენარეობის დარგის ეფექტური ფუნქციონირებისთვის საჭიროა მისი დამატებითი ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფა.

პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშება მათი სუფთა სახით შეიძლება წარმოდგენილი იყოს საგაზაფხულო ხორბლისა და შვრიის მაგალითის გამოყენებით (ცხრილი 15).

**ცხრილი 15. მცენარეული პროდუქციის ღირებულების გაანგარიშება
(საავტორო ცხრილი)**

მაჩვენებელი	ჰექტარი	მოსავლიანობა ც/ჰა	მთლიანი წარმოება, ტ.	საბაზრო ღირებულება ლარი/ტ.	მთლიანი წარმოების ღირებულება ათ. ლარი
საგაზაფხულო ხორბალი	1000	20	2000	1800	3600
შვრია	500	25	1250	1200	1500
სულ	1500				5100

მთლიანი პროდუქცია (მპ) = 5100.0 ათასი ლარი. ნარჩენი პროდუქციის ღირებულება (ჩალის) ამ გაანგარიშებაში არ შედის. მთლიანი პროდუქციის ღირებულების განაწილება მოცემული კოლექტივისთვის გათვალისწინებული მეთოდოლოგიის შესაბამისად არის შემდეგი:

1. მატერიალური ხარჯები (მხ) - თესლი, საწვავი და საპოხი მასალები, პესტიციდები, სასუქები და ა.შ. დაიხარჯება 1785 ათასი ლარი, ან 35%. ეს მაჩვენებელი მიღებული იქნა ფასების ცვლილების გათვალისწინებით 2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით და სოფლის მეურნეობის კულტურების მოსაყვანად ტექნოლოგიური რუქების გამოყენებით.
2. გადასახადები (გ) მოქმედი დაბეგვრის სისტემაში შეადგენენ:
 - გადახდები საბიუჯეტო სახსრებზე: მთლიანი პროდუქციის ღირებულებიდან ხელფასის წილის 20%-ის ოდენობით,
 - საბიუჯეტო სახსრების გადასახადი შეადგენს მთლიანი გამომუშავების ღირებულების 5,2% -ს;
 - მიწის გადასახადი დიფერენცირებულია მხარეებისა და სოფლების მიხედვით.
3. მიწის წილის მფლობელების მიერ მიწის გამოყენებისთვის გადასახდელი ქირა (ქ) არის 5%, ანუ 255 ათასი ლარი. ამრიგად, კოლექტივის მოხმარების ფონდი 2445,2 ათასი ლარი იქნება (1785 + 405,2 + 255), ან მთლიანი პროდუქციის 47,9%. მთლიანი

პროდუქციის დანარჩენი ნაწილი მოდის დაგროვების ფონდზე და ნაწილდება შემდეგნაირად:

- ახალი კაპიტალის შესაქმნელად (აკ) დაიხარჯება მთლიანი პროდუქციის 32%, ანუ 1632 ათასი ლარი;
- მენეჯმენტისა და ტექნიკური პერსონალის მომსახურებისთვის გაწეული ხარჯებია (მტპ) - 3% (მთლიანი პროდუქციიდან), ანუ 153 ათასი ლარი (5100 x 0,03);
- დარიცხვა კაპიტალის დივიდენდებზე (მკ). პირველ წლებში, ვალების სრულ ანგარიშსწორებამდე, ეს ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 3% -ს ან 153 ათას ლარს, შემდეგ კი უნდა გაიზარდოს მპ-ს 10% -მდე.

4. დაბოლოს, საიჯარო კოლექტივის (სკპშ) პირადი შემოსავლის ფორმირებისთვის, პირველ წელს, რჩება მთლიანი პროდუქტის ღირებულების 14.1%. ამ გუნდთან მიმართებაში, ეს იქნება 719.1 ათასი ლარი. ამ შემთხვევაში, თითოეული წევრის საშუალო თვიური შემოსავალი იქნება 1997,5 ლარი.

მთლიანი პროდუქციის ღირებულების სტრუქტურა ასეთია:

მოხმარების ფონდი (მფ) - 47.9% (35 (მხ) + 7.9 (გ) + 5 (პპ));

დაგროვების ფონდი (დფ) - 52.1% (32 (აკ) + 3 (დკ) + 3 (მტპ) + 4.1 (სკპშ)).

მთლიანი პროდუქციის განაწილება გავიანგარიშეთ 2014-2019 წწ მიხედვით. წარმოებისა და ფასების მოცულობები აღებულია ცვლილების გარეშე, ინვესტორისადმი დავალიანება შეადგენს 3500.0 ათას ლარს, ხოლო წინა წლების დავალიანება ამ კოლექტივისთვის შეადგენს 1000.0 ათას ლარს. მოხმარების ფონდის (მფ) და დაგროვების ფონდის (დფ) წილი უცვლელი რჩება. უცვლელი რჩება მოხმარების ფონდის სტრუქტურა, მატერიალური დანახარჯების, გადასახადებისა და ქირავნობის ხარჯები.

რაც შეეხება დაგროვების ფონდს სასესხო ვალდებულებების დაფარვის შემდეგ, ახალი კაპიტალის (აკ) წილი მცირდება 5 წლის განმავლობაში - მთლიანი პროდუქციის 32%-დან 20%-მდე, ხოლო ხარჯები წევრების პირადი შემოსავლის (მპშ) ფორმირებაზე იზრდება 14-დან 21.1%-მდე (მპ). VP-ის 1 - დან 21.1% -მდე, კაპიტალის დივიდენდები (კდ), შესაბამისად, მთლიანი პროდუქციის 3%-დან 6%-მდე, ხოლო

მენეჯმენტისა და დამხმარე პერსონალის (მდპ) გადასახადები 3%-დან 6%-მდე. ასევე იზრდება ამორტიზაციის დარიცხვის (ად) წილი (მპ)-ის 4%-დან 20%-მდე.

2019 წელს, ვალებზე ანგარიშსწორების შემდეგ, მთლიანი პროდუქტის ღირებულების სტრუქტურა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

- (მფ) - 47.9% (35 (მხ) +7.9 (გ) +5 (პპ));
- დაგროვების ფონდი (დფ) - 52.1% (20 (აკ) + 6 (დკ) + 5 (მტპ) + 21.1 (სკპშ));
- 2014-2019 წლებში საიჯარო კოლექტივი ინვესტორთან დავალიანების დაფარვით და წინა წლების დავალიანებებით, აგრეთვე ამორტიზაციის დარიცხვის საშუალებით ქმნის ახალ კაპიტალს - 6834 ათასი ლარს. ახალი კაპიტალი ნაწილდება გუნდის წევრების, მენეჯმენტისა და ტექნიკური პერსონალის დამატებით წილებზე. ახალ კაპიტალზე (აკ) ირიცხება დივიდენდები. გათვლებით აშკარად ჩანს კოლექტივისა და თითოეული ცალკეული თანამშრომლის შემოსავალი 2019 წლამდე.

4.2. ბიზნესის დაგეგმვა და ინვესტიციების ეფექტურობა კოოპერატივებში

კოოპერატივის მიწოდებისა და მარკეტინგის (მმსკ) განვითარების ბიზნეს გეგმის შედგენა იყოფა ორ ძირითად ბლოკად. პირველი ასახავს არსებულ რეალურ მდგომარეობას, არსებულ ნორმებსა და რეგულაციებს; ხოლო მეორე - კოოპერატივის განვითარების პერსპექტიულ პარამეტრებსა და მაჩვენებლებს დაგეგმილ ვადებში. მიმდინარე საქმიანობის რეკომენდებული სტრუქტურა და მიწოდების და მარკეტინგის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის განვითარების გრძელვადიანი გეგმა მოცემულია ცხრილში.

საკვლევი კოოპერატივების მონაცემებით, საკუთარი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაცია მათ მოახდინეს გადამამუშავებელ საწარმოებში, ბაზარზე და საკუთარი მაღაზიების საშუალებით, აქედან: რძე - 98%,

პირუტყვი და ფრინველი (ცოცხალი წონა) - 87%, მარცვლეული - 90%. გაყიდვების დანარჩენი რაოდენობა მოდის უშუალოდ მოსახლეობაზე მიყიდვა საზოგადოებრივი კვების სისტემის საშუალებით და ნატურალური ბარტერული ოპერაციებით.

ბოლო წლებში შემსყიდველმა ორგანიზაციებმა ბოლო 3 წლის განმავლობაში შეწყვიტეს რძის შექმნა. ბაზრებთან კავშირის დამყარება მთლიანად მწარმოებელს აქვს ათვისებული და კაპიტალის ის კლასიკური გადანაწილება საწარმოო და მიმოქცევის სფეროთა შორის, რომელიც ევროპაში თითქმის 300 წლის წინ განხორციელდა, საქართველოში ჯერაც გასავითარებელია.

სოფლის მეურნეობის სფეროში ჩატარებული რეფორმების უარყოფითი შედეგები და მცირერიცხოვანი გადამამუშავებელი საწარმოების მონოპოლია ანადგურებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და მარკეტინგის ეკონომიკურ საფუძვლებს.

ცხრილი 16. ბიზნეს გეგმის რეგისტრაცია კოოპერატივის განვითარებისათვის

(სავტოტო ცხრილი)

მიმდინარე საქმიანობა	განვითარების გრძელვადიანი გეგმა
1. კოოპერატივის არსებობის იურიდიულ-სამართლებრივი საფუძველი, მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად. ორგანიზაციული სტრუქტურა. აქციონერების სტრუქტურა	1. კოოპერატივის მიზნები და ამოცანები
2. კვალიფიკაცია, გამოცდილება, მენეჯერებისა და სპეციალისტების იმიჯი	2. რაიონის (რეგიონის) სოფლის მეურნეობის განვითარების ანალიზი
3. საქმიანობის მოკლე აღწერა. მიღწეული მაჩვენებლები სამუშაოში	3. პროდუქტებზე არსებული მოთხოვნის ანალიზი. მომხმარებელთა დაჯგუფება მენეჯმენტის, სპეციალიზაციის, სამიზნე ორიენტაციის ფორმების მიხედვით. მოთხოვნის სეზონური რყევები
4. ურთიერთდახმარების ფონდის წყაროები, დამფუძნებლები	4. პროდუქტის ბაზრის ანალიზი (რძე, ხორცი, ბოსტნეული)
5. ანალიტიკური მთლიანი ბალანსის შედგენა (ფულადი სახსრების რეალური მოძრაობა)	5. SWOT (ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების სიტუაციური ანალიზი)
6. ბალანსის აქტიური და პასიური ნაწილების დეტალური მახასიათებლები	6. კოოპერატივის საბაზრო სტრატეგია, რომელიც მიმართულია მიზნის მისაღწევად. ბიზნესის ლოკალიზაცია, სამიზნე სეგმენტების შერჩევა

7. კოოპერატივის ფუნქციონირების ეფექტურობის მაჩვენებლების შეფასება	7. პასუხისმგებლობის (კაპიტალის) მართვის სტრატეგია
8. კოოპერატივის ლიკვიდურობისა და სტაბილურობის შეფასება	8. მმსკ-ის განვითარების კალენდარული გეგმა. გარე წყაროების საჭიროების გაანგარიშება. სესხების დროულად დაფარვის შესაძლებლობის დასაბუთება
9. კოოპერატივის საქმე (ვადაგადაცილებული ვალების არსებობა)	9. კოოპერატივის ფინანსური გეგმა. ფულადი სახსრების მოძრაობის მშენებლობა
	10. განვითარების შედეგების პროგნოზირება (კაპიტალის ზრდა, აქციონერთა რაოდენობის ზრდა)

მომარაგების, შესყიდვების, გადამამუშავებელი, მარკეტინგული საწარმოების პოლიტიკა ხელს უშლის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის განვითარებას. ამრიგად, საქონლის მწარმოებლები სულ უფრო აქტიურად ეძებენ თავიანთი პროდუქციის რეალიზაციის ალტერნატიულ მიმართულებებს, რომელთაგან ერთერთს გარიგების გაფორმების გარეშე პროდუქციის გადამყიდველებზე გაყიდვა წარმოადგენს, ცხადია, ნაღდი ანგარიშსწორებით. ჩვენი აზრით, ამ პირობებში სოფლის მეურნეობის მწარმოებლების ინტერესების დაცვის ყველაზე რაციონალური გზაა მათი გაერთიანება შესაბამის სპეციალიზირებულ კოოპერატივებში: ერთპროდუქტიანი, მრავალპროფილური, უნივერსალური და ა.შ. ამ ნიშნით რომ გვემსჯელა, ჩვენი მწარმოებელი კოოპერატივები მრავალპროფილურ ჯგუფში შევიდოდა. აქვე დავსძენთ, რომ რაც უფრო განვითარებულია სოფლის მეურნეობაში მეწარმეობა, მით მეტია ერთპროდუქტიანი, ვიწროდ სპეციალიზებული, ანუ სპეციფიური წარმოებების რიცხვი.

განვიხილოთ რძის შესყიდვა და მისი სფეციფიკა. რძის შესყიდვის კოოპერატივის მომარაგება-მარკეტინგის ორგანიზებისას, **შესყიდვის ფასი** შედგება სოფლის მეურნეობის მწარმოებლებისგან რძის შესასყიდი ფასისა და კოოპერატივის ყიდვა/გაყიდვის ხარჯებისგან, წარმოების ერთეულის დაბრუნების მაჩვენებლის გათვალისწინებით.

დანახარჯების საფასურს შეადგენენ კოოპერატივის დანახარჯები წარმოების ერთეულზე, მათ შორის:

- მატერიალური ხარჯები (ნედლეული და მასალები, ელექტროენერგიის გადახდა, წყალმომარაგება, კანალიზაცია, საქონლის ტრანსპორტირება, საწვავი და საპოხი მასალები და ა.შ.);
- ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ცვეთა;
- ხელფასები და სოციალური ანარიცხები.

წარმოების მოცულობის შეცვლისას დანახარჯების ქცევიდან გამომდინარე, ისინი იყოფიან მუდმივ და ცვლად დანახარჯებად, კერძოდ:

- **მუდმივი, ანუ ფიქსირებული ხარჯები** სტაბილური რჩება მაშინაც კი, როცა იცვლება წარმოების მოცულობა. ამ ჯგუფს მიეკუთვნება:

- ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია;
- ქირავნობა (იჯარა);
- თანამშრომელთა დროებითი ხელფასები;
- სესხის გამოყენების პროცენტი;
- საერთო წარმოება;
- საერთო (მმართველობითი) ხარჯები.

- **ცვლადი ხარჯები** იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებასთან ერთად: ნედლეულისა და მასალების ღირებულება, საწარმოო მუშახელის ხელფასები, საწვავი და ელექტროენერგია ტექნოლოგიური მიზნებისათვის. წარმოების მოცულობების ზრდის ტემპის თანაფარდობიდან და ცვლადი ხარჯების სხვადასხვა ელემენტიდან გამომდინარე, ეს უკანასკნელი იყოფა პროპორციულ, პროგრესულ და დიგრესიულ ხარჯად.

ცვლადი ხარჯების პროპორციული ზრდისას, ღირებულების წრფე წარმოადგენს პირველი ხარისხის განტოლებას:

$$Y = a + bX,$$

სადაც Y - არის პროდუქციის წარმოების ხარჯების ჯამი;

a - არის ფიქსირებული ხარჯების აბსოლუტური ჯამი;

b - ცვლადი ხარჯების მაჩვენებელი გამოშვების ერთეულზე (მომსახურებაზე);

X - პროდუქციის (მომსახურების) წარმოების მოცულობა.

მიმწოდებელ-მარკეტინგული კოოპერატივის საქმიანობის ანალიზისა და დაგეგმვის ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენს საინვესტიციო რესურსების გაანგარიშება, კოოპერატივის დაფინანსების წყაროების განსაზღვრა და ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტურობა, ამიტომ მნიშვნელოვანია გაყიდვებისა და ხარჯების დონისა და თანხის მიღების პროგნოზირება. კოოპერატივის მიმწოდებელ-მარკეტინგული პროექტის განხორციელებისას, ყველა გაანგარიშება გაკეთდა ქვემო ქართლის მხარის თეთრიწყაროს რაიონის სოფელი მოხისის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივი „რანჩოს“ მაგალითზე. კოოპერატორებმა აიღეს 2-წლიანი სესხი (ცხრილი 17). აღვნიშნავთ დადებით ასპექტებს - სესხის დიდი მოცულობა და მნიშვნელოვანი საბანკო კონტროლი მისი გამოყენების ეფექტურობაზე, ნეგატიური ასპექტებია - მოზიდვისა და გაფორმების სირთულე, შესაბამისი გარანტიების გაცემის აუცილებლობა, აღებული სესხების დაფარვის დაგვიანების გამო გაკოტრების გაზრდილი რისკი და მოგების ნაწილის დაკარგვა, რაც გამოწვეულია სესხის პროცენტის გადახდის აუცილებლობით.

ცხრილი 17. ქვემო ქართლის მხარის თეთრიწყაროს რაიონის სოფელი მოხისის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივი „რანჩოს“ საინვესტიციო დაფინანსების წყაროები (საავტორო ცხრილი)

დაფინანსების წყაროები	თანხა ათ. ლარი	თარიღი	ვადები, თვე	განაკვეთი, %	პროცენტის გადახდის პერიოდულობა	ძირითადი თანხის დაბრუნების პროცედურა
კრედიტი	2000,0	1-ლი თვე	24	22	ყოველთვიურად, პირველი თვიდან	ყოველთვიურად, მეორე თვიდან
შენატანი	16,0	1-ლი თვე				
სულ	2016,0	X	X	X	X	X

კოოპერატივის საქმიანობის განსახორციელებლად, გამოვთვალეთ საჭირო რესურსების რაოდენობა: მასალების, მესამე მხარის ორგანიზაციების მომსახურების, შრომითი ხარჯები სოციალური საჭიროებების გამოკლებით (მუშაობის პირველ თვეში 25 500 ლარი) და საწარმოო და საყოფაცხოვრებო ტექნიკის ძირითადი საშუალებების შეძენა. წილის სახით დამფუძნებლების მიერ მოწოდებულია ფულადი სახსრები და არასაბრუნავი აქტივები 16000 ლარის ოდენობით.

**ცხრილი 18. კოოპერატივის მუდმივი და ცვლადი ხარჯების სტრუქტურა 2019 წლის ივნისში
(საავტორო ცხრილი)**

ხარჯის ელემენტები და საგნები	თანხა, ლარი	სტრუქტურა, %
ცვლადი ხარჯები		
ნედლეული და მასალები	6869	16,2
ხელფასი	18805	44,4
სოციალური შენატანები	6695	15,8
სხვა ხარჯები	10000	23,6
სულ	42369	100,0
მუდმივი (პირობითად ფიქსირებული) ხარჯები		
ელექტროენერგია	1081	21,5
წყალმომარაგება	81	1,6
კანალიზაცია	81	1,6
გათბობა	593	11,8
ტელეფონი	110	2,2
ფაქსი	110	2,2
შრომის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურები	2119	42,2
მიმდინარე რეკლამები	847	16,9
სულ	5024	100,0

გარდა ამისა, იგეგმება დამფუძნებლების მიერ ფულადი სახსრების მიღება საწესდებო კაპიტალში შეტანილი წილის სახით. კოოპერატივის მუდმივი და ცვლადი ხარჯების სტრუქტურა მოცემულია ცხრილში (18).

ფასების ინდექსის ხარჯების კორექტირებით განვსაზღვრეთ მომავლის მოსალოდნელი ხარჯები იმ პირობით, რომ დანახარჯების სტრუქტურა მუდმივობას შეინარჩუნებს. პირველი თვის დასაწყისში კოოპერატივი აფორმებს სასესხო ხელშეკრულებას და თვის შუა რიცხვებში თანხები უნდა გადარიცხოს კოოპერატივის მიმდინარე ანგარიშზე იმ ოდენობით, რამდენიც საჭიროა შემდგომი საინვესტიციო ხარჯებისათვის - 2 000 000 ლარი (ცხრილი 19).

**ცხრილი 19. კოოპერატივის „რანჩო“ ფინანსური ინვესტიციების გრაფიკი
(საავტორო ცხრილი)**

N	პროექტის ეტაპები	საინვესტიციო დანახარჯები (ლარი)			სულ
		1 თვე	2 თვე	3 თვე	
1	ძირითადი საშუალებები (დღგ-ს გარეშე):				
1.1	რძის სატვირთო მანქანა „ფოლკსვაგენი“ მისაბმელით	415254	-	-	415254

1.2	„ფოლკსვაგენი“ თერმული ჯიხურით	677966	-	-	677966
1.3	მოწყობილობა „ლაქტანი“	12712	-	-	12712
1.4	მუავიანობის საზომი ხელსაწყო	10169	-	-	10169
2	სულ არასაბრუნავი აქტივები	1116102	0	0	1116102
2.1	ნედლეული და მასალები (საინვესტიციო საქმიანობისთვის, დღგ-ს გარეშე):				
2.2	რძის მრიცხველები	4237	-	-	4 237
2.3	რძის კონტეინერები	12712	-	-	12 712
3	სულ ნედლეული და მასალები	16 949	0	0	16 949
4	შრომის ანაზღაურების ხარჯები, სოციალური საჭიროებების გამოქვითვით	22 333	-	-	22 333
5	დოკუმენტების გაფორმება, რეგისტრაცია, მიმდინარე ანგარიშის გახსნა (დღგ-ს გარეშე)	20 000	-	-	20 000
6	სხვა საინვესტიციო ხარჯები	10 000	-	-	10 000
7	სულ საინვესტიციო ხარჯები	1185384	0	0	1185384

სესხის პროცენტი გამოითვლება სესხის ძირითადი თანხიდან. სესხის პროცენტის დაფარვის გრაფიკი და ძირითადი სესხის თანხა განვიხილოთ მაგალითში. მაგალითად, ძირითადი სესხის ოდენობა იანვარში იყო 2000000 ლარი, წლიური საპროცენტო განაკვეთი 22, შესაბამისად, ყოველთვიური პროცენტი - 1,83%. მაშინ იანვრისთვის პროცენტის ოდენობა იქნება 36,667 ლარი. თებერვალში ძირითადი თანხა იქნება 1916667 ლარი, ანუ კოოპერატივი გადაიხდის ძირითადი სესხის ნაწილს - 83 333 ლარს და მაშინ პროცენტის ოდენობა იქნება 35,139 ლარი $((2000000-83333) \times 0,22 : 2)$.

შიდა და ქვემო ქართლის, აგრეთვე კახეთის რეგიონების სხვა ფერმების მაგალითზე დაყრდნობით და მათი საუკეთესო პრაქტიკის დავგეგმეთ საკვლევი კოოპერატივების საქმიანობა გაურკვევლობისა და რისკის პირობებში. წინასწარ იქნა გამოვლენილი რეგიონებში რძის გაყიდვების მოცულობის სეზონური რყევები, განისაზღვრა ურთიერთობა გაყიდვების მოცულობასა და პროდუქციის ფასებს შორის, გაანგარიშდა გაყიდვების მოცულობის პროგნოზირების დონე სეზონური ფაქტორის გათვალისწინებით, ასევე რძის წარმოების მოცულობებში ცვლილებების ელასტიურობის დამოკიდებულება ფასზე. ფაქტორული ანალიზის საფუძველზე დადგინდა მეწველი ძროხების რაოდენობისა და მათი პროდუქტიულობის

(წველადობის) გავლენა წარმოების მოცულობაზე. რძის მოსავლიანობა ექვემდებარება სეზონურ რყევებს, ანუ დამოკიდებულია სეზონზე, ანუ რძის ყველაზე მაღალი წველადობა მიიღწევა ივნისში, ხოლო ყველაზე დაბალი - ნოემბერში. ნოემბრიდან ივნისამდე წველადობა იზრდება და შემდეგ იკლებს. მაგალითისთვის, მუშა პირუტყვი არ ექვემდებარება ასეთ სეზონურ რყევებს. იქიდან გამომდინარე, რომ გვაქვს მონაცემები ორგანიზაციის ხარჯების სტრუქტურის, გაყიდვების მოცულობის სეზონური ინდექსების, ივნისის თვეში შესყიდვების მოცულობის შესახებ, საკვლევი კოოპერატივების მიხედვით გამოვთვლით ფიქსირებული და ცვლადი ხარჯები.

კონკრეტულად: ვიცით რა კოოპერატივის „რანჩო“ გაყიდვების მოცულობა ივნისში - 9 942 კგ, აგრეთვე გაყიდვების მოცულობის სეზონური ინდექსი 1.540, ჩვენ გამოვთვლით გაყიდვების საშუალო მოცულობას 2020 წლისთვის. ეს იქნება 6456 კგ (9942 : 1.540). თუ იანვარში სეზონურობის ინდექსი 0.693 იყო, შესაბამისად, გაყიდვების მოცულობა იქნება 4474 კგ (6456 x 0.693).

ჩვენ გამოვიყენეთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და საფრანგეთის უნივერსიტეტ „რენეს“ ერთობლივ, კვების ტექნოლოგიის ახლადშექმნილ ფაკულტეტზე არსებული რძის წარმოების სპეციალობის უახლესი ლაბორატორიის გამოთვლების ალგორითმი, რომლითაც ხელმძღვანელობს არა მხოლოდ ამ უნივერსიტეტების მეცნიერ თანამშრომლები, არამედ ბევრი ქართული თანამედროვე რძის კოოპერატივი და მსხვილი საწარმო. მაგალითად, 2019 წლის იანვარში შიდა ქართლის რეგიონში გაყიდვების გათანაბრებულმა მოცულობამ შეადგინა 1175 ტონა რძე, ხოლო რეალურმა მოცულობამ - 801,9 ტონა. საკვლევი კოოპერატივის „რანჩო“ მონაცემებით, გაყიდვების მოცულობამ შეადგინა 4474 კგ. შესაბამისად, გაყიდვების მოცულობა, კოოპერატივის ტენდენციის გათვალისწინებით, უდრის 6558 კგ-ს (1175 : 801,9 x 4474).

2018-2019 წლების კოოპერატიული პროექტის გაყიდვების მოცულობამ შეადგინა 480,000 კგ რძე, ხოლო ივნისის თვეში პროექტის კორექტირებულმა გაყიდვების მოცულობამ შეადგინა 488 142 კგ. სეზონურობის გათვალისწინებით, რძის გაყიდვების მოცულობამ 2019-2020 წლებისთვის, კოოპერატივის პროექტის

მიხედვით, ჩვენი გათვლებით, შეადგინა 365 080კგ. რძის ფასის გაანგარიშების საფუძველზე, სეზონურობისა და გაყიდვების მოცულობის გათვალისწინებით გამოთვლილ იქნა 2018-2019 წლებში რძის რეალიზაციიდან მიღებული მოგება და მოხდა 2019-2020 წლების პროგნოზირება. კოოპერატივის ცვლადი ხარჯები დამოკიდებული იქნება რძის შესყიდვების მოცულობაზე და, შესაბამისად, შეიცვლება სეზონის მიხედვით. ცვლადი ხარჯების მოცულობა ანგარიშდებოდა გაყიდვების მოცულობის ანალოგიურად.

2019 წლის ანალიტიკური გათანაბრების მეთოდით ცვლადი დანახარჯების რიგ დინამიკაში ცვლილებების ხასიათის დასადგენად შეირჩევა წრფივი განტოლება, რომელიც საუკეთესოდ ასახავს რიგი დინამიკის ცვლილებების ბუნებას შესასწავლი პერიოდისათვის (ჩვენს შემთხვევაში, 2019 წლის ცვლადი ხარჯების რიგი დინამიკა). ასეთი განტოლება წრფივია, კერძოდ:

$$Y(t) = A + B \times t$$

სადაც $Y(t)$ არის ცვლადი ხარჯების სავარაუდო ღირებულება; A - ცვლადი ხარჯების საშუალო რაოდენობა 2019 წლისთვის; B - ცვლადი ხარჯების ზრდა (შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი); t - არის დროის მაჩვენებელი.

$$\begin{cases} \sum Y = nA + B \sum t \\ \sum Y(t) = A \sum t + B \sum t^2 \end{cases}$$

განტოლების A პარამეტრი განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$A = \sum Y / n ,$$

სადაც n არის მთელი რიგი დინამიკის დონეთა რაოდენობა (ჩვენს შემთხვევაში, $n = 12$).

განტოლების B პარამეტრი განისაზღვრება, როგორც:

$$B = \frac{\sum Y(t) - A \sum t}{\sum t^2}$$

განტოლებების სისტემის ამოხსნის გამარტივების მიზნით, პარამეტრი ირჩევა ისე, რომ $\sum t$ ტოლია ნულის ($\sum t = 0$). ამისათვის კეთდება შემდეგი:

1. დონეების კენტი რაოდენობის არსებობისას (1, 3, 5, 7 ... n) საშუალო დონის (t)-ს მივჩნევთ 0-ის ტოლად. დონეები, რომლებიც საშუალოზე მაღალია,

აღინიშნება უარყოფითი რიცხვებით (-1, -2, -3...), ხოლო სამუალოზე დაბლები - დადებითი რიცხვებით (+ 1, + 2, + 3...).

2. დონეების ლუწი რაოდენობის არსებობის შემთხვევაში (2,4,6,8... n), დინამიკის რიგის შუა დონეები აღინიშნებიან ზევით - უარყოფითი (-1, -3, - 5...) და ქვევით - დადებითი რიცხვებით (+ 1, + 3, + 5...).
3. ჩვენს შემთხვევაში, დონეების რიცხვი ლუწია (12). ამიტომაც:

$$A = 343359/12 = 28613 \text{ ლარი, } B = -116812/572 = 204,22 \text{ ლარი.}$$

ამრიგად, განტოლებას აქვს შემდეგი სახე:

$$Y(t) = 28613 - 204.22t$$

2018 წლის მონაცემების ინტერპოლაციისთვის საჭიროა დროის ინდიკატორის (t) ზევით გაფართოება. მაგალითად: 2018 წლის იანვარში ეს იქნება - 35 და მაშინ ცვლადი ხარჯების დონე იქნება:

$$Y(t) = 28613 - 204,22 \times (-35) = 35761 \text{ ლარი.}$$

ცვლადი ხარჯების ექსტრაპოლაციისთვის აუცილებელია, რომ დროის მაჩვენებელი გაგრძელდეს ქვევით. მაგალითად: 2019 წლის იანვარში ეს იქნება 13 და მაშინ ცვლადი ხარჯების დონე იქნება:

$$Y(t) = 28613 - 204,22 \times 13 = 25958 \text{ ლარი.}$$

ამის შემდეგ, ჩვენ განვსაზღვრავთ პირობითად მუდმივ ხარჯებს. მათ პირობითად მუდმივს უწოდებენ, რადგანაც გრძელვადიან პერიოდში, როგორც წესი, მათი ფასი იზრდება. მაგრამ მოკლევადიან პერიოდში ამ ხარჯების მოცულობა ყოველთვის იგივე დარჩება. მუდმივ ხარჯებს მივაკუთვნებთ ძირითადი საშუალებების ამორტიზაციას. ვინაიდან დროის მონაკვეთიდან გამომდინარე, შენაძენების მოცულობა არ იქნება იგივე (მსგავსი), ხარჯების გასაკონტროლებლად გამოვთვლით ცვლადი ხარჯების განაკვეთს პროდუქტის ერთეულზე. 1 კგ რძეზე ცვლადი ხარჯების მაჩვენებელი 2018 წლის იანვარში იყო: გათანაბრებული 1,621 ლ/კგ., რეალური, შესადარებელ ფასებში 1,952 ლ/კგ. და რეალური, მიმდინარე ფასებში - 1,552 ლ/კგ. ანალოგიურად მოხდა ცვლადი ღირებულების განაკვეთების დათვლა 2018-2020 წლებისთვის.

ბიზნესის დაგეგმვის შემდეგი ეტაპი იქნება ფულადი სახსრების მოძრაობისა და მოგება/ზარალის გეგმების შედგენა. „ფულადი სახსრების მოძრაობის გეგმა“ ემყარება დაგეგმვის ყველა ცნობილ მეთოდში გამოყენებულ ფულადი ნაკადების ანალიზისა და საინვესტიციო პროექტების ეფექტურობის შეფასების მეთოდებს (მაგალითად, „COMFAR“-სა²³ და „UNIDO“-ში²⁴). ამ დოკუმენტის მომზადება გამოიყენება საწარმოს განკარგულებაში არსებული სახსრების ამჟამინდელი ბალანსის დასადგენად. ეს ბალანსი ფორმირდება ფულადი სახსრების შემოდინებების (პროდუქციისა და მომსახურების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, საწესდებო ფონდში შეტანილი შენატანები, სესხები და ა.შ.) და გადინებების (პროდუქციისა და მომსახურების წარმოების ხარჯები, საწარმოს მთლიანი ხარჯები, საინვესტიციო ხარჯები, სარემონტო ხარჯები და სესხების დაფარვა, დივიდენდების გადახდა, სხვა გადასახადები) ხარჯზე. ქვემოთ მოცემულია ფულადი სახსრების მოძრაობის გეგმის ზოგადი სტრუქტურა (ცხრილი 20).

ცხრილი 20. ფულადი სახსრების გეგმის სტრუქტურა კოოპერატივისათვის „რანჩო“ (საავტორო ცხრილი)

გაანგარიშების პროცედურა	სტატის დასახელება
1	1. პროდუქტის გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი
2	2. პირდაპირი წარმოების ხარჯები
3	3. გაყოფილი სახელფასო ხარჯები
4	4. სხვა საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი
5	5. სხვა საქმიანობისთვის გაწეული ხარჯები
6	6. საოპერაციო (ზოგადი) ხარჯები

²³ COMFAR მნიშვნელოვანი დამხმარე ინსტრუმენტია საინვესტიციო პროექტების ანალიზში. ძირითადი მოდული იღებს ფინანსურ და ეკონომიკურ მონაცემებს, ქმნის ფინანსურ და ეკონომიკურ ანგარიშებს და გრაფიკულ მოდელებს. ამ პროგრამის მეთოდოლოგიური საფუძველია გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის მეთოდოლოგია. UNIDO-ს სპეციალისტების მიერ შემოთავაზებული მიდგომა ტიპური ბიზნეს გეგმის შემუშავებისას საშუალებას იძლევა არ გამოვტოვოთ ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტები საწარმოს მიმდინარე ან დაგეგმილი საქმიანობის აღწერაში, აგრეთვე ქმნის შედეგების წარმოდგენის შესაძლებლობას ყველაზე შესაფერისი ფორმით აღქმისთვის. ეს ტექნიკა, გარკვეულწილად, ასრულებს ერთიანი ბაზის როლს, რომელიც საშუალებას აძლევს ინვესტიციების დაგეგმვისა და ფინანსური ანალიზის სფეროს სპეციალისტებს, დაუკავშირდნენ ერთმანეთს. ინვესტიციების დიზაინის ცნობილი კომპიუტერული სისტემების უმეტესობა ამ ტექნიკას ეყრდნობა.

²⁴ UNIDO - გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია - გაეროს სპეციალიზებული სააგენტო. ორგანიზაციის მისია განსაზღვრულია ლიმას დეკლარაციაში რომელიც მიღებულია 2013 წელს გამართულ UNIDO-ს მეთხუთმეტე სესიაზე და ითვალისწინებს ინკლუზიური და მდგრადი სამრეწველო განვითარების (ISID) თანამშრომლობას წევრ ქვეყნებში

7	7. გადასახადები
$8=1-2-3+4-5-6-7$	8. ფულადი სახსრების მოძრაობა წარმოების საქმიანობიდან
9	9. აქტივების შესაძენად გაწეული ხარჯები
10	10. მოსამზადებელი პერიოდის სხვა ხარჯები
11	11. აქტივების რეალიზაციით მიღებული თანხა
$12=11-10-9$	12. ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან
13	13. საკუთარი კაპიტალი
14	14. ნასესხები კაპიტალი
15	15. გადასახადები სესხების დასაფარად
16	16. სესხების პროცენტის გადასახადები
17	17. საბანკო დეპოზიტები
18	18. შემოსავალი საბანკო დეპოზიტებიდან
19	19. დივიდენდების გადახდა
$20=13+14-15-16-17+18-19$	20. ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან
$21=22$ (წინა პერიოდისთვის)	21. ფულადი ბალანსი პერიოდის დასაწყისში
$22=8+12+20+21$	22. ფულადი ბალანსი პერიოდის ბოლოს

ყველა შემოსავალი და გადახდა აისახება „ფულადი სახსრების მოძრაობის გეგმაში“ ამ გადახდების განხორციელების შესაბამისი ფაქტიური თარიღების შესაბამისი პერიოდებისთვის, ანუ გაყიდული საქონლის ან მომსახურების საფასურის გადახდის გადავადების, ნედლეულის მომარაგების საფასურის გადასახადების შეფერხების, პროდუქციის რეალიზაციის პირობების (კრედიტით, წინასწარი გადახდით) გათვალისწინებით. ამრიგად, „ფულადი სახსრების მოძრაობის გეგმა“ აჩვენებს ფულადი სახსრების მოძრაობას და ასახავს საწარმოს საქმიანობის დინამიკას.

ფულადი ბალანსის ნეგატიური მნიშვნელობა ნებისმიერ პერიოდში მიუთითებს იმაზე, რომ ორგანიზაციას არ შეუძლია გადაიხადოს მიმდინარე ვალები. გაანგარიშების შედეგად მიღებული დაგეგმილი ფულადი ნაკადების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საწყისი პირობების გათვალისწინებით, მიწოდება-გაყიდვების კოოპერატივის შექმნის მთელი პროექტის განმავლობაში, არსებობს ოპერაციული (მიმდინარე) საქმიანობის განსახორციელებლად და აგრეთვე მისი სესხისა და პროცენტის დასაფარად საჭირო საკმარისი ფულადი სახსრები.

მოგებისა და ზარალის გეგმა ასახავს საწარმოს ოპერატიულ საქმიანობას (პროდუქციისა და მომსახურების წარმოებისა და მარკეტინგის პროცესი დროის გარკვეულ მონაკვეთებში (თვე, კვარტალი, წელი)). კოოპერატივის მომგებიანობა განისაზღვრება „მოგებისა და ზარალის გეგმიდან“.

რაც შეეხება ხარჯებს, „მოგებისა და ზარალის გეგმა“ ასახავს განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში გაწეულ ხარჯებს, ხოლო „ფულადი სახსრების მოძრაობის გეგმა“ ასახავს ამ ხარჯების რეალური გადახდის დინამიკას. მოგება/ზარალის გეგმა ასახავს აქტივების ცვეთას, რადგან ის არ წარმოადგენს ხარჯს, მაგრამ რადგან ცვეთა არ წარმოადგენს ფულად ვალდებულებას, იგი არ შედის ფულადი სახსრების მოძრაობის გეგმაში. და - პირიქით: სესხის დაფარვა არ წარმოადგენს ხარჯს და, შესაბამისად, არ შედის მოგებისა და ზარალის გეგმაში. თუმცა, ის წარმოადგენს ფულად ვალდებულებას და გავლენას ახდენს ფულადი სახსრების ნაკადებზე. აღჭურვილობის შეძენა, ანუ საინვესტიციო ხარჯები და ფულადი ნაკადების გავლენა, პირდაპირ გავლენას არ ახდენს მოგებაზე, რაც აისახება „მოგებისა და ზარალის გეგმაში“ საამორტიზაციო ანარიცხების საშუალებით.

ამრიგად, „მოგებისა და ზარალის გეგმაში“ ასახულია მოგების ან გაყიდვების შედეგად მიღებული შემოსავლის გამომანგარიშებული მნიშვნელობები, „ფულადი სახსრების მოძრაობის გეგმაში“ კი - რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების ფაქტიური შემოდინებები.

კოოპერატივის „რანჩო“ მაგალითზე განვიხილოთ განვითარების დინამიკა. „მოგებისა და ზარალის გეგმის“ გაანგარიშებამ აჩვენა კოოპერატივის მოგების ფორმირება, ეს ნიშნავს, რომ ბრუნვა 2019 წლის აპრილში არსებული მოგების პირობებში (1671895 ლარი) გადასახადების გადახდამდე მოგებამ შეადგინა 141,216 ლარი თვეში. კოოპერატივი წმინდა მოგების მიღება დაიწყო მარტიდან და მისი ოდენობა დაახლოებით 15407 ლარია.

ამ კოოპერატივის ფუნქციონირებისთვის ჩვენ შევადგინეთ სასიცოცხლო აქტივობის პარამეტრების და მისი საბაზრო პირობებში ფუნქციონირების გაანგარიშების ეკონომიკური დასაბუთება ქვემო ქართლის რეგიონის სოფელი მოხისის სასოფლო-სამეურნეო საკვლევი კოოპერატივის „რანჩო“ მაგალითზე.

საკვლევი კოოპერატივების ინდიკატორების ანალოგიური ანალიზი ნათლად აჩვენებს სოფლის მეურნეობის მიწოდების და მარკეტინგის კოოპერატივის ფუნქციონირების პოტენციურ შესაძლებლობებს რძის ყიდვა-გაყიდვის სფეროში. თუ 2018 წელს კერძო მეურნეობების მიერ წარმოებულ იქნა 395 ტონა რძე, 2019 წლის 16 ივლისისთვის ეს იყო 121 ტონა. საერთო ჯამში, 2019 წელს ქვემო და შიდა ქართლის რაიონებში წარმოებულ იქნა 32291,3 ტონა რძე. საკვლევი კოოპერატივები რძის რეალიზაციას ძირითადად საკუთარ საბითუმო ბაზრებზე ახდენენ. შემოსავალი მოიცავს ყველა დონის ადმინისტრაციული სტრუქტურის უზრუნველყოფის და შენახვის ხარჯებს, მატერიალური და ტექნიკური საშუალებების შეძენას, სარძევე ჯიშის საქონელის შეძენა-შენახვას, პრემიებს, რომლებიც მიზნად ისახავს რძის წარმოების გაზრდას, გადამუშავებისა და მიწოდების, ვეტერინარული მომსახურების ხარჯებს.

კვლევამ გვიჩვენა, რომ ორგანიზებული და ბაზარზე ხანგრძლივ პერიოდში ფუნქციონირებადი კოოპერატივის ორგანიზაციული და ეკონომიკური მექანიზმის დადებითი მხარეებია:

1. კოოპერატივების სტეიკჰოლდერებთან ურთიერთობის ეკონომიკური მექანიზმი უზრუნველყოფს მათი პროდუქციის გარანტირებულ რეალიზაციას და საჭირო რესურსების მიწოდებას, ხოლო კოოპერატივს კი უზრუნველყოფს ნედლეულით, აგრეთვე გრძელვადიან კავშირებით ორივე მხარის ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად;
2. კოოპერატივის მიერ წარმოების განვითარებისთვის არჩეული სტრატეგია მდგომარეობს პროდუქტიული პირუტყვის (მეწველი ძროხების) რაოდენობისა და პროდუქტიულობის ზრდაში, პროდუქციით მომარაგებისას ერთგვაროვნების შენარჩუნებაში; ამდენად, ამ სტრატეგიას შეუძლია უზრუნველყოს ნედლეულის სტაბილური წარმოების საფუძველი, რაც გულისხმობს მთელი ვერტიკალის სტაბილურ მუშაობას;
3. ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის მხარეებში მიმდინარეობს წარმოების ვერტიკალური კონცენტრაციის პროცესი. სოფლის მეურნეობის მწარმოებლები, ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნების ფონზე,

ერთიანდებიან გამსხვილებულ ეკონომიკურ სტრუქტურებში. ეს კი იმ პრობლემათა გადაწყვეტის საწინდარია, რომელთა შესრულება ინდივიდუალურ მწარმოებლებს არ შეუძლიათ.

4.3. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და აგრობიზნესის მოდელების განვითარების პერსპექტიული მიმართულებები საქართველოში

დღეს ქვემო და შიდა ქართლის რეგიონებში 200-მდე დიდი და მცირე დასახლებაა, სადაც არ არსებობს დამსაქმებელი სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია. ამ დასახლებულ პუნქტებში 691,4 ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობს (ქვემო ქართლში - 437,3 ათასი, შიდა ქართლში - 254,1 ათასი)²⁵, საიდანაც სოფლის მოსახლეობა 398,4 ათასი კაცია, ანუ ორივე რეგიონის მოსახლეობის 58%. სოფლებში ხალხი ძირითადად დაკავებულია მიწის კერძო ნაკვეთებზე მუშაობით. უმრავლესობა განიცდის დიდ სირთულეებს მიწის ნაკვეთების დამუშავებასთან, საკვების მომზადებასა და მოწოდებასთან, წარმოებული ზედმეტი პროდუქციის რეალიზაციასთან, მცირე ზომის მექანიზაციის შეძენასთან, გარე ნაგებობების მშენებლობასთან, სხვადასხვა პროდუქციითა და რესურსებით უზრუნველყოფასთან და ა.შ. დაკავშირებით.

ეკონომიკური არასტაბილურობის 30-წლიანმა პერიოდმა გაანადგურა მრავალი ძლიერი სასოფლო-სამეურნეო საწარმო - ყოფილი სახელმწიფო მეურნეობა და კოლმეურნეობა. მათ ადგილას დარჩა ნანგრევები - დაიტაცეს, დაარბიეს მეფრინველეობისა და მეცხოველეობის ფერმები, სასაკლაოები, მანქანებისა და ტრაქტორების პარკები და საამქროები, განადგურდა საძოვრები, ცხოველთა მიგრაციული გზების ინფრასტრუქტურა, საზაფხულო და საზამთრო შენობა-ნაგებობები და სასათბურე მეურნეობა, მრავალწლიან კულტურათა ნარგავები, ბაღები, ვენახები, ბაღჩეულ კულტურთა პლანტაციები, სელექციური სასოფლო მეურნეობა, კვლევითი ინსტიტუტები და მრავალი სხვა. ამ დასახლებული პუნქტების და მათი ინფრასტრუქტურის შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ იმ

²⁵ საქსტატი, მოსახლეობა: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba>

შემთხვევაში, თუკი განხორციელდება გრანდიოზული, თითქმის მსოფლიო დონის ეკონომიკური და ფინანსური მხარდაჭერა მზა პროდუქციის რეალიზაციის ბაზრების ათვისების, მიწის ნაკვეთების დამუშავების, მოსავლის მაღალტექნოლოგიური და მეცნიერებატევადი სელექციური ჯიშების გამოყვანაში და სხვა მრავალი.

დასახლებული პუნქტები უმეტესწილად თანაბრად არის განაწილებული და მოსახლეობის სიმჭიდროვე ორივე რეგიონში თითქმის ერთნაირია. მაგრამ არის ბევრი „მომაკვდავი“ სოფელიც. 30-ზე მეტი ასეთი სოფელი მდებარეობს შიდა ქართლში, საუბარია ოკუპაციის ხაზთან ახლომდებარე სოფლებზე, რომელსაც მოსახლეობა ნელ-ნელა ცლის და არიდებს თავს. სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს ამ სოფლებში აღარ დარჩა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა - ტრაქტორი, კულტივატორი, კომბაინი, სატვირთო და სათესლე მანქანები, სარწყავი ტექნიკა. განადგურებულია სამელიორაციო ინფრასტრუქტურაც.

გარდა ამისა, კვლევის საწყის ეტაპებზე საკმაოდ ბევრ მუნიციპალიტეტის მერიაში ვერ მოგვაწოდეს ზუსტი ინფორმაცია არსებული საოჯახო მეურნეობებისა და მათი აღჭურვილობის მდგომარეობის შესახებ.

2021 წლის 1 იანვრის მონაცემებით²⁶ რეგიონებში იყო 3935 ერთეული გლეხური (ფერმერული) მეურნეობა. მათი წარმოების წილი მარცვლეულის მთლიან წარმოებაში იყო -11,7%, კარტოფილის მთლიან მოცულობაში - 0,7%, ბოსტნეულში - 51,1%, პირუტყვისა და შინაურ ფრინველში - 41,2%. მეურნეობების რაოდენობამ, რომელთაც გააჩნდათ სათესი მიწები, შეადგინა 289,4 ათასი კერძო საყოფაცხოვრებო ნაკვეთი (კსნ). კერძო საყოფაცხოვრებო ნაკვეთების მეურნეობებში 270,5 ათასი სული მსხვილფეხა რქოსანი და სხვა პირუტყვია, მათ შორის ძროხა; ღორი; ცხვარი და თხა, რაც შესაბამისად რეგიონში ამ ტიპის პირუტყვის მთლიანი რაოდენობის 32,2; 40,0; 59; 85 პროცენტია. ფერმერული მეურნეობების მეცხოველეობის პროდუქციის 60%-მდე გამოიყენება შიდა სამეურნეო საჭიროებებისათვის. დანარჩენი (40%) იყიდება ბაზარზე. რომ არ ყოფილიყო პროდუქციის გასაღების მწვავე პრობლემა, ცხოველების რაოდენობა კერძო მეურნეობებში გაცილებით მეტი იქნებოდა. იმის გამო, რომ სოფლის მეურნეობის აწარმოო სფერო ამჟამად ღრმა კრიზისს განიცდის და

²⁶ საქსტატი, რეგიონული სტატისტიკა: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/93/regionuli-statistika>

სასოფლო-სამეურნეო საწარმოები ვერ უზრუნველყოფენ შრომისუნარიანი მოსახლეობის სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფას, ეს სრულდება კერძო საყოფაცხოვრებო ნაკვეთების გაყიდვით, რაც შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს.

ბოლო სამი წლის განმავლობაში წარმოების მოცულობის შემცირება და სოფლის მეურნეობის საწარმოებში ცხოველების რაოდენობა მიუთითებს იმაზე, რომ კერძო საყოფაცხოვრებო მეურნეობებმა ამოწურეს საკუთარი შესაძლებლობები და არ აქვთ ეკონომიკური მოტივაცია შემდგომი განვითარებისათვის. მათი კომერციულ მეურნეობებად გადაქცევა დაკავშირებულია პროდუქციის მარკეტინგის პრობლემებთან, სურსათის შესყიდვის მექანიზაციის მცირე საშუალებების არარსებობასთან, შენობა-ნაგებობათ ნაკლებობასთან და ა.შ. სოფლის მოსახლეობის უმეტესობას უჭირს გასაღების ბაზრებზე მისვლა ტრანსპორტისა და ფულის არარსებობის გამო, პროდუქციის რეალიზაცია ძირითადად ხდება გადამყიდველებთან შედარებით დაბალ ფასად, რძის სასაქონლოობა შეადგენს 21-25%, ხორცის კი - 30-34%. კერძო მეურნეობების შემდგომი განვითარების პრობლემები შეიძლება გადაწყდეს ერთმანეთთან თანამშრომლობით და მენეჯმენტის სხვა ფორმებით, ეს არის პროდუქციის რეალიზაცია, გადამუშავება, გაყიდვებთან ერთად, მეურნეობების უზრუნველყოფა მატერიალური რესურსებით. ჩამოთვლილ ღონისძიებათა შორის განსაკუთრებული ადგილი უნდა დაიკავოს საკრედიტო კოოპერაციამ.

ჩვენი ნაშრომის მიზანი იყო, დაგვემტკიცებინა, რომ სოფლის მეურნეობის კოოპერატიული განვითარება ერთადერთი და ნამდვილად უალტერნატივო გზაა ქართული სოფლის მეურნეობისათვის. სახელმწიფო მხარდაჭერის მოლოდინში მრავალი წელი გავიდა და ნათელი ხდება, რომ ყოფილი მდგომარეობა აღარასდროს დაბრუნდება. ანუ ის, რაც დღეს მავანს საბჭოთა სახელმწიფოს მხრიდან აღმოჩენილი მხარდაჭერა გონია, სინამდვილეში საელმწიფო საკუთრებაში მყოფ მიწებზე მოსახლეობის თითქმის უფასო მუშაობა იყო. ამ საკითხზე დიდხანს არ შევყოვნდებით, ვინაიდან აქ ყველაფერი ნათელია. დავუბრუნდებით კოოპერაციის პერსპექტივებზე მსჯელობას.

საკვლევი კოოპერატივების რესურსული პოტენციალის შესწავლამ აჩვენა, რომ ქვემო და შიდა ქართლის მხარეში განლაგებული სოფლების დაახლოებით 40%-ში შესაძლებელია კოოპერატივების შექმნა რეგიონული ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების გარეშე, დანარჩენებს კი დასჭირდება სუბსიდირება. სოფლის მეურნეობის მომსახურების კოოპერატივების სისტემის შექმნასა და განვითარებას შეუძლია სოფლის მოსახლეობას მისცეს სტაბილური შემოსავალი, სოფლის მეურნეობის ჭარბი რაოდენობის პროდუქტების ჩაბარების ხარჯზე. მაგალითად, მოსახლეობის მომსახურებისთვის შექმნილი ერთი კოოპერატივი უზრუნველყოფს 5-დან 15 სამუშაო ადგილს. ეს ნიშნავს, რომ დასაქმების გარდა, ყოფილი უმუშევარი ზოგავს ფულს უმუშევრობის შეღავათების ხარჯზე და ბიუჯეტში შეაქვს ფული შემოსავლისა და სოციალური გადასახადების სახით. ზოგადად, ყველა დონის ბიუჯეტის დანაზოგი და შემოსავალი წელიწადში შეადგენს დაახლოებით 30 ათას ლარს. კანონის განხორციელებამ შეიძლება ხელი შეუწყოს დასახლებების შესაძლო ლიკვიდაციის შედეგად დანაკარგების თავიდან აცილებას, ათასობით ჰექტარი მიწის სარეველითა და ტყით დაფარვას. მორალურ ზარალსა და სხვადასხვა ჯურის ოკუპაციის საფრთხეზე რომ არაფერი ვთქვათ, ამ საზღვრისპირა რეგიონების დასახლებული პუნქტების ლიკვიდაციის შემთხვევაში, მიწა განადგურდება და მიყენებული ზიანი ასობით მილიონ ლარს შეადგენს სოფლის მეურნეობის წარმოების შემცირების გამო.

შიდა და ქვემო ქართლის რეგიონის მუნიციპალური პასპორტების საფუძველზე, საქსტატის მეთოდოლოგიის დახმარებით მოხდა სოფლების რესურსული პოტენციალის დაჯგუფება რთული შეფასების კოეფიციენტის მიხედვით. ჩვენს მიერ გამოკვლეული კოოპერატივები განლაგებულია სოფლებში, რომელთაც არსებითი განსხვავებები აქვთ გადამამუშავებელი ბაზის, წარმოების მოცულობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის, გასაღების ბაზრების, რკინიგზასთან სიახლოვის, საქონელმწარმოებელთა შორის კავშირების დამყარებული ფორმებისა და სხვა პარამეტრების მიხედვით.

კომპლექსური შეფასების დაანგარიშება ხდება მანძილის მეთოდის გამოყენებით. იგი ემყარება ობიექტების სიახლოვის გათვალისწინებას მითითებული

ობიექტის შესადარებელი ინდიკატორებით. სტანდარტად აღებულია ჩვეულებრივი ობიექტი, რომელშიც არის ელემენტების მაქსიმალური რაოდენობა. რესურსის პოტენციალის შედარებითი შეფასების ალგორითმი წარმოდგენილია ქმედებათა შემდეგი თანმიმდევრობით:

1. საწყისი მონაცემები წარმოდგენილია მატრიცის (a_{ij}) სახით, მატრიცა წარმოადგენს ცხრილს, სადაც მწკრივებში წერია ინდიკატორთა რაოდენობა ($I = 1,2,3,\dots,n$) ხოლო სვეტებში - სოფლების რაოდენობა ($J = 1,2,3,\dots,m$). ჩვენს შემთხვევაში ავიღებთ საკვლევი რეგიონების სტატისტიკურ მონაცემებს.
2. თითოეული ინდიკატორისთვის იძებნება მაქსიმალური მნიშვნელობა, რომელიც შეტანილ უნდა იქნას ჩვეულებრივი მითითების სოფლის სვეტში $(m+1)$. მატრიცის (a_{ij}) საწყისი მაჩვენებლები სტანდარტიზებულია, ანუ მოცემულია შესადარებელი ფორმულით:

$$X_{ij} = a_{ij} : (\max a_{ij}), (0 X_{ij} 1), \quad (1)$$

სადაც X_{ij} – J ტიპის სოფლების სტანდარტული მაჩვენებელია.

$$R'_j = \sqrt{(a^2_{1j} + a^2_{2j} + \dots + a^2_{nj})}, \quad (2)$$

$$R''_j = \sqrt{(K_1 a^2_{1j} + K_1 a^2_{2j} + K_1 a^2_{nj})}, \quad (3)$$

$$R'''_j = \sqrt{(K(1-x^2_{1j}) + K_2(1-x^2_{2j})^2 + \dots + K_n(1-x^2_{nj})^2)}, \quad (4)$$

სადაც, K_1, K_2, \dots, K_n - ექსპერტის მიერ მინიჭებული ინდიკატორის ხვედრითი წონის კოეფიციენტებია.

ფორმულა 2 განსაზღვრავს გაანალიზებული J ტიპის სოფლის სარეიტინგო ქულას წარმოშობიდან მაქსიმალური დამორებით. ანუ ყველაზე მაღალი რანგი გააჩნია სოფელს, რომელსაც ყველა ცალმხრივი ინდიკატორის ჯამური შედეგი აქვს მეტი, ვიდრე დანარჩენს.

ფორმულა 3 წარმოადგენს ფორმულა 2-ის მოდიფიკაციას. იგი ითვალისწინებს ექსპერტული მეთოდით განსაზღვრული ინდიკატორების მნიშვნელობას.

ფორმულა 4 წარმოადგენს ფორმულა 2-ის მოდიფიკაციას. იგი ითვალისწინებს ინდივიდუალური მრავალმხრივი ინდიკატორების მნიშვნელობას სტანდარტული საწარმოს მიმართ რეიტინგის ქულის გამოანგარიშებისას.

3. რესურსების ხელმისაწვდომობისა და მათი გამოყენების ეფექტურობის განზოგადებული მაჩვენებლის მისაღებად გამოიყენება საშუალო გეომეტრიული მეთოდი:

$$K_y K_x = K_{xj} * K_{yj}, \quad (5)$$

სადაც K_{xj} – j-ტიპის სოფლისთვის რესურსების ხელმისაწვდომობის რეიტინგული შეფასებაა;

K_{yj} – j-ტიპის სოფლის რესურსების ეფექტურობის რეიტინგული შეფასებაა;

$K_y K_x$ - რესურსებით აღჭურვილობის სარეიტინგო კოეფიციენტის განზოგადება და მათი გამოყენების ეფექტურობაა.

მეთოდის მახასიათებელია ის, რომ ყველა მაჩვენებელს აქვს ერთნაირი მიმართულება. ეს ნიშნავს: რაც უფრო მაღალია ინდიკატორის დონე ან რაც უფრო მაღალია მისი ზრდის ტემპი, მით უკეთესი იქნება რესურსებით უზრუნველყოფა. განვიხილოთ გაანგარიშების მაგალითი შიდა ქართლის მხარის გორის რაიონის სოფელ ქვემისათვის, რომელშიც ფუნქციონირების საკვლევი სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივთაგან ერთერთი - „ტირიფონა“; შიდა ქართლის მხარის ქ. გორისათვის, სადაც ფუნქციონირებს მეორე საკვლევი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „გეა“ და ქვემო ქართლის მხარის თეთრიწყაროს რაიონის სოფელი მოხისისათვის, სადაც მდებარეობს მესამე საკვლევი სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივი „რანჩო“. გასაადვილებლად მივანიჭოთ სოფლებს რიგითი ნომრები: ქვემო -1, გორი - 2, მოხისი -3.

სოფლის ნომერი	კმ-ის რაოდენობა	მოსახლეობის რაოდენობა, ად.	ტექნიკის რაოდენობა	პირუტყვის რაოდენობა
1	10	200	2	200
2	15	250	0	300
3	20	300	6	500
Max	20	3000	6	500

$$a = \frac{X_1}{X_{max}}, \quad (6)$$

ამ ფორმულის გამოყენებით გამოითვლება სარეიტინგო კოეფიციენტი, რომელიც აჩვენებს, თუ რომელ ჯგუფს მიეკუთვნება მოცემული დასახლებული პუნქტი.

$$K = \sqrt{(1 - a_1)^2 + (1 - a_2)^2 + (1 - a_3)^2}$$

$$K_1 = \sqrt{(1 - 0,5)^2 + (1 - 0,67)^2 + (1 - 0,33)^2} = \sqrt{0,8087} = 0,899$$

სოფლის ნომერი	A ₁	A ₂	A ₃	K
1	0,5	0,67	0,33	0,899
2	0,75	0,83	00,00	1,045
3	1,00	1,00	61,00	0
Max	1,00	1,00	61,00	0

$$K_1 = \sqrt{(1 - 0,75)^2 + (1 - 0,83)^2 + (1 - 0)^2} = \sqrt{0,0914} = 1,045 \quad (7)$$

ამ მეთოდოლოგიით გავანალიზეთ ქვემო და შიდა ქართლის არასაქალაქო ტიპის დასახლებული პუნქტების თითქმის 50% და შედეგად მივიღეთ ასეთი სურათი:

1. დასახლებული პუნქტების ჯგუფები კომპლექსური რეიტინგის კოეფიციენტის მიხედვით გადანაწილდნენ შემდეგნაირად: 100 სოფლიდან - 53 შედის იმ ჯგუფში, სადაც მოსახლეობა, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ღორის რაოდენობა ყველაზე ნაკლებია. პირველ ჯგუფში, სადაც ყველაზე მეტი მოსახლეობის, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ღორის რაოდენობაა, მხოლოდ 6 სოფელია. ჩატარებულმა კომპლექსურმა შეფასებამ გამოავლინა ამ სოფლების სხვადასხვა რესურსული პოტენციალი, რომელიც შეიძლება სასარგებლო იყოს, როგორც საწყისი ბაზა სხვადასხვა კოოპერატივების შექმნისთვის;
2. სოფლის ან მუნიციპალიტეტის რესურსული პოტენციალი ასევე აუცილებელია გადაწყვეტილების მისაღებად პირველადი მომსახურების კოოპერატივების შექმნის, მიწოდების, სოფლის მეურნეობის მომსახურების, კოოპერატივის

წევრებისა და სოფლის მაცხოვრებლებისთვის სხვადასხვა სამუშაოების შესასრულებლად (კსმ და გ(ფ)მ);

3. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების, პირველადი გადამამუშავებისა და მარკეტინგის, აგრეთვე სოფლის მეურნეობის მომსახურების და მიწოდების კოოპერატიული ფორმირებების მიზანი შეიძლება იყოს:

- საკვლევი რეგიონების თითოეული ეკონომიკური სუბიექტის (მცირემასშტაბიანი სასაქონლო სექტორის ჩათვლით) შემოსავლის ზრდა სოფლის მეურნეობის მწარმოებლების სასარგებლოდ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვის შედეგად ფორმირებული თანხების გადანაწილების შემდეგ;
- რეგიონული ბიუჯეტის ფინანსური რესურსების ზრდა გადასახადებისა და სხვა ანარიცხების ხარჯზე.

მომავალში, პირველადი კოოპერატივების საფუძველზე შეიძლება შეიქმნას რეგიონული კოოპერატივებიც. ასეთი კოოპერატივების შექმნა შესაძლებელი არის რეგიონული ხელისუფლების მხარდაჭერით. სამუშაოები უნდა დაიწყოს თანამშრომლობის პოტენციური მონაწილეების შესწავლით, ხოლო კოოპერატიული ფორმირების შექმნის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღონ სოფლის მწარმოებლებმა.

კოოპერატივების ქსელის შექმნა, პირველ რიგში, უამრავ სარგებელს მოუტანს როგორც რეგიონულ, ასევე ქვეყნის ეკონომიკას. პირველ რიგში, კოოპერატივის ორგანიზაციული და ეკონომიკური მექანიზმი მოიცავს წარმოების ვერტიკალური კონცენტრაციის პროცესს, ხოლო სოფლის მეურნეობის მწარმოებლები, მიუხედავად ეკონომიკური დამოუკიდებლობისა, შედიან დიდ ეკონომიკურ სტრუქტურაში. იგი წყვეტს ამოცანებს, რომელთა შესრულება ცალკე სოფლის მეურნეობის მწარმოებლებს არ ძალუძთ. კოოპერატივის განვითარების სტრატეგია მიზნად ისახავს სტაბილური ანედლეულო ბაზისა და მთელი ვერტიკალის სტაბილური და უწყვეტი მუშაობისთვის მყარი საფუძვლის შექმნას.

მეორე, კოოპერატივების შექმნა რეგიონულ დონეზე შეიძლება დაიწყოს როგორც სოფლის მეურნეობის მწარმოებელმა, ასევე სხვა დაინტერესებულმა მხარემ

(ვაჭრობა, სამაცივრო ქარხნები, საბითუმო საწყობები), გადამამუშავებელმა საწარმოებმა საკუთარი სახსრების, სესხებისა და ლიზინგის გამოყენებით. ამ კოოპერატივების მთავარი ამოცანა შეიძლება გახდეს სოფლის მეურნეობის ნედლეულის, რეგიონში წარმოებული მზა პროდუქციის რეალიზაცია, კოოპერატივის წევრების მატერიალური და ტექნიკური საშუალებებით მომარაგება.

ორი ან მეტ კოოპერატივს, „კოოპერაციის შესახებ“ კანონის თანახმად, სხვა იურიდიულ პირებთან ერთად შეუძლიათ შექმნან კოოპერატივების კავშირი (ასოციაცია). ამგვარი კოოპერატიული ასოციაციების მთავარი მიზანია მოქმედებების კოორდინაცია მონოპოლიების წინააღმდეგ, რომელთა საქმიანობა ზიანს აყენებს სოფლის მეურნეობის მწარმოებლებს და ხელს უშლის კოოპერატივების ნორმალურ ფუნქციონირებას.

დასკვნები და წინადადებები

ნაშრომის დასასრულს, მოკლედ შევაჯამებთ იმ ძირითად მიგნებებს, რომელიც თეორიული და პრაქტიკული კვლევის შედეგად მივიღეთ:

1. აგრარულ და ეკონომიკურ მეცნიერებებში თანამშრომლობის არსის კონცეფციის განხილვისას საყოველთაოდ გამოიყენება ტერმინები „შრომითი თანამშრომლობა“ და „კოოპერატიული საწარმო“, რომლებსაც აქვთ განსხვავებული ეკონომიკური შინაარსი. ცნება „შრომითი თანამშრომლობა“ ახასიათებს ურთიერთობებს, რომლებიც ვითარდება ადამიანებს შორის შრომის პროცესში და მოქმედებს, როგორც შრომის დანაწილების, ანუ სპეციალიზაციის ფორმა. ცნება „კოოპერატიული საწარმო“ ახასიათებს ურთიერთობებს, რომლებიც ვითარდება ხალხის ეკონომიკური საქმიანობის პროცესში და წარმოადგენს წარმოების ორგანიზაციის ან ეკონომიკური სუბიექტის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, მაგრამ გარდა ამისა, იგი აღნიშნავს თანამშრომლობის პროცესსაც.
2. არსებული თეორიული და პრაქტიკული კვლევების საფუძველზე, ყველა აუცილებელი და საკმარისი პირობის შესრულებისას, შემოგვიძლია შემოვიტანოთ **თანამშრომლობის დამატებითი პრინციპები**:
 - განუყოფელი ფონდების სავალდებულო შექმნა, რომლებიც კოოპერატივის წევრების სამუშაო ადგილების უსაფრთხოების გარანტია;
 - პროპორციულობა (ოპტიმალურობა);
 - აქტიური ინოვაციური საქმიანობა;
 - ინტეგრაციული სოლიდარობა;
 - მონაწილეობის მიზანშეწონილობა;
 - კოოპერატივის ზოგადი ინტერესების პრიორიტეტულობა მისი ინდივიდუალური წევრების კერძო ინტერესების მიმართ;
 - ადმინისტრაციული ორგანოების მიერ კოოპერატივების მხარდაჭერის პრინციპი.
3. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების პროგრესული განვითარებისათვის შეთავაზებული გვაქვს კოოპერატივების სამეცნიერო კლასიფიკაცია, რაც მათი

მრავალფეროვნების სისტემატიზაციის მცდელობაა. ამრიგად, შემოთავაზებული გვაქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სამი ტიპი:

- საწარმოო კოოპერატივები, რომელშიც ძირითადი ფუნქციაა სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და მომსახურების წარმოება;
- მომსახურე კოოპერატივები, სადაც ძირითადი ფუნქციაა სხვადასხვა მომსახურების მიწოდება;
- შერეული - საწარმოო და სამომხმარებლო კოოპერატივები, სადაც კოოპერატივი სამი ფუნქციიდან - დივერსიფიცირებული, მულტიდისციპლინური და მრავალფუნქციური, - არც ერთი არ არის აშკარად დომინანტური.

4. სამეურნეო ორგანიზაციების ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციულ და სამართლებრივ ფორმებში ეკონომიკურმა შეფასებამ აჩვენა კოოპერატივების რაოდენობის ზრდის სტაბილურობა, რაც აიხსნება მათი სამართლებრივი საფუძვლების დამატებითი უპირატესობებით და სოფლის მოსახლეობისათვის პირობების შექმნით სოციალური დაცულობის ასამაღლებლად. როგორც ანალიზმა აჩვენა, წარმოების საერთო მოცულობაში კოოპერატივებს უკავიათ განსაკუთრებული ადგილი, სათესი ფართობების - 23%, მარცვლეული კულტურების მთლიან მოსავალში - 19,6%. სოფლის მეურნეობის საწარმოო კოოპერატივებს ახასიათებთ წარმოების შედარებით მცირე ზომები, თუმცა მათი სოფლად ჩამოყალიბება და ფუნქციონირება უზრუნველყოფს სოფლის მოსახლეობის დასაქმების დონესა და სტაბილურ შემოსავალს.

5. შიდა და ქვემო ქართლის რეგიონების ინტეგრირებული სარეიტინგო რესურსის კოეფიციენტის შესაბამისად იმ სოფლების გამოკვლევამ, რომლებშიც არ არსებობს სოფლო-სამეურნეო ბიზნეს-სტრუქტურები, აჩვენა, რომ მათ 40%-ში შესაძლებელია კოოპერატივების შექმნა რეგიონული ბიუჯეტის ფინანსური მხარდაჭერის გარეშე ხოლო დანარჩენებს სჭრიდებათ კერძო ანდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდირება. მოსახლეობის მომსახურებისთვის შექმნილი ერთი კოოპერატივი უზრუნველყოფს 5-დან 15-მდე სამუშაო ადგილს. ეს ნიშნავს, რომ დასაქმების გარდა, ყოფილი უმუშევარი ზოგავს ფულს უმუშევრობის

გადახდილი შეღავათების ოდენობით და ბიუჯეტს აძლევს შემოსავალს სხვადასხვა გადასახადის სახით. ეკონომია და ყველა დონის ბიუჯეტში მიღებული შემოსავალი წელიწადში დაახლოებით 30 ათასი ლარია. ეს მაჩვენებელი ანგარიშდება ერთ სამუშაო ადგილზე წელიწადში.

6. რეკომენდაციის სახით დავამატებთ, რომ აუცილებლად მიგვაჩნია არსებული კანონმდებლობის საფუძველზე ახალი კანონების მიღება სოფლის მეურნეობის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. მაგალითად ისეთების, როგორცაა კანონი „სოფლის მეურნეობის წარმოების სფეროში თანამშრომლობის“ შესახებ და კანონი „სასოფლო-სამეურნეო მომსახურების თანამშრომლობის“ შესახებ, ან შეთავაზებული ცვლილებების შეტანას უკვე არსებულ კანონში „სასოფლო-სამეურნეო თანამშრომლობის“ შესახებ.
7. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნისა და ფუნქციონირების კვლევის პროცესში შემუშავებული მეთოდოლოგიური დებულებები კოოპერატივების შექმნისა და ფერმერული ორგანიზაციის ინტეგრირებული მიდგომის, საჭირო დოკუმენტაციისა და ეკონომიკური ეფექტურობის გაანგარიშების გათვალისწინებით, საშუალებას მისცემს სოფლის მეურნეობის მწარმოებლებს კვალიფიციურად მიუდგნენ აუცილებელი კოოპერატივების შექმნას, ადვილად განსაზღვრონ აბსოლუტური და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების კონკრეტული საგადასახადო ტვირთი. ჩვენი გათვლით, სოფლის მეურნეობის ორგანიზაციების ამჟამინდელი ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, მისაღები ფარდობითი საგადასახადო ტვირთი 35-40%-ია, ხოლო მაქსიმალური გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს 50% -ს.
8. საკვლევი კოოპერატივების ბიზნეს-გეგმის თანახმად და ჩატარებული გაანგარიშებიდან გამომდინარე, კოოპერატივების შექმნის ხარჯების გამოსყიდვა საშუალოდ 2.4 წელიწადში ხდება. და, გარდა ამისა, ამ კოოპერატივების საქმიანობიდან სამი წლის განმავლობაში ბიუჯეტში შესულია მოგების გადასახადი 2.5 მილიონი ლარის ოდენობით.

9. დავადგინეთ, რომ მიწოდება-მარკეტინგის კოოპერატივების შექმნის მიზნით ბიზნეს პროექტების დასაბუთებაში ინვესტიციის მიზანშეწონილობაზე მსჯელობისათვის გამოიყენება შემდეგი განზოგადებული ინდიკატორები:
- წმინდა მოყვანილი (მიმდინარე) ღირებულება (განსხვავება პროექტის განხორციელების პერიოდის მთლიან შემოსავალსა და იმავე პერიოდის ყველა სახის ხარჯებს შორის, დროის ფაქტორის გათვალისწინებით);
 - მომგებიანობა - მოგების თანაფარდობა კაპიტალდაბანდებებთან პროექტის განხორციელების ყოველი წლისთვის;
 - შიდა ეფექტურობის კოეფიციენტი (მოგების მინიმალური ნორმა);
 - მომგებიანობის ბარიერი, რომლის დროსაც წმინდა მიმდინარე ღირებულება ინვესტიციის ეკონომიკური ცხოვრების ციკლისათვის (პროდუქციის წარმოების პერიოდი) ნულის ტოლია.
10. სოფლის მეურნეობის მომსახურების კოოპერატივების შექმნის პოზიტიურ ასპექტებს მივაკუთვნეთ შემდეგი:
- რეგიონში დაიწყო წარმოების ვერტიკალური კონცენტრაციის პროცესი. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლები, მიუხედავად ეკონომიკური დამოუკიდებლობისა, შევიდნენ მსხვილ მომმარაგებელ და მარკეტინგულ კოოპერატივში, რომელიც წყვეტს ისეთ პრობლემებს, რაც ინდივიდუალური მწარმოებლების ძალებს აღემატება;
 - კოოპერატივისთვის შერჩეული მონოპროდუქტიული წარმოების განვითარების სტრატეგია გამოიწვევს არასაბრუნავი და სარესურსო პოტენციალის, პროდუქტიულობისა და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლების გაზრდას; პროდუქციის ერთგვაროვნებას და მისი მიწოდების უწყვეტობას; სტაბილური სანედლეულო ბაზის საფუძვლების შექმნას და კოოპერატიული სისტემის ყველა თანამშრომლის სტაბილურ მუშაობას;
 - კოოპერატივის სტეიპოლდერებთან ურთიერთობის ეკონომიკური მექანიზმი უზრუნველყოფს მათ პროდუქციის გარანტირებულ რეალიზაციას, საჭირო რესურსების მიწოდებას და კოოპერატივისთვის ნედლეულის მომარაგებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდი, <http://acda.gov.ge/index.php/geo/static/118>
2. International Co-operative Alliance, <https://ica.coop/>
3. საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/-1972742>
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდი, <http://geostat.ge/>
5. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები კვებავენ მსოფლიოს; <http://www.fao.org/3/a-az877r.pdf>
6. კანონი „მეწარმეთა შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408?publication=69>
7. კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32998?publication=18>
8. ჭითანავა, ნ. (2013). საქართველოს აგრარული მეურნეობის განვითარების ახალი სტრატეგია (ტომ. 6 No. 1) თბილისი
9. კოლუაშვილი, პ. გეგენევა, ლ. (2021,06-09) აგროსასურსათო სექტორში არსებული გამოწვევები და პერსპექტივები, doi.org/10.36962/104/6-9/20216968
10. საქართველოს შრომის კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/1155567?publication=10>
11. ფურცელაძე ა. ფული და მათი მნიშვნელობა, ფინანსური და ეკონომიური კითხვები. გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა, თფილისი, არ. ქუთათელაძის მსწრაფლმბეჭდავი “ლამპარი“. 1906 წელი.
12. კოოპერატივების შესახებ საქართველოში <http://enpard.ge/ge/%e1%83%99%e1%83%95%e1%83%9a%e1%83%94%e1%83%95%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98-%e1%83%93%e1%83%90-%e1%83%a1%e1%83%ae%e1%83%95%e1%83%90-%e1%83%93%e1%83%9d%e1%83%99%e1%83%a3%e1%83%9b%e1%83%94%e1%83%9c1/>
13. Бюллетень «Ситуация на продовольственном рынке Европы и Центральной Азии и политика реагирования на пандемию COVID-19», Продовольственная и сельскохозяйственная организация Объединенных наций, <http://www.fao.org/3/ca8869ru/CA8869RU.pdf>
14. Management of agricultural, forestry, and fisheries enterprises [ელ.რესურსი] / M. E. Fulton, K. K. Klein, Z. Lerman, A. Harris, D. W. Attwood, B.S. Baviskar // Intern. Agricultural Cooperatives. Vol. I. — URL: <http://www.eolss.net/sample-chapters/c10/E5-15-01-03.pdf>
15. Ferreira da Costa, F. Etude bibliographique de la coopération au Portugal / F. Ferreira da Costa // Revue des Etudes Cooperatives. — 1980. — Juin. — P. 1—29.

16. Belo Moreira, M. L'économie et la production laitière au Portugal: tesis doctoral / M. Belo Moreira. — Grenoble : Univ. de Grenoble, 1984
17. Moyano, E. Sindicalismo y política agraria en Europa / E. Moyano. — Madrid: MAPA. Secretaría General Técnica, 1988.
18. Henriques, M. A. Heterogeneidad estructural de la agricultura portuguesa y déficit neo-corporativista / M. A. Henriques, J. Reis // Las organizaciones profesionales agrarias en la CEE / E. Moyano (coord.). — Madrid: MAPA, 1993. — P. 297—322.
19. Moyano, E. Acción colectiva y cooperativismo en la agricultura europea / E. Moyano. — Madrid: MAPA. Secretaría General Técnica, 1993.
20. Bjorn, C. Co-operation in Denmark / C. Bjorn. — Copenhagen: Danske Andelsselskaber, 1988.
21. Just, F. Butter, Bacon and Organisational Power in Danish Agriculture / F. Just // Cooperative and Farmers. Union in Western Europe / F. Just (ed.). — Ebsjerg: South Jutland Univ. Press, 1990.
22. NCR Les cooperatives agricoles et horticoles aux Pays-Bas // Cooperativismo en Portugal. — La Haya: Rebelo de Andrade, I, 1981; Lisboa: INSCOOP, 1986.
23. Bailey, K. G. The Principles of Co-operation and an Outline of Agricultural Cooperative Development / K. G. Bailey. — London: Food from Britain, 1988.
24. Knapp, J. G. An Analysis of Agricultural Co-operation in England / J. G. Knapp. — London: Agricultural and Centr. Co-operative Assoc., 1965.
25. Nicolas, P. Règles et principes dans les sociétés coopératives agricoles françaises, évolution du droit et des pratiques de 1960 à 1962 / P. Nicolas. — Paris: INRA, 1994. — 31 p.
26. Dedieu, M.-S. Agricultural cooperatives: the reference in term of farmer economic organization / M.-S. Dedieu, F. Courleux // Division of statistics and strategic foresight — strategic foresight and evaluation Analysis. — 2011 — No. 36, November.
27. 2014-5 Attitudes toward the Lifting of the Moratorium on Land Sales and the Development of Land Markets in Ukraine Zvi Lerman
28. 2014-4 The Eurasian Economic Commission and the Unified Market for Agricultural Commodities within the Customs Union Seminar Background Studies “Experiences of the European Union in Creating a Single Agricultural Market”
29. 2014-3 Agricultural Cooperatives in Eurasia Zvi Lerman and David Sedik
30. 2014-2 Cooperatives in the CIS and Georgia: Overview of Legislation Zvi Lerman and David Sedik
31. 2014-1 Agri-Food Systems for Better Nutrition in Europe and Central Asia Mario Mazzocchi, Sara Capacci, Bhavani Shankar, Bruce Traill
32. 2013-7 The triple burden of malnutrition in Europe and Central Asia: a multivariate analysis Sara Capacci, Mario Mazzocchi, Bhavani Shankar, Bruce Traill
33. 2013-6 Сельскохозяйственная обслуживающая кооперация в Украине Роман Коринец
34. 2013-5 Agricultural cooperatives in Israel Gadi Rosenthal and Hadas Eiges 2013-4 Cooperative development in Central Asia Zvi Lerman

35. 2013-3 An overview of cooperatives in Turkey Nedret Durutan Okan and Cüneyt Okan
36. 2013-2 Agriculture and Rural Cooperation - Examples from Armenia, Georgia and Moldova John Millns
37. 2013-1 Association of farmers in the Western Balkan countries Goran Zivkov
38. 2012-4 Wheat Export Economy in Ukraine Iryna Kobuta, Oleksandr Sikachyna, Vitaly Zhygadlo
39. 2012-3 Issues Affecting the Future of Agriculture and Food Security for Europe and Central Asia William H. Meyers; Jadwiga R. Ziolkowska; Monika Tothova and Kateryna Goychuk 78
40. 2012-1 Europe and Central Asian Agriculture Towards 2030 and 2050 Jelle Bruinsma
41. 2010-1 The Feed-Livestock Nexus in Tajikistan: Livestock Development Policy in Transition (revised version). David Sedik
42. 2009-5 Sources of Agricultural Productivity Growth in Central Asia: The Case of Tajikistan and Uzbekistan Zvi Lerman and David Sedik
43. 2009-4 The Diversity of Effects of EU Membership on Agriculture in New Member States Csaba Csaki and Attila Jambor
44. 2009-3 Agricultural Recovery and Individual Land Tenure: Lessons from Central Asia. Zvi Lerman and David Sedik
45. 2009-2 The Feed-Livestock Nexus in Tajikistan: Livestock Development Policy in Transition. David Sedik
46. 2009-1 Agrarian Reform in Kyrgyzstan: Achievements and the Unfinished Agenda. Zvi Lerman and David Sedik
47. 2008-1 The Economic Effects of Land Reform in Tajikistan. Zvi Lerman and David Sedik
48. Kharashvili, E. (2016). 'Small Farm Diversification Opportunities in Viticulture-Winemaking Sector of Georgia, World Academy of Science, Engineering and Technology, International Science Index 113, International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic, Business and Industrial Engineering, 10(5), 1376 - 1379.
49. Chokheli, E. (2016) The Impact of the Competitive Strategy on the Success of Wine Companies (The case of Georgia), Proceedings of 24th international academic conference, Barcelona, <http://www.iises.net/proceedings/24th-international-academic-conference-barcelona/table-of-content/detail?article=theimpact-of-the-competitive-strategy-on-the-success-of-wine-companies-the-case-of-georgia>
50. Chokheli E and Narmania D. (2015) Information Technologies In Management And Prospects To Improve Their Use By Georgian Companies. Int J Recent Sci Res, 6(9), 6515-6518.
51. Facilitate Sustainable Linkages of Agricultural Cooperatives with Market Players and Extension, Evoluxer S.L International Consulting, 2017.
52. Keshelashvili G., (2017), Characteristics of Management of Agricultural Cooperatives in Georgia, Proceedings of 32nd International Academic Conference, 27-30 June, Geneva, <http://www.iises.net/proceedings/32nd-international-academic-conference->

[geneva/table-ofcontent/detail?article=characteristics-of-management-of-agricultural-cooperatives-in-georgia](#) 510

53. Keshelashvili G. Jibuti M. (2015). The Commercialization of Ideas and Customer's Needs in the Georgian Market, 15th International Academic Conference, 14-17 April, Rome, <http://www.iises.net/proceedings/international-academic-conference-rome/table-of-content/detail?article=thecommercialization-of-ideas-and-customer-s-needs-in-the-georgian-market>
54. Туган-Барановский М., Основы политической экономии, <https://dlib.rsl.ru/viewer/01003763339#?page=1>
55. [Owen, Robert, 1771-1858](#) A New View of Society and Other Writings <https://archive.org/details/owennewviewsocietyandotherwritings/page/n99/mode/2up>
56. How Rochdale Pioneers changed commerce forever http://news.bbc.co.uk/local/manchester/hi/people_and_places/history/newsid_8838000/8838778.stm
57. Raiffaizen Bank Group, Our History, <https://www.rbinternational.com/en/who-we-are/facts-figures/history.html>
58. Adam Smith; An Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations; <https://www.gutenberg.org/files/3300/3300-h/3300-h.htm>
59. [David Ricardo, The Principles of Political Economy and Taxation;](#) <https://socialsciences.mcmaster.ca/econ/ugcm/3ll3/ricardo/Principles.pdf>
60. Globalization of the Dairy Industry: Firms, Foreign Direct Investment, and Partnerships. US Dairy at a Global Crossroads/ Economic Research Service/USDA